

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა

(ლექციების კურსი)

შემდგენელი და რედაქტორი:

ქეთევან მარშავა – ემდ, თსუ, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის
კათედრის პროფესორი

სარჩევი

- ლექცია 1.** საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის თეორიული საფუძვლები 3 -17
- ლექცია 2.** საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის განვითარება და მისი თანამედროვე ორაგანიზაცია 18 - 38
- ლექცია 3.** კლასიფიკაციები და დაჯგუფებანი საერთაშორისო სტატისტიკაში 39 - 51
- ლექცია 4.** ეროვნულ ანგარიშთა სისტემა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკაში 52 - 75
- ლექცია 5.** საერთაშორისო შედარებების პროგრამა 76 - 97
- ლექცია 6.** საგარეოეკონომიკური კავშირების სტატისტიკა 98 - 119
- ლექცია 7.** საგადასახდლო ბალანსი 120 - 142
- ლექცია 8.** საერთაშორისო საფინანსო და საბანკო სტატისტიკა 143 -172
- ლექცია 9.** საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკა 173 -189
- ლექცია 10.** შრომის საერთაშორისო სტატისტიკა 190 - 211
- ლექცია 11.** ცხოვრების დონის საერთაშორისო სტატისტიკა 212 - 247
- ლექცია 12.** სტატისტიკური მეთოდები საერთაშორისო მოდელირებასა და ოგნოზირებაში 248 -263
- გამოყენებული ლიტერატურა 264

ლექცია 1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის თეორიული საფუძვლები

სალექციო საკითხები

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის დარგი, მისი შესწავლის ობიექტი და საგანი
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის ძირითადი ამოცანები თანამედროვე ეტაპზე
3. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის კავშირი მეცნიერების სხვა დარგებთან
4. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მეთოდოლოგია
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის დარგი, მისი შესწავლის ობიექტი და საგანი

თანამედროვე ეტაპზე სტატისტიკური მეცნიერება წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკებში მიმდინარე სოციალურ - პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარის შემსწავლელ ურთირთ დაკავშირებულ დისციპლინების კომპლექსს. ეს კომპლექსი მოიცავს:

- მათემატიკურ სტატისტიკას. ის შეისწავლის სხვადასხვა მოვლენებისა და პროცესების ანალიზისა და პროგნოზირების მათემატიკურ-სტატისტიკურ მეთოდებს. ეს მეთოდები ფართოდ გამოიყენება ყოველი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის დასახასიათებლად.
- სტატისტიკის ზოგად თეორიას. მისი კვლევის საგანია შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარის ამსახველი ინფორმაციის მოპოვების, კონტროლის, დამუშავებისა და ანალიზის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიის შემუშავება.
- სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკას (მაკროეკონომიკური სტატისტიკა). ის იკვლევს ეკონომიკური საქმიანობის წინამძღვრების, მსვლელობისა და შედეგების ამსახველ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რაოდენობრივ მხარეს.
- დარგობრივ სტატისტიკებს. თითოეული მათგანი შეისწავლის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების

რაოდენობრივ მხარეს. განასხვავებენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის და სხვა დარგების სტატისტიკებს. დარგობრივი სტატისტიკა იყენებს მათემატიკური სტატისტიკის, სტატისტიკის ზოგადი თეორიისა და მაკროეკონომიკური სტატისტიკის მიერ შემუშავებულ ერთიან მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ამავდროულად დარგობრივი მაჩვენებელთა სისტემააიგება შესასწავლი დარგის სფეროების გათვლისწინებით.

- ეროვნულ ანგარიშთა სისტემას (მას), რომელიც ასახავს ეკონომიკური საქმიანობის წინამძღვრებს, მსვლელობასა და შედეგებს, სტატისტიკური ცხრილების ფორმით წარმოდგენილ, ურთიერთდაკავშირებულ განზოგადებულ ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკას სტატისტიკურ მეცნიერებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ის ეკონომიკური სტატისტიკის დარგია დაითვლება თანამედროვე ეკონომიკური განათლების მნიშვნელოვან შემადგენელად. ამ თეზისის საფუძვლიანობას განაპირობებს შემდეგი გარემოება:

1. ეკონომიკური საქმიანობის აქტივიზაცია სახალხო მეურნეობის ყველა დონეზე;
2. სავაჭრო-ეკონომიკური, სავალუტო-ფინანსური და სამეცნიერო ტექნიკური, ასევე საზღვარგარეთის ყვეფნებთან საგარეო-ეკონომიკური კავშირების ისეთი ახალი ფორმების განვითარება როგორცაა პირდაპირი სამეურნეო კავშირები, ერთობლივი საწარმოები, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, სასაზღვრო და სანაპირო ვაჭრობა.

კვლევის ობიექტზე დამოკიდებულებით განასხვავებენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის ორ ცნებას:

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა ვიწრო გაგებით, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ქვეყნებსა და ქვეყნების გაერთიანებებს შორის საერთაშორისო დონეზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს. ქვეყნების გაერთიანებები – ევროპის ქვეყნების, ეკონომიკური თანამშრომლობისა და გნვითარების ორგანიზაცია, არაბეთის ქვეყნების ლიგა, ნაფთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია და სხვა.

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა ფართო გაგებით იკვლევს მსოფლიო მეურნეობას მთლიანად, ე.ი. არა მხოლოდ ქვეყნებსა და მათ გაერთიანებებს შორის მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს არამედ ცალკეულ ქვეყნებში მიმდინარეებს.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის კვლევის **ობიექტია** შესასწავლი ნიშნის მქონე ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობა – საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები, ქვეყნების მონაწილეობა შრომის საერთაშორისო განაწილებაში, მათი ჩართულობის დონე მსოფლიო სამეურნეო კავშირებში, საგარეო-ეკონომიკური კავშირების ეფექტიანობა, კერძოდ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის **საგანს** წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური მოვლენების რაოდენობრივი შესწავლა. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა მოწოდებულია გამოიკვლიოს **ეკონომიკური საქმიანობის წინამძღვრები, მსვლელობა და შედეგები.**

აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად **ეკონომიკური საქმიანობა** მოიცავს, მთლიანდ საზოგადოებისა და მისი ცალკეული წევრების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების შესაქმნელად ადამიანის მიზანმიმართულ საქმიანობას. აქ იგულისხმება საქმიანობის ყველა სახეობა, გარდა კრიმინალურის, ჰობის და უფასო (აუნაზღაურებადი) შინამომსახურებისა.

ეკონომიკური საქმიანობის წინამძღვრია **ეროვნული სიმდიდრე.** ის მოიცავს:

1. ძირითად და საბრუნავ ფონდებს;
2. სამომხმარებლო დანიშნულების მარაგებს;
3. მიწას და ბუნებრივ რესურსებს;
4. ოქროს და საზღვარგარეთულ ვალუტას;
5. არამატერიალურ აქტივებს;

ეროვნულ სიმდიდრეში არ შედის კლიმატი, ეკონომიკური სიტუაცია, ადამიანისეული რესურსები, ქვეყნის პოლიტიკური წყობა.

ეკონომიკური საქმიანობის შედეგია ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების ერთობლიობა. ამ შედეგების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მთლიანი დამატებული ღირებულება, რომელიც გაიანგარიშება, როგორც სხვაობა პროდუქციის მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის.

კვლევის კონკრეტული საგნის შერჩევა დამოკიდებულია კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე. კვლევის საგანი შეიძლება იყოს ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებლები; მშპ დინამიკისა და სტრუქტურის მაჩვენებლები; ცხოვრების დონის მაჩვენებლები და სხვ.

კვლევის საგნისა და ობიექტის სწორად შერჩევა მნიშვნელოვანად განაპირობებს მიღებული შედეგების სიზუსტეს.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის ძირითდი ამოცანებითანამედროვე ეტაპზე

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის პრიორიტეტული, ცენტრალური ამოცანაა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების დინამიკისა და სტრუქტურის შესწავლა და მათი ურთიერთკავშირის დახასიათება.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მიერ თანამედროვე ეტაპზე გადასაწყვეტ ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

1. ცალკეული ქვეყნების განვითარების დინამიკისა და დონის დახასიათებელი ობიექტური განზოგადებული მაჩვენებლების შემუშავება და გაანგარიშება;
2. მოქმედი სტატისტიკური კლასიფიკატორების სრულყოფა და ახლების აგება;
3. საერთაშორისო სტანდარტებთან ეროვნული სტატისტიკების ადაპტაციის პროგრამის რეალიზაცია;
4. მაკროეკონომიკური სტატისტიკისა და აღრიცხვის საერთაშორისო სისტემის განვითარების გამოცდილების გავრცელება;
5. სტატისტიკური ინფორმაციის შესადარისობის უზრუნველყოფა საერთაშორისო დონეზე;
6. სტატისტიკური მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფა.

ცალკეული ქვეყნის განვითარების დონის მახასიათებელი მაჩვენებლების შემუშავების ამოცანა ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემდეგ მაჩვენებლებს:

- მთლიანი შიდა პროდუქტი;
- მთლიანი ეროვნული შემოსავალი;
- წმინდა ეროვნული შემოსავალი;
- მოქალაქის პირადი შემოსავალი;
- დანახოები პირადი შემოსავლიდან %-ში;
- საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სახელმწიფო დანახარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით %-ში;
- რეალური შემოსავლი ერთ სულ მოსახლეზე;
- მოსახლეობის უზრუნველყოფადობა საცხოვრებლითა და ხანგრძლივი მოხმარების საგნებით;
- სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სტატისტიკური მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფა. სტატისტიკური ინფორმაციის არაუტყუარობა აიხსნება იმით, რომ გამოიყენება ინფორმაციის არასრულყოფილი წყაროები და მაჩვენებელთა გაანგარიშების გამარტივებული ხერხები.

სტატისტიკური მონაცემების უტყუარობის უზრუნველსაყოფად საჭიროა:

- ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთი მაჩვენებლების სხვა მაჩვენებლებთან ურთიერთშეკავშირების გამოყენება;
- ერთი და იგივე მაჩვენებლების მრავალვარიანტული გაანგარიშების გამოყენება.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკაში დადგენილია ინფორმაციის უტყუარობის 4 კლასი:

- A კლასი (ცდომილება 3%- მდე);
- B კლასი (ცდომილება 3%-დან 10%-მდე);
- C კლასი (ცდომილება 10%-დან 20%-მდე);
- D კლასი (ცდომილება 20%-ის ზემოთ);

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანები არარის ამომწურავი და მუდმივი. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის წინაშე წარმოიშობა ახალი კონკრეტული ამოცანები.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის კავშირი მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა მჭიდროდა დაკავშირებული რიგ მეცნიერულ დისციპლინასთან. პირველ რიგში აღსანიშნავია მისი კავშირი თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასთან, რომელიც შეიმუშავებს განმარტებებს და მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორიებისა და მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიას, შეისწავლის სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციებსა და კანონზომიერებებს. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა, ეკონომიკური მაჩვენებლების პრაქტიკული გაანგარიშებების განსახორციელებლად, იყენებს ეკონომიკური თეორიის შემუშავებებს. თავის მხრივ, სტატისტიკა ამდიდრებს ეკონომიკურ თეორიას კონკრეტული ეკონომიკური ინფორმაციით და ამ ინფორმაციის სფუქველზე გაკეთებული დასკვნებით. ასეთი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება იძლევა ეკონომიკური თეორიისა და სტატისტიკის განვითარების შესაძლებლობას.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა, თავის პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს სტატისტიკის ზოგადი თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მიერ შემუშავებული ინფორმაციის მოპოვების, კონტროლის, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდებს. რაც იძლევა მიღებული ინფორმაციის სისტემატიზირების, მისი ხარისხისა და საიმედოობის შემოწმების, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერების დადგენის, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობის განვითარების პროგნოზირების საშუალებას. სტატისტიკის ზოგადი თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მიერ მიღებული შედეგების გამოყენებით, სრულყოფს ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვების, კონტროლის, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგიას.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა მჭიდრო კავშირშია **საბუღალტრო აღრიცხვასთან**. ის ეკონომიკური ოპერაციების ასახვისას ფართოდ იყენებს ორმაგი ჩაწერის ბუღალტრულ მეთოდს, კერძოდ მას-ის ანგარიშების აგების დროს. საწარმოს დონეზე ერთგვაროვანი ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიური ერთიანობა, რომელსაც ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვა, ხოლო ცალკეული ქვეყნებისა და ქვეყნების გაერთიანებების დონეზე – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა იძლევა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დონეზე (საწარმოს, ეკონომიკის დარგისა და სექტორის, ეკონომიკური რეგიონების, ცალკეული ქვეყნებისა და ქვეყნების გაერთიანებების) ერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესადარისობისა და ურთიერთშეკავშირების შესაძლებლობას.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა, ეროვნული ეკონომიკის ცალკეული დარგების ეკონომიკური საქმიანობის შემსწავლელი რიგი დისციპლინის საფუძველია. ის შეიმუშავებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მაჩვენებელთა სისტემის აგების ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს და რეკომენდაციას უწევს მათ გამოყენებას სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკურ პრაქტიკაში.

აღსანიშნავია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის კავშირი **პროგრამირებასა და ელექტრონული ტექნიკის** გამოყენებასთან. ეს კავშირი აიხსნება შემდეგი ძირითადი გარემოებებით:

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკას საქმე აქვს დიდი მოცულობის ინფორმაციასთან, რომლის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი შეუძლებელია ელექტრონული ტექნიკის გამოყენების გარეშე;
- გაეროს, საერთაშორისო ორგანიზაციების, ქვეყნების გაერთიანებებისა და ცალკეული ქვეყნების სტატისტიკური ორგანოების გამაერთიანებელი ეკონომიკური ინფორმაციის დროულად მიღება და დამუშავება შეუძლებელია მსოფლიო ელექტრონული ქსელის შექმნის გარეშე.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მეთოდოლოგია

ჩვენ ავლნიშნეთ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის კავშირი სხვა მეცნიერებებთან. ეს კავშირი უწინარესად ვლინდება იმაში, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა იყენებს რიგი სხვა დისციპლინის მიერ შემუშავებულ მეთოდებს.

სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების სტატისტიკური შესწავლის ფუძემდებლური მეთოდია **დიალექტიკური მეთოდი**. რომლის შესატყვისად საერთაშორისო სტატისტიკა იკვლევს ეკონომიკური მოვლენების რაოდენობრივ მხარეს მათ თვისობრივ მხარესთან განუყრელ კავშირში. ამისათვის გამოიყენება რაოდენობრიობის თვისესბრიობაში გადასვლის კანონი, დაპირისპირებათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი, უარყოფის უარყოფის კანონი და სხვა.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა უტყუარი სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მისაღებად იყენებს, **სტატისტიკის ზოგადი თეორიის მიერ შემუშავებულ, სტატისტიკური დაკვირვების სხვადასხვა მეთოდს** (მიმდინარე დაკვირვება, გამოკითხვები, შერჩევითი დაკვირვება და ა.შ.).

მიღებული სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების **სტატისტიკური ანალიზი**, აგრეთვე ხორციელდება სტატისტიკის ზოგადი თეორიის მიერ შემუშავებული მეთოდების ერთობლიობის საფუძველზე. მათ შორის უმნიშვნელოვანეს მიეკუთვნება:

1. **საშუალოების მეთოდი** იძლევა გამოსაკვლევი ერთობლიობის ყველა ერთეულისათვის შესასწავლი ნიშნის საშუალო სიდიდის განსზღვრის საშუალებას (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ერთი მუშაკის საშუალო რეალური და ნომინალური ხელფასი, მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე და ა.შ.);
2. **ვარიაციის მაჩვენებლები** ახასიათებენ შესასწავლი ნიშნის მნიშვნელობის გადახრას მათი საშუალო სიდიდისგან. ვარიაციის მაჩვენებლები იძლევა ერთობლიობის ყველა ერთეულის, შესასწავლ ნიშანთან მიმართებით, ერთგვარონობის დონეზე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

3. **სტატისტიკური დაჯგუფების** მეთოდი იძლევა შესაწავლი ერთობლიობის ყველა ერთეულის, ერთი ან რამოდენიმე ნიშნის საფუძველზე, ერთგვაროვან ჯგუფებში გაერთიანების შესაძლებლობას;
4. **დინამიკური მწკრივების მეთოდი**, რომლის არსი მდგომარეობს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების დროში განვითარების ამსახველი სამომენტო და ინტერვალური მაჩვენებლების ერთობლიობის აგებაში;
5. **საინდექსო მეთოდი** რომელიც, განსაკუთრებული შეფარდებითი სიდიდეების (ინდექსების) მეშვეობით იძლევა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების დინამიკის დროში შესწავლის ან ერთგვაროვანი მოვლენების სივრცეში შეპირისპირების საშუალებას;
6. **სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ურთიერთკავშირის შესწავლის სტატისტიკური მეთოდები**, მათ მიეკუთვნება: ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური მაჩვენებლების პარალელურ მწკრივთა მეთოდი; კავშირის სიმჭიდროვის არაპარამეტრული შეფასების გაანგარიშების მეთოდი (ასოციაციის კოეფიციენტი, კონტინგენციის კოეფიციენტი, პირსონის ურთიერთ შეუღლების კოეფიციენტი, სპირმანის რანგების კორელაციის კოეფიციენტი, ფენერის კოეფიციენტი და სხვა); კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი, რომელიც ერთი მხრივ, წყვილადი კოეფიციენტებისა და მრვლობითი კორელაციის სფუძველზე იძლევა შესაწავლი მოვლენების ურთიერთკავშირის სიმჭიდროვის დონის შეფასების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, შესასწავლი ფაქტორების საშედეგო ნიშანზე გავლენის რაოდენობრივი შეფასების საშუალებას კორელაციურ-რეგრესიული განტოლებების პარამეტრებისა და ელსტიკურობის შესაბამისი კოეფიციენტების საფუძველზე.
7. **შერჩევითი გამოკვლევების მეთოდი**. ეს მეთოდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით სრული პერიოდული ანგარიშების სისტემის არ არსებობის პირობებში. შერჩევითი მეთოდის სწორად გამოყენება, სიზუსტის თვალსაზრისით, იძლევა შესასწავლი მაჩვენებლების საგნებით დამაკმაყოფილებელი შეფასების შესაძლებლობას. მისი გამოყენების შედეგად საჭირო ინფორმაციის მისაღებად მიიღწევა შრომითი, მატერიალური და ფინანსური დანახარჯების ეკონომია. გარდა ამისა მნიშვნელოვნად მცირდება ამ ინფორმაციის მოპოვებაზე, დამუშავებასა და ანალიზზე დახარჯული დრო.

8. **კლასტერული ანალიზი**, რომელიც იძლევა საშუალებას განხორციელდეს შესასწავლი ერთობლიობის მრავალგანზომილებიანი დაჯგუფება რამდენიმე ნიშანთან მიმართებით. შედეგად ერთობლიობა იყოფა ერთგვაროვან კლასტერებად.
9. ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევისას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა ფართოდ იყენებს **საბალანსო მეთოდს**. ის გამოიყენება რამდენიმე ვარიანტში:
- ბალანსი, როგორც მთელისა და მისი ცალკეული კომპონენტების ტოლობა (მაგალითად, დასაქმებული მოსახლეობის განაწილება ეკონომიკის დარგების მიხედვით);
 - ბალანსი, როგორც რესურსებისა და დანახარჯების ტოლობა (მაგალითად, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების და მათი გამოყენების ბალანსი);
 - ბალანსი, როგორც შესასწავლ ერთობლიობაში განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მიმდინარე ცვლილებების ასახვის საშუალება. ამ შემთხვევაში საბალანსო ცხრილი მოიცავს მონაცემებს, რომლებიც ახსიათებს პერიოდის დასაწყისისთვის არსებულს, პერიოდში შევსებას, პერიოდში გასვლას და პერიოდის ბოლოს არსებულს.
 - საბალანსო მეთოდი არის ფუძემდებლური მას-ისაგებისას. ეროვნული ეკონომიკის ანგარიშების ყველა საშედეგო მაჩვენებელი (მშპ საბაზრო ფასებში; მთლიანი მოგება/მთლიანი შერეული შემოსავალი; მთლიანი ეროვნული შემოსავალი; მთლიანი განკარგვითი ეროვნული შემოსავალი და სხვა) გაიანგარიშება საბალანსო მეთოდით, როგორც სხვაობა რესურსების ჯამსა და გამოყენების სხვა მუხლებს შორის.

სტატისტიკის ზოგადი თეორიის მიერ შემუშავებულ ინსტრუმენტებს – **სტატისტიკურ ცხრილებს, ნახაზებს, გრაფიკებს, დიაგრამებს** საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა იყენებს სტატისტიკური ინფორმაციის თვალსაჩინო და კომპაქტურად წარმოსადგენად.

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის ჩამოთვლილი მეთოდები საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკას აძლევს ქვეყნის, ქვეყნების გაერთიანებისა და მსოფლიო დონეზე ეკონომიკური საქმიანობის წინამძღვრების, მსვლელობისა და შედეგების

ამსახველი ურთიერთ დაკავშირებული ეკონომიკურ-სტატისტიკური მაჩვენებლების აგების საშუალებას.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის საგანი და ობიექტი განსაზღვრვს ეკონომიკურ-სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის აგების პრინციპებს, მის სტრუქტურას და შედგენილობას.

ეკონომიკურ-სტატისტიკური მაჩვენებელი ასახავს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივ მხარეს მათ თვისებრივ მხარესთან განუყრელ კავშირში. ეკონომიკური საქმიანობა შეიცავს ურთიერთ დამოკიდებულებაში და ურთიერთკავშირში მყოფ სხვადასხვა ოპერაციების დიდ რაოდენობას. ამიტომ ეკონომიკური საქმიანობის წინამძღვრების, მსვლელობისა და შედეგების ამსახველი მაჩვენებელთა სისტემა ასევე უნდა მოიცავდეს ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებლებს, თითოეული მათგანი ასახვს განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს.

ეკონომიკური საქმიანობის წინამძღვრებია მიწა და ბუნებრივი რესურსები, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ცხოველქმედითობის მატერიალურ საფუძველს; მოსახლეობა შრომითი რესურსების ფორმით (შრომისუნარიანი მოსახლეობა); დაგროვილი მატერიალური კეთილდღეობა, რომელიც წინა პერიოდების შრომის შედეგია; არამატერიალური აქტივები და ფინანსური რესურსები.

აღნიშნულის შესატყვისად ეკონომიკური საქმიანობის მახასიათებელმა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემამ უნდა მიცვას:

- მიწის და ბუნებრივი რესურსების მაჩვენებლები (ფართობი, კლიმატური პირობები, სასარგებლო წიაყისეულის მარაგები, ტყის რესურსები, წყლისა და ჰიდროენერგორესურსების მარაგები, წყლების, ზღვებისა და ოკეანების სიმდიდრე; ქვეყნის სანაპირო შეღფი, ფლორა და ფაუნა);

- გარემოს მდგომარეობის მაჩვენებლები (მიწის, წყლის, ჰაერის; მყარი, თხევადი, და აირსახოვანი ნარჩენების წარმოქმნის, გამონაბოლქვის შემწნევის და განადგურების; გარემოს დაცვის ღონისძიებებისა და მათი ეფექტიანობის);
- ქვეყნის შრომითი პოტენციალის მაჩვენებლები (ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა, შემადგენლობა და დინამიკა, შრომისუნარიანი მოსახლეობის, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულების, უმუშევრების);
- ძირითადი კაპიტალის არსებობის, სტრუქტურის, მდგომარეობის და მოძრაობის მაჩვენებლები;
- საბრუნავი კაპიტალის, რეზერვების და სხვადასხვა დანიშნულების მარაგების სტატისტიკის მაჩვენებლები;
- მოსახლეობის დაგროვილი ქონების მაჩვენებლები.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია ეკონომიკური საქმიანობის მსვლელობისა და შედეგების ამსხველ მაჩვენებლებს. ის მოიცავს **ნატურალურ, პირობით-ნატურალურ და ღირებულებით მაჩვენებლებს.**

ნატურალური მაჩვენებლები გამოიყენება კონკრეტული პროდუქტისა და მომსახურების წარმოების და მოხმარების დასახასიათებლად. აღსანიშნვია, რომ ბევრ შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყანაში ერთგვაროვანი პროდუქტის გასაზომად გამოიყენება ზომის განსხვავებული ერთეულები.

პირობით-ნატურალური მაჩვენებლები იძლევა ერთგვაროვანი მაჩვენებლების გაანგარიშების ბაზის გაფართოების საშუალებას. თუმცა ისინი იშვიათად გამოიყენება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სათბობ-ენრგეტიკული რესურსები, ამ რესურსების ყველა სახეობა გადაიანგარიშება პირობით საწვავში, რომლის თბოგამომუშავება შეადგენს 7200 კკაღ/კგ ან განსაზღვრული კოეფიციენტებით გადაიანგარიშება ნაფთობში. ეს იძლევა ქვეყანაში სათბობ-ენრგეტიკული რესურსების წარმოებისა და გამოყენების შეფასების და მათი ნატურალურ-ნივთობრივი სტრუქტურის შესწავლის საშუალებას.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **ღირებულებით (ფულად) მაჩვენებლებს**, რომელთა ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი იძლევიან განზოგადებული, დაჯამებული სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღების საშუალებას ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერ დონეზე (ეკონომიკური ერთეულების; ეროვნული ეკონომიკის დარგებისა და სექტორების; ეკონომიკური რეგიონების და მთლიანდ ქვეყნის). ღირებულებითი მაჩვენებლების ძირითადი ნაკლოვანებაა მათი ძლიერი დამოკიდებულება ინფლაციის ტემპებზე მოცემულ ქვეყანაში. ეს იწვევს ღირებულებითი მაჩვენებლების დინამიკური მწკრივების შესადარის ფასებში გადაანგარიშების აუცილებლობას, რაც თავისთავად რთულ და შრომატევად ამოცანას წარმოადგენს. გარდა ამისა ერთგვაროვანი ღირებულებითი მაჩვენებლების შესადარისობა საერთაშორისო დონეზე ასევე მოითხოვს მათ გადაანგარიშებას შესდარის ვალუტაში, რაც ყოველთვის ატარებს მიახლოებით ხასიათს.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის ეკონომიკური საქმიანობის შედეგებისა და ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებელთა ბაზაზე იგება **ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა ქვესისტემა**. ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები წარმოადგენენ საქმიანობის შედეგებისა და რესურსების თანაფარდობას ან ამ შედეგების მიღწევასთან დაკავშირებული დანახარჯების თანაფარდობას.

ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა ქვესისტემა მოიცავს შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლებს (დასაქმება, უმუშევრობა, სამუშაო დროის გამოყენება, შრომისა და წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობა და ა.შ.); წარსული (განივთებული) შრომის გამოყენების დანახარჯთა ეფექტიანობის მაჩვენებლებს (ფონდტევადობა და ფონდუკუგება, მასალატევადობა და მასალაუკუგება, მატერიალური რესურსების ხვედრითი ხარჯების მაჩვენებლები და სხვ.); კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის მაჩვენებლები (კაპიტალტევადობა, კაპიტალუკუგება, კაპიტალდაბანდებების ამოგების ვადა და სხვ.).

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელია **მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა**

დარგების ეკონომიკური საქმიანობის წანამძღვრების, მიმდინარეობისა და შედეგების ამსახველი ქვესისტემები. ეს ქვესისტემები მოიცავს სამუშაო ძალის, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის არსებობის, სტრუქტურის და მოძრაობის ნატურალურ და ღირებულებით მაჩვენებლებს და ასევე მრეწველობის, ს/მ და მშენებლობის მნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოების ნატურალურ და ღირებულებით მაჩვენებლებს.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები. მათ დასახასიათებლად საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკა შემუშავებს *სახელმწიფო ფინანსების, გადასახადებისა და ფულადი მიმოქცევის სტატისტიკის მაჩვენებელთა ქვესისტემას*.

ინფლაციის სტატისტიკური შესწავლისათვის გამოიყენება *ფასების და ფასწარმოქმნის მაჩვენებელთა სისტემა*. ამ შემთხვევაში შეისწავლება არა მხოლოდ ფასები, არამედ ხორციელდება ღირებულებითი (ფულადი) მაჩვენებლების შესადარის ფასებში გადაფასების მეთოდების შემუშავებაც.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებით. ამ პროცესის ასახვა ხდება **საგარეო ეკონომიკური კავშირების მაჩვენებელთა ქვესისტემის** მეშვეობით. ის მოიცავს საქონლით და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებს, და აგრეთვე ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მაჩვენებლებს.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა სრულდება **მოსახლეობის ცხოვრების დონის, შრომის პირობებისა და დასვენების მაჩვენებელთა ქვესისტემით**. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები, ნომინალური და რეალური ხელფასი; საცალო საქონელბრუნვის მოცულობა, სტრუქტურა და დინამიკა;
- პროდუქციის ძირითადი სახეობების მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე;

- მოსახლეობის საცხოვრებლით, კომუნალური მომსახურებითა და ხანგრძლივი მოხმარების საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფადობა;
- ჯანდაცვის, განათლების, კულტურისა და მეცნიერების სტატისტიკის მაჩვენებლები; კრიმინალური სტატისტიკის მაჩვენებლები. ამ ქვესისტემაში შედის შრომის პირობის მაჩვენებლები (სამუშაო დროის ხანგრძლივობა, პროფესიული დაავადებები, საწარმოო ტრავმატიზმი, შრომითი კონფლიქტები, ახალ ადგილზე ეკოლოგიური მდგომარეობა – მავნე გამოსხივება, დამტვერიანება, ხმაურიანობა და სხვ.) და დასვენების პირობები (შეგებულების ხანგრძლივობა, თავისუფალი დრო, შიდა და საერთაშორისო ტურიზმი და სხვ.).

ლექცია 2.საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის განვითარება და მისი თანამედროვე ორგანიზაცია

სალექციო საკითხები

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის ისტორიული წარმოშობა
2. საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტი
3. საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესები და მათი როლი საერთაშორისო ურთიერთობების სტატისტიკის განვითარებაში
4. საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი სტატისტიკური სამსახურები
5. საერთაშორისო სტატისტიკის თანამედროვე ორგანიზაცია
6. ევროკავშირის სტატისტიკური სამსახური
7. ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკური სამსახურები სხვადასხვა ქვეყანაში, ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სტატისტიკური ფორმები.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის ისტორიული წარმოშობა

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა, როგორც მეცნიერების დარგი წარმოიშვა ძველ დროში ცალკეული სახელმწიფოების პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე.

თავდაპირველად ეს გახლდათ შეტევის განხორციელებამდე მოწინააღმდეგის სამხედრო სიმძლავრის შეფასებისა და კონტრიბუციის ¹ დასაწესებლად სახელმწიფოს სიმდიდრის განსაზღვრის აუცილებლობა.

შემდგომ, ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, გაჩნდა მოთხოვნა სხვა ინფორმაციაზე, ე.ი. სახელმწიფოს აღწერის. მაგრამ მსგავს მონაცემებს ჰქონდა წმინდა აღწერილობითი სტატისტიკის სახე, ციფრობრივი ინფორმაციის გამოყენების გარეშე. ერთ-ერთი ამდგავარი ცნობილი სამუშაო ეკუთვნის *არისტოტელეს*, რომელმაც აღწერა თავისი დროის 157 ქალაქი და სახელმწიფოები.

¹კონტრიბუცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს იძულებით გადასახდელს, ან ქონების ამოღებას ომში დამარცხებული სახელმწიფოსაგან.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის, როგორც დამოუკიდებელი დარგის ფორმირება მოხდა XIX საუკუნის შუა ხანებში. მისი წარმოშობა და განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ორ სკოლასთან: *გერმანულ აღწერილობით სკოლასთან და პოლიტიკური არითმეტიკოსების ინგლისურ სკოლასთან.*

გერმანული აღწერილობითი სტატისტიკის, ან სახელმწიფომცოდნეობის წარმომადგენელი იყო გერმანელი მეცნიერი გ. ახენვალი, რომელმაც 1749წ. გამოსცა წიგნი სახელმწიფომცოდნეობაზე. აღწერილობითი სტატისტიკის ძირითადი თავისებურება მდგომარეობდა იმასში, რომ ხდებოდა აღწერილობით-ინფორმაციული მასალის მოპოვება, რომელიც შემდგომში თითქმის არ ანალიზდებოდა. გერმანულმა აღწერილობითმა სკოლამ იარსება 150 წელზე მეტი, თუმცა ამ მეცნიერების საგანი და მეთოდი არ იყო განსაზღვრული.

პოლიტიკური არითმეტიკოსების ინგლისური სკოლა გაჩნდა 100 წლით ადრე ვიდრე გერმანული სკოლა. მისი წარმომადგენელი იყო უ. პეტი. ის საზოგადოებრივ მოვლენებს განიხილავდა რაოდენობრივი თვალსაზრისით, გამოხატავდა მათ რიცხვებით, წონით, ზომით. მან 1683წ. გამოსცა წიგნი „პოლიტიკური არითმეტიკა“, რომელშიც მოტანილი იყო მონაცემები ინგლისის ეროვნულ შემოსავალზე, მონაცემები საფრანგეთისა და ჰოლანდიის მოსახლეობაზე.

პოლიტიკური არითმეტიკოსების სკოლამ საფუძველი ჩაუყარა მასობრივი მონაცემების რაოდენობრივ შესწავლას. ამ სკოლის წარმომადგენლები ცდილობდნენ ციფრებით დაეხასიათებინათ საზოგადოების მდგომარეობა და განვითარება, ფაქტების განზოგადებისა და ანალიზის საფუძველზე ეჩვენებინათ საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების კანონზომიერებები.

შემდგომი განვითარება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკამ მიიღო ისეთი მისი ფორმების მეშვეობით, როგორიცაა *საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტი, საერთაშორისო კონგრესები, ერთა ლიგის ორგანოები.*

საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტი

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საერთაშორისო სტატისტიკურ ინსტიტუტს (სსი).

სსი-ს საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიქმნა 1885წ. შტაბ-ბინა იმყოფება ჰააგაში. ეს წმინდა სამეცნიერო ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვან მეცნიერებს სტატისტიკის დარგში.

სსი სამეცნიერო საქმიანობა მიმართულია შემდეგ პრობლემებზე:

- ხალხთმოსახლეობა;
- პროდუქციის ხარისხის სტატისტიკური მეთოდები;
- სამუშაო ძალის სტატისტიკა;
- ცოდნის სხვადასხვა დარგში მათემატიკური სტატისტიკის გამოყენება.

სსი-ის სესიები ტარდება რეგულარულად ყოველ ორ წელს, სადაც ხდება სამეცნიერო და პრაქტიკული სტატისტიკის რეკომენდაციების შემუშავება. ინსტიტუტის შემუშავებები განიხილება საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების მიერ და ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს.

1990 წლიდან სსი ატარებს სპეციალურ კონფერენციებს საერთაშორისო სტატისტიკის სხვადასხვა პრობლემებზე (მისი საიმედოობის, დროულობის სიზუსტის). ბოლო წლებში სსი ახორციელებს სტატისტიკური სამსახურის ხელმძღვანელებისათვის სემინარების ორგანიზებას. პირველი ასეთი სემინარი ჩატარდა 1966წელს ევროპელი სტატისტიკოსებისათვის. მასზე განიხილებოდა ნიდერლანდების სტატისტიკის ბიუროს გამოცდილება.

თანამედროვე ეტაპზე სსი-ის საქმიანობა მიმართულია შემდეგ პრობლემებზე:

- სტატისტიკური განათლება (ამისათვის სსი-ს გააჩნია სასწავლო ცენტრები კალკუტაში, ბობეიში, ბეირუთში, ჩინეთში, სადაც ხდება აზიისა და აფრიკის ქვეყნების სტატისტიკოსების გადამზადება.
- სხვადასხვა დარგში გამოყენებითი სტატისტიკის გამოყენება.

სსი რეგულარულად გამოსცემს „საერთაშორისო სტატისტიკის მიმოხილვას“, „მსოფლიოს დიდი ქალაქების წელიწდლელულს“.

საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესები და მათი როლი საერთაშორისო სტატისტიკის განვითარებაში

საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესების (სსკ) ინიციატორი იყო ა. კეტლე. საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესების მოწვევა ხდებოდა 23 წლის განმავლობაში. I-ლი კონგრესი შედგა 1853წ ბრიუსელში, II- 1855წ პარიზში, III- 1863წ. ვენაში, IV- 1860წ. ლონდონში, V- 1863წ. ბერლინში, VI-1867წ. ფლორენციაში, VII-1869წ. ჰააგაში, VIII-1872წ. პეტერბურგში და IX-1876წ. ბუდაპეშტში.

საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესების პროგრამებში ფიგურირებდა სტატისტიკის სხვადასხვა საკითხები: სოციალური სტატისტიკა; დემოგრაფიული სტატისტიკა. ცალკეულ კონგრესებზე განიხილებოდა მეთოდოლოგიური საკითხები. მაგალითად, პეტერბურგში VIII კონგრესზე განიხილებოდა ცხრილური და გრაფიკული მეთოდების როლი და მნიშვნელობა. აღწერების ჩატარების და შედეგების დამუშავების მეცნიერული დასაბუთება იყო მოცემული ჯერ ბრიუსელში I კონგრესზე, შემდეგ პეტერბურგში VIII კონგრესზე.

საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესების მუშაობის შედეგად მოხდა მეცნიერული და პრაქტიკული სტატისტიკის შერწყმა, გაიზარდა გამოცემის რიცხვი, გაუმჯობესდა სტატისტიკური დაწესებულებების მოწყობა, დაიწყო სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლა რეგულარულ საფუძველზე.

საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი სტატისტიკური სამსახურები

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათ სტატისტიკურ სამსახურებს. სწორედ მათი საქმიანობის ინტენსიურობით შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ურთიერთობების სტატისტიკის, რიგი

მნიშვნელოვანი მიმართულებით, ეროვნული სტატისტიკების მიღწევებისაგან ჩამორჩენის ლიკვიდირება.

აღსანიშნავი, ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური სამსახურების როლი, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (ბაპრ(ო), UN), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), ბაპრ(ო)-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), ბაპრ(ო)-ს ინდუსტრიალური განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), ბაპრ(ო)-ს სასურსათო დასასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია (FAO), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO).

ამ ორგანიზაციებმა არსებითი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის მაჩვენებელთა შემუშავებაში, ამ მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდის სრულყოფასა და საერთაშორისო დონეზე შესადარისობის უზრუნველყოფაში.

ბაპრ(ო) შეიქმნა 1945წ. ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარების, მშვიდობის მხარდაჭერისა და განმტკიცების მიზნით. მისი შტაბ-ბინა იმყოფება ნიუ-იორკში, ხოლო ევროპის განყოფილება ვენაში და ჟენევაში.

ბაპრ(ო)-ში ფუნქციონირებს ორი სტატისტიკური ორგანო: ბაპრ(ო)-ის სტატისტიკური კომისია და ბაპრ(ო)-ის სამდივნოს სტატისტიკური ბიურო. სტატისტიკური კომისია დაფუძნდა 1946წელს ბაპრ(ო) სოციალური და ეკონომიკური საბჭოს პირველ სესიაზე. კომისიის მიზანი გახლდათ სტატისტიკის დარგში ყველა საერთაშორისო რეკომენდაციის მომზადება. ბაპრ(ო)-ის სტატისტიკური კომისიის შექმნასთან ერთად ორგანიზებული იქნა ბაპრ(ო)-ის რეგიონალური კომისიები, ხოლო ამ კომისიებთან – სტატისტიკოსების რეგიონალური კონფერენციები ევროპისათვის, ლათინური ამერიკისათვის, აფრიკისათვის და სხვ. რეგიონალური კომისიის სამდივნოში შეიქმნა სტატისტიკური განყოფილებები, რეგიონის პირობებთან გამოყენებით, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით.

ბაპრო-ის სტატისტიკურ კომისიასთან შექმნილია ექვსი მიზნობრივი ქვედანაყოფისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი. ეს ქვედანაყოფები დაკავებული არიან შემდეგი პრობლემებით:

- ეროვნული ანგარიშგება;
- მრეწველობის სტატისტიკა;
- საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა;
- ფინანსების სტატისტიკა;
- ფასების სტატისტიკა;
- გარემოს დაცვის სტატისტიკა.

ისინი მოიპოვებენ და ამუშავენ ინფორმაციას, ავრცელებენ მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიას, ამზადებენ კადრებს.

ბაპრო-ის სამდივნოს სტატისტიკური ბიურო კორდინირებას უწევს და მიმართულებას აძლევს ბაპრო-ის ყველა ქვედანაყოფის საქმიანობას სტატისტიკის დარგში, ახორციელებს მიმდინარესამუშაოს ბაპრო-ს საერთაშორისო სტატისტიკის დარგში. ის ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვება, დამუშავება და პუბლიკაცია;
- მასალების მომზადება სესიაზე განსახილველად;
- სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების შესადარისობის უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა ქვეყნისთვის დახმარების გაწევა სტატისტიკის დარგში;
- ბაპრო-ოს სტატისტიკური ორგანოებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედების კოორდინაცია.

ბაპრო გამოსცემს შემდეგ პუბლიკაციებს:

- წელიწდლუელი ეროვნული ანგარიშშიანობის სტატისტიკაში (გამოიცემა 1956 წლიდან);
- დემოგრაფიული წელიწდლუელი გამოდის ბაპრო-ის სტატისტიკური კომისიის შევიცარიულ განყოფილებაში)

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) შეიქმნა 1944 წელს ბრეტონ-ვუდის საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური კონფერენციის გადაწყვეტილებით. ის უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც არეგულირებს სავალუტო ურთიერთობებს წევრ-სახელმწიფოებთან და გამოყოფს მათ კრედიტს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კაპიტალი იქმნება წევრ-ქვეყნების შენატანებისაგან თითოეული ქვეყნისთვის დადგენილი კვოტების შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისა და მსოფლიო ვაჭრობაში მისი როლის გათვალისწინებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შტაბ-ბინა იმყოფება ვოშინგტონში. ხელმძღვანელი ორგანოა – მმართველთა საბჭო, ხოლო აღმასრულებელი – დირექტორიატი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ხელს უწყობს საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური ოპერაციების განვითარებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკა გამოდის საგადამხდელო ბალანსისა და ფინანსური მაჩვენებლების აგების მეთოდოლოგიის კანონმდებლად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითად პუბლიკაციებს მიეკუთვნება „საგადამხდელო ბალანსის წელიწდოური“ და „საერთაშორისო საფინანსო სტატისტიკა“ – ყოველთვიური გამოცემა, რომელშიც აისახება ვალუტის კურსი, საერთაშორისო სავალუტო ლიკვიდობა, საბანკო სისტემის საქმიანობის მაჩვენებლები, ფულადი მასის მაჩვენებლები, სიცოცხლის დაზღვევის ფინანსური მაჩვენებლები, საპროცენტო განაკვეთები, აქციების ფასების ინდექსები, სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის მაჩვენებლები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, შეიქმნა 1919 წელს ერთა ლიგის ჩარჩოებში ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე. 1946 წლიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებს ბაპრო-ის ეგიდის ქვეშ. შტაბ-ბინა იმყოფება ჟენევაში. მისი ძირითადი სამუშაო ორგანო არის შრომის საერთაშორისო ბიურო.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი ამოცანებია:

- უმუშევრობასთან ბრძოლა;
- სამუშაო დროის რეგლამენტაცია;

- ხელფასის გარანტიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფის ცხოვრების ნორმალურ პირობებს;
- საწარმოებში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებისაგან დაცვა;
- მომუშავე ქალების, მოზარდებისა და ბავშვების დაცვა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკური საქმიანობა თავმოყრილია სტატისტიკის ბიუროში, რომლის ჩარჩოებში მოქმედებს შემდეგი განყოფილებები:

- ხელფასის;
- შრომის მწარმოებლურობისა და სამუშაო დროის;
- სამომხმარებლო ფასების ინდექსების;
- საოჯახო ბიუჯეტების;
- საორგანიზაციო საკითხებისა და პუბლიკაციების.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით 1923 წლიდან რეგულარულად ტარდება შრომის სტატისტიკოსების საერთაშორისო კონფერენცია. ამ კონფერენციებზე განიხილება ხელფასის, დასაქმებისა და უმუშევრობის, პროფესიების კლასიფიკაციის საკითხები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია გამოსცემს შემდეგ პუბლიკაციებს:

- შრომის სტატისტიკურ წელიწადლელს (1935 წლიდან);
- სტატისტიკის ბიულეტენს შრომაზე – ყოველკვარტალური გამოცემა (1992 წლიდან);
- ყოველთვიური ჟურნალი შრომის საკითხებზე.

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია (WHO) ხელს უწყობს მსოფლიოს ქვეყნებში ჯანდაცვის განვითარებას. ამ ორგანიზაციის სტატისტიკური ბიურო ახორციელებს მიმდინარე სტატისტიკას შობადობის, საერთო და ბავშვთა სიკვდილიანობის, ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობის დარგში.

ჯანდაცვის სტატისტიკის განყოფილებაში შედის ოთხი ქვეგანყოფილება:

- სტატისტიკური პუბლიკაციების;
- მეთოდოლოგიის;
- დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის;
- სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების.

ძირითადი სტატისტიკური გამოცემები:

- მოხსენება მსოფლიო სანიტარულ სტატისტიკაზე – ყოველთვიური გამოცემა (სიკვდილიანობა, ინფექციური დაავადებებით დაავადება, სამედიცინო დაწესებულებებით უზრუნველყოფადობა, დაავადებებისა და გარდაცვალების მიზეზები, ხარჯები სამედიცინო მომსახურებაზე);
- მსოფლიო სანიტარული სტატისტიკის წელიწადეული.

მსოფლიო ბანკი (აღრე განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი) დაფუძნებულია 1944 წელს. ბანკის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ქვეყანა რომელიც შესულია მსოფლიო სავალუტო ფონდში.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი შეიქმნა 1990 წელს 42 ქვეყნის მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ახორციელებს ოპერაციებს 1991 წლიდან. შტაბ-ბინა მდებარეობს ლონდონში. შექმნის მიზანი – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზარზე გადასვლისას მათი საკრედიტო მხარდაჭერა. მას არაოფიციალურად *მსოფლიო ბანკს უწოდებენ*. ის არის საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაცია – გაეროს სპეციალიზებული ფინანსური დაწესებულება, რომლის ძირითადი საქმიანობა მდგომარეობს გრძელვადიანი კრედიტების გაცემაში, შედარებით დაბალი განაკვეთით.

სტატისტიკური სამსახურების ძირითადი ამოცანაა სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება. ამ მიზნით ბანკი ყოველწლიურად ორგანიზებას უკეთებს სპეციალურ კომისიას განვითარებად ქვეყნებში, ინფორმაციის უშუალოდ ადგილზე მიღების მიზნით. შედეგად ბანკი ფლობს საგარეო დავალიანების, კაპიტალის ნაკადების, ვალის დაფარვის, საგადაამხდლო ბალანსების მონაცემებს.

მსოფლიო ბანკის სტატისტიკური ბიურო ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციას:

- ქვეყნების ფინანსურ მდგომარეობაზე (ბიუჯეტის შემოსავლები და გასავლები, ბიუჯეტის დეფიციტი (პროფიციტი), ვალუტების კურსი, ინფლაცია);
- ქვეყნების საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე (მშპ, მშპ, დასაქმებულთა და უმუშევართა რიცხოვნობა).

ბაპრო-ს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) დაფუძნდა 1954 წელს. შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში. საქართველო გახდა მისი წევრი 1992 წელს.

ძირითადი გამოცემები:

- იუნესკოს სტატისტიკური წელიწადლეული;
- განათლების მსოფლო მიმოხილვა;
- მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ОУНЕСКО-ს სტატისტიკური წელიწადლეული იძლევა საერთაშორისო მასშტაბით განათლების, კულტურის და მეცნიერების განვითარების დონეზე წარმოდგენის მიღების საშუალებას.

ბაპრო-ს ინდუსტრიალური განვითარების ორგანიზაცია (UNIDO). ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანია განვითარებადი ქვეყნების სამრეწველო განვითარების წახალისება და ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება.

ОУნიფო-ს მთავარი ორგანოებია:

- გენერალური კონფერენცია;
- სამრეწველო განვითარების საბჭო;
- მუდმივი კომიტეტი და სამდივნო.

შტაბ-ბინა მდებარეობს ავსტრიაში (ქ. ვენა), დაფუძნებულია 1966 წელს, ხოლო 1986 წლიდან არის ბაპრო-ს სპეციალიზებული დაწესებულება.

ბაპრო-ს სასურსათო დასახოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია (FAO) შეიქმნა 1945 წელს კვებეკის კონფერენციაზე, ის აგრძელებს საერთაშორისო აგრარული ინსტიტუტის საქმიანობას. მისი ძირითადი ამოცანაა სოფლის მეურნეობის და

სატყეო მეურნეობის, თევზჭერის საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების მომზადება. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს რომში. შაო-ს უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც იკრიბება წელიწადში ერთხელ. სესიებს შორის პერიოდში ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭო, რომელიც ადგენს მსოფლიოში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის მიმოხილვებს, კოორდინაციას უწევს სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციების მუშაობას, სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, მოხმარებისა და განაწილების საკითხებში.

შაო გამოსცემს შემდეგ ბეჭდვით გამოცემებს:

- წელიწადლულს წარმოების შესახებ;
- წელიწადლულს ვაჭრობის შესახებ;
- ყოველწლიურ მომოხილვას განოყიერების დარგში მდგომარეობის შესახებ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) შეიქმნა 1995 წელს, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების წახალისების მიზნით, მანამდე სახელწოდებით „გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ (GATT) მოქმედი ორგანიზაციის ბაზაზე. WTO წევრ-ქვეყნები ვალდებული არიან ვაჭრობის ყველაზე ხელსაყრელი რეჟიმი შეთავაზონ ამ ორგანიზაციის დანარჩენ წევრებს. ამასთან WTO-ს წევრ-ქვეყნების მთელ ტერიტორიაზე დაცულია თანაბარი პირობები საქონლისა და მოსახურების ყველა მწარმოებლისათვის. საქართველო გაწევრიანებულია WTO-ში 2000 წლიდან.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის განვითარებაში ფასდაუდებელია ერთა ლიგის მნიშვნელობა. ის შეიქმნა 1919 წელს და არსებობდა 1946 წლამდე. ერთა ლიგასთან იყო შექმნილი სტატისტიკური აპარატი, რომლის დამსახურება საერთაშორისო ურთიერთობების სტატისტიკის განვითარებაში მდგომარეობს შემდეგში:

- საერთაშორისო შესადარისობის განხორციელება მუდმივ საფუძველზე;
- მრავალი ინდექსის განსაზღვრა (ფასების, ცხოვრების ღირებულების, ეროვნული შემოსავლის, სამრეწველო წარმოების);

- წარმოების ნატურალური მაჩვენებლების, მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის, ვალუტის კურსის მონაცემების რეგულარული პუბლიკაცია.

1919წ. დაიწყო ყოველწლიური სტატისტიკური ჟურნალის გამოცემა, 1926წ. – ერთა ლიგის სტატისტიკური წელიწდლეულის, ხოლო 1933წ. – მსოფლიო მიმოხილვის წელიწდლეული.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკის ორგანიზაცია

ამჟამად გლობალური სტატისტიკური სისტემა წარმოდგენილია:

- ბამრ(ო)-ს სტატისტიკური კომისიით;
- ბამრ(ო)-ს დარგობრივის სტატისტიკური ქვედანაყოფებით;
- ბამრ(ო)-ს სპეციალური დაწესებულებებით;
- საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური სამსახურებით;
- რეგიონალური სტატისტიკური ორგანიზაციებით – ევროსტატი, ღსმ-ს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი.

ჩამოთვლილი სტატისტიკური სამსახურების მუშაობის შედეგები ქვეყნდება მათ წელიწდლეულებში და პერიოდულ გამოცემებში.

მსოფლიო დონეზე ყველაზე მნიშვნელოვანი სტატისტიკური ორგანოა ბამრ(ო)-ს სტატისტიკური კომისია. *ის წყვეტს შემდეგ ამოცანებს:*

- შეიმუშავებს საერთაშორისო სტატისტიკურ კლასიფიკაციებს და სტანდარტებს;
- ახდენს ეროვნული სტატისტიკური სტანდარტების ტრანსფორმირებას შესადარის მაჩვენებლებში;
- პასუხისმგებელია სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკისა და აღრიცხვის პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე;
- ახორციელებს სხვადასხვა ქვეყანაში მსოფლიო მეთოდოლოგიის გამოყენების კონტროლს.

აღსანიშნავია, რომ ბაპრ(ო)-ს საერთაშორისო სტანდარტები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს. ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ქვეყანას აქვს უფლება გამოიყენოს საკუთარი ეროვნული მეთოდებიც და საერთაშორისო სტანდარტები. მიუხედავად ამისა ბაპრ(ო) ითხოვს საკუთარი მეთოდებისა და სტანდარტების დაცვას იმ სტატისტიკური ინფორმაციასთან მიმართებით, რომელსაც ქვეყნები წარადგენენ პუბლიკაციისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1993 წელს სამდივნოში დააფუძნა სპეციალური ორგანო – ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციისა და გასატარებელი პოლიტიკის ანალიზის დეპარტამენტი. დეპარტამენტი იქცა სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის შემუშავების ცენტრად იმ პოლიტიკის შედეგების ანალიზის ხელშეწყობის მიზნით, რომელსაც ატარებენ ბაპრ(ო)-ს საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ ცენტრმა გააერთიანა მოპოვებული სოციალური, დემოგრაფიული, ეკონომიკური ინფორმაციის, საგადამხდელო ბალანსის, გარემოს დაცვის მდგომარეობის მონაცემების საფუძველზე მსოფლიო განვითარების ყველა ფუნქცია. ამ სამუშაოების შედეგად ყოველწლიურად მზადდება გაეროს მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა.

ბაპრ(ო)-ს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის სფეროს გაფართოებამ გაზარდა მოსაპოვებელი და დასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობა. ინფორმაციის ნაკადების დამუშავების შემსუბუქების მიზნით შექმნილია საერთაშორისო გამოთვლითი ცენტრების ქსელი. პირველმა ასეთმა გამოთვლითმა ცენტრმა დაიწყო ფუნქციონირება ბაპრ(ო)-ს სამდივნოში ნიუ-იორკში, შემდეგ ბაპრ(ო)-ს ევროპულ განყოფილებაში ჟენევაში, ფილიპინებით პარიზში და რომში, მონრეალში, ვოშინგტონში, ვენაში და სხვა რეგიონებში.

ევროსტატი ახორციელებს თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას ევროპული კავშირის სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის დარგში. ის დაკავებულია სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებით, დამუშავებით და პუბლიკაციით, ახდენს საერთაშორისო შედარებებს, ეხმარება სხვა ქვეყნებს სტატისტიკური სამსახურების მოწესრიგებაში.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა ეფუძნება ეროვნულ სტატისტიკებს. აღსანიშნავია, რომ ეროვნული სტატისტიკის ორგანიზაცია

სხვადსხვა ქვეყანაში განსხვავებულია. განსაკუთრებით ეს ეხება ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს და ქვეყნებს საბაზრო ეკონომიკით. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში:

- სახელმწიფო სტატისტიკის მიერ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მოპოვება შეიძლება განხორციელდეს ორგანიზაციებისა და კერძო პირების მოთხოვნით და ხარჯებით;
- არსებობს გამიჯნვა ინფორმაციის მოპოვებით დაკავებულ და მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდის შემუშავებით დაკავებულ სამსახურებს შორის;
- ინფორმაციის მოპოვებითა და დამუშავებით დაკავებული არიან ერთი ორგანიზაციები, ხოლო ინფორმაციის ანალიზით სხვა ორგანიზაციები (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, სახელმწიფო საგეგმო კომისიები, არაოფიციალური სტატისტიკური ორგანიზაციები).

სტატისტიკური საქმიანობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

ევროპული ინტეგრაციის პროცესში სტატისტიკური ინფორმაცია დებულობს დიდ მნიშვნელობას არა მხოლოდ ევროპის ცალკეული ქვეყნების მთავრობებისა და ორგანიზაციებისათვის, არამედ ევროპული ფირმებისა და ცალკეული მოქალაქეებისათვის.

ევროსტატი (ევროპის თანამეგობრობის სტატისტიკური უწყება) ევროპული კომისიის ერთ-ერთი მთავარი ორგანოა. მისი ამოცანა ევროკავშირის მაღალი ხარისხის სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

ევროსტატი ასრულებს ოთხ ძირითად ფუნქციას:

პირველი, მან უნდა უზრუნველყოს ევროპული ორგანიზაციები, და კერძოდ კომისია ევროკავშირის ჩარჩოებში პოლიტიკის დაკვირვებისა და შეფასების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციით.

მეორე, მან უნდა წარუდგინოს სტატისტიკური მონაცემები მთლიანად ევროპულ საზოგადოებას, ფიშებს და სხვა ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მესამე, ის პასუხისმგებელია ევროპული სტატისტიკური სისტემის შემუშავებაზე, რომელიც წარმოადგენს, ევროკავშირზე და ევროკავშირისთვის შესადარისი და უტუარი სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფი სტადარტების, მეთოდების და ორგანიზაციული სტრუქტურების სისტემას.

მეოთხე, ევროსტატი მონაწილეობს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისა და განვითარებადი ქვეყნების სტატისტიკური სისტემების სრულყოფის სამუშაოებში. საწარმოებზე ხარისხიანი ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი წინაპირობაა საწარმოს სრული და აქტუალური რეგისტრის არსებობა, რომელიც მოიცავს მონაცემებს მათი ძირითადი საქმიანობის სახეობებზე და ზომაზე, ინფორმაციას საწარმოების მისამართებზე.

რეგისტრების შემოღება და განსაკუთრებით მათი აქტუალიზაციის ნაწილი, საკმაოდ რთული ამოცანაა. რამდენადაც არსებობს განსაზღვრული გარღვევა ინფორმაციის წარდგენის მომენტსა და საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის მომენტს შორის. თუმცა ევროკავშირის წევრი ბევრი ქვეყანა ახალი საწარმოების რეგისტრირებისათვის გამოიყენებს ადმინისტრაციულ მეთოდებს.

კარგი სტატისტიკური რეგისტრის შექმნა ერთად-ერთი ეფექტური საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობის თითოეული დარგის სრულ სტატისტიკურ მოცვას. გარდა ამისა ის იძლევა საწარმოების სრული დაკვირვებისა და გამოკითხვების ნაცვლად მათი მეცნიერულად დასაბუთებული შერჩევითი გამოკვლევის საშუალებას. ეს კი საგრძნობლად ამცირებს, გამოკვლევის ბლანკების შევსებასთან დაკავშირებულ, საწარმოების საერთო დატვირთვას. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრი ჰარმონიზირებულია ევროკავშირის წევრ-ქვეყნების ჩარჩოებში, ის სხვა წყაროებთან შესამებით შეიძლება გამოყენებული იქნეს პირდაპირი სტატისტიკური წყაროს სახით. რასაც ზოგიერთ ქვეყანაში უკვე აღვილი აქვს.

თანამედროვე პერიოდში საწარმოების სტატისტიკაში მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ეკ-ს ძირითად პოლიტიკურ მიმართულებებს განეკუთვნებიან:

- მასსტრიხის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის დარგში უფრო მჭიდრო ევროპულ

თანამშრომლობას. საწარმოებზე სტატისტიკური მონაცემები საჭიროა ევროპული ფირმების საქმიანობაზე და კონკურენტუნარიანობაზე დაკვირვებისათვის;

- 1993 წლის თეთრი დოკუმენტი ეკონომიკურ ზრდაზე, კონკურენტუნარიანობასა და დასაქმებზე, მასში ჩართულია მესამე ქვეყნების მხრიდან უმუშევრობის, კონკურენტუნარიანობის პრობლემების გადასაწყვეტი წინადადებები;
- ერთიანი ბაზარი. საქონლისა და მოსახურების ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნა, ამასთან დაკავშირებით გაიზარდა გადამამუშავებელი მრეწველობისა და მომსახურების სფეროებზე მთლიანად მპ-ს ჩარჩოებში ჰარმონიზებული სტატისტიკური მონაცემების მიღების აუცილებლობა. მიმდინარეობს მოძრაობა დიპლომებისა და პროფესიონალურ მობილობასთან მიმართებით;
- პოლიტიკა ვაჭრობის დარგში. ურუგვაის რაუნდის შედეგებზე დაკვირვება საქონლისა და მომსახურების დარგში;
- ენერგეტიკული პოლიტიკა. მიმართულია სხვადასხვა მიზნების გადაწყვეტაზე, მ.შ. ენერგომომარაგების უსაფრთხოების, ენერჯის ეფექტიანობის, ენერჯის გამოყენების უარყოფით გავლენის შემცირება გარემოზე, ბაზრის გამჭვირვალობის საკითხები;
- რეგიონალური პოლიტიკა. ევროკავშირის სტრუქტურულ ფონდს სხვა რეგიონების მხარდასაჭერად მართავს კომისია. საწარმოს სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება რეგიონებისათვის სახსრების გამოყოფაზე და ამ პროცესებზე დასაკვირვებლად;
- საშუალო და მცირე საწარმოები. ამ დარგში გადაწყვეტილებები მიიღება, როგორც უფრო ფართო სამეწარმეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი. მათზე მონაცემები მოიპოვება ადმინისტრაციული და სხვა წყაროებიდან.
- პოლიტიკა სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქციო-საცდელი საქმიანობის დარგში. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია ევროკავშირის ჩარჩოებში ხორცილდება სამეცნიერო-კვლევითი და ტექნიკური განვითარების პროგრამის მეშვეობით. პროგრამა მიმართულია ისეთი დარგების განვითარებაზე, როგორცაა ტელემატიკა, კომუნიკაციის სისტემები, ინფორმაციული ან საწარმოო ტექნოლოგიები, გარემოს დაცვა,

ბიოტექნოლოგია, ტრანსპორტი. ამ დარგებში საჭიროა მაღალი ხარისხის სტატისტიკური მონაცემები კონტროლისათვის, შეფასებისათვის და ა.შ., ხოლო სტატისტიკისა და ტექნიკის ურთიერთკავშირი წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ დარგს.

**ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკური სამსახურები
სხვადასხვა ქვეყანაში, ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული
სტატისტიკური ფორმები**

სტატისტიკურ სამუშაობას სხვადასხვა ქვეყანაში აწარმოებს მრავალრიცხოვანი სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები.

საერთაშორისო ურთიერთობების სტატისტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ეროვნულ სტატისტიკურ სამსახურებს. ეს ცნება მოიცავს სტატისტიკური სამუშაოებით დაკავებულ ყველა სამთავრობო ორგანოს, რომელთა მონაცემები ოფიციალური სტატისტიკის საფუძველია.

არაოფიციალურ სტატისტიკაში იგულისხმება საწარმოების, კერძო სამეცნიერო დაწესებულებების, სავაჭრო-სამრეწველო პალატების, პარტიების, გაერთიანებების, ფონდების, პროფკავშირების და ა.შ. სტატისტიკური ინფორმაცია.

ოფიციალური (სახელმწიფო) სტატისტიკის ორგანიზაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში რეგლამენტირდება სტატისტიკის შესახებ კანონით. ამ კანონში განსაზღვრულია სტატისტიკური ორგანოების ძირითადი ვალდებულებები, ფუნქციები, მიზნები, უფლებები, და აგრეთვე სტატისტიკის ორგანიზაციის თავისებურებები.

ყოველი ჩასატარებელი სტატისტიკური დაკვირვება მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის გამოყენებას. სტატისტიკური ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს გააჩნია ყველა საკანონმდებლო უფლებამოსილება, მაგრამ შეზღუდულია ადმინისტრაციულ უფლებებში. სხვა სიტყვებით, მას არა აქვს სტატისტიკური ორგანოების მუშაობაში ჩარევის უფლებამოსილება: გახსნას ან დახუროს ინფორმაცია, მოითხოვოს მონაცემები, რომელსაც არ ითვალისწინებს სტატისტიკური ანგარიშგება, საკადრო

საკითხებში, სპეციალისტების მომზადებაში, მათი შრომის ანაზღაურებაში, მანქანებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიაში ჩარევა და ა.შ.

არაოფიციალურ სტატისტიკას, როგორც წესი, არა აქვს საკანონმდებლო საფუძველი, ამიტომ პასუხები, განსხვავებით სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოებისგან, ორგანიზაციებისა და კერძო პირების მოთხოვნებზე არარის სავალდებულო.

საზღვარგარეთის ქვეყნების ოფიციალურ სტატისტიკას გააჩნია ორი ტიპის ორგანიზაციული სტრუქტურა: ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული.

ბამრ(ო)-ს ექსპერტების განმარტების თანახმად ეროვნული სტატისტიკური სამსახური ითვლება ცენტრალიზებულად, თუ მისი ხელმძღვანელობა და ოპერაციები, დაკავშირებულია სტატისტიკურ პროგრამებთან, არის უპირატესად ერთიანი, დამოუკიდებელი სამთავრობო დაწესებულების ფუნქცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ქვეყნის მთავარი სტატისტიკოსი.

ეროვნული სტატისტიკური სამსახური ითვლება დეცენტრალიზებულად, თუ სტატისტიკური პროგრამების განხორციელებით და მართვით დაკავებულია რამდენიმე სამთავრობო ორგანო. ამდგომარეობის სტრუქტურის დროს რომელიმე ცალკეულ დაწესებულებას ეკისრება პასუხისმგებლობა, სხვადასხვა ორგანოების სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაცია. ეს მაკოორდინირებელი ორგანო, ჩვეულებრივ, შეიმუშავებს სტატისტიკურ სტანდარტებს, ახორციელებს კონტროლს დაკვირვების პროგრამებზე, ახორციელებს ადგილებზე მუშაობის ორგანიზაციას, ატარებს გამოკვლევებს, იძლევა კონსულტაციას.

სტატისტიკის ორგანიზების ცენტრალიზებული სისტემა ჭარბობს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ასევე კანადაში. ცენტრალიზირებული ტიპი დამახასიათებელია აშშ, იაპონიასა და საფრანგეთისათვის. დიდ ბრიტანეთში გამოიყენება, დეცენტრალიზაციისკენ გადახრილი, შერეული სისტემა.

ბამრ(ო)-ს ექსპერტების შეფასებით სტატისტიკის ცენტრალიზებულ სისტემას, ერთის მხრივ, გააჩნია უპირატესობა, რამდენადაც იძლევა ადამიანისუფლები და მატერიალური რესურსების უფრო ეფექტიურად გამოყენების საშუალებას, ერთი და იგივე თემაზე სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებისას გამორიცხავს

დუბლირებას და ხელსუწყობს ერთიანი განსაზღვრების, კლასიფიკაციებისა და სტანდარტების შემოღებას, ე.ი. ხელსუწყობს მეთოდოლოგიურ ერთგვაროვნობას. მეორეს მხრივ, დეცენტრალიზებული სისტემა, უფრო მობილურია, თავისუფალია მოვლენის ყოველმხრივი შესწავლისაგან, მაჩვენებელთა და მონაცემთა დამუშავების ხერხების ძიებისგან.

აშშ-ის სახელმწიფო სტატისტიკა დეცენტრალიზებულია. სტატისტიკური მონაცემების შეგროვებით, დამუშავებითა და პუბლიკაციით დაკავებულია 70-ზე მეტი სამინისტრო და უწყება, აგრეთვე 400 კერძო ორგანიზაცია, მათ შორის:

1. ეკონომიკური ანალიზის ბიურო (ვაჭრობის სამინისტრო);
2. ცენზების ბიურო (ვაჭრობის სამინისტრო);
3. მართლმსაჯულების სტატისტიკის ბიურო (იუსტიციის სამინისტრო);
4. შრომის სტატისტიკის ბიურო (შრომის სამინისტრო);
5. სატრანსპორტო სტატისტიკის ბიურო (ტრანსპორტის სამინისტრო);
6. ეკონომიკური გამოკვლევების სამსახური (სოფლის მეურნეობის სამინისტრო);
7. განათლების სტატისტიკის ეროვნული ცენტრი (განათლების სამინისტრო);
8. ჯანმრთელობის სტატისტიკის ეროვნული ცენტრი (ჯანმრთელობის სამინისტრო);
9. საგადასახადო სამმართველოს შემოსავლების სტატისტიკის განყოფილება (ფინანსთა სამინისტრო).

სტატისტიკური სამსახურების ცენტრალურ ორგანოდ ითვლება ვაჭრობის სამინისტრო, რომელიც შრომის სამინისტროსთან ერთად აგროვებს და განაზოგადებს უმნიშვნელოვანეს საერთო ეროვნულ ინფორმაციას. სტატისტიკური საქმიანობის საერთო გოორდინაციას ახორციელებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საინფორმაციო და ნორმატიული საკითხების ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს მეცნიერებისა და სტატისტიკის დანაყოფი. მისი ხელმძღვანელი ითვლება ქვეყნის მთავარ სტატისტიკოსად.

დიდი ბრიტანეთის სტატისტიკური სამსახური ფუნქციონირებს 1941 წლიდან ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სახით. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო წარმოადგენს სამთავრობო დაწესებულებას, რომელიც შექმნილია ქვეყნის მინისტრთა კაბინეტთან და ემორჩილება პრემიერ-

მინისტრს. ამჟამად მისი ოფიციალური ორგანოა ეროვნული სტატისტიკის სამმართველო ეროვნული სამთავრობო ორგანიზაციის სტატუსით. ამ ორგანიზაციის დირექტორი იწოდება ეროვნულ სტატისტიკოსად. მოცემული ორგანიზაცია ახორციელებს საერთო მეთოდოლოგიურ საქმიანობას, ატარებს უმნიშვნელოვანეს სტატისტიკურ გამოკვლევებს და აზოგადებს ტერიტორიული სტატისტიკური ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების სტატისტიკური დანაყოფებისა და ასევე ფირმების ინფორმაციას. ეროვნული სტატისტიკის სამმართველო ახორციელებს შეგროვებული ინფორმაციის უტყუარობის შემოწმებას, ამუშავებს ეროვნულ ანგარიშებს. მის განსაკუთრებულ ამოცანას წარმოადგენს მთელი ბრიტანული თანამეგობრობის სტატისტიკის ორგანიზება და მათთვის სტატისტიკოსების მომზადება.

გერმანიის სტატისტიკური სამსახური ფუნქციონირებს 1872 წლიდან. აქვს ფედერალური მოწიების, ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სტატისტიკური ორგანოების, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების სტატისტიკური სამსახურების ქსელი. მათი ფუნქციები და ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრულია კანონით *ფედერალური სტატისტიკის შესახებ*. ყველა სტატისტიკური ორგანოს პრაქტიკულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ფედერალური სტატისტიკის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სტატისტიკურ ინფორმაციაზე მომხმარებლების (სამინისტროების, უწყებების, მეწარმეთა გაერთიანებების და ა.შ.) წარმომადგენლები და სტატისტიკური გამოკვლევების შემსრულებლები (ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ხელმძღვანელები). ფედერალური სტატისტიკის საბჭო იკრიბება წელიწადში ერთხელ და იხილავს შესასრულებელ სტატისტიკურ სამუშაოებს.

საფრანგეთში სახელმწიფო სტატისტიკურ სამსახურს 1946 წლიდან ხელმძღვანელობს სტატისტიკისა და ეკონომიკური გამოკვლევების ინსტიტუტი. ის ახორციელებს რეგულარულ კვლევებს და ადგენს ქვეყნის განვითარების მახასიათებელ მაჩვენებლებს. ინსტიტუტი ატარებს საერთო ეროვნულ გამოკვლევებს (მოსახლეობის არწერებს, ყვეყნის ეკონომიკური დარგების კვლევებს და ა.შ.). კოორდინირებას უწევს სამინისტროებისა და უწყებების სტატისტიკურ სამსახურებს, სამინისტროებიდან, უწყებებიდან და ვაჭრობის სფეროში მოღვაწე კომერციული საწარმოებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებით აწარმოებს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, ამზადებს კადრებს

სამინისტროებისა და უწყებების სტატისტიკური სამსახურებისათვის. ინსტიტუტში 1951 წლიდან ფუნქციონირებს სტატისტიკური გამოკვლევების კოორდინირების კომიტეტი. მის შემადგენლობაში შედის ქვეყნის ძირითადი სტატისტიკური სამსახურების წარმომადგენლები. მოცემული კომიტეტი ადგენს სტატისტიკური გამოკვლევების ყოველწლიურ პროგრამას, რომლებშიც სერიოზული ყურადღება ეთმობა შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევების დამუშავებასა და დანერგვის პრაქტიკას, აგრეთვე ბიზნეს-რეგისტრის აქტუალიზაციის საკითხებს.

ლექცია 3. კლასიფიკაციები და დაჯგუფებანი საერთაშორისო სტატისტიკაში

სალექციო საკითხები

1. დაჯგუფებები და კლასიფიკაციები საერთაშორისო სტატისტიკაში
2. გაეროს თანამედროვე კლასიფიკატორები
3. ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია
4. დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია
5. პროფესიათა ტიპების საერთაშორისო კლასიფიკატორი
6. საერთაშორისო სასაქონლო კლასიფიკაციები.

დაჯგუფებები და კლასიფიკაციები საერთაშორისო სტატისტიკაში

საერთაშორისო სტატისტიკა ასახავს ეკონომიკურ საქმიანობას უზარმაზარი რაოდენობის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მეშვეობით. მისი თანამედროვე დამუშავება და ანალიზი შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური დაჯგუფებებისა და კლასიფიკაციების გამოყენების გარეშე.

ეკონომიკური კლასიფიკაციები წარმოადგენენ რომელიმე ნიშნის მიხედვით ობიექტების ერთობლიობის ერთგვაროვან ჯგუფებად განაწილების ლოგიკურ ხერხს.

დაჯგუფებები ხორციელდება სტატისტიკის მეცნიერების მიერ შემუშავებული განსაზღვრული პრინციპების, წესების, ხერხების და მეთოდების საფუძველზე. კლასიფიკაციებისაგან განსხვავებით ისინი ატარებენ თავისუფალ ხასიათს.

ეკონომიკური კლასიფიკაციები ასევე დაჯგუფებებია, მაგრამ მათ შეიმუშავებს სტატისტიკური ორგანოები და საერთაშორისო ორგანიზაციები და სტანდარტის სახითაა რეკომენდირებული. ასეთ კლასიფიკაციებს უწოდებენ საერთაშორისო ეკონომიკურ კლასიფიკაციებს (სმკ).

საერთაშორისო ეკონომიკურ კლასიფიკაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოების ეკონომიკის განვითარებაზე სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატიზირებისათვის. საერთაშორისო ეკონომიკური კლასიფიკაციები

ერთადერთი წინაპირობაა სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური დაკვირვების შედეგების შესადარისობის მისაღწევად.

საერთაშორისო ეკონომიკური კლასიფიკაციების შექმნის პირველი ცდები მიეკუთვნება მე 19-ე საუკუნის შუა პერიოდს. ამჟამად მათი შემუშავება ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სტანდარტული კლასიფიკაციებისა და ნომენკლატურების ფორმით. კლასიფიკაციებს საფუძვლად უდევს ქვეყნებს შორის შეთანხმებული ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპები.

საერთაშორისო ეკონომიკური კლასიფიკაციები საერთაშორისო სტატისტიკის საფუძველია. *დარგების, საქონლის, პროფესიის და საქმიანობის სტანდარტულმა კლასიფიკაციებმა* პრაქტიკული მნიშვნელობა მიიღო მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მანამდე გამოიყენებოდა დაქსაქსული კლასიფიკაციების მრავალი ვარიანტი, რომელთა ნაწილი არასაკმარისად დასაბუთებული ან საერთოდ დაუსაბუთებელი იყო. რაც დიდ სირთულეებს ქმნიდა მონაცემთა განზოგადებისა და მათი ქვეყნების მიხედვით შესადარისობის კუთხით.

საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციები იგება ორი ხერხით: იერარქიული და ფასეტურით.

იერარქიული ხერხით კლასიფიკაციისას მთლიანი ერთობლიობა თავიდან იყოფა რომელიმე ერთი ნიშნის მიხედვით მსხვილ ჯგუფებზე. შემდგომ ეს ჯგუფები იყოფა უფრო პატარა ჯგუფებად. შედეგად დგინდება იერარქია. ე.ი. პატარა ჯგუფების ყველა ნიშნის საერთო დაჯგუფებისთვის დაქვემდებარებულობა. ამდაგვარი კლასიფიკაციის მაგალითია ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია. იერარქიული კლასიფიკაციების აგებისას ყველაზე რთული საკითხია იმ ნიშანთა სისტემის დადგენა, რომელიც საფუძვლად ედება ერთობლიობის ჯგუფებად დაყოფას.

ფასეტური ხერხით კლასიფიკაციისას მთლიანი ერთობლიობა ნაწილდება მრავალ ერთმანეთზე დამოუკიდებელ ჯგუფად. ამდაგვარი კლასიფიკაციის მაგალითია მოსახლეობაზე იფორმაციის კლასიფიკატორი. ამ კლასიფიკატორში მთელი მოსახლეობა ნაწილდება ჯგუფებად სქესის, ასაკის, მოქალაქეობის

ეროვნების და სხვა ნიშნის მიხედვით. ფასეტური კლასიფიკაციის მახიათებელი თავისებურებაა მისი აგების სტრუქტურის დრეკადობა. ცვლილება ერთ ფასეტაში არ ახდენს არსებით გავლენას დანარჩენ ფასეტებზე, რამდენადაც მრავალი ობიექტის აღწერა ხდება ნიშანთა ჩამონათვალით, რომელთაც ახასიათებს ერთმანეთთან მკაცრი ურთიერთკავშირი.

ფასეტურ და იერარქიულ კლასიფიკატორში თითოეულ ინფორმაციას მიენიჭება ციფრობრივი და ანბანური კოდი.

საერთაშორისო კლასიფიკაციების შემუშავებაში დიდია წვლილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის.

ბამრ(°)-ს მიერ შემუშავებულია შემდეგი კლასიფიკაციები:

1. დარგობრივი კლასიფიკაცია;
2. სექტორული კლასიფიკაცია;
3. სამთავრობო ხარჯების კლასიფიკაცია;
4. არაკომერციული ორგანიზაციების კლასიფიკაცია;
5. ძირითადი პროდუქტების (საქონელი და მომსახურება) კლასიფიკაცია;
6. ეკონომიკური ოპერაციების კლასიფიკაცია;
7. ქონების კლასიფიკაცია.

გაეროს თანამედროვე კლასიფიკატორები

საერთაშორისო სტატისტიკაში გარდა კლასიფიკაციისა ასევე გამოიყენება კლასიფიკატორები. კლასიფიკატორი არის ობიექტების სისტემატიზირებული ჩამონათვალი, რომელშიც თითოეულს ენიჭება კოდი.

ამჟამად მოქმედებს შემდეგი კლასიფიკატორები:

1. მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორი;
2. ეკონომიკური რეგიონების კლასიფიკატორი;
3. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების კლასიფიკატორი;
4. მოსახლეობაზე ინფორმაციის კლასიფიკატორი;
5. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ფუნქციების კლასიფიკატორი;
6. ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კლასიფიკატორი;
7. ვალუტების კლასიფიკატორი;

8. მმართველობითი დოკუმენტაციის კლასიფიკატორი;
9. ზომის ერთეულების კლასიფიკატორი.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია

საწარმო-ტექნიკური ნიშნის მიხედვით, სამეურნეო სუბიექტები შეისწავლება ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციით. ეს კლასიფიკაცია პირველად მიღებული იქნა 1948 წელს. დროთა განმავლობაში საწარმოო ერთეულების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია იცვლება, აღმოცენდება საქმიანობის ახალი სახეობები, ამიტომ ეკონომიკური საქმიანობის სახეობების შესაბამისად კლასიფიცირებულ მონაცემთა ანალიზისადმი ხდება ახალი მოთხოვნების წაყენება. ყოველივე ამის გათვალისწინებით ბაერო-ს სტატისტიკურმა კომისიამ არერთხელ გადახედა ეს კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკატორის მესამე ვარიანტი შემუშავებულია განვითარების სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის ქვეყნების დარგობრივ კლასიფიკაციაში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია უზრუნველყოფს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო შესადარისობას და აკმაყოფილებს ანალიზურ მოთხოვნებს. ის არის ბაზა წარმოებაზე, წარმოების ფაქტორებზე და სხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზისათვის.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია გამოყოფს შემდეგ საკლასიფიკაციო ერთეულებს:

- საწარმო;
- საქმიანობის სახეობის ერთეული;
- ადგილობრივი ერთეული;
- დაწესებულება.

საწარმო არის ყველაზე მსხვილი ეკონომიკური ერთეული, რომელიც მოიცავს საწარმოო საქმიანობის სრულ პროცესს. ეს ერთეული ავტონომიურია საწარმოო

და ფინანსური გადაწყვეტილების ნაწილში, მაგრამ აუცილებელი არარის იყოს ერთგვაროვანი ადგილმდებარეობისა და საქმიანობის სახეობების ნიშნით.

ერთეული, ერთგვაროვანი თავისი საქმიანობის მიხედვით, თავისი ადგილმდებარეობის გეოგრაფიული რაიონისადმი მიუკუთვნებლად იწოდება **საქმიანობის სახეობის ერთეულად**.

ერთეული, ერთგვაროვანი თავისი ადგილმდებარეობის მიხედვით იწოდება **ადგილობრივ ერთეულად**.

დაწესებულება ესაა საწარმოო ერთეული, რომელიც შედგება საწარმოსაგან ან საწარმოს ნაწილისაგან, რომელიც დაკავებულია საქმიანობის ერთი სახეობით ერთ ადგილას. ე.ი. ეს ერთეული ერთგვაროვანია ეკონომიკური საქმიანობისა და თავისი ადგილმდებარეობის კრიტერიუმით.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია, ყუველაზე ხშირად გამოყენებადი საერთაშორისო კლასიფიკაციაა. ამ კლასიფიკაციას გამოიყენებს ბაპრო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, შაო, იუნესკო, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვა საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციები.

ის იძლევა წარმოების მოცულობის, ფასების, წარმოების დანახარჯების, მოსახლეობის დასაქმების, ძირითადი კაპიტალის და ფინანსური აქტივების შედარების საშუალებას.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო დარგობრივ კლასიფიკაციებს საფუძვლად უდევს შემდეგი ნიშნები:

- წარმოების ტექნოლოგიის ერთიანობა;
- გამოყენებული ნედლეულის ერთგვაროვნება.

საკლასიფიკაციო ერთეულებია: საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი, და გააჩნიათ მმართველობის საკუთარი ორგანოები, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება.

საერთაშორისო დარგობრივ კლასიფიკაციებს აქვთ იერარქიული სტრუქტურა. ის აგებულია მრავალდონიანობის საფუფუნველზე, რაც განპირობებულია სხვადასხვა ქვეყანაში წარმოების ორგანიზაციისა და შრომის დანაწილების დონეებში განსხვავებით. მის შემადგენლობაში გამოიყოფა დარგობრივი კლასიფიკაციების ოთხი დონე:

- საქმიანობის სახეობის განყოფილებები;
- საქმიანობის სახეობის ქვეგანყოფილებები;
- საქმიანობის სახეობის ჯგუფები;
- საქმიანობის სახეობის კლასები.

განყოფილებები წარმოადგენენ ეკონომიკის გამსხვილებულ დარგებს.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია მოიცავს 17 განყოფილებას, აღნიშნულს ლათინური ალფაბიტის მთავრული ასოებით.

- A. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და ნადირობა.
- B. მეთევზეობა.
- C. სამთომოპოვებითი მრეწველობა.
- D. დამამუშავებელი მრეწველობა.
- E. ელექტროენერჯია, გაზი და წყალმომარაგება.
- F. მშენებლობა.
- G. საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების, მოტოციკლეტების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.
- H. სასტუმროები და რესტორნები.
- I. ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სასაწყობო მეურნეობა.
- J. ფინანსური შუამავლობა. ოპერაციები უძრავი ქონებით, არენდა და კომერციული საქმიანობა.
- K. სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაზღვევა.
- L. განათლება.
- M. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება.
- N. სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება.
- O. კერძო შინამეურნეობები დაქირავებული პერსონალით.
- P. ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციაში **დარგი** განისაზღვრება, როგორც დაწესებულებათა ერთობლიობა, ე.ი. საწარმოები ან საწარმოების ქვეგანაყოფები, რომლებიც განლაგებულია ერთ ადგილას, დაკავებული არიან საწარმოს საქმიანობის ერთი სახეობით, ან ძირითად საქმიანობაზე მოდის დამატებული ღირებულების დიდი ნაწილი.

დარგობრივი კლასიფიკაციის მეორე დონე ქვეგანაყოფებია. თითოეული განყოფილება შედგება ერთი ან რამოდენიმე ქვეგანაყოფისაგან.

მაგალითად განყოფილებები „მშენებლობა“, „განათლება“ შედგება მხოლოდ ერთი ქვეგანაყოფისაგან. ქვეგანაყოფების შექმნას საფუძვლად უდევს სამეურნეო ერთეულების საქმიანობის ყველაზე ტიპური თავისებურებები. ამ თავისებურებებს მიეკუთვნებიან: წარმოებილი საქონლისა და მომსახურების ხასიათი (პროდუქციის ფიზიკური შემადგენლობა, წარმოების სტადიები და პროდუქციით დასაკმაყოფილებელი მოთხოვნები); საქონლისა და მომსახურების დანიშნულება (შუალედური მოხმარებისათვის, გამოყენებისათვის და დაგროვებისათვის განკუთვნილი საქონელი და მომსახურება); გამოყენებული ნედლეულის ნაირსახეობა და მისი გადამუშავების ხერხები.

ქვეგანაყოფები ორნიშნა კატეგორიებია. ასე მაგალითად, განყოფილება „სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყეობა“ მოიცავს შემდეგ გვეგანაყოფებს: 01 „სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მათთან დაკავშირებული მომსახურებები“; 02 „მეტყეობა, ტყის დამზადება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები“.

ყოველი ქვეგანაყოფი შედგება საქმიანობის სახეობის ჯგუფებისაგან. ეს დარგობრივი კლასიფიკაციის *მესამე დონეა*, რომელიც წარმოდგენილია სამნიშნა კატეგორიებით. საქმიანობის თითოეულ ჯგუფში შედის საქმიანობის მეტად ერთგვაროვანი სახეობები. ასე მაგალითად, „სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მათთან დაკავშირებული მომსახურებები“ ქვეგანაყოფის შემადგენლობაში გამოყოფილია საქმიანობის შემდეგი სახეობები: 011 მებაღეობა, კულტურების მოყვანა, მებოსტნეობა, 012 მეცხოველეობა და ა.შ.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციაში *მეოთხე დონე* წარმოდგენილია საქმიანობის სახეობების კლასებით. ისინი მიიღება საქმიანობის სახეობების ჯგუფების დაყოფით, ამიტომ ისინი მოცემული კლასიფიკაციის ყველაზე ერთგვაროვანი კატეგორიებია. კლასების კოდური აღნიშვნის შემადგენლობაში შედის მესამე დონის შესაბამის კოდებს დამატებული მეოთხე ნიშანი. მაგალითად, საკლასიფიკაციო ჯგუფში 011 მებაღეობა, კულტურების მოყვანა, მებოსტნეობა გამოიყოფა შემდეგი კლასები: 0111 მარცვლეულებისა და დანარჩენ კატეგორიებში არშესული სხვა კულტურების მოყვანა, 0112 „ბოსტნეულის მოყვანა, სპეციალური მებაღეობა და სანერგე პროდუქციის წარმოება“, 0113 „სასმელებისა და სუნელ-სანელბელის წარმოებისათვის ხილის, თხილის, კულტურების მოყვანა“.

საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია წარმოადგენს საქმიანობის სახეობის კლასიფიკაციას და არა დარგების ან საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაციას. მასში არაა გათვალისწინებული საკუთრების ფორმაში, იურიდიულ სტატუსსა ან საქმიანობის ხასიათში განსხვავებები.

საქმიანობის ერთი და იგივე სახეობით დაკავებული ერთეულები ჩაირთვებიან საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის ერთი და იგივე კატეგორიაში, მიუხედავად იმისა არიან ისინი აქციონერული კომპანიები, კერძო მესაკუთრეები ან სახელმწიფო დაწესებულებები. გარდა ამისა არ ხდება განცალკავება ოფიციალურ და არაოფიციალურ წარმოებას შორის.

დარგობრივი კლასიფიკაციის მეშვეობით შეისწავლება:

- ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა;
- საწარმოო ძალების განვითარების დონე;
- შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარების დონე;
- საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა;
- ეკონომიკის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსურობა.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების დარგობრივი კლასიფიკაცია საფუძვლად უდევს მთლიანად სტატისტიკური მასალის თავმოყრას: საწარმოს, სამუშაო ძალის, ძირითადი ფონდების, წარმოებული პროდუქციის და ა.შ.

დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია.

მოსახლეობის დასაქმებაზე მონაცემთა სიტემატიზირებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციის პირველი ვერსია იყო მიღებული 1958 წელს შრომის სტატისტიკოსთა XIII საერთაშორისო კონფერენციაზე, მეორე ვერსია – 1988 წელს შრომის სტატისტიკოსთა XIV საერთაშორისო კონფერენციაზე და მესამე ვერსია – XV საერთაშორისო კონფერენციაზე 1993 წელს.

დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის მთავარი საკლასიფიკაციო ნიშანია საქმიანობის ამა თუ იმ სახეობისთვის მიკუთვნება:

- ადმინისტრაციული და მმართველობითი პერსონალი;
- თავისუფალი პროფესიის პირები;
- ტექნიკური და მათთან გამჭოლი პროფესიის პირები;
- კანცელარიის მოსამსახურეები;
- ვაჭრობაში და მომსახურების სფეროში დასაქმებული მუშაკები;
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკები;
- ხელოსნები და მათთან მონათესავე სპეციალობები;
- მრეწველობაში დასაქმებული მუშაკები;
- ზემოთ ჩამოთვლილ კლასიფიკაციასში არ შესული მუშაკები;
- სამხედრო მოსამსახურეები.

გარდა დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციისა საერთაშორისო შესადარისობის პრაქტიკაში გამოიყენება 1993 წელს შრომის სტატისტიკოსთა XV საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული დასაქმების სტატუსის საერთაშორისო კლასიფიკაცია. მას საფუძვლად უდევს მუშაკთა დაქირავების ფორმის ნიშანი. მასში გამოყოფილია:

- მეწარმეები (ყავდეთ თუნდაც ერთი მუშაკი);
- თვითდასაქმებული მოსახლეობა;
- დაქირავებული მუშაკები;
- საწარმოო კოოპერატივების წევრები;
- უფასოდ დამხმარე ოჯახის წევრები;

- მუშაკები, რომელთა საქმიანობა არ ექვემდებარება კლასიფიკაციას.

მეწარმეები. მათ მიეკუთვნებიან მუშაკები, რომლებიც მუშაობენ დამოუკიდებლად ერთ ან რამდენიმე კომპანიონთან, მუდმივად ქირაობენ ერთ ან რამდენიმე პირს დაქირავებული მუშაკის სახით. მათ მიეკუთვნებიან ასევე არენდატორები, რომელთაც აყავთ დაქირავებული მუშაკები.

თვითდასაქმებული მოსახლეობა – თავის ხარჯზე მომუშავე პირები. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან, პირები, რომლებიც მუშაობენ დამოუკიდებლად ან კომპანიონთან და არ იყვანენ დაქირავებულ მუშაკებს მუდმივ საფუზველზე.

დაქირავებული მუშაკები. პირები, რომლებმაც დადეს შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი) შრომის პირობებზე და მის ანაზღაურებაზე ნებისმიერი საკუთრების ფორმის საწარმოს ხელმძღვანელთან ან ცალკეულ პირთან.

საწარმოო კოოპერატივების წევრები – პირები, რომლებიც არიან კოოპერატივის აქტიური წევრები, ამ დროს, თითოეულ წევრს, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციის გასაღებისა და შემოსავლების განაწილების საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში, გააჩნია თანაბარი უფლებები.

უფასოდ დამხმარე ოჯახის წევრები – პირები, რომელთა საქმიანობას ხელმძღვანელობს იმავე საოჯახო მეურნეობაში მცხოვრები ნათესავი. ისინი არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც კომპანიონი. ეს აიხსნება იმით, რომ მათი მონაწილეობის დონე საწარმოს საქმიანობაში განსხვავებულია დროის ფაქტორის დანახარჯებისა და სხვა ფაქტორების თვალსაზრისით.

მუშაკები, რომელთა საქმიანობა არ ექვემდებარება კლასიფიკაციას – პირები, რომლებიც საჭირო ინფორმაციის უკმარისობის ან სხვა მიზეზით, არ შეიძლება მიკუთვნილი იქნენ არც ერთ ზემოთ ჩამოთლილი ჯგუფისათვის. ეს, როგორც წესი, საკუთარი მოხმარებისათვის მომსახურებისა და კეთილდღეობის წარმოებით დაკავებული პირებია.

პროფესიათა ტიპების საერთაშორისო კლასიფიკატორი

საერთაშორისო კლასიფიკაცია პროფესიის ტიპების მიხედვით იქნა მიღებული 1988 წელს. მასში გამოიყოფა შემდეგი პროფესია:

- მმართველობის მუშაკები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მუშაკები, მაღალი ადმინისტრაციული კადრები;
- ინტელექტუალური და სამეცნიერო პროფესიები;
- შუალედური პროფესიები (ტექნიკოსები, ოპერატორები, მედპერსონალი, კულტურის მოსამსახურეები, სოციალური მუშაკები);
- ადმინისტრაციული პერსონალი (მდივნები, მოლარეები, კანცელარიის მუშაკები, მომსახურე პერსონალი);
- ვაჭრობის მუშაკები;
- სოფლის მეურნეობის მუშაკები, მეთევზეები, მეტყვევები;
- ხელოსნები და დამხმარე მუშაკები;
- მანქანებისა და დანადგარების ოპერატორები;
- არაკვალიფიციური მუშაკები (მეეზოვეები, მტვირთავეები, ქუჩის ვაჭრები);
- ჯარი.

საერთაშორისო სასაქონლო კლასიფიკაციები

საერთაშორისო სავაჭრო სასაქონლო კლასიფიკაცია მიღებული იქნა 1950 წელს. შემდგომში არა ერთხელ მოხდა მისი გადახედვა ძირითადი საკლასიფიკაციო პრინციპების შენარჩუნებით. მისი მესამე რედაქცია მიღებულია 1985 წელს.

საერთაშორისო სავაჭრო სასაქონლო კლასიფიკაცია არის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის შედარებითი ანალიზის საფუძველი.

მოცემული კლასიფიკაცია აჯგუფებს საქონელს შემდეგი ნიშნის მიხედვით:

- საქონლის დამუშავების დონის მიხედვით;
- საქონლის დანიშნულების მიხედვით;
- სხვა ნიშნების მიხედვით.

საერთაშორისო სავაჭრო სასაქონლო კლასიფიკაციას გააჩნია ხუთი დონე:

- განყოფილებები;
- ჯგუფები;
- ქვეჯგუფები;
- სასაქონლო პოზიციები;
- ქვეპოზიციები.

ამჟამად საერთაშორისო სავაჭრო სასაქონლო კლასიფიკაციამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რაც აიხსნება საერთაშორისო ვაჭრობის საქონლის კოდირებისა და აღწერის ჰარმონიზირებულ სისტემაზე გადასვლით.

გარდა საერთაშორისო სავაჭრო სასაქონლო კლასიფიკაციისა საერთაშორისო შედარებების პრაქტიკაში გამოიყენება:

1. საქონლის კლასიფიკაცია ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით;
2. საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურა;
3. საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა;

საქონლის კლასიფიკაცია ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით შემუშავებულია საერთაშორისო სავაჭრო სასაქონლო კლასიფიკაციის საფუძველზე და გამოიყენება 1986 წლიდან საერთაშორისო ვაჭრობის შემაჯამებელი მაჩვენებლების შედგენისას. მასში ყველა საქონელი ნაწილდება ჯგუფებად პროდუქციის დანიშნულების ნიშნის მიხედვით (წარმოების საშუალებები, შუალედური საქონელი, სამომხმარებლო საქონელი), ხოლო მოცემული ჯგუფების შიგნით – დამუშავების დონის მიხედვით.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურა შემუშავებულია 1976 წელს ბრიუსელის საბაჟოს ნომენკლატურის ბაზაზე და გამოიყენება ეროვნული საბაჟო ტარიფების აგებისას.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურას საფუძველად უდევს შემდეგი ნიშნები:

- საქონლის დამუშავების დონე;
- საქონლის წარმოშობა.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა შემუშავებულია საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურის საფუძველზე და შემოღებულია 1988 წელს.

მასში საქონლის კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგი ნიშნის მიხედვით:

- საქონლის წარმოშობა;
- მასალის სახეობა, რომლისგანაც წარმოებულია საქონელი;
- საქონლის დანიშნულება;
- საქონლის ქიმიური შემადგენლობა.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა არის კიდევ 12 სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული კლასიფიკატორის სინთეზი.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა უზრუნველყოფს კომერციული საქმიანობის, საბაჟო და სტატისტიკური ორგანოების მოთხოვნებს. ის საგარეო ვაჭრობაში მონაცემთა შედგენისა და საბაჟო გადასახადების განაკვეთების განსაზღვრის საფუძველია.

ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურის საკლასიფიკაციო დაჯგუფებების ერთმნიშვნელოვნად გაგების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია „ჰარმონიზებული სისტემის ახსნა-განმარტებები“. ის მოიცავს განყოფილებების, ჯგუფების, სასაქონლო პოზიციებისა და სუბპოზიციების დაწვრილებით განმარტებებს.

თემა 4. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკაში

სალექციო საკითხები

1. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკაში
2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მისი არსი და მნიშვნელობა
3. მას-ში გამოყენებული კონცეფციები და დებულებები
4. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გაეროს ახალი ვერსია
5. მთლიანი შიდა პროდუქტის განსაზღვრის მეთოდი ეასში
6. ეროვნული სიმდიდრის განსაზღვრის თავისებურებანი საერთაშორისო სტატისტიკაში

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საერთაშორისო სტატისტიკაში

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ახასიათებენ ნაციონალური ეკონომიკების შედეგებს კვლავწარმოების ყველა სტადიაზე.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები:

- საქონლისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება;
- მთლიანი და წმინდა შიდა პროდუქტი;
- ეკონომიკის მთლიანი და წმინდა მოგება და შერეული შემოსავალი;
- ეკონომიკის მთლიანი და წმინდა ეროვნული შემოსავალი;
- მთლიანი და წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი;
- საბოლოო ეროვნული მოხმარება;
- მთლიანი და წმინდა ეროვნული დანაზოგი;
- მთლიანი დაგროვება;
- წმინდა კრედიტები და წმინდა ვალები.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (მასი), მისი არსი და მნიშვნელობა

მასი ესაა ქვეყნის ეკონომიკის მაკროსტატისტიკური მოდელი. მას-ის შესწავლის ობიექტია ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკა, სექტორები, საქმიანობის სფეროები, ცალკეული ეკონომიკური პროცესები.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა – ეს არის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური პროცესების აღწერისა და ანალიზის მიზნით.

მას-ის მთელი ეკონომიკის ანგარიშობის შემაჯამებელია, რადგან პირველადი, საბუღალტრო, საბანკო აღრიცხვა და სტატისტიკა ერთიან მეთოდოლოგიურ პრინციპებს ეფუძნება. მას-ის მაჩვენებლები უნიფიცირებულია საგადასახდელო ბალანსისა და დარგთაშორისი ბალანსის მაჩვენებლებთან.

მას-ის შექმნას წინ უძღოდა განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის რეგულირებასა და ეკონომიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნილების წარმოშობა.

საქართველოში ეროვნული სტატისტიკის გადასვლა გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ რეკომენდებულ მეთოდოლოგიაზე განაპირობა საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკაში დანერგვამ. იგი ემყარება ეროვნულ ანგარიშობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო პრაქტიკას და ამ გზით მიიღწევა ინფორმაციის მოპოვების ხერხებისა და ეკონომიკური საქმიანობისა და მისი შედეგების აღრიცხვის მეთოდების ერთიანობა. სტატისტიკური მეთოდოლოგიის ერთიანობა განაპირობებს ყველა ქვეყნის მაჩვენებელთა შესადარისობას და მნიშვნელოვნად ამარტივებს საერთაშორისო შედარებების მექანიზმსა და საიმედოობას მსოფლიოს მასშტაბით.

სტატისტიკის მეთოდოლოგიური ერთიანობა ხელს უწყობს მთელ მსოფლიოში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტეგრაციული პროცესების გაფართოებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების პერსპექტივას მომავალი თაობებისათვის, რაც განპირობებულია ერთი პლანეტის შეზღუდულ სივრცეში მსოფლიო ეკონომიკის ისტორიული და პერსპექტიული განვითარების ობიექტური მიზეზებით, კერძოდ, საწარმოო ძალათა განვითარების კვალდაკვალ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის გაზრდით, მოხმარებისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად გეოლოგიური მდგომარეობის გაუარესებით და ა.შ.

საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის მთავარი იდეა თანამედროვე ეტაპზე სამყაროს გადარჩენა და შემდგომი რაციონალური და თანმიმდევრული განვითარების უზრუნველყოფა.

გლობალიზაციის პირობებში სტატისტიკის ერთიან საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე გადასვლა სხვადასხვა ქვეყნისათვის შესანიშნავი საშუალებაა უტყუარი, შესადარისი და ყველასათვის გასაგები ინფორმაციის მისაღებად. ამასთან, ეროვნული სტატისტიკური სამსახურების ცალკეული თავისებურებანი არ არღვევს საერთაშორისო მეთოდოლოგიური პრინციპების ერთიანობას.

საბაზრო ურთიერთობების დანერგვამ საქართველოში და სტატისტიკის გადასვლამ საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე შეცვალა ჩვენი წარმოდგენები ეკონომიკური საქმიანობის არსსა, შედეგებსა და მის საზღვრებზე. შეიცვალა ეკონომიკური პროცესებისა და მათი შეფასების მახვენებელთა სისტემა, გაანგარიშების მეთოდიკა, შემოღებულია მთელი რიგი ახალი ცნებებისა და კატეგორიებისა, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის სტრუქტურასთან, საქონლის ცნებასთან და ა.შ.

მას-ის ძირითადი ამოცანებია:

- საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკაში მიღებული ცნებებისა და კატეგორიების გამოყენება ეკონომიკის დახასიათებისათვის.
- მას-ში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციებისა და დაჯგუფებების განხილვა.
- მაკროეკონომიკური მახვენებლების სისტემისა და მათი გაანგარიშების მეთოდების გაშუქება.
- მას-ის შედგენის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დაუფლება.
- ცალკეული ანგარიშების შედგენის მეთოდოლოგიის შესწავლა.
- ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესწავლა.
- მას-ის ანალიზის ძირითადი მიმართულებებისა და მეთოდების განხილვა.

ეას-ში გამოყენებული კონცეფციები და დებულებები

ეას ეფუძნება მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ კონცეფციებს, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების ადეკვატურ აღწერას.

ეკონომიკურ მეცნიერებაში **წარმოების კონცეფცია** ერთ-ერთი ცენტრალურია. იგი განსაზღვრავს საქმიანობის სახეებს, სადაც იქმნება ღირებულება, ეროვნული შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ ეს კონცეფცია საზოგადოებისა და საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა. მაგალითად, ფიზიოკრატები მიიჩნევდნენ, რომ წარმოება მოიცავდა მხოლოდ სოფლის მეურნეობასა და მოპოვებით მრეწველობას. ეს თეორია წარმოიშვა იმ დროს, როცა ეკონომიკის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობა იყო. კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა დამამუშავებელი მრეწველობის დომინირებას, აშკარა გახდა ამ თეორიის უსუსურობა.

ეკონომიკური წარმოების თანამედროვე კონცეფციის თანახმად, წარმოების სფეროში შედის საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ყველა სახე.

შემოსავლების კონცეფცია განსაზღვრავს შემოსავლების მაჩვენებლების შინაარსს ეას-ში. ის შემუშავებულია ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ჰიკის მიერ და ინტეგრირებულია ეას-ში. ამ კონცეფციის თანახმად, შემოსავალის წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ დამატებული ღირებულება. არ შეიძლება შემოსავლად განხილულ იქნეს: აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები და ინფლაციის შედეგად აქტივების ღირებულების ცვლილება.

მესამე კონცეფცია ეყრდნობა **წარმოების ფაქტორების თეორიას**, რომლის თანახმად, ღირებულება იქმნება შრომით, მიწითა და კაპიტალით. ეროვნული შემოსავლის შეფასება ფაქტორული შემოსავლებით გამოიყენებოდა და გამოიყენება მრავალ ქვეყანაში (აშშ, ინგლისი, გერმანია და სხვ.), თუმცა ეას-93 არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებას ფაქტორული შემოსავლების მიხედვით. იგი გვთავაზობს საბაზრო ფასების გამოყენებას, რომლებიც განსხვავდებიან ფაქტორული შემოსავლებისაგან წარმოებაზე გადასახადებისა და სუბსიდიების სალდოთი. ამასთან, ეას-93-ის სტრუქტურაში

გათვალისწინებულია ის მონაცემები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფაქტორული შემოსავლების მიხედვით ეროვნული შემოსავლის გასაანგარიშებლად (თუ ეს მიზანშეწონილად ჩაითვლება).

მას-93 ფაქტორული შემოსავლების ნაცვლად იყენებს „პირველადი შემოსავლების” კატეგორიას – ანუ შემოსავლებისა, რომელსაც დებულობენ ეკონომიკური პროცესის მონაწილეები (აგენტები) შექმნილი ღირებულების პირველადი განაწილების შედეგად. პირველადი განაწილების შედეგად შემოსავალს დებულობენ არა მხოლოდ საწარმოები, კორპორაციები და შინამეურნეობები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოებაში, არამედ სახელმწიფო მართვის ორგანოებიც (წარმოებასა და იმპორტზე გადასახადების სახით).

აღსანიშნავია, რომ მას ეგუძნება არა მხოლოდ ზოგად ეკონომიკური ხასიათის კონცეფციებს, არამედ რიგ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავებისა და მოწესრიგების ხერხებს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი შედეგებისა და პროპორციების გამოვლენის მიზნით. **ეს მნიშვნელოვანი დებულებებია:**

განსხვავება ნაკადებსა და მარაგებს შორის:

- **ნაკადი** – ეს არის მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ პროცესის სიდიდეს (მოცულობას) დროის პერიოდში (მაგალითად წარმოება, საქონლის ყიდვა, ხელფასის გაცემა და ა.შ.), **მარაგი** – მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს რესურსების (აქტივების და ვალდებულებების) არსებობას ამა თუ იმ თარიღისათვის. ნაკადებისა და მარაგების მაჩვენებლები ერთმანეთთან დაკავშირებულია შემდეგი ტოლობით: პერიოდის ბოლოსათვის მარაგის სიდიდე უდრის პერიოდის დასაწყისისათვის მარაგის სიდიდეს პლუს ნაკადი, რომელიც ახასიათებს მოცემული რესურსის გადასვლას მარაგში მინუს მოცემული რესურსის მარაგიდან ამოღება.

- მკვეთრი განსხვავება ეკონომიკურ ოპერაციებსა და სხვა ეკონომიკურ ნაკადებს შორის. სხვა სიტყვებით, ნაკადები შედგება ეკონომიკური ოპერაციებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადებისაგან. ეკონომიკური ოპერაცია წარმოადგენს ეკონომიკურ ნაკადს, რომელიც ჩნდება ორი ინსტიტუციური ერთეულის ერთმანეთთან ნებაყოფილობითი ურთიერთმოქმედების შედეგად

(მაგალითად, ხელფასის გაცემა, საქონლის ყიდვა და ა.შ.). ცალკეულ შემთხვევებში ეკონომიკური ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს ერთი ინსტიტუციური ერთეულის ფარგლებში, თუ ის გამოდის ორი სხვადასხვა სახით. სხვა ეკონომიკური ნაკადები – ეს არის ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში, რომლებიც ეკონომიკური ოპერაციების შედეგს არ წარმოადგენენ (მაგალითად, ხანძრის, ან წყალდიდობის შედეგად საქონლის მარაგის ცვლილება. ამავე კატეგორიას განეკუთვნება მარაგების ღირებულების ცვლილება ინფლაციის შედეგად).

- მკვეთრი განსხვავება რეალურ (არაფინანსურ) და ფინანსურ აქტივებს შორის, ფინანსური აქტივების ნაკადებსა და რეალურ ნაკადებს შორის. რეალური ნაკადები ძირითადად წარმოიქმნება წარმოების (ანუ ტრანსფორმაციის პროცესში, როდესაც იქმნება საქონელი და მომსახურება და ხდება სხვა საქონელისა და მომსახურების მოხმარება) პროცესში. წარმოების პროცესი გულისხმობს ისეთი ფაქტორების გაერთიანებასა და ურთიერთქმედებას, როგორცაა: შრომა, მიწა, კაპიტალი. რეალურ (არაფინანსურ) აქტივებს აგრეთვე განეკუთვნება ისეთი არაწარმოებული აქტივები, როგორცაა: მიწა, ბუნებრივი წიაღისეულის მარაგები და სხვა.

- ფინანსური აქტივი შეიძლება წარმოიქმნას (მათ შორის საქონლისა და მომსახურების წარმოების ფარგლებს გარეთ), დაიფაროს, გადაეცეს სხვა პირებსა და ეკონომიკის სექტორებს.

- განსხვავება, ერთი მხრივ, საქონლისა და მომსახურების ნაკადებსა და მეორე მხრივ, შემოსავლების ნაკადებს შორის, ანუ აუცილებელია განვასხვაოთ საქონლისა და მომსახურების მოძრაობა შემოსავალის მოძრაობისაგან და მათი რეგისტრირება მოხდეს ცალკე ცხრილებსა და ანგარიშებში.

- განსხვავება შუალედურ და საბოლოო პროდუქციას შორის: საბოლოო მოხმარების პროდუქტის შექმნა ხდება საბოლოო მოხმარებისათვის, ინვესტირების ან ექსპორტირების მიზნით და არა შემდგომი გადამუშავებისათვის. შუალედური პროდუქცია – ეს არის პროდუქცია, რომელიც გამოიყენება საწარმოო მოხმარებისათვის, ანუ წარმოებაში დახარჯული შრომის საგნები – ნედლეული, მასალა, სათბობი, ენერჯია და აგრეთვე მომსახურება წარმოების სფეროში. ეს განსხვავება მნიშვნელოვანია, რადგან საბოლოო მოხმარების პროდუქტი მოიცავს შუალედური საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე დახარჯული საქონლის ღირებულებას. მაგალითი. ავტომობილის ღირებულება მოიცავს ფოლადის ღირებულებას, რომლისაგანაც დამზადებულია

მისი ძირითადი ნაწილები და დეტალები და დახარჯული ენერჯის, საღებავის და ა.შ. ღირებულებას.

- შუალედური და საბოლოო პროდუქციების განსხვავება მნიშვნელოვანია მნიშვნელოვანია ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ზუსტი განსაზღვრისათვის, განმეორებითი აღრიცხვის გარეშე. ცხადია, პროდუქტის ფიზიკური მახასიათებლები ყოველთვის არ არის საკმარისი მის მისაკუთნებლად შუალედური ან საბოლოო პროდუქციისათვის მაგალითი. პურის ქარხნის მიერ შექმნილი ფქვილი – ეს შუალედური მოხმარებაა, ხოლო დიასახლისის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის – საბოლოო მოხმარება. პროდუქტის კლასიფიცირება აღნიშნულ ორ ჯგუფად შეიძლება მხოლოდ საქონლის ფაქტობრივად გამოყენების მონაცემების საფუძველზე.

- განსხვავების ხაზგასმა ინსტიტუციური ერთეულების წარმოებაში მონაწილეობის ან აქტივების ფლობის შედეგად მიღებულ პირველად შემოსავლებსა და გადანაწილების შედეგად (ტრანსფერტები) მიღებულ შემოსავლებს შორის. ეს აუცილებელია ეროვნული შემოსავლისა და შემოსავლების სხვა მაჩვენებლების გაანგარიშებისას განმეორებითი აღრიცხვის თავიდან ასაცილებლად.

განსხვავება მიმდინარე და კაპიტალურ დანახარჯებს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯების რეგისტრაცია სხვადასხვა ცხრილსა და ანგარიშში უნდა ხდებოდეს. მათი მექანიკური დაჯამება არამართლზომიერია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ოპერაცია ეასს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორია – ეს არის ნებაყოფილობითი ურთიერთქმედება ორ სამეურნეო სუბიექტს შორის, რაც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა და გამოყენებასთან, შემოსავლების განაწილებასა და გადანაწილებასთან, ფინანსური აქტივების შექმნასა და ფინანსური ვალდებულებების აღებასთან.

ეკონომიკური ოპერაციების ტიპური მაგალითებია საქონლის ყიდვა და გაყიდვა, ხელფასის გაცემა, პენსიებისა და დახმარებების გაცემა და მიღება, კრედიტების გაცემა. ეკონომიკური ოპერაციების შედეგად ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს გაცვლის გზით ან უფასოდ გადასცემს საქონელსა და მომსახურებას,

აქტივებს, საკუთრების უფლებებს. ეკონომიკური ოპერაციების შეფასება ხდება ეას-ში დადგენილი წესების შესაბამისად.

საქონლისა და მომსახურების გამოყენება მოხმარებისა (შუალედური და საბოლოო) და აგრეთვე დაგროვების მიზნებისთვის, უნდა შეფასდეს საბოლოო მომხმარებლის საბაზრო ფასში, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადსა (დღბ) და სხვა გადასახადებს პროდუქტებზე, აგრეთვე სატრანსპორტო და სავაჭრო დანამატებს. ამგვარად, ეასს ცენტრალური მაჩვენებლის – მშპ-ის შეფასება ხდება საბოლოო მომხმარებლის ფასებში.

საქონლის გამოშვების შეფასება ხდება მწარმოებლის ფასში, რომელიც საბოლოო მიმღველის ფასზე ნაკლებია სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატების, დღგ-სა და იმპორტზე გადასახადების სიდიდით, ან ე.წ. ძირითად ფასებში, რომელიც მწარმოებლის ფასებზე ნაკლებია პროდუქტებზე გადასახადების სიდიდით (გარდა დღგ-სა და იმპორტზე გადასახადებისა), მაგრამ, ამასთანავე, მოიცავს სუბსიდიებს პროდუქტებზე.

მოვახდინოთ ამ სამი სახის ფასების ურთიერთკავშირის ილუსტრაცია:

- A – საბოლოო მომხმარებლის ფასი.
- B – დღგ და იმპორტზე გადასახადი.
- C – სავაჭრო-სატრანსპორტო დანამატები.
- D – მწარმოებლის ფასი (A-B-C).
- E – პროდუქტებზე გადასახადი, გარდა დღგ-სა და გადასახადებისა იმპორტზე (აქციზები, გადასახადი გაყიდვებზე და სხვ.).
- F – სუბსიდიები პროდუქტებზე.
- G – ძირითადი ფასები (D-E-F).
- H – სხვა გადასახადები წარმოებაზე.
- I – სხვა სუბსიდიები წარმოებაზე.
- J – ფაქტობრივი ღირებულება (G-H+I).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას-93-ში ფაქტორული ღირებულება არ გამოიყენება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სისტემა იძლევა ეროვნული შემოსავლის ფაქტორული ღირებულების მიხედვით გაანგარიშების საშუალებას.

ეას-ში ასხვავებენ პროდუქტებზე გადასახადებსა (ღღბ, აქციზი, გადასახადი გაყიდვებზე და ა.შ.) და წარმოებაზე სხვა გადასახადებს. ერთობლიობაში ისინი ქმნიან გადასახადებს წარმოებასა და იმპორტზე. პროდუქტებზე გადასახადები წარმოებული ან რეალიზირებული პროდუქციის მოცულობის ან ღირებულების პროპორციულია. წარმოებაზე სხვა გადასახადები (მაგალითად, მიწაზე, შენობებზე, ძირითად კაპიტალზე, ხელფასზე გადასახადი) კი – წარმოების ფაქტორების პროპორციული.

სუბსიდიები, რომლებიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც უარყოფითი გადასახადები, მას-ში აგრეთვე იყოფა ორ ჯგუფად, რომლებიც გადასახადების ზემოაღნიშნული ორი ჯგუფის სიმეტრიულია: სუბსიდიები პროდუქტებზე, რომლებიც წარმოებული ან განაწილებული პროდუქტების მოცულობების პროპორციულია და სხვა სუბსიდიები წარმოებაზე (მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიების გამოყოფა იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ქირაობენ მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფებს, მაგალითად, ინვალიდებს, ახალგაზრდებს და ა.შ.), რომლებიც წარმოებაში გამოყენებული ფაქტორების პროპორციულია.

ამგვარად, ერთი მხრივ, განსხვავება პროდუქტებზე გადასახადებსა და წარმოების სხვა გადასახადებს შორის და მეორე მხრივ, – პროდუქტებზე სუბსიდიებსა და წარმოებაზე სხვა სუბსიდიებს შორის, – მას-ის მნიშვნელოვანი პრინციპია, რომლის გაგება მნიშვნელოვანია ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშებისა და შეფასების წესების გასარკვევად.

ზოგადად, მას-ში გამოშვების შეფასება ხდება მწარმოებლის ფასებში ან ძირითად ფასებში. უპირატესობა ენიჭება ძირითად ფასებს, ვინაიდან ისინი ზუსტად ასახავენ საწარმოს განკარგულებაში არსებულ რესურსებს და უფრო ზუსტ წარმოდგენას იძლევიან ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაზე.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გაეროს ახალი ვერსია

ამჟამად მოქმედებს 1993 წელს მიღებული მას-ის III ვარიანტი. მასში გაუმჯობესებულია ანგარიშთა სტრუქტურა და ის მოიცავს ანგარიშთა შემდეგ კლასებს:

1. ანგარიშთა სტანდარტული ნაკრები ეკონომიკის ყველა სექტორისათვის.
2. ეკონომიკის დარგობრივი ანგარიშები.
3. ანგარიშები ეკონომიკური ოპერაციების სხვადასხვა სახისათვის (მაგალითად, ანგარიშები: ოპერაციები სხვა ქვეყნებთან, საქონლისა და მომსახურების ანგარიში და სხვ.).
4. ანგარიშები მთელი ეკონომიკისათვის.

ახალი მას-ის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მის სტრუქტურაში *სატელიტური ანგარიშების* (დამხმარე ანგარიშების) ჩართვა, რომლებიც განკუთვნილია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცალკეული ასპექტების ანალიზისათვის ისეთი მიდგომების გამოყენებით, რაც არ არის მოცემული მას-ში.

ისტორიულად მას-ის პირველი და ცენტრალური ბლოკი გაჩნდა მშპ-სა და ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებების ერთიან სისტემაში ინტეგრირების შედეგად. იგი ხორციელდება საწარმოო, განაწილებითი (შემოსავლების) და საბოლოო მოხმარების (გამოყენების, ხარჯების) მეთოდებით.


აღნიშნულ ინტეგრაციასა და ზოგადად აშშ-ის ეროვნული ანგარიშების შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ამერიკელ სტატისტიკოსს – საიმონ კუზნეცს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მას-ის აღნიშნულ ბლოკს მიუერთდა ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა ასპექტის ამსახველი მაკროეკონომიკური ინფორმაციის დანარჩენი ბლოკები:

- ეროვნული სიმდიდრისა და ეკონომიკის სექტორების მონაცემთა ბლოკი.
- ფინანსური რესურსების მოძრაობის მონაცემთა ბლოკი (ფინანსური ინსტრუმენტების ოპერაციები).
- სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებთან კოორდინირებული სახელმწიფო მართვის ორგანოების შემოსავლებისა და ხარჯების მონაცემთა ბლოკი.
- საგადასახდლო ბალანსთან კოორდინირებული საგარეო-ეკონომიკური კავშირების მონაცემთა ბლოკი.
- დარგთაშორისი კავშირების მონაცემთა ბლოკი (დარგთაშორისი ბალანსი თანამედროვე ეასს განუყოფელი ნაწილია).

ყველა ბლოკი ერთმანეთთან დაკავშირებულია კოორდინირებული და ჰარმონიზებული განმარტებებითა და კლასიფიკაციებით, რაც ქმნის საფუძველს

ყოველმომცველი ეკონომიკური ანალიზისათვის. მას-ის ასეთი ხასიათი იძლევა, მაგალითად, საქონლისა და მომსახურების წარმოების შესახებ არსებული მონაცემების შედარების საშუალებას არსებული აქტივებისა და პასივების სტრუქტურულ მონაცემებთან.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის III ვარიანტის სტრუქტურა შეიძლება შემდეგი სქემით წარმოვადგინოთ:



მას-ის მონაცემების ანალიზის ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და ეკონომიკურ კონიუნქტურაში მიმდინარე რხევების განსაზღვრა. ეკონომიკის სტრუქტურისა და მისი დროში ცვლილებების შესწავლა, მაკროეკონომიკური ცვლადების, როგორცაა მშპ, მთლიანი დაგროვება, საბოლოო მოხმარება, წმინდა ექსპორტი და ა.შ დინამიკის განსაზღვრა.

ეს მონაცემები ფართოდ გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოკლე და საშუალოვადიანი პროგნოზების შესადგენად, რომელთა საფუძველზეც მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებით. თანამედროვე პირობებში მშპ – მას-ის ცენტრალური აგრეგატი – იქცა იმ მაჩვენებლად, რომლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების დასაბუთება.

მას-ის მონაცემების ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულებებია აგრეთვე: ეროვნული დანახოვის, როგორც ინვესტირების ძირითადი წყაროს გაზომვა, წმინდა დაკრედიტების ან წმინდა სესხების მოცულობის დადგენა, საგარეო-ეკონომიკური კავშირების გამოკვლევა. მას-ის სექტორული ანგარიშების შემუშავება იძლევა მოსახლეობის ცხოვრების დონის ელემენტების, ეკონომიკის ცალკეული სექტორების მდგომარეობის გამოკვლევისა და ანალიზის გადრმავეების საშუალებას.

ზემოაღნიშნული და მას-ის სხვა მონაცემები ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლებთან ერთად ფართოდ გამოიყენება ფისკალური და ფულადი პოლიტიკის საკითხების გადასაწყვეტად. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მშპ-სა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობის მაჩვენებელმა, რომელსაც მთავრობა იყენებს ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად. ევროკავშირში ეს კოეფიციენტი სხვა მაკრომაჩვენებლებთან ერთად გამოიყენება ქვეყნების სავალუტო ფონდში დაშვების საკითხის გადასაჭრელად.

ამავე კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა აქვს მიღებული გადასახადების, სახელმწიფო ვალის, საგადასახადლო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების

საღღოსა და მშპ-ს თანაფარდობის მაჩვენებლებს, რის მიხედვითაც მთავრობამ კონკრეტული გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს საგადასახადო სისტემის რეფორმასთან, სავალუტო კურსისა და საგარეო ვალების სფეროში პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით.

ქპს-ის მნიშვნელოვანი ელემენტია ანგარიშები. ისინი გამოიყენება ეკონომიკურ პროცესში რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების რეგისტრირებისათვის. ანგარიშებში აგრეთვე რეგისტრირდება ოპერაციები მოცემული ქვეყნის რეზიდენტებსა და დანარჩენი მსოფლიოს რეზიდენტებს შორის.

ანგარიშებში ჩანაწერები მიეკუთვნება არა ყოველ ცალკეულ ეკონომიკურ ოპერაციას, არამედ ეკონომიკური ოპერაციების შესაბამისი ჯგუფების განზოგადებულ რიცხოვრივ დახასიათებებს (მაგალითად, მოხმარება, დაგროვება, ექსპორტი). ზოგიერთი ჩანაწერი ანგარიშში წარმოადგენს არა ეკონომიკურ ოპერაციას (ნებაყოფილობით ურთიერთქმედებას ორ და მეტ ინსტიტუციურ ერთეულს შორის), არამედ არაორდინალური მოვლენების (ხანძარი, სტიქიური უბედურება, ომები და სხვ.) ან ინფლაციის შედეგად აქტივების ცვლილებას.

ზოგიერთი ჩანაწერი ანგარიშში წარმოადგენს ეკონომიკური პროცესის სხვადასხვა ასპექტის ანალიტიკურ განზოგადებულ მაჩვენებლებს. ამ მაჩვენებელთა დიდი ნაწილი (მაგალითად, დამატებული ღირებულება, დანაზოგი, პირველადი განაწილების საღღო) გაიანგარიშება საბალანსო მეთოდით, ე.ი. როგორც სხვაობა რესურსებში ჩანაწერების ჯამსა და გამოყენებაში ჩანაწერების ჯამს შორის.

ეროვნული ანგარიშების შედგენის ძირითადი პრინციპებია:

- *თანმიმდევრობის პრინციპი* კვლავწარმოების ციკლის თანმიმდევრობის შესაბამისია (წარმოება – შემოსავლების ფორმირება – შემოსავლების განაწილება – შემოსავლების გამოყენება).
- *„T“ ფორმის პრინციპი* – ყველა ანგარიშში შედგება ორი განყოფილებისაგან (სვეტი), მარჯვენა მოიცავს „რესურსებს“, მარცხენა – „გამოყენებას“.

- *ანგარიშების შეკავშირების პრინციპი* - ამა თუ იმ ანგარიშის ყოველ მუხლს სხვა ანგარიშში საკორესპონდენტო ანგარიში აქვს.
- *ორმაგი ჩაწერის პრინციპი*(საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპი) – ეას-ში ყოველი ოპერაცია აისახება ორჯერ: წინა ანგარიშის განყოფილებაში „გამოყენება“ და მომდევნო ანგარიშის განყოფილებაში „რესურსები“.
- *საბალანსო მეთოდის პრინციპი* – ყველა ეკონომიკური ნაკადი რეგისტრირდება ბალანსის ფორმით.
- *გაანგარიშებითი კატეგორიების პრინციპი*– დამაბალანსებელი მუხლი უწინარესად არის გაანგარიშებითი კატეგორია, რომლის დანიშნულებაც არა მხოლოდ რესურსებისა და მათი გამოყენების მოცულობებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა, არამედ ამა თუ იმ ეკონომიკური პროცესის დახასიათება, რაც მათ მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ მაჩვენებლად აქცევს.

მას-ის სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს *ანგარიშები და საბალანსო ცხრილები*. ანგარიშში ასახავს ოპერაციებს, აქტივებს ან სამეურნეო ერთეულების ვალდებულებებს. ის წარმოადგენს ორმხრივ ცხრილს, სადაც ჯამებს შორის ტოლობა მიიღწევა დამაბალანსებელი მუხლის მეშვეობით და ეს დამაბალანსებელი მუხლი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. დამაბალანსებელი მუხლი იძლევა ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადასვლისა და ანგარიშების ერთ სისტემაში შეკავშირების საშუალებას.

მას-ში არსებობს ანგარიშების მკაფიო კლასიფიკაცია:

- ანგარიშები ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორებისათვის.
- ანგარიშები ეკონომიკის დარგებისათვის.
- ანგარიშები ცალკეული ეკონომიკური ოპერაციებისათვის.
- ანგარიშები მთლიანად ეკონომიკისათვის (კონსოლიდირებული ანგარიშები).

ანგარიშები ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორებისათვის იყოფა შემდეგ სამ ჯგუფად:

- მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები.
- დაგროვების ანგარიშები.
- აქტივებისა და პასივების ბალანსები.

მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები:

წარმოების ანგარიში.

- შემოსავლების ფორმირების ანგარიში.
- პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში.
- შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში.
- შემოსავლების განაწილების ანგარიში (ნატურალურ ფორმაში).
- კორექტირებული განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში.

დავროვნების ანგარიშები:

- კაპიტალის ოპერაციების ანგარიში.
- ფინანსური ანგარიში.
- აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში:
 - ა) აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების ანგარიში.
 - ბ) გადაფასების ანგარიში.

აქტივებისა და პასივების ბალანსი:

- აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის დასაწყისისათვის.
- აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის ბოლოსათვის.

მთლიანი შიდა პროდუქტის განსაზღვრის მეთოდი ეას-ში

ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია **მთლიანი შიდა პროდუქტი**. ეს მაჩვენებელი გამოიყენება როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. იგი გამოიყენება საერთაშორისო შედარებების, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გაანგარიშებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლების დახასიათების მიზნით.

მშპ არის წლის მანძილზე მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულება შუალედური მოხმარების გამოკლებით.

საწარმოს, დარგის, სექტორის დონეზე მშპ-ს შეესაბამება მაჩვენებელი **მთლიანი დამატებული ღირებულება**.

მშპ-ში შედის აგრეთვე ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ჩვენს პრაქტიკაში ამორტიზაცია). ეს მაჩვენებელი გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის მთლიანი შედეგების დახასიათების მიზნით. იმ მიზეზის გამო, რომ პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის შემდეგ ამორტიზაციის ანარიცხები ისევ უბრუნდება მწარმოებელს, რაც საშუალებას იძლევა ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად, კერძოდ, კაპიტალური რემონტისთვის, ძირითადი კაპიტალის რენოვაციისათვის და სხვ., დასავლეთის ქვეყნებში დაჩქარებული ამორტიზაცია განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი.

მიუხედავად იმისა, რომ წმინდა მაჩვენებლების გამოთვლა ძალიან მნიშვნელოვანია, ძირითადი კაპიტალის მოხმარების გაზომვა აღდგენითი ღირებულების ბაზაზე დღეისათვის გაძნელებულია, ამიტომ პრიორიტეტი ენიჭება მდლ-ის გამოთვლას.

საგარეო ვაჭრობის გათვალისწინებით, მშპ შეიძლება გავიანგარიშოთ კვლავწარმოების ციკლის ყოველ სტადიაზე შესაბამისი მეთოდების დახმარებით:

- საწარმოო.
- განაწილებითი.
- საბოლოო მოხმარების.

საწარმოო მეთოდით მშპ-ის გაანგარიშება შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით:

1. მშპ საბაზრო ფასებში = შიდა ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება ძირითად ფასებში – შუალედური მოხმარების საერთო ღირებულება + დამატებული ღირებულების გადასახადი + წმინდა გადასახადები იმპორტზე.
2. მშპ საბაზრო ფასებში = დარგების დამატებული ღირებულების (საბაზრო ფასებში) ჯამს, ე.ი იგი მოიცავს წმინდა გადასახადებს პროდუქტებსა და იმპორტზე (დღგ-ს გარეშე). ამასთან, მდლ დარგში გაიანგარიშება როგორც სხვაობა მგ-სა (საბაზრო ფასებში) და შმ-ს შორის.
3. მშპ საბაზრო ფასებში = ეკონომიკის სექტორებში მდლ-ს ჯამი (საბაზრო ფასებში).

მშპ-ის გაანგარიშება წარმოების სტადიაზე ასახავს წარმოების წყაროებს. მასში აღრიცხულია საანგარიშო პერიოდის მთლიანი გამოშვება (წარმოების ფასებში) შუალედური მოხმარების გამოკლებით (მოხმარების ფასებში). იგი საშუალებას

გვაძლევს დავახასიათოთ თითოეული დარგის, სექტორის წვლილი მშპ-ს შექმნაში, ავსახოთ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა და განვითარების ხასიათი.

განაწილებითი მეთოდი გამოიყენება განაწილების სტადიაზე. ეს არის პირველადი შემოსავლების ჯამი, რომელიც რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების მიერ ნაწილდება საქონლისა და მომსახურების მწარმოებელთა შორის: დაქირავებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურებას + წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე + მთლიანი მოგება + მთლიანი შერეული შემოსავლები.

განაწილებითი მეთოდის საშუალებით მშპ-ს გაანგარიშება საშუალებას გვაძლევს გავანალიზოთ შემოსავლები და მათი სტრუქტურა, წარმოების ფაქტორთა დანახარჯები (ძირითადი კაპიტალი, სამუშაო ძალა), მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება მის მწარმოებლებს შორის.

მშპ-ის გაანგარიშების მოცემულ მეთოდს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს შემოსავლებისა და მათი სტრუქტურის ანალიზში, საგადასახადო ტვირთისა და მთლიანი მოგების ხვერთი წილის დახასიათების მიზნით და სხვ.

საბოლოო მოხმარების მეთოდით მშპ გაიანგარიშება როგორც საბოლოო მოხმარებისა და მთლიანი დაზოგვის ჯამი ექსპორტ-იმპორტის სალდოს გათვალისწინებით.

გამოყენების სტადიაზე გამოთვლილი მშპ ტოლია საბოლოო მოხმარებისთვის შექმნილი საქონლისა და მომსახურების ღირებულებისა მოხმარების ფაზებში. ეას-ის ანგარიშებში მშპ-ის საბოლოო მოხმარება იყოფა შემდეგ მუხლებად: პირადი და სახელმწიფო მოხმარება, მთლიანი დაგროვება (საბრუნავი საშუალებების მარაგების მატება, კაპიტალდაბანდებები) და ექსპორტ-იმპორტის სალდო.

სხვადასხვა მეთოდით მშპ-ის გაანგარიშებას გარღვევად მივყავართ მისი რაოდენობრივი შეფასებების განსხვავებებთან, რაც ძირითადად განპირობებულია შეგროვილი სტატისტიკური მასალის არაადეკვატურობით (შეუსაბამობით) ეკონომიკურ ოპერაციებთან. განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა მეთოდით გამოთვლილ მშპ-ებს შორის სხვაობა 1-2%-ს შეადგენს. სტატისტიკურ ცნობარებში

აღნიშნული შემთხვევები ფორმულირდება სპეციალურ პოზიციაში “სტატისტიკური განსხვავებანი”.

ეროვნული სიმდიდრის განსაზღვრის თავისებურებანი საერთაშორისო სტატისტიკაში

ეროვნული სიმდიდრის კონცეფცია, რომელიც რეკომენდებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-93-ში და გაზიარებულია ეროვნული სტატისტიკების მიერ შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

ეროვნული სიმდიდრე არის მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი რაიმე თარიღისათვის (წლის დასაწყისში ან ბოლოსათვის).

კაპიტალის წმინდა ღირებულება არის ინსტიტუციური ერთეულის ყველა ეკონომიკური აქტივის (არაფინანსური და ფინანსური) ღირებულებასა და მათ ფინანსურ ვალდებულებათა სიდიდეს შორის სხვაობა.

მთლიანად ეკონომიკისათვის ეროვნული სიმდიდრე უდრის არაფინანსური აქტივების ღირებულებას დამატებული წმინდა ფინანსური მოთხოვნები დანარჩენ მსოფლიოსთან. ეროვნული სიმდიდრე შეიძლება აგრეთვე განსაზღვრული იყოს, როგორც ეკონომიკის სექტორების კაპიტალის წმინდა ღირებულებათა ჯამი, მათი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ საზღვარგარეთის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სალდო, ვინაიდან ეროვნული ეკონომიკის სექტორებს შორის წარმოქმნილი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება.

ეროვნულ სიმდიდრეში ჩართული უნდა იყოს მხოლოდ ის აქტივები, რომლებზეც კონკრეტულ სამეურნეო სუბიექტებს შეუძლიათ გაავრცელონ საკუთრების უფლება (ასეთი აქტივებს ეკონომიკური აქტივები ეწოდება).

ეროვნულ სიმდიდრეს არ მიეკუთვნება მოძიებული ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ იყო ჩართული ეკონომიკურ პროცესში, არ წარმოადგენს კონკრეტული ინსტიტუციური ერთეულების საკუთრებას. ყველა აქტივი და ვალდებულება უნდა შეფასდეს იმ მომენტისათვის არსებულ საბაზრო ფასებში და არა მათი შექმნის ფასებში, რასაც ხშირად ადგილი აქვს საბუღალტრო აღრიცხვაში.

ეროვნული სიმდიდრის განმარტებიდან ჩანს, რომ მის შემადგენლობაში ჩართული უნდა იყოს აქტივები, რომლებიც საზღვარგარეთ არის განთავსებული, მაგრამ მოცემული ქვეყნის რეზიდენტების საკუთრებაა (მაგალითად, საელჩოების, საკონსულოების, წარმომადგენლობების და ა. შ. შენობები და ქონება) და, პირიქით: აქტივები, რომლებიც განთავსებულია მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ არარეზიდენტების საკუთრებაა, არ შეიძლება ჩაითვალოს მოცემული ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრედ. თუმცა საზღვარგარეთ განთავსებული კომპანიების აქტივები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივადაა შექმნილი მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ, შეიძლება შევიტანოთ მოცემული ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეში ფინანსური აქტივების მხოლოდ იმ მოცულობით, რაც ადასტურებს რეზიდენტების საკუთრების უფლებას კომპანიაზე ან მის ნაწილზე.

რაც შეეხება არარეზიდენტების მიერ შექმნილ შენობებსა და მიწებს, ისინი განიხილება როგორც ფინანსური აქტივების შექმნა, რომელიც აძლევს მათ საკუთრების უფლებას მიწასა და შენობებზე. ამავე დროს, არარეზიდენტებზე მიყიდული მიწა და შენობები პირობითი რეზიდენტ-ერთეულების საკუთრებად ითვლება. ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შეფასებისას მისი არაფინანსური აქტივების შემადგენლობაში შედის შენობებისა და მიწის ღირებულება, რომელიც გაყიდულია არარეზიდენტებზე, მაგრამ იმავდროულად ეს შეფასებები უნდა აისახოს როგორც მოცემული ქვეყნის ფინანსური ვალდებულება “დანარჩენ მსოფლიოსთან” მიმართებაში და, საბოლოო ანგარიშით, არარეზიდენტებზე გაყიდული მიწა და შენობები ამოღებული იქნება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრიდან. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის აქტივების მოცულობისა და საბაზრო ღირებულების განსაზღვრა რთული ამოცანაა.

მას-93-ის შესაბამისად ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება უნდა განხორციელდეს როგორც მთლიანად ეკონომიკისათვის, ისე მისი სექტორებისათვის.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით აქტივების ღირებულებისა და შემადგენლობის მონაცემები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ეროვნული სიმდიდრის განაწილება, აქტივების ლიკვიდურობა. ძირითადი კაპიტალის შესახებ მონაცემები სექტორების მიხედვით საჭიროა მათი ინვესტიციური აქტიურობისა და დაფინანსებაზე მოთხოვნების ანალიზისათვის, აგრეთვე წარმოების ეფექტიანობის (კაპიტალუკუგების) შესაფასებლად. მატერიალური საბრუნავი საშუალებების შესახებ მონაცემები საჭიროა მათი ბრუნვაობისა და წარმოების პროცესის უზრუნველყოფის ანალიზისათვის.

მთლიანად ეკონომიკისათვის ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება და კაპიტალის წმინდა ღირებულება ეკონომიკის სექტორებისათვის აისახება აქტივებისა და პასივების ბალანსში (ცხრილი 10.1), რომელიც დგება პერიოდის საწყისი და საბოლოო მდგომარეობის მიხედვით.

აქტივებისა და პასივების ბალანსი

ცხრილი 10.1.

აქტივები	ოპერაციები და დამაბალანსებელი მუხლები	კაპიტალის წმინდა ღირებულება და ვალდებულებანი
	აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის დასაწყისისათვის	
*	არაფინანსური აქტივები	
*	წარმოებული აქტივები	
*	არაწარმოებული აქტივები	
*	ფინანსური აქტივები	
	ფინანსური ვალდებულებები	*
	კაპიტალის წმინდა ღირებულება	*

	ჯამური ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში	
*	არაფინანსური აქტივები	
*	წარმოებული აქტივები	
*	არაწარმოებული აქტივები	
*	ფინანსური აქტივები	
	ფინანსური ვალდებულებები	*
	კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილების შედეგი	*
*	დანაზოგები და კაპიტალური ტრანსფერტები	*
	სხვა ცვლილებები აქტივების მოცულობაში	*
	ნომინალური პოლდინგური მოგება (ზარალი)	*
	აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის ბოლოსათვის	
*	არაფინანსური აქტივები	
*	წარმოებული აქტივები	
*	არაწარმოებული აქტივები	
*	ფინანსური აქტივები	
	ფინანსური ვალდებულებები	*
	კაპიტალის წმინდა ღირებულება	*

აქტივებისა და პასივების ბალანსი – ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-93-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცხრილია, რადგან ის მოიცავს მონაცემებს მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ კატეგორიაზე – ეროვნული სიმდიდრის შესახებ.

პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოსათვის აქტივებისა და პასივების ბალანსის მაჩვენებლების შედარება საშუალებას გვაძლევს გამოვაველინოთ პერიოდის განმავლობაში აქტივებისა და ეროვნული სიმდიდრის ღირებულებების ცვლილება, რაც ეკონომიკური ოპერაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი ხასიათის ფაქტორების გავლენის (სტიქიური უბედურება, ხანძარი და სხვ.) შედეგია. ეს ცვლილებები რეგისტრირდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვა ანგარიშებში.

პერიოდის განმავლობაში აქტივების ღირებულების ცვლილება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$A_{t+1} = A_t + \Delta_{\text{ეკ.}} + \Delta_{\text{სხვ.}} + M_p,$$

სადაც A_t და A_{t+1} შესაბამისად მოცემული სახის აქტივების ღირებულებაა პერიოდის დასაწყისში და ბოლოსათვის.

$\Delta_{\text{ეკ.}}$ – საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ოპერაციების შედეგად აქტივების ღირებულების ცვლილება (წარმოება, ყიდვა-გაყიდვა, უსასყიდლოდ გადაცემა), ე.ი. ესაა სხვაობა შექენილი ($A^{+\Delta}$) და მწყობრიდან გამოსული აქტივების ($A^{-\Delta}$): $A^{+\Delta} - A^{-\Delta}$ ღირებულებებს შორის, რაც აისახება ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ფინანსურ ანგარიშში და კაპიტალის ანგარიშში.

$\Delta_{\text{სხვ.}}$ – აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების ღირებულება, დაკავშირებული არაეკონომიკურ ოპერაციებთან (სასარგებლო წიაღისეულის მოძიება, სტიქიური უბედურებები და ა. შ.). ღირებულებაში ცვლილებები ისევე განისაზღვრება, როგორც წინა შემთხვევაში და გამოსახება ტოლობით (1) ნიშნის გათვალისწინებით.

$\Delta_{\text{სხვ.}}$ აისახება აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების ანგარიშში.

M_p – აქტივების ღირებულების ნომინალური გადიდება ან შემცირება, პერიოდის განმავლობაში, განპირობებული მისი ფასის ცვლილებით, ე.ი. დადებითი ან უარყოფითი ჰოლდინგური მოგებაა. M_p – აისახება ეას-ის გადაფასების ანგარიშში.

ასეთივე ურთიერთკავშირი არსებობს ფინანსურ ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებას შორის.

ეკონომიკური აქტივები არის ღირებულების მქონე ობიექტები, რომლებზეც ინსტიტუციური ერთეულების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ვრცელდება საკუთრების უფლება და რომელთა ფლობით (ან გამოყენებით) მათ ფლობელებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეუძლიათ ეკონომიკური სარგებლის მიღება.

აქტივებს არ მიეკუთვნება ადამიანისეული კაპიტალი, ბუნებრივი აქტივები, რომლებიც არ ითვლება ეკონომიკურ აქტივებად (მაგალითად, საჰაერო სივრცე) და გარანტიის ტიპის პირობითი აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ ფინანსურ აქტივებს (მაგალითად, ვალის დაფარვის გარანტია, რომელიც შემოთავაზებულია მესამე მხარის მიერ, საკრედიტო ხაზი და ა. შ.).

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-93-ის შესაბამისად ყველა აქტივი იყოფა სამ ძირითად ჯგუფად – არაფინანსური წარმოებული აქტივები, არაფინანსური არაწარმოებული აქტივები და ფინანსური აქტივები:

I. არაფინანსური აქტივები

1. არაფინანსური წარმოებული აქტივები

1.1. ძირითადი კაპიტალი

1.1.1. მატერიალური ძირითადი კაპიტალი

საცხოვრებელი ბინები

სხვა შენობები და ნაგებობები

მანქანები და მოწყობილობები

კულტივირებადი აქტივები

1.1.2. არამატერიალური ძირითადი კაპიტალი

სასარგებლო წიაღისეულის მოძიება

პროგრამული უზრუნველყოფა (კომპიუტერების)

ლიტერატურის, ხელოვნებისა და გასართობი ჟანრის ნაწარმოებების ორიგინალები

სხვა არამატერიალური ძირითადი კაპიტალი

1.2. მატერიალური საბრუნავი კაპიტალის მარაგები

1.2.1. მასალებისა და ნედლეულის საწარმოო მარაგები

1.2.2. დაუმთავრებელი წარმოება

1.2.3. მზა პროდუქცია

1.2.4. საქონელი ხელმეორედ გასაყიდად

1.3. ფასეულობანი

- 1.3.1. ძვირფასი ქვები და ლითონები
- 1.3.2. ანტიკვარიატი და ხელოვნების სხვა ნიმუშები
- 1.3.3. სხვა ფასეულობები
- 2. არაფინანსური არაწარმოებული აქტივები**
 - 2.1. მატერიალური არაწარმოებული აქტივები
 - 2.1.1. მიწა
 - 2.1.2. სასარგებლო წიაღისეული
 - 2.1.3. არაკულტივირებადი ბიოლოგიური რესურსები
 - 2.1.4. წყლის რესურსები
 - 2.2. არამატერიალური არაწარმოებული აქტივები
 - 2.2.1. დაპატენტებული ობიექტები
 - 2.2.2. ხელშეკრულებები არენდის შესახებ და სხვა გადასაცემი ხელშეკრულებები
 - 2.2.3. ნაყიდი გუდვილი (საქმიანი კავშირებისა და რეპუტაციის პირობითი ღირებულება)
 - 2.2.4. სხვა არამატერიალური არაწარმოებული აქტივები.

II. ფინანსური აქტივები

- 1. მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლებები
- 2. ნაღდი ფული და დეპოზიტები
- 3. ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა
- 4. სესხები
- 5. აქციები და კაპიტალში მონაწილეობის სხვა სახეები
- 6. დაზღვევის ტექნიკური რეზერვები
- 7. კრედიტორებისა და დებიტორების სხვა ანგარიშები

ლექცია 5. საერთაშორისო შედარებების პროგრამა

სალექციო საკითხები

1. საერთაშორისო შედარებების პროგრამის არსი
2. ვალუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ცნება
3. საქონელ-წარმომადგენლების შერჩევა საერთაშორისო შედარებების პროგრამისთვის
4. მრავალმხრივი საერთაშორისო შედარებების მეთოდოლოგია

საერთაშორისო შედარებების პროგრამის არსი

სხვადასხვა ქვეყნის მაჩვენებელთა შედარება უახლეს დრომდე ხორციელდებოდა შეზღუდული ინფორმაციის საფუძველზე. ასეთი სიტუაცია იწვევდა მსოფლიო ეკონომიკაში ამა თუ იმ ქვეყნის ადგილზე მრავალრიცხოვან ალტერნატიულ შეფასებებს.

ამჟამად ქვეყნები გადადიან საერთაშორისო შედარებების შედეგის მიღების პრინციპულად ახალ გზაზე გაეროს საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობით.

საერთაშორისო შედარებების პროგრამა ესა კვლევითი პროგრამა, რომელსაც ახორციელებენ ეროვნული სტატისტიკური სამსახურების, საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების, კვლევითი დანაყოფების სტატისტიკური ორგანოები.

ამ პროგრამის შედეგების მეშვეობით ხდება ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა როგორცაა:

- ქვეყნების საერთო ეკონომიკური განვითარების შეფასება;
- მოსახლეობის კეთილდღეობის შეფასება;
- ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის შედარება;
- ეროვნული ეკონომიკების ეფექტიანობის განსაზღვრა და შედარება;
- ქვეყნების ფინანსური შესაძლებლობების განსაზღვრა;
- ბაზრის კონიუნქტურის ანალიზი (ბაზრის ტევადობა, ვალუტის მყიდველობითი უნარი);
- საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის შესწავლა;

- განვითარებადი ქვეყნებისთვის დახმარების მოცულობისა და პოლიტიკის განსაზღვრა;
- განვითარების ეკონომიკური თეორიების შემუშავება (განვითარების მოდელების).

ღირებულებითი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საერთაშორისო შედარებების განხორციელება მოითხოვს შემდეგი ორი პრობლემის გადაწყვეტას:

- შესადარებელი მაჩვენებლების ეკონომიკური შინაარსის უნიფიცირებას;
- მაჩვენებლების ეროვნული ვალუტიდან ერთიან ფულად ერთეულში გადაანგარიშების მეთოდის შერჩევას.

პირველი პრობლემის გადაწყვეტა ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციებისა და ერთიანი მეთოდოლოგიის გამოყენებას.

მეორე პრობლემა მდგომარეობს გაანგარიშების ფორმულის, წონების, კერძო ინდექსების აგრეგირების ხერხების შერჩევაში. ამ პრობლემის გადაწყვეტა განისაზღვრება ჩასატარებელი შედარებების ეკონომიკური შინაარსით, მიზნებით და ამოცანებით, ამოსავალი ინფორმაციით. საერთაშორისო შედარებების თეორიაში განასხვავებენ:

- პირდაპირ წყვილად შედარებებს (ბინარული შედარებები);
- მრავალმხრივ შედარებებს ქვეყნების ჯგუფებისათვის ერთდროულად.

საერთაშორისო ორგანიზაციები ბაჰრ(), მბ, ეუთო() როგორც წესი ატარებენ მრავალმხრივ შედარებებს. ზოგიერთ შემთხვევაში ამდაგვარ შედარებებში გამოიყენება ცენტრალური ყვეყნის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებისას ყველა ყვეყნის მაკრომაჩვენებლების შედარება ხდება საბაზისო (ცენტრალური) ქვეყნის მაკრომაჩვენებლებთან. ეს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ქვეყნების წყვილისათვის ინდექსები გაიანგარიშება არაპირდაპირ, ე.ი. ამ ყვეყნების მაჩვენებელთა ინდექსების ცენტრალური ქვეყნის მაჩვენებლებთან შეპირისპირებით.

საერთაშორისო შედარებების პროგრამა ხორციელდება რამდენიმე ეტაპად:

- მთლიანი წარმოება ან მოხმარება იყოფა პირველად სასაქონლო ჯგუფებად, ჯგუფები კი ქვეჯგუფებად;
- ჯგუფებში შესადარებელი ქვენებისათვის შერჩევა ერთნაირი საქონელ-წარმომადგენლები, ფიქსირდება მათი ფასები და გაიანგარიშება ფასების თანაფარდობის ინდივიდუალური ინდექსები;
- ქვეჯგუფისათვის გაიანგარიშება ფასების საშუალო ინდექსი საშუალო გეომეტრიული ფორმულით;
- ქვეჯგუფების ფასების საშუალო ინდექსების საფუძველზე გაიანგარიშება მსყიდველობითი უნარის პარიტეტები სასაქონლო ჯგუფებისათვის;
- მიღებული პარიტეტების მეშვეობით პროდუქციის ღირებულებით მოცულობები სასაქონლო ჯგუფების მიხედვით გადაიანგარიშება ერთიან ვალუტაში;
- განისაზღვრება წარმოების (რეალიზაციის) ფიზიკური მოცულობის ინდექსები.

ვლუტის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ცნება

ეროვნული ანგარიშების სისტემის სტრუქტურა ითვალისწინებს ფასებისა და ფიზიკური მოცულობის მაჩვენებლების ანალიზისათვის გამოსადეგი, კონცეპტუალურად შეთანხმებული ერთიანი კომპლექსის შედგენის შესაძლებლობას. ამოცანა მდგომარეობს ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების გაანგარიშებაში, რაც იძლევა ინფლაციის, ეკონომიკური ზრდისა და მისი დინამიკის სისტემატური, დეტალური ანალიზის ჩატარებისა და აგრეთვე საერთაშორისო შესადარისობის პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას.

საერთაშორისო მაკროეკონომიკური შესადარისობის ძირითადი მიზანია სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატების გადაყვანა ერთიან ვალუტაში მათი პირდაპირი შესადარისობის უზრუნველსაყოფად.

მშპ-ის ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მშპ-სა და მისი კომპონენტების საერთაშორისო შედარება. ამისათვის სხვადასხვა ქვეყნის მშპ ერთიან ვალუტაში (მაგალითად, აშშ დოლარებში) უნდა იყოს გამოსახული. ამ

მიზნისათვის სავალუტო კურსის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს გაანგარიშების შედეგების სიზუსტეს, რადგან ოფიციალური სავალუტო კურსით არ ხდება მშპ-ში შემავალი ყველა სახის ოპერაციის შეფასება და მათზე გავლენას ახდენს აგრეთვე ისეთი ფაქტორები, რომელთაც არა აქვთ პირდაპირი კავშირი წარმოებულ საქონლისა და მომსახურების მოცულობების შედარებებთან (მაგალითად, კაპიტალის საერთაშორისო ნაკადი, ვალუტის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის თანაფარდობა და ა. შ.). გარდა ამისა, სავალუტო კურსის გამოყენება, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი შესადარის ვალუტაში, არ უზრუნველყოფს განსხვავებათა ნიველირებას შესადარი ქვეყნების ფასების დონეებში. ამიტომ თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკაში მშპ-ის მაჩვენებლების შედარება ხორციელდება ვალუტის ე.წ. მსყიდველობითი უნარის პარიტეტების (მუპ) მეშვეობით.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტები (მუპ) – ესაა კოეფიციენტები, რომლებიც გამოსახავენ თანაფარდობას ქვეყნების ფასებს შორის. როგორც წესი, მუპ საანგარიშო, სტატისტიკური კატეგორიაა. ის არ გამოიყენება ვალუტის გაცვლისათვის, არ გვევლინება რეალური ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტად (ოფიციალური სავალუტო კურსისგან განსხვავებით), არამედ წარმოადგენს მშპ-ის საერთაშორისო შედარებათა უზრუნველყოფის ტექნიკურ ინსტრუმენტს.

მუპ გვიჩვენებს მოცემული ქვეყნის რა რაოდენობის ვალუტა უნდა დაეხარჯოთ სხვა ქვეყნის ვალუტის ერთეულით შესაძენ (ეთქვათ, ერთ დოლარად)საქონელსა და მომსახურებაზე.

გარკვეული თვალსაზრისით მუპ ფასების დინამიკის ინდექსების სივრცობრივი ანალოგიაა: ფასების დინამიკური ინდექსები (უფრო ზუსტად, მათი შებრუნებული სიდიდეები, თუ დროის პერიოდს ზრდადობით ავიღებთ) ზომავს ერთი და იმავე ვალუტის მსყიდველობითი უნარის ცვლილებას დროში, მუპ სხვადასხვა ვალუტის მსყიდველობითი უნარების სხვაობას ზომავს სივრცობრივად. შესაბამისად, მუპ თავისებური სივრცობრივი დეფლატორია. მისი დახმარებით ეროვნული ღირებულებითი მაჩვენებლები დაიყვანება გარკვეულ „რეალურ“ ფულად საზომამდე.

მუპ-ის გამოყენება მშპ-ის შედარებებისათვის ერთდროულად ორი ამოცანის გადაჭრის საშუალებას გვაძლევს:1) გადავაფასოთ ეროვნული ვალუტა შესადარ საგალუტო ერთეულებში და 2) აღმოვფხვრათ ფასების დონეებში არსებული სხვაობის ზეგავლენა.

მუპ-ის დახმარებით, ეროვნულიდან შესადარის ვალუტაში გადაანგარიშებულ მაჩვენებლებს ხშირად „რეალურ მოცულობებს“ უწოდებენ. ტერმინი „რეალური“ გამოიყენება მშპ-ის საერთაშორისო შედარებების კონტექსტში იმისათვის, რომ ვაჩვენოთ გაცვლითი საგალუტო კურსის მიხედვით გადაანგარიშებების შედეგებისგან განსხვავება, რომელიც „ნომინალურ მოცულობად“ იწოდება.

მუპ-ის გაანგარიშება საკმაოდ რთულია როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ის მოითხოვს ფასების, წარმოებული და გამოყენებული პროდუქციის მოცულობაზე მონაცემთა დიდი მასივის მოპოვებასა და დამუშავებას. ამ გაანგარიშების საფუძვლს წარმოადგენს **საქონელ-წარმომადგენლების მეთოდი**

საქონელ-წარმომადგენლების შერჩევა საერთაშორისო შედარებების პროგრამისთვის

შედარებები გაეროს საერთაშორისო შედარებების პროგრამის ჩარჩოებში (ბამროს სშპ) ხორციელდება **საქონელ-წარმომადგენლების მეთოდით**, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში:

- შესადარისი ქვეყნების (ვთქვათ, A და B ქვეყნების) მშპ-ებს ყოფენ რამდენიმე სასაქონლო ჯგუფად, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში „უმცირესი სასაქონლო ჯგუფები“ ეწოდება, მათი რიცხვი ძირითადად მერყეობს 150-დან 300-მდე. უმცირესი სასაქონლო ჯგუფები იქმნება მხოლოდ მშპ-ს გადასაფასებლად შესადარ ვალუტაში და ეკონომიკური ანალიზის მიზნით, შესაძლებელია მათი გაერთიანება უფრო ფართო ანალიტიკურ ჯგუფებში. ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქტი, შედარების მიზნით, იყოფა ძირითად კომპონენტებად (მოხმარება, დაგროვება და ა.შ.), ანალიზურ ჯგუფებად და უმცირეს სასაქონლო ჯგუფებად.
- თითოეული უმცირესი სასაქონლო ჯგუფისათვის მონიხება 4-6 ფასით

იდენტური ან ანალოგიური საქონელ-წარმომადგენელი (თითოეულ შემთხვევაში საქონელ-წარმომადგენელთა რიცხვი დამოკიდებულია მათი ფასების ინდექსის დისპერსიის სიდიდისგან).

- თითოეული უმცირესი სასაქონლო ჯგუფისათვის. საქონელ-წარმომადგენლების ფასებს შორის თანაფარდობის დახასიათების მიზნით, გაიანგარიშება ფასების ინდივიდუალური ინდექსები, (თუ X სასაქონლო ჯგუფში შედის 5 საქონელ-წარმომადგენელი, აუცილებელია გამოვითვალოთ ფასების ამდენივე ინდივიდუალური ინდექსი).
- წინა ეტაპის გაანგარიშებების შედეგების მიხედვით თითოეული უმცირესი სასაქონლო ჯგუფისათვის ანგარიშობენ ფასების ინდივიდუალური ინდექსების საშუალო ინდექსს. ამისათვის გამოიყენება მარტივი საშუალო გეომეტრიულის ფორმულა. ამ ფორმულის გამოყენება განპირობებულია ინფორმაციის არარსებობით საქონელ-წარმომადგენელთა წონების შესახებ, ე.ი ამა თუ იმ სასაქონლო ჯგუფში საქონელ-წარმომადგენლების წილის შესახებ მონაცემები. საშუალო გეომეტრიულის გამოყენება უზრუნველყოფს ინდექსების წინაშე დასმულ მნიშვნელოვან მოთხოვნას – ინდექსის სიდიდის დამოუკიდებლობას საბაზისო ქვეყნის შერჩევისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საშუალო არითმეტიკულის ფორმულის გამოყენების შემთხვევაში, შედარების შედეგი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, მოცემული ორი ქვეყნიდან (A და B) რომელს განვიხილავდით როგორც საბაზისოს (იხ. ცხრილი).

განვიხილოთ ფასების საშუალო ინდექსის გაანგარიშების მეთოდი X უმცირესი სასაქონლო ჯგუფისათვის:

საქონელ-წარმომადგენ- ლები	1	2	3	4	5	
ფასები A ქვეყანაში	2	4	1	5	7	
ფასები B ქვეყანაში	3	8	3	10	28	
ფასების ინდექსი, ქვეყანა A=1	1,5	2	3	2	4	საშუალო ინდექსი $I_p = \sqrt[5]{1,5 * 2 * 3 * 4 * 2} = 2,4$

ასეთი წესით გაანგარიშებული ფასების საშუალო ინდექსი X სასაქონლო ჯგუფისათვის მუპ-ის კერძო შემთხვევაა. ამის საფუძველზე გაიანგარიშება მუპ ანალიზური ჯგუფებისათვის და მშპ-ის კომპონენტებისათვის, ხოლო შემდგომ – მთლიანად მშპ-სათვის. ამისთვის ვიყენებთ პააშესა (1) და ლასპეირესის (2) ინდექსის ტრადიციულ ფორმულებს:

$$\bar{I}_p^p = \frac{\sum W_b}{\sum \frac{W_b}{i_p}} \quad (1) \quad \text{და} \quad \bar{I}_p^L = \frac{\sum i_p \cdot W_a}{\sum W_a} \quad (2)$$

სადაც i_p არის i-ური საქონლის ფასების ინდექსია B ქვეყანაში A ქვეყანასთან შედარებით;

\bar{I}_p^p – პააშეს ინდექსი;

\bar{I}_p^L – ლასპეირესის ინდექსი;

W_a – ცალკეული სასაქონლო ჯგუფის წილი A ქვეყნის მშპ-ში;

W_b – ცალკეული სასაქონლო ჯგუფის წილი B ქვეყნის მშპ-ში.

ამრიგად, პააშესა და ლასპეირესის ფორმულების საფუძველზე ჩვენ ვიღებთ A და B ქვეყნისათვის ფასების ორ საშუალო ინდექსს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვიღებთ მუპ-ის ორ სიდიდეს – ერთი მიიღება, როცა ფასების ინდექსის შეწონვისათვის ვიყენებთ მონაცემებს A ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურის შესახებ, ხოლო მეორე სიდიდე მიიღება, როცა ვიყენებთ მონაცემებს B ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურის შესახებ.

მაგალითი. დავეუშვათ, A და B ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი შედგება 5 სასაქონლო ჯგუფისაგან და თითოეული მათგანისათვის გვაქვს ფასების საშუალო ინდექსი:

საქონლის ჯგუფები	A ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურა	B ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურა	ფასების ინდექსი, ქვეყანა A=1
1 ჯგუფი	10,0	30,0	2,0
2 ჯგუფი	20,0	15,0	1,5

3 ჯგუფი	15,0	5,0	3,0
4 ჯგუფი	25,0	10,0	4,0
5 ჯგუფი	30,0	40,0	4,5
სულ	100,0	100,0	

ამრიგად, ფასების საშუალო ინდექსი შეადგენს:

$$\bar{I}_p^p = \frac{100}{\frac{30}{2} + \frac{15}{1.5} + \frac{5}{3} + \frac{10}{4} + \frac{40}{4.5}} = 2.628.$$

ან

$$\bar{I}_p^L = \frac{2,0 \cdot 10 + 1,5 \cdot 20 + 3,0 \cdot 15 + 4,0 \cdot 25 + 4,5 \cdot 30}{100} = 3,3.$$

უნდა ითქვას, რომ პრაქტიკული მიზნებისათვის მოუხერხებელია გაანგარიშების ორი შედეგი, რომლებიც თავისთავად თეორიულად გამართლებული და კანონზომიერია. ამიტომ ინდექსის ცალსახა მნიშვნელობის მისაღებად გამოიყენება საშუალო გეომეტრიულის ფორმულა, ანუ ფიშერის ინდექსი:

$$\bar{I}_p^F = \sqrt{\bar{I}_p^L * \bar{I}_p^p}$$

ახლა ჩვენ შეგვიძლია მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების ინდექსი გავეოთ ფიშერის ფასების ინდექსზე და მივიღოთ საძიებელი შედეგი, ე.ი. A და B ქვეყნის მშპ-ების ფიზიკური მოცულობების თანაფარდობა:

$$(მშპ_B / მშპ_A) : \bar{I}_p^F = \bar{I}_q$$

სადაც მშპ_A – A ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტია საკუთარ ეროვნულ ვალუტაში.

მშპ_B – B ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი საკუთარ ვალუტაში.

\bar{I}_q – B და A ქვეყნის მშპ-ს ფიზიკური მოცულობის ინდექსი.

\bar{I}_p^F – ფიშერის ფასების ინდექსი.

იგივე შედეგი შეიძლება მივიღოთ სხვა გზითაც: გამოვიყენებთ რა პააშესა და ლასპეირესის ფასების ინდექსს, ორივე ქვეყნის მშპ-ის მონაცემების მიმართ საკუთარ ფასებში, შეიძლება გამოვიანგარიშოთ A ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი B ქვეყნის ფასებში, ხოლო B ქვეყნის მშპ A ქვეყნის ფასებში. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვღებულობთ ფიზიკური მოცულობის ორ ინდექსს მოცემული ქვეყნების წყვილისათვის:

$$I_{B/A}^p = \sum \text{მშპ B - B ქვეყნის ფასებში} / \sum \text{მშპ A - B ქვეყნის ფასებში}$$

$$I_{B/A}^L = \sum \text{მშპ B - A ქვეყნის ფასებში} / \sum \text{მშპ A - A ქვეყნის ფასებში}$$

გამოვიყენებთ რა ფიშერის ფორმულას, შეგვიძლია გავიანგარიშოთ ფიზიკური მოცულობის საშუალო ინდექსი, რომელიც იდენტური იქნება მიღებული ინდექსისა ფორმულაში (4):

$$I_Q = \sqrt{I_{B/A}^{qL} * I_{B/A}^{qP}}$$

აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, ლასპეირესის ფორმულის მიხედვით მიღებული ინდექსები გვაძლევს შედარებით უფრო დიდ სიდიდეებს, ვიდრე პააშეს ფორმულით მიღებული ინდექსები. ეს ფენომენი ცნობილია როგორც „გერშენკრონის ეფექტი“ (ამერიკელი მეცნიერის – გერშენკრონის სახელის მიხედვით, რომელმაც გამოავლინა და აღწერა ეს კანონზომიერება).

საერთაშორისო შედარებების სპეციალისტებს შორის დამოკიდებულება გერშენკრონის ეფექტთან არაერთგვაროვანია. ერთნი თვლიან, რომ „გერშენკრონის ეფექტი“, უნდა მოვაცილოთ გაანგარიშების შედეგს, რადგანაც მას აქვს ცნობილი უზუსტობანი. ამ მიზნისათვის ისინი გვთავაზობენ ინდექსების ისეთ ფორმულას, რომელშიც ქვეყნები მათი სიდიდის მიუხედავად თანაბარი „წონისაა.“ მაგალითად, ფიშერის ფორმულაში აღმოფხვრილია „გერშენკრონის ეფექტი“ რადგან შესადარი ქვეყნების მაჩვენებლები ერთი და იმავე წონებითაა მოცემული.

სხვა სპეციალისტები თვლიან, რომ „გერშენკრონის ეფექტი“ გამოსახავს მოვლენების რეალურ ეკონომიკურ ბუნებას და ინდექსის ფორმულამ, რომელიც გამოიყენება შედარების დროს, არ უნდა აღმოფხვრას ეს ეფექტი. ისინი

გეთავაზობენ საშუალო საერთაშორისო ფასების გამოყენებას, რომელთა სიდიდეზე სხვადასხვა ქვეყნა სხვადასხვა გავლენას (მაგალითად, მათი მშპ-ის სიდიდიდეზე დამოკიდებულებით) ახდენს.

განხილულ პროცედურაში საპასუხისმგებლო ეტაპია საქონლის შერჩევა იდენტური ფასებით.

განასხვავებენ საქონელ-წარმომადგენლის შერჩევის ორ ძირითად პრინციპს:

- შერჩეული საქონლის რეპრეზენტატულობა, ე.ი. მოცემული ქვეყნის ხარჯების სტრუქტურისათვის მათი დამახასიათებლობა.
- პარტნიორი ქვეყნების საქონელ-წარმომადგენელთან შესადარისობა.

ზოგ შემთხვევაში ძნელია ამ ორი პრინციპის შეთავსება, რამდენადაც რეპრეზენტატული საქონელი შეიძლება არ იყოს შესადარისი, ხოლო შესადარისი საქონელი მოცემული ქვეყნისათვის არადამახასიათებელი იყოს. ამიტომ პრაქტიკაში სხვადასხვაკომპრომისსმიმართავენ.

იმ შემთხვევაში, როცა ორი საქონელი თვისებრივი მახასიათებლებით არ არის შესადარი, მიმართავენ ფასებში შესწორების შეტანის პროცედურას ხარისხობრივი სხვაობის გასათვალისწინებლად.

მაგალითი, თუ გვინდა შევადაროთ ფასები რკინის მადნის ერთ ტონაზე, რომელიც შეიცავს რკინის 3%-ს A ქვეყანაში და 6%-ს – B ქვეყანაში, მაშინ ფასების შესადარის ფასებად გადასაყვანადსაჭიროა B ქვეყნის ფასები გავეოთ ორზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნული ფასების შედარებამ, რკინის სხვადასხვა შემცველობის მადანზე შეიძლება არასწორი წარმოდგენა შეგვიქმნას ამ ჯგუფის საქონლის ფასების რეალური თანაფარდობის შესახებ.

საქონლის ფასებზე ასეთი ტიპის მარტივი შესწორებების გამოყენების არეალი სამწუხაროდ ძალიან შეზღუდულია. უფრო რთული საქონლისათვის (ავტომანქანა, ტელევიზორი, მაცივარი და ა.შ.) ფასებში კორექტივების შესატანად, გამოიყენება რეგრესიული ანალიზის მეთოდები.

რეგრესიული ანალიზის მეთოდი გულისხმობს რეგრესიული განტოლების შედგენას, რომელშიც დადგენილია რთული კავშირები საქონლის მნიშვნელოვან პარამეტრებსა და მათ ფასებს შორის. თუმცა ბევრ შემთხვევაში, საქონელ-წარმომადგენლის ფასში შესწორება ხდება ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების მცოდნე, ექსპერტებთან კონსულტაციის საფუძველზე.

მაგალითი. ავტომობილების შემთხვევაში რეგრესიული განტოლება ამყარებს კავშირს ავტომობილის ფასსა და ისეთ პარამეტრებს შორის, როგორცაა – ძრავის სიმძლავრე, ბენზინის მოხმარება ყოველ 100კმ. გარბენზე, კომფორტულობა და ა.შ.

სპეციალურ ლიტერატურაში ამ მეთოდმა მიიღო **გედონური ინდექსის** სახელი. ანალოგიური საქონელ-წარმომადგენლის ფასებით შერჩევის პროცესი გულისხმობს საქონელის დეტალურ აღწერას, რაც იძლევა შიდა ბაზარზე საქონელ-წარმომადგენელთა იდენტიფიკაციის საშუალებას.

საქონელ-წარმომადგენელთა აღწერა უნდა მოიცავდეს:

- საქონლის კოდსა და დასახელებას.
- საქონლის საერთო აღწერას (სამარკო ნიშანი, მოდელი, დამზადების ადგილი და ა.შ.).
- ტექნიკურ პარამეტრებს (ზომა, წონა, მოცულობა, სიმძლავრე და ა. შ.).
- საქონლის მიზნობრივ დანიშნულებას (მისი გამოყენების სფეროს).
- ნახატს (გამოსახულებას).

საქონელ-წარმომადგენელთა ფასის შერჩევისას ინფორმაციის მთავარი წყარო, როგორც წესი, არის:

- მონაცემები სამომხმარებლო ფასების ეროვნული ინდექსის, საბითუმო ფასების ინდექსის გაანგარიშებიდან და ა.შ..
- ფასების სპეციალური გამოკვლევები (მაგალითად, ბევრ ქვეყანაში სამრეწველო დანიშნულების საქონლის ფასებზე მონაცემებს წარმოადგენენ მეწარმეები, სავაჭრო კომპანიები და ა.შ.).
- კატალოგები.
- პრეისკურანტები.

სასაქონლო-წარმომადგენელთა შესაფასებლად გამოიყენება საშუალო ფასები მთლიანი ეკონომიკისათვის, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას ფასების ინდექსსა და ეას-ში მიღებული მშპ-ის შეფასების მეთოდებს შორის.

თუ ერთი და იგივე საქონელი მიეყიდება მოსახლეობას სხვადასხვა არხის მეშვეობით, სხვადასხვა ფასით, საქონელ-წარმომადგენელთა შესაფასებლად გაიანგარიშება საშუალო ფასი, რომელიც შეწონილია შესაბამისი არხებით რეალიზებული საქონლის მოცულობით. სპეციალურ ლიტერატურაში ამ პრინციპმა მიიღო სახელწოდება „**კარტოფილი – ეს კარტოფილია**“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ საქონელზე ორი ქვეყნის ფასების თანაფარდობის ინდექსების გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვები (დანამატები).

დავუშვათ, A და B ქვეყანაში X საქონლის რეალიზაცია წარმოებს 5 არხით და ფასების დონეებში გარკვეული დიფერენციაცია არსებობს:

პროდუქციის მიწოდების არხები	ქვეყანა A			ქვეყანა B			ფასების ინდექსი A/B (B=1)
	Q _a	P _a	Q _a P _a	Q _b	P _b	Q _b P _b	
1-ლი არხი	20	2	40	30	1	30	2
2 არხი	10	4	40	20	2	40	2
3 არხი	40	3	120	40	2	80	1,5
4 არხი	15	5	75	5	2	10	2,5
5 არხი	15	6	90	5	3	15	2,0
სულ	100	3,65	365	100	1,75	175	2,1

ცხრილიდან ჩანს, რომ ორ ქვეყანაში ფასების საერთო ინდექსი შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს ორი მეთოდით: როგორც ყველა არხისათვის საშუალო ფასების შეფარდება ($I_p=3,65:1,75=2,09$) ან რეალიზაციის ცალკეული არხისათვის შესაბამისი ფასების თანაფარდობის გასაშუალოებით. თუ მოცემულ

მაგალითში გამოვიყენებთ საშუალო გეომეტრიულის ფორმულას, მივიღებთ $\bar{I}_p = \sqrt[5]{2 * 2 * 1,5 * 2,5 * 2} = 1,97$.

პრაქტიკაში უპირატესობა ენიჭება პირველ მიდგომას, რომელიც შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ პრინციპს – „კარტოფილი – ეს კარტოფილია“. თუმცა სპეციალისტები, რომლებიც აკრიტიკებენ ამ მეთოდს, აღნიშნავენ, რომ მის საფუძველს წარმოადგენს აბსტრაქცირება სავაჭრო-სატრანსპორტო დანახარჯების დონეებში არსებული განსხვავებისგან და ფასების ინდექსის გაანგარიშებისათვის გეთავაზობენ ფასების ინდექსის გასაშუალოების მეთოდის გამოყენებას.

გაანგარიშების განხილული პროცედურა გამოიყენება **მშპ-ისა და მუპ-ის პირდაპირი წყვილადი შედარების** დროს, ე.ი. შეპირისპირებაში, რომელიც განხორციელდება ამა თუ იმ ქვეყნების წყვილისათვის.

მრავალმხრივი საერთაშორისო შედარებების მეთოდოლოგია

საერთაშორისო შედარებების თეორიაში მიღებულია ერთმანეთისგან განვასხვაოთ პირდაპირი წყვილადი შეპირისპირება და მრავალმხრივი შეპირისპირება, რომლებიც ქვეყნების გარკვეული ჯგუფისათვის ერთდროულად ხორციელდება.

სანამ გავეცნობით მრავალმხრივი საერთაშორისო შედარებების მეთოდოლოგიას, განვიხილოთ საერთაშორისო შედარებებში გამოყენებული ინდექსების მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნები, რომელთა დიდი ნაწილი ჩამოყალიბებულია ინდექსების ეგრეთ წოდებულ აქსიომატურ თეორიებში. ეს მოთხოვნები ფორმულირებულია ლოგიკური დებულებების სახით. მათ შორის ძირითადია:

- **დამახასიათებელი წონების მოთხოვნა** ნიშნავს იმას, რომ ინდექსების გამოანგარიშებისას საინდექსო სიდიდის შეწონვისათვის უნდა გამოვიყენოთ შესაძარი ქვეყნების ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წონები. აშშ-სა და საქართველოს მშპ-ების შედარებისათვის წონებად აუცილებელია გამოვიყენოთ აშშ-ის ან საქართველოს ფასები, ან აშშ-ისა და საქართველოს, და არა რომელიმე მესამე ქვეყნის საშუალო ფასები.

- **ტრანზიტულობის მოთხოვნა** ნიშნავს იმას, რომ ორი ქვეყნისათვის შეპირისპირების შედეგები, რომელიც მიიღება ორი ქვეყნის მაჩვენებლების პირდაპირი შედარების გზით, ტოლი უნდა იყოს ინდექსისა, რომელიც ასახავს ამ ქვეყნების მაჩვენებელთა თანაფარდობას არაპირდაპირი გზით, **მესამე ქვეყნის გამოყენებით**. ეს მესამე ქვეყანა ასრულებს „შუამავლის“ როლს (გადამყვანის როლს).

მაგალითად, თუკი შედარებაში მონაწილეობს A, B და D ქვეყანა, მაშინ A და B ქვეყნის მაჩვენებლების შედარების ინდექსი შეიძლება მივიღოთ A და B ქვეყნის მაჩვენებლების პირდაპირი შეპირისპირებით და აგრეთვე $I_{A/D}$ ინდექსის გაყოფით $I_{B/D}$ ინდექსზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრანზიტულობის მოთხოვნა შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$I_{A/B} = I_{A/D} : I_{B/D}.$$

სადაც $I_{A/B}$ – A და B ქვეყნის პირდაპირი შეპირისპირების ინდექსია;

$I_{A/D}$ – A და D ქვეყნის პირდაპირი შედარების ინდექსი;

$I_{B/D}$ – B და D ქვეყნის პირდაპირი შედარების ინდექსი.

ტრანზიტულობის მოთხოვნა ძალიან მნიშვნელოვანია მრავალმხრივი შედარებისათვის და ნიშნავს იმას, რომ, გარკვეული ქვეყნების ჯგუფისათვის გაანგარიშებული, ინდექსები უნდა იყოს მკაცრად ურთიერთშეთანხმებული და არ იძლეოდეს საწინააღმდეგო შედეგებს.

- **საბაზისო ქვეყნის დამოუკიდებელი შერჩევის მოთხოვნა** – მნიშვნელოვანი მოთხოვნა, როგორც პირდაპირი ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი შედარებებისადმი. ამ დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინდექსის სიდიდე არ უნდა იყოს დამოკიდებული საბაზისო ქვეყნის შერჩევაზე.

მაგალითად, აშშ-ისა და საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს შორის შედარება არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, ინდექსის შემასმენელში საქართველოს ინდექსი იქნება, თუ აშშ-ის ინდექსი.

მათემატიკურად ეს მოთხოვნა ასე ჩაიწერება:

$$I_{A/B} * I_{B/A} = 1.$$

ეს მოთხოვნა ნიშნავს, რომ ინდექსების ნამრავლი, რომლებიც ასახავენ A ქვეყნის მაჩვენებლების შეფარდებას B ქვეყნის მაჩვენებლებთან დაპირიქით, B ქვეყნის მაჩვენებლების შეფარდებას A ქვეყნის მაჩვენებლებთან, უნდა იყოს 1-ის ტოლი.

- **ადიტიურობის მოთხოვნა** ნიშნავს იმას, რომ ინდექსები, რომლებიც მიღებულია მშპ-ის ცალკეული კომპონენტებისათვის, შეთანხმებული უნდა იყოს როგორც ერთმანეთთან, ისე მშპ-ის ინდექსთან მთლიანად.

მაგალითად, არ უნდა დავუშვათ ისეთი მდგომარეობა, როდესაც A ქვეყნის მოხმარების ინდექსი B ქვეყნის მიმართ = 110, დაგროვების = 115, ხოლო მშპ = 120.

ეს მოთხოვნა გულისხმობს იმას, რომ A ქვეყნის მშპ-ის მაჩვენებელი B ქვეყნის ფასებში შეიძლება მიღებულ იქნეს A ქვეყნის მშპ-ის ცალკეული ელემენტების დაჯამებით B ქვეყნის ფასებში (აღსანიშნავია, რომ ინდექსების ბევრი მეთოდი და ფორმულა საშუალებას არ გვაძლევს დავაკმაყოფილოთ ადიტიურობის მოთხოვნა).

- **ფაქტორული სინჯის მოთხოვნა** ნიშნავს იმას, რომ ფასების ინდექსების (მსყიდველობითი უნარის პარიტეტი) და ფიზიკური მოცულობის ინდექსების ნამრავლი ღირებულების ინდექსის ტოლი უნდა იყოს.

ზემოთქმული ზოგიერთი მოთხოვნა ინდექსებისადმი წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. კერძოდ, დამახასიათებელი წონების მოთხოვნა წინააღმდეგობაშია ტრანზიტულობის მოთხოვნასთან, ე.ი. ის ინდექსები, რომლებიც შედარებით სრულად აკმაყოფილებენ დამახასიათებელი წონების მოთხოვნას, როგორც წესი, არატრანზიტულია.

მაგალითად, ფიშერის ინდექსის ფორმულა, რომელიც აკმაყოფილებს დამახასიათებელი წონების მოთხოვნას და რომელიც საშუალებას გვაძლევს თითოეული წყვილი ქვეყნისათვის მივიღოთ ერთმნიშვნელოვანი შედეგი, არ უზრუნველყოფს ტრანზიტულობის მოთხოვნას.

ახლა განვიხილოთ მრავალმხრივი შედარების მეთოდები, რომელთა ინდექსებმა უნდა დააკმაყოფილონ ზემოთ ნახსენები მოთხოვნები.

მრავალმხრივი შედარების თავისებურება მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ ის ტარდება ქვეყნების ჯგუფისათვის, არამედ იმაშიც, რომ ინფორმაცია ქვეყნების მიერ გამოშვებული და გამოყენებული პროდუქციის რაოდენობისა და ფასების შესახებ განიხილება და მუშავდება როგორც ერთიანი სისტემა, რათა მიღებულ იქნეს ურთიერთდაკავშირებული ინდექსების სისტემა, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს რიგი ანალიზური ხასიათის მოთხოვნა.

მაგალითად, თუ ვადარებთ A, B, C, D და E ქვეყნებს და მათი მაჩვენებლები შეუპირისპირდება ერთმანეთს, წყვილადი შედარების საფუძველზე, მაშინ მივიღებთ თითოეული წყვილი ქვეყნისათვის ფიშერის ინდექსებს – A და B, C და D და ა.შ. ასეთი გაანგარიშებები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ნამდვილი მრავალმხრივი შეპირისპირება და მათი შედეგები შეიძლება იყოს ურთიერთსაწინააღმდეგო. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ $A > B$, $B > C$, $C > D$, ხოლო $D > A$, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება პირდაპირი წყვილადი შედარების მეთოდი, რომლის შედეგად მიიღება ფიშერის ინდექსები და ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არატრანზიტულია.

ინდექსების ტრანზიტულობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მრავალმხრივი შეპირისპირების ეკშ-ის მეთოდით (ამ მეთოდის დასახელება შედგება იმ სამი სპეციალისტის გვარის პირველი ასოებისაგან, რომლებმაც შეიმუშავეს ეს მეთოდი – უნგრელი სტატისტიკოსები – ო. ელტეტე და პ. კევეში, პოლონელი სტატისტიკოსი ბ. შულცი).

A და B ქვეყნისათვის ეკშ-ის ინდექსის ფორმულას აქვს ასეთი სახე:

$$I_{A/B} = \left[F_{A/B}^2 \prod_{j=1}^n \frac{F_{Aj}}{F_{Bj}} \right]^{\frac{1}{n}}, \quad J \neq A, B,$$

სადაც $F_{A/B}$ – ფიშერის ინდექსია A და B ქვეყნისათვის.

F_{Aj} – ფიშერის ინდექსი A და j ქვეყნისათვის.

F_{Bj} – ფიშერის ინდექსი B და j ქვეყნისათვის.

n – შესადარი ქვეყნების რიცხვი.

j – A, B, C j.

ეკშ-ის ფორმულის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მიღებულ იქნეს ისეთი ინდექსი, რომელიც დააკმაყოფილებს ტრანზიტულობის მოთხოვნას და მხოლოდ მცირედ იქნება გადახრილი ფიშერის ინდექსისაგან.

შევნიშნავთ, რომ ეკშ-ის ფორმულაში მოცემული ორი წყვილის ქვეყნის (A და B) ფიშერის ინდექსს წონად აქვს 2. გარდა ამისა, გაანგარიშებაში გაითვალისწინება მოცემული ქვეყნების წყვილისათვის ქვეყანა-შუამავლის მეშვეობით, ირიბი გზით მიღებული ფიშერის ინდექსები (მაგალითად, A ქვეყნის ინდექსი B ქვეყნის მიმართ შეიძლება მიღებულ იქნეს ფიშერის A/C ინდექსის გაყოფით ფიშერის B/C ინდექსზე).

ამრიგად, A და B ქვეყნებისათვის ეკშ-ის ინდექსი – ეს არის საშუალო ინდექსი A და B ქვეყნისათვის, რომელიც მიღებულია ფიშერის პირდაპირი და არაპირდაპირ გაანგარიშებული ყველა შესაძლებელი ინდექსებისაგან.

მაგალითად, თუ ერთმანეთს შეუპირისპირდება ოთხი ქვეყანა A, B, C და D, მაშინ ეკშ-ს ინდექსებს შემდეგი სახე ექნება:

$$ეკშ_{A/B} = \sqrt[n]{(F_{A/B})^2 \cdot (F_{A/C} : F_{B/C}) \cdot (F_{A/D} : F_{B/D})};$$

$$ეკშ_{A/C} = \sqrt[n]{(F_{A/C})^2 \cdot (F_{A/D} : F_{C/D}) \cdot (F_{A/B} : F_{C/B})};$$

$$ეკშ_{A/D} = \sqrt[n]{(F_{A/D})^2 \cdot (F_{A/B} : F_{D/B}) \cdot (F_{A/C} : F_{D/C})};$$

$$ეკშ_{C/D} = \sqrt[n]{(F_{C/D})^2 \cdot (F_{C/A} : F_{D/A}) \cdot (F_{C/B} : F_{D/B})}.$$

ეკშ-ის ინდექსი აკმაყოფილებს ტრანზიტულობისა და ქვეყნის დამოუკიდებელი შერჩევის მოთხოვნებს, მაგრამ არ აკმაყოფილებს ადიტიურობის მოთხოვნას, რაც არსებითად მისი ნაკლია.

განვიხილოთ ეკშ-ის გაანგარიშების პროცედურა შემდეგი მონაცემების მიხედვით:

საქონელ- წარმომადგენლები X სასაქონლო ჯგუფისათვის ქვეყნები	1	2	3	4	5	6	7	8
	ფასები							
A	2	6	–	–	10	–	1	4
B	12	35	3	5	40	–	–	18
C	25	50	7	12	–	10	–	–
D	150	400	–	100	–	70	80	–
	თანაფარდობა ფასებში საქონელ-წარმომადგენლებზე							
B/A	6	5,83	–	–	4	–	–	4,5
C/A	12,5	8,33	–	–	–	–	–	–
D/A	75	66,67	–	–	–	–	80	–
C/B	2,08	1,42	2,3	2,4	–	–	–	–
D/B	12,5	11,42	–	20	–	–	–	–
D/C	6	8	–	8,3	–	7	–	–

გავიანგარიშოთ ქვეყნების თითოეული წევრისათვის საშუალო ინდექსები. ამისთვის გამოვიყენოთ საშუალო გეომეტრიულის ფორმულა:

$$B/A = \sqrt[4]{6*5,83*4*4,5} = 5,009; \quad C/A = \sqrt{12,5*8,33} = 10,204;$$

$$D/A = 73,682; \quad C/B = 2,009; \quad D/B = 14,186; \quad D/C = 7,267.$$

მიღებული ინდექსები არატრანზიტულია. მაგალითად, ინდექსი, რომელიც მიღებულია A და B ქვეყნის მაჩვენებლების შეპირისპირებით, არ უტოლდება არაპირდაპირი გზით მიღებული ინდექსს C ქვეყანა-შუამავლის მეშვეობით:

$$B/A = C/A : C/B, \quad \text{ეკ}^{\text{შ}}_{B/A} = \frac{10,204}{2,009} = 5,078 > 5,009.$$

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრანზიტულობის მოთხოვნას აკმაყოფილებს ეკშ-ის ფორმულით გაანგარიშებული ინდექსები.

მაგალითად, ეს ინდექსი, განკუთვნილი A და B ქვეყნისათვის, ცხრილში მოცემული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი სახით:

$$\text{ეკ}^{\text{შ}}_{B/A} = \sqrt[4]{(5,009)^2 * 10,204 / 2,009 * 73,682 / 14,186} = 5,072.$$

შევნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში ფესვის ქვეშ გამოყენებულია არა ფიშერის ინდექსები, არამედ საშუალო გეომეტრიულიები.

საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება, გირი-კამისის მეთოდი. ამ ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$\bar{P}_i = \sum_{j=1}^m \frac{P_{ij}}{R_j} \left[\frac{q_{ij}}{\sum_{j=1}^m q_{ij}} \right]. \quad i = 1 \dots n, R_j = \frac{\sum_{i=1}^n P_{ij} q_{ij}}{\sum_{i=1}^n \bar{P}_i q_{ij}} \quad j = 1 \dots m,$$

სადაც R_j – j ქვეყნის ვალუტის მუპ იმ ვალუტასთან მიმართებით, რომელიც მიღებულია ბაზად.

\bar{P}_i – i - რი საქონლის საშუალო საერთაშორისო ფასი.

P_{ij} – i საქონლის ფასი j ქვეყანაში.

q_{ij} – i საქონლის რაოდენობა j ქვეყანაში.

n – საქონლის რიცხვი.

m – ქვეყნების რიცხვი.

ამრიგად, გირი-კამისის მეთოდი, გვაძლევს წრფივი განტოლების სისტემის ამოხსნის საშუალებას, რის შედეგადაც ერთდროულად განისაზღვრება მუპ (R_j)

და საშუალო საერთაშორისო ფასები $(\bar{P})_i$. ყველა ქვეყნის მაჩვენებლის გადაყვანა საერთაშორისო ფასებში საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ისეთი ინდექსები, რომლებიც ტრანზიტული, ადიტიურია და აკმაყოფილებს საბაზისო ქვეყნის არჩევის დამოუკიდებლობის მოთხოვნას. თუმცა გირი-კამისის ინდექსი არ აკმაყოფილებს დამახასიათებელი წონების მოთხოვნას.

მრავალმხრივი შედარების კიდევ ერთი მეთოდია უოლშის მეთოდი:

$$\bar{I}_{A/B} = \prod_{i=1}^n R_{iA/B}^{(M_i)}$$

სადაც $R_{iA/B}$ – არის ვალუტის მუპ ცალკეული i სასაქონლო ჯგუფისათვის (იგი გამოიანგარიშება როგორც მარტივი საშუალო გეომეტრიული A და B ქვეყნის საქონელ-წარმომადგენლებზე ფასების შეფარდებიდან).

M_i – i სასაქონლო ჯგუფის წილი მაკროაგრეგატში, მაგალითად, მშპ-ში. (M_i გაიანგარიშება როგორც შეპირისპირებაში მონაწილე ყველა ქვეყნის მოცემული სასაქონლო ჯგუფის წილის საშუალო მაგალითად, თუ A, B, C, D ქვეყნებში ხორცის პროდუქტებზე ხარჯების წილი შეადგენს 5, 6 და 7-ს, მაშინ მოცემული სასაქონლო ჯგუფისათვის $M=6$).

აგხსნათ უოლშის ინდექსის გაანგარიშების პროცედურა: დაუშვათ, რომ შედარებაში მონაწილეობს სამი ქვეყანა A, B, C და ყველა ქვეყნის მშპ შედგება სამი სასაქონლო ჯგუფისაგან. ამ სასაქონლო ჯგუფების მუპ-ის ინდექსები და მათ ხვედრით წილები წარმოდგენილია ცხრილში:

სასაქონლო ჯგუფები	A ქვეყნი სსტრუქტურა	B ქვეყნი სსტრუქტურა	C ქვეყნი სსტრუქტურა	A/B ფასები სინდექსები	C/B ფასები სინდექსები	საშუალო სსტრუქტურა
I	20,0	40,0	60,0	1,5	4,0	40,0
II	30,0	40,0	20,0	2,0	6,0	30,0
III	50,0	20,0	20,0	3,0	5,0	30,0
ჯამი	100,0	100,0	100,0	–	–	100,0

უოლშის ინდექსის საფუძველზე A, B, C ქვეყნების ფასების საშუალო ინდექსების (მუპ) მისაღებად ვახდენთ შემდეგ გაანგარიშებებს:

$$I_{A/B} = 1,5^{0,4} * 2,0^{0,3} * 3,0^{0,3} = 2,01; I_{C/B} = 4,0^{0,4} * 6,0^{0,3} * 5,0^{0,3} = 4,83.$$

უოლშის ინდექსები ტრანზიტულია და ეს არის მისი ღირსება. ისინი აკმაყოფილებენ საბაზისო ქვეყნის შერჩევისგან დამოუკიდებლობის მოთხოვნას, თუმცა არ აკმაყოფილებენ ადიტიურობის მოთხოვნას.

საერთაშორისო მრავალმხრივი შედარების მეთოდია აგრეთვე **ჯირარდის მეთოდი**, რომელიც ეფუძნება საშუალო საერთაშორისო ფასების გამოყენებას. (ისინი გაიანგარიშება საშუალო ეროვნული ფასებისგან მარტივი საშუალო გეომეტრიულის ფორმულით). ამ მეთოდით მიღებული ინდექსები აკმაყოფილებს ტრანზიტულობის, ადიტიურობისა და საბაზისო ქვეყნის შერჩევისგან დამოუკიდებლობის მოთხოვნებს. ჯირარდის ფორმულის გამოყენება გვაძლევს შეპირისპირების შედეგებზე „გერშენკრონის ეფექტის“ გავლენის თავიდან აცილების საშუალებას. მაგრამ საშუალო საერთაშორისო ფასების ეკონომიკური შინაარსი, გაანგარიშებული ჯირარდის ფორმულით, ბუნდოვანია. მიუხედავად ამისა, გარკვეული პერიოდის მანძილზე ჯირარდის ფორმულას ევროსტატიყენებდა ევროპული ქვეყნების მშპ-სა და მუპ-ის შესადარებლად.

ზოგიერთ შემთხვევაში მრავალმხრივი შეპირისპირებისას გამოიყენება **ცენტრალური ქვეყნის მეთოდი**. ყველა ქვეყნის მშპ-ის მაჩვენებლები შეუპირისპირდება ერთი ქვეყნის მშპ-ს, რომელიც მიღებულია საბაზისოდ (ცენტრალურად). ამ შემთხვევაში ნებისმიერი წყვილი ქვეყნის ინდექსები (მხოლოდ იმ წყვილი ქვეყნების გამოკლებით, რომლიდანაც ერთ-ერთი ქვეყანა არ გვევლინება ცენტრალურ ქვეყნად), გაიანგარიშება არაპირდაპირი გზით ამ ქვეყნების მაჩვენებლების ინდექსების ცენტრალური ქვეყნის მაჩვენებლებთან შეპირისპირების დახმარებით.

მაგალითად, თუკი შეპირისპირებაში მონაწილეობს ოთხი ქვეყანა – A, B, C და D, ხოლო ცენტრალურ ქვეყნად ითვლება A ქვეყანა, მაშინ ინდექსი, რომელიც ახასიათებს B და C ქვეყნის შეპირისპირების მაჩვენებლებს, გამოიანგარიშება ასე:

$$I_{B/C} = I_{B/A} : I_{C/A}.$$

ასეთი მეთოდით მიღებული ინდექსები ტრანზიტულია, მაგრამ ტრანზიტულობა მიიღწევა გარკვეულ წილად, მექანიკური გზით. ეს ნიშნავს იმას, რომ არაპირდაპირი გზით გაანგარიშებული ინდექსი ($I_{B/C}$) იქნება განსხვავებული B და C ქვეყნის პირდაპირი შეპირისპირებით გამოანგარიშებული ინდექსისაგან ($I_{B/C}$).

გარდა ამისა, ცენტრალური ქვეყნის მეთოდით გაანგარიშებული ინდექსი არ აკმაყოფილებს ცენტრალური ქვეყნის შერჩევის დამოუკიდებლობის მოთხოვნას. ეს ნიშნავს იმას, რომ, თუ ცენტრალურ ქვეყნად არჩეულ იქნებოდა D ქვეყანა და არა A ქვეყანა, მაშინ ყველა სხვა ქვეყნის მაჩვენებელთა თანაფარდობა სხვანაირი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით ცენტრალური ქვეყნის მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო შეპირისპირებაში, არ განიხილება მრავალმხრივი შეპირისპირების სრულყოფილ მეთოდად. მისი გამოყენება ხდება, ძირითადად, სხვადასხვა პრაქტიკულ შემთხვევაში – ამომწურავი ინფორმაციის არქონის, რესურსების ეკონომიის და ა. შ. დროს.

ლექცია 6. საგარეო ეკონომიკური კავშირების სტატისტიკა

სალექციო საკითხები

1. საგარეო ეკონომიკური კავშირების არსი და სტრუქტურა
2. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ორგანიზაცია, ძირითადი ცნებები და მაჩვენებელთა სისტემა
3. საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის მახასიათებელი მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია
4. შრომის საერთაშორისო დანაწილების მაჩვენებლები
5. საერთაშორისო სასაქონლო ბირჟები და მათი დახასიათება
6. საერთაშორისო კონიუნქტურული სტატისტიკა

საგარეო ეკონომიკური კავშირების არსი და სტრუქტურა

საგარეო ეკონომიკური კავშირი მოიცავს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას და საგარეო ვაჭრობას.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობა გააჩნია რთული და ისტორიულად განვითარებადი ხასიათი, რაც განპირობებულია იმ ფორმების მრავალსახეობით, რომლითაც ის ხორციელდება. ამ დროს ეს მრავალსახეობა დამოკიდებულია მისი ისტორიული განვითარების დონეზე.

თანამედროვე საგარეო ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება ისეთ ძირითად ფორმებში, როგორცაა საგარეო ვაჭრობა, საერთაშორისო საწარმოო კოოპერაცია, საერთაშორისო საინვესტიციო თანამშრომლობა, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, სავალუტო-საფინანსო ოპერაციები, საერთაშორისო დაკრედიტება. მოცემული ფორმები დაკავშირებულია ერთმანეთთან, ამდენად თითოეულის განვითარება მოქმედებს დანარჩენზე.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტრუქტურაში განსკუთრებული ადგილი უკავია საგარეო ვაჭრობას. ის არა მხოლოდ მარტივი, ისტორიულად პირველი, არამედ ყველაზე დინამიურად განვითარებადი ფორმაა, საგარეო ვაჭრობის როლი იმდენად დიდია, რომ მას ხშირად აიგივებენ მთლიან საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან.

საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას მიეკუთვნება:

- საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი;
- შრომის საერთაშორისო კოოპერაცია;
- ქვეყნის რეზიდენტების ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა არარეზიდენტებთან;
- სამუშაო ძალის ტრანსსაზღვრითი მოძრაობა;
- საერთაშორისო ტურიზმი;
- საგარეო ეკონომიკური სატრანსპორტო, სადაზღვევო, საკრედიტო და სხვა ოპერაციები.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შედეგები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ხასიათდება სექტორი „დანარჩენი მსოფლიოს“ ანგარიშებში. ეას-ის 1993 წლის ვარიანტში ამ სექტორისათვის გამოყოფილია შემდეგი ანგარიშები:

- საქონლისა და მომსახურების საგარეო ანგარიში;
- პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერების ანგარიში;
- კაპიტალთან ოპერაციების საგარეო ანგარიში;
- ფინანსური ანგარიში;
- აქტივების მოცულობაში დანარჩენი ცვლილებების ანგარიში;
- გადაფასების ანგარიში;
- აქტივებისა და ვალდებულებების საგარეო ანგარიში.

საქონლისა და მომსახურების საგარეო ანგარიში ახასიათებს საქონლისა და მომსახურების მოძრაობას ქვეყნებს შორის. ამ ანგარიშში განისაზღვრება დამაბალანსებელი მუხლი „საქონლისა და მომსახურების საგარეო ბალანსი“.

ბალანსი შეიძლება იყოს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი. ექსპორტის იმპორტზე გადამეტებისას სადღო მოცემული ქვეყნისათვის იქნება დადებითი, ე.ი. ხელსაყრელი.

პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერების ანგარიში ახასიათებს პირველადი შემოსავლების ფორმირებას და მის განაწილებას სხვა ქვეყნებთან მიმართებით. პრაქტიკულად, ის მოიცავს შიდა ეკონომიკის სამ ანგარიშს:

- შემოსავლების ფორმირების ანგარიშს;
- პირველადი შემოსავლების ფორმირების ანგარიშს;

- პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშს.

ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია მიმდინარე საგარეო ბალანსი. დადებითი ბალანსი ასახავს მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებით მიმდინარე ოპერაციების სიჭარბის სიდიდეს, ხოლო უარყოფითი – დეფიციტს.

კაპიტალთან ოპერაციების საგარეო ანგარიში მოიცავს ქვეყნებს შორის მიმართებით კაპიტალური ტრანსფერებისა და არააღდგენითი, არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ოპერაციებს. *ანგარიშში დამაბალანსებელ მუხლს ეწოდება „წმინდა დაკრედიტება ან წმინდა სესხება“.* ამ მუხლის მიხედვით დადებითი შედეგი ახასიათებს მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებიდან მიღებული სესხების თანხას, ხოლო უარყოფითი – მოცემული ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნებისათვის გამოყოფილ კრედიტებს.

ფინანსურ ანგარიშზე აისახება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობა რეზიდენტებისაგან არარეზიდენტებისკენ და პირიქით. საგარეო ფინანსურ ანგარიშზე ასახული მაჩვენებლები შიდა ეკონომიკის ფინანსური ანგარიშის მაჩვენებლების იდენტურია.

აქტივების მოცულობაში დანარჩენი ცვლილებების ანგარიში ასახავს საზღვარგარეთ განლაგებული რეზიდენტების აქტივებში ცვლილებებს (არაკომპენსირებული კონფისკაციები, ჩამოწერილი უიმედო ვალები, ცვლილებები კლასიფიკაციებში და სტრუქტურაში). *ამ ანგარიშში დამაბალანსებელ მუხლს ეწოდება „ცვლილებები საკუთარ კაპიტალში აქტივების მოცულობაში დანარჩენი ცვლილებების შედეგად“.*

გადაფასების ანგარიში ასახავს ცვლილებას აქტივებში გამოწვეულს სავალუტო კურსებისა და ფასების ცვლილებით. მასში აისახება ჰოლდინგური მოგების სამი სახეობა: ნომინალური ჰოლდინგური მოგება; ნეიტრალური ჰოლდინგური მოგება; რეალური ჰოლდინგური მოგება. *ამ ანგარიშში განისაზღვრება დამაბალანსებელი მუხლი – „ცვლილებები საკუთარ კაპიტალში ნომინალური ჰოლდინგური მოგების (ზარალის) შედეგად“.*

აქტივებისა და ვალდებულებების საგარეო ანგარიში შედგება სამი ბალანსისაგან:

- აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსი პერიოდის დასაწყისისათვის;
- აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსი პერიოდის განმავლობაში;
- აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსი პერიოდის ბოლოსათვის.

ამ ანგარიშში განისაზღვრება დამაბალანსებელი მუხლი „ცვლილება საკუთარ კაპიტალში“, როგორც სხვაობა აქტივებში ცვლილებებსა და ვალდებულებებში ცვლილებებს შორის.

ყველა საგარეო აგარიშის თავისებურება არის ის, რომ რესურსები და გამოყენება აისახება „დანარჩენი მსფლიოს“ თვალსაზრისით, ე.ი. სხვა ყვეყნების. საგარეოეკონომიკური კავშირების სტატისტიკა მიეკუთვნება დარგობრივი სტატისტიკების განყოფილებას.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ორგანიზაცია, ძირითადი ცნებები დამაჩვენებელთა სისტემა

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ახასიათებს საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობას, მათ დინამიკას, გეოგრაფიულ განლაგებას, სასაქონლო შემადგენლობას, მსოფლიო ვაჭრობაში მონაწილეობას.

ვაჭრობის სტატისტიკური დაკვირვების ობიექტია საქონელი, რომელიც საბაჟო პროცედურების წესების შესაბამისად გადაკვეთავს ქვეყნის სახელმწიფო საზღვარს.

მსოფლიო სტატისტიკურ პრაქტიკაში საქონელი, რომელიც ექვემდებარება საბაჟო დამუშავებას მიეკუთვნება ხილვად საქონლთა კატეგორიას. ხილვადი საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა არის საგარეო ეკონომიკური კავშირის სტატისტიკის შემადგენელი ნაწილი.

ექსპორტში (იმპორტი) შედის საქონელი, რომელთა შემოტანა (გატანა) ზრდის ან ამცირებს ქვეყნის მატერიალურ რესურსებს:

- საქონელი ნაყიდი (გაყიდული) მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ ორგანიზებულ ბაზრობებზე და გამოყენებზე;

- საქონელი, მიწოდებული გაერო-ს ტექნიკური დახმარების ფონდის ხარჯზე, უსასყიდლო დახმარების, ნაჩუქრობის სახით;
- არამონეტარული ოქრო და ვერცხლი, რომელიც არ გამოდის საგადასხდელო საშუალებების სახით;
- სამხედრო დანიშნულების საქონელი;
- ელექტროენერგია, წყალი, საქონლის მიწოდება მილსადენებით;
- რეექსპორტული საქონელი ქვეყანაში შემოტანით;
- შემოტანილი (გატანილი) კინო და ტელე-ფილმები, ლიცენზიის ჩათვლით;
- მიმოქცევაში არ მყოფი ფასიანი ქაღალდები, ბანკნოტები და მონეტები;
- საქონელი შემოტანილი (გატანილი), მათი გადამუშავების მიზნით;
- პირადი ხასიათის საფოსტო გზავნილები;
- ჩამორთმეული (კონფსიკაცია) იმპორტული საქონელი.

საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკისათვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურება:

- სტატისტიკა აღრიცხავს მხოლოდ იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელიც გადაკვეთავს საბაჟო საზღვარს;
- სტატისტიკა აღრიცხავს საქონლის მოძრაობას კომერციულ და არაკომერციულ საფუძველზე (მაგალითად, ქვეყნის მიერ მიღებული ჰუმანიტარული დახმარება ჩაირთვება იმპორტში, ხოლო გაცემული – ექსპორტში) საბაჟო საზღვრის გავლით.

საერთაშორისო პრაქტიკაში ვაჭრობა იყოფა საერთო და სპეციალურზე. საერთოვაჭრობა წარმოადგენს ყველა კომერციული ოპერაციების ჯამს. სპეციალური ვაჭრობა ახასიათებს შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი იმპორტის ღირებულებას, და ექსპორტირებული სამამულო წარმოების საქონლის ღირებულებას.

მსოფლიო ვაჭრობის რეგულირების საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან:

- ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაცია – გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება. მან მოქმედება დაიწყო 1995 წელს და მისი საქმიანობის

ძირითადი მიმართულებაა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე დაშვების უზრუნველყოფა.

- გაეროს განვითარებისა და ვაჭრობის კონფერენცია. ის შეიქმნა გაეროს გენერალური ასაბლეს რეზოლუციის თანახმად 1964 წელს გაეროს მუდმივი სპეციალური ორგანოს სახით. კონფერენციის პირველი სესია ჩატარდა ჟენევაში;
- საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი შეიქმნა 1964 წელს ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების წევრ ქვეყნების გადაწყვეტილებით.
- მინისტრთა კონფერენცია – საერთაშორისო ორგანო დამტკიცებული 1995 წელს. კონფერენციის მოწვევა ხდება ორ წელიწადში ერთხელ.

ამჟამად გაეროს ჩარჩოებში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ძირითად სამუშაოს ასრულებს 1960 წელს შექმნილი *საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის ცენტრი*. ის ახორციელებს ქვეყნების საგარეო ვაჭრობაზე, სასაქონლო და ტერიტორიულ ასპექტში, მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და პუბლიკაციის ყველა სამუშაოს. ეს ცენტრი ფუნქციონირებს, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, მაგრამ მჭიდრო კავშირი აქვს გაეროს სხვა ორგანოებთან, და უწინარესად გაეროს განვითარებისა და ვაჭრობის კონფერენციასთან.

საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის მახასიათებელი

მაჩვენებლები დამათი გაანგარიშების მეთოდით

საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის დასახასიათებლად გაიანგარიშება მაჩვენებელთა სისტემა, რომელშიც შედის შემდეგი მაჩვენებლები:

1. საქონლის ექსპორტი;
2. საქონლის რეექსპორტი;
3. საქონლის იმპორტი;
4. საქონლის რეიმპორტი;
5. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა;
6. საგარეო ვაჭრობის სალდო;
7. მსოფლიო ექსპორტი;
8. მსოფლიო იმპორტი;
9. მსოფლიო საქონელბრუნვა;
10. მსოფლო ვაჭრობის სალდო.

საქონლის ექსპორტი. საქონლის ექსპორტში იგულისხმება ქვეყნიდან სამამულო წარმოების, მოყვანილი საქონლის, ან მოპოვებული მთამადნეულის გატანა. სამამულო წარმოების საქონელს მიეკუთვნება ასევე ქვეყანაში შემოტანილი უცხოური წარმოშობის საქონელი, რომელიც იქნა არსებითად გადამუშავებული, რის შედეგად შეიცვალა მისი ძირითადი თვისობები ან ტექნიკური დახასიათებები. ამ ელემენტების ჯამი შედგენს **სპეციალურ ექსპორტს**.

საქონლის რეექსპორტი – სხვა ქვეყნებიდან ადრე იმპორტირებული საქონლის გაყიდვა საზღვარგარეთ.

საქონლის იმპორტი – საზღვარგარეთიდან უცხოური წარმოშობის საქონლის შემოტანა. აქ შედის: შიდა მოხმარების ან გადამუშავების მიზნით შემოტანილი საქონელი; საბაჟო კონტროლის ქვეშ გადასამუშავებლად შემოტანილი საქონელი; მიწერილ საბაჟო საწყობებში გადასამუშავებლად შემოტანილი საქონელი.

საქონლის რეიმპორტი – საზღვარგარეთიდან იმ სამამულო საქონლის უკან შემოტანა, რომელიც არ დაექვემდებარა გადამუშავებას (მსგავსი შეიძლება მოხდეს კონტრაქტის რომელიმე პირობის დარღვევის მიზეზით).

ექსპორტის მოცულობა, სტრუქტურა და ასორტიმენტი დამოკიდებულია ქვეყნის სავალუტო რეზერვებსა და ექსპორტის ამონაგებზე.

ქვეყნის ექსპორტში და იმპორტში შედის ასევე საქონელი რომლის შემოტანა და გატანა ხორციელდება არაკომერციულ საფუზველზე (უსასყიდლო დახმარების ან ნაჩყრობის ფორმით).

საგარეო ვაჭრობის ბრუნვა (საგარეო ვაჭრობის საერთო საქონელბრუნვა). ის ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ჯამის ტოლია.

საგარეო ვაჭრობის სალდო – ის ექსპორტის ღირებულებისა და იმპორტის ღირებულებას შორის სხვაობაა. საგარეო ვაჭრობის სალდო შეიძლება იყოს **აქტიური ან პასიური**. აქტიური სალდოს დროს ექსპორტი ჭარბობს იმპორტს, პასიურისას – იმპორტი ჭარბობს ექსპორტს. ტოლობა ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებებს შორის ატარებს **ნეტო-ბალანსის** სახელწოდებას.

მსოფლიო ექსპორტი – ყველა ქვეყნის ექსპორტის ჯამი.

მსოფლიო იმპორტი – ყველა ქვეყნის იმპორტის ჯამი.

ღირებულებით გამოსახულებაში მსოფლიო ექსპორტი და მსოფლიო იმპორტი ერთმანეთის ტოლი არაა. ეს განპირობებულია შემდეგი მიზეზით:

- ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვის დროის დაცილებულობით (A ქვეყანამ დეკემბრის ბოლოს გააგზავნა თავისი საქონელი B ქვეყანაში, B ქვეყანამ მიიღო ის მომდევნო წლის იანვარში. მაშასადამე, ეს საქონელი A ქვეყანის მიერ იქნება ექსპორტის მოცულობაში ჩართული დეკემბერში, ხოლო B ქვეყანის მიერ – იმპორტის მოცულობაში იანვარში);
- ღირებულებით შეფასებებში განსხვავებებით (ექსპორტის შეფასება ხდება FOB ფასით, იმპორტის – CIF ფასით).

FOB ფასი მოიცავს:

- საქონლის საკონტრაქტო ღირებულებას;
- ხარჯებს დაკავშირებულს საქონლის გემის ბორტზე მიტანასთან;
- საქონლის დატვირთვას;
- საექსპორტო ბაუს.

CIF ფასი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- საქონლის ღირებულებას;
- საქონლის დაზღვევის ხარჯებს;
- საზღვრამდე ტრანსპორტირების ხარჯებს (ფრახტს).

მსოფლიო საქონელბრუნვა (მსოფლიო ვაჭრობის საერთო მოცულობა) – ესაა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ექსპორტის ჯამი (იმპორტის გარეშე). მისი გაანგარიშების ასეთი წესი აიხსნება იმით, რომ საქონლის ექსპორტი ყველა ქვეყნიდან შეესატყვისება ამ ქვეყნებში საქონლის იმპორტს.

ჩამოთვლილი აბსოლუტური მაჩვენებლების საფუძველზე გაიანგარიშება რიგი შეფარდებული მაჩვენებელი.

ექსპორტული კვოტა = ცალკეული საქონლის ექსპორტი/ამ საქონლის წარმოების მოცულობა.

ამდგვარად გაანგარიშებული ექსპორტული კვოტა გამოიყენება ექსპორტული ოპერაციების რეგულირებისათვის, ე.ი. საქონლის გატანაზე კონტროლისათვის.

ექსპორტული კვოტა = ქვეყნის ექსპორტი/ მსოფლიო საქონელბრუნვა.

ამდგვარად გაანგარიშებული ექსპორტული კვოტა ახასიათებს ქვეყნის წილს მსოფლიო ვაჭრობაში.

ექსპორტული კვოტა = ქვეყნის ექსპორტი/ ქვეყნის მშპ.

ამდგვარად გაანგარიშებული ექსპორტული კვოტა ახასიათებს ექსპორტის მნიშვნელობას ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

ექსპორტული კვოტა = ცალკეული საქონლის იმპორტი/მოცემული საქონლის წარმოების მოცულობა.

მოცემული კვოტა შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც იმპორტის შეზღუდვის საზომი შიდა ბაზრის დასაცავად.

ექსპორტული კვოტა = იმპორტის ღირებულება/ მშპ.

ეს კვოტა ახასიათებს იმპორტის მნიშვნელობას ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

მაშასადამე ტერმინი „კვოტა“ სავარეო ვაჭრობაში გამოიყენება სამი მნიშვნელობით:

1. როგორც საქონლის შემოტანისა და გატანის რაოდენობრივი შეზღუდვის მეთოდი;
2. როგორც მსოფლიო ვაჭრობაში ქვეყნის წილის მახასიათებელი მაჩვენებელი;
3. როგორც ქვეყნის ეკონომიკისათვის ექსპორტისა და იმპორტის მნიშვნელობის მაჩვენებელი.

იმპორტით ექსპორტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი = ქვეყნის ექსპორტი/ ქვეყნის იმპორტი.

თუ ეს მაჩვენებელი 1-ზე მეტია, მაშინ ამონაგები მთლიანად ფარავს საჭირო საქონელის იმპორტზე ქვეყნის ხარჯებს და არეზერვებს ვალუტის ნაწილს.

წარმოებიდან ექსპორტის ელასტიკურობის კოეფიციენტი = $\frac{\Delta y}{\Delta x}$, სადაც Δy არის

ექსპორტის მატეხის ტემპი %=ში; Δx – წარმოების მატეხის ტემპი %=ში;

ის შეიძლება გაანგარიშდეს მთლიანად ექსპორტირებული საქონლის მიხედვით (ღირებულებით გამოსახულებაში) ან ექსპორტირებული საქონლის ცალკეული სახეობების მიხედვით (ნატურალურ გამოსახულებაში).

ელასტიკურობის კოეფიციენტი (მაგალითად ცალკეული საქონლის მიხედვით) უჩვენებს თუ, რამდენი პროცენტით გაიზარდა მოცემული საქონლის ექსპორტი მისი წარმოების ერთი პროცენტით გადიდებისას.

მსოფლო ვაჭრობის საღდო ესაა სხვაობა მსოფლიო ექსპორტისა და იმპორტის ჯამებს შორის. ის ყოველთვის უარყოფითია იმ მიზეზით, რომ ექსპორტი აღირიცხება FOB ფასებით, ხოლო იმპორტი – CIF ფასებით. CIF მეტია FOB-ზე ფრახტისა და დაზღვევის ღირებულებით.

საერთაშორისო შედარებისათვის ყველაზე გამოყენებადია საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობის *ნატურალური მაჩვენებლები*.

მსოფლიო ვაჭრობაში ბრუნვადი საქონლის უმეტესობა გაიზომება წონის ერთეულებში: ტონა, ცენტნერი, კილოგრამი, ინგლისური ფუნტი. ეს იძლევა, სხვადასხვა ქვეყანაში ერთი და იგივე საქონლის მიხედვით გამოყენებული საზომი ერთეულების არსებითი განსხვავებებისას, ერთგვაროვანი ინფორმაციის მიღების საშუალებას.

ამ დროს საქონელი შეიძლება აღირიცხოს: **ბრუტო წონით** (საქონლის წონა გარე და შიგა ტარით); **ნეტო წონით** (საქონლის წონა გარე და შიგა ტარის გარეშე, თუმცა უახლოესი შიდა შეფუთვა, რომელიც გადადის მომხმარებელთან საქონელთან ერთად, აღირიცხება ნეტო წონაში).

ნეტო წონა ყველაზე მისაღებია ეკონომიკური ანალიზისათვის და სხვადასხვა ქვეყნის ერთი და იგივე საქონლის გაყიდვების შეპირისპირების განსახორციელებლად, ხოლო ბრუტო წონა გადაზიდვების საერთო მოცულობის ანალიზისას.

რეალიზებული საქონლის რაოდენობრივი აღრიცხვა ნატურალურ გამოსახულებაში საჭიროა:

- სხვადასხვა ბალანსის შედარებისას;
- საგარეო ვაჭრობის ფასების ინდექსების გასანგარიშებლად;
- საერთაშორისო შედარებებისათვის.

გარდა წონის გაზომვის ერთეულებისა ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის აღრიცხვა წარმოებს, მხოლოდ ცალკეული საქონლისთვის დამახასიათებელ, გაზომვის სპეციფიურ ერთეულებში – დანადგარი – ცალებში, ხე-ტყის მასალა – კუბურ მეტრში და ა.შ.

გაზომვის ერთეულები, რომელშიც უნდა აღირიცხოს კონკრეტული საქონელი მითითებულია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში.

შრომის საერთაშორისო დანაწილების მაჩვენებლები

საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა დამოკიდებულია შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე. მის დასახასიათებლად გაიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლები:

1. შრომის საერთაშორისო დანაწილების დინამიკის კოეფიციენტი = ექსპორტის დინამიკის ინდექსი/წარმოების მოცულობის დინამიკის ინდექსთან.
2. საექსპორტო სპეციალიზაციის კოეფიციენტი = ქვეყნის ექსპორტის საერთო მოცულობაში ცალკეული საქონლის ექსპორტის წილი/ამ საქონლის მსოფლიო ექსპორტის წილი მსოფლიო ექსპორტის საერთო მოცულობაში.

საექსპორტო სპეციალიზაციის კოეფიციენტი უჩვენებს, თუ რამდენ ჯერ აღემატება რომელიმე სახეობის საქონლის ექსპორტში მოცემული ქვეყნის წილი ამ საქონლის წილს მსოფლიო ექსპორტში.

თუ მოცემული მაჩვენებელი 1-ზე მეტია, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მოცემული ქვეყანა სპეციალიზდება მსოფლიო მეურნეობაში ამ საქონლის წარმოებაზე და გაყიდვაზე. რამდენად ის მაღალია, იმდენად დიდია სპეციალიზაციის დონე.

3. დივერსიფიკაციის კოეფიციენტი = ქვეყნის ექსპორტის საერთო მოცულობაში საქონლის ექსპორტის წილი – მსოფლიო ექსპორტის საერთო მოცულობაში საქონლის მსოფლიო ექსპორტის წილი.

ეს მაჩვენებელი ახასიათებს ქვეყნის ჩართულობას მსოფლიო ვაჭრობაში და შეიძლება ვარირებდეს 0-დან 1-მდე. თუ მისი ზომა უახლოვდება 1-ს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა სპეციალიზდება მოცემული საქონლის წარმოებაზე. ქვეყნის მიერ ექსპორტირებული საქონლის ნომენკლატურის გაფართოების შემთხვევაში დივერსიფიკაციის კოეფიციენტი დაუახლოვდება 0-ს.

4. ქვეყნის წილი მსოფლიო ვაჭრობაში = ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის საერთო მოცულობა/მსოფლიო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა.

ეს მაჩვენებელი ახასიათებს ქვეყნის მონაწილეობას მსოფლიო ეკონომიკაში.

5. საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე = ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის საერთო მოცულობა/მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან

ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა შეიძლება შესწავლილი იქნეს ორი მიმართულებით:

- როგორც სასაქონლო სტრუქტურა;
- როგორც გეოგრაფიული სტრუქტურა.

სასაქონლო სტრუქტურა ესაა ყოველი საქონლის, თითოეული სასაქონლო პოზიციის წილი ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაში.

ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა ასახავს მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურას, ე.ი. მსოფლიო ბაზარზე მოცემული ქვეყნის საქონელზე მოთხოვნას. ექსპორტის სტრუქტურის ანალიზისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნებში ყველაზე მნიშვნელოვანი საქსპორტო საქონლის ხვედრითი წონების შედარება. განვითარებულ ქვეყნებში ყველაზე მნიშვნელოვანი საქონლის ხვედრითი წონა არ აღემატება 10-20%. თითოეული ქვეყნის ექსპორტის და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარის ფასებზე და სავალუტო რეზერვებზე.

ექსპორტის და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის ანალიზთან ერთად ასევე შეისწავლება მათი გეოგრაფიული სტრუქტურა.

გეოგრაფიული სტრუქტურა— ესაა ცალკეული ქვეყნების, ქვეყნების ჯგუფების, კონტინენტების წილი ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაში.

გეოგრაფიული სტრუქტურის შესწავლისას ყველა ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

- ქვეყნები განვითარებული საბაზრო ეკონომიკით;
- ქვეყნები განვითარებადი ეკონომიკით;
- ქვეყნები გარდამავალი ეკონომიკით.

საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურა იძლევა საშუალებას გაანალიზდეს:

- ქვეყნების საგარეო ეკონომიკურ კავშირებში მათი ორიენტაცია;
- ქვეყნის საგარეო ვაჭრობის წილი;
- ქვეყნები და ქვეყნების ჯგუფების მიხედვით ექსპორტისა და იმპორტის განვითარების დონე და შესაძლებლობები;
- შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ცალკეული ქვეყნის მონაწილეობის დონე.

საქონლის ექსპორტისა და იმპორტის გეოგრაფიული განაწილება ხორციელდება ქვეყნების მიხედვით:

- წარმოების (წარმოშობის) ქვეყანა – მომხმარებელი (დანიშნულების) ქვეყანა;

- გაგზავნის ქვეყანა – მიწოდების ქვეყანა;
- გაყიდვის ქვეყანა – ყიდვის ქვეყანა.

ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ საგარეო ვაჭრობაში ბრუნვადი საქონელი შეიძლება იქნეს ნაყიდი და გაყიდული რამდენიმე ჯერ.

პირველ შემთხვევაში იმპორტოსა და ექსპორტის გეოგრაფიული განაწილება ხორციელდება ქვეყნების მიხედვით წარმოშობისა და მოხმარების ნიშნის შესაბამისად.

დანიშნულების (მომხმარებელი) ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც გაგზავნის მომენტში ცნობილია, როგორც ბოლო ყვეყანა, რომელშიც საქონელი განკუთვნილია მოხმარების, გამოყენების ან შემდგომი გადამუშავებისათვის.

წარმოშობის (წარმოების) ქვეყანა – ქვეყანა, რომელშიც საქონელი წარმოებულია ან გადამუშავებულია მოყვანილია ს/მ პროდუქტები, მოპოვებულია მთამადნეული, ხოლო მზა ნაკეთობები წარმოებულია მთლიანად ან ნაწილობრივ. იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკეთობები წარმოებულია ნაწილობრივ, მაშინ წარმოშობის ქვეყნად მიიჩნევა ქვეყანა რომელშიც საქონელმა გაიარაადამუშავების ბოლო ეტაპი.

გაყიდვის ქვეყანა – ყიდვის ქვეყანა – ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს საქონლის მყიდველი ან გამყიდველი ფირმა ან ორგანიზაცია, მიუხედავად მისი ეროვნული კუთვნილებისა.

სპეციალური მიზნებისათვის შეისწავლება ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა სატრანსპორტო გადაზიდვების სახეობების მიხედვით: სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო.

ექსპორტისა და იმპორტის გეოგრაფიული მიმართულობა შეისწავლება, ასევე შემდეგ ასპექტში:

- ქვეყანა – საქონელი (ქვეყნების ჩამინათვალი, რომლისგან ნაყიდა ან რომლებზეც, თითოეული პოზიციის მიხედვით, გაიყიდა საქონელი);
- საქონელი – ქვეყანა (თითოეულ ყვეყანასთან საქონელგაცვლის სრული ნომენკლატურა).

ეს მონაცემები იძლევა, როგორც გეოგრაფიულ ასევე სასაქონლო ასპექტში, სტრუქტურული ცვლილებების ანალიზირების საშუალებას.

საერთაშორისო სასაქონლო ბირჟები და მათი დახასიათება

საბაზრო ეკონომიკის მიმოქცევის სფეროს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია სასაქონლო ბირჟა. სასაქონლო ბირჟა არის მასობრივი საქონლით საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმა. ეს არის იურიდიული ან ფიზიკური პირების ნებაყოფლობითი გაერთიანება საჯარო ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილსა და განსაზღვრულ დროში.

სასაქონლო ბირჟის ძირითადი ფუნქციებია:

- ბირჟის მეშვეობით სარეალიზაციო საქონლის სტანდარტების შემუშავება;
- ყიდვა-გაყიდვის გარიგებების მიხედვით ტიპური კონტრაქტების პაკეტის შემუშავება;
- ბირჟაზე რეალიზებად საქონელზე ფასების კოტირება (საბირჟო ვაჭრობის წესით რეალიზებადი საქონლის ფასების ფიქსაცია, და განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში საბირჟო გარიგებების მიხედვით საშუალო ფასების გამოყვანა);
- მსყიდველობითი მოთხოვნის შესწავლა და პროგნოზირება;
- გაცვლის პროპორციებისა და ფასების სტაბილიზაციისათვის პირობების შექმნა;
- ურთიერთხელსაყრელობას დაფუძვებული საქონელგაცვლითი ოპერაციების ორგანიზაცია, რეალური მოთხოვნისა და მიწოდების გათვალისწინებით;
- ინფორმაციული საქმიანობა (საბირჟო ვაჭრობის მონაწილეებისათვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კომერციული და ბირჟაზე რეალიზებად საქონელზე სხვა ინფორმაციის მიწოდება).

სასაქონლო ბირჟები კლასიფიცირდება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. საქმიანობის ხასიათის მიხედვით, ე.ი. დანიშნულების მიხედვით:

- სპეციალიზებული, რომლებიც სპეციალიზდება რეალური საქონლის რომელიმე სახეობაზე: ყავა, შაქარი, კაკაო, ბამბა, ნავთობი, ლითონი და ა.შ. (ლონდონის ბამბის ბირჟა).
 - უნივერსალური, რომლებიც ახორციელებენ არა მხოლოდ ოპერაციებს საქონლით, არამედ ფასეულობებით, რომლებიც ჩვეულებრივი გაგებით არ არიან საქონელი – ვალუტით, იპოთეკით ფასიანი ქაღალდებით, ფრანსტული კონტრაქტებით და ა.შ. (ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა).
2. საბირჟო ვაჭრობაზე დამთავალიერებელთა დონით:
- ღია (ვაჭრობაში, გარდა ბროკერებისა მონაწილეობას ღებულობენ დამთავალიერებლები;
 - დახურული (ვაჭრობაში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ საბირჟო შუამავლები). საზღვარგარეთ თანამედროვე სასაქონლო ბირჟები ძირითადად დახურულია.
3. ბირჟის შექმნის მიზნის მიხედვით:
- მომგებიანი ბირჟები, რომლებიც ისწრაფვიან მიიღონ მოგება;
 - არამომგებიანი ბირჟები, ვაჭრობის ორგანიზებისათვის ხელსაყრელი პირობის შემქმნელნი. არამომგებიან ბირჟებს, შემოსავლების ხარჯებზე მეტობა, კანონით დადგენილი გადასახადების გამოკლებით, შეუძლიათ გამოიყენონ მხოლოდ ბირჟის საკუთარი საჭიროებისთვის.
4. საბირჟო გარიგებების ხასიათის მიხედვით:
- გარიგებები რეალური საქონლით. რეალური საქონლის ბირჟაზე კონტრაქტების გაყიდვა ითვალისწინებს მისი მიწოდების ვალდებულებას. რეალური საქონლით ბირჟებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშანი: ვაჭრობის განახლების რეგულარობა, ვაჭრობის განხორციელების ადგილის სტაბილურობა, დადგენილი წესებისადმი უპირობო დაქვემდებარებულობა;
 - ვადიანი გარიგებები რეალური საქონლით მომავალში საქონლის სავალდებულო მიწოდებით (ფორვარდული გარიგება). ფორვარდული გარიგება ითვალისწინებს რეალური საქონლის მიწოდებას გარიგების დადების მომენტში არსებული ფასებით წინასწარ დათქმულ ვადებში. ასეთი გარიგებები ქმნიან ფასების სხვაობაზე თამაშის შესაძლებლობას.
 - ფიქსურსული გარიგებები (გარიგება ხორციელდება არა საქონელთან, არამედ საქონლზე უფლებით). ასეთ ბირჟაზე ვაჭრობა ხორციელდება

ფიუჩერსული კონტრაქტებით მომავალში წარმოებული საქონლის რეალიზაციაზე. საზღვარგარეთში მოქმედი ბირჟების უმეტესობა ფიუჩერსულია.

ინდივიდუალური ხასიათის მატარებელი ფორფარდული კონტრაქტისგან განსხვავებით, ფიუჩერსული კონტრაქტი არის სტანდარტული კონტრაქტი. ფიუჩერსული კონტრაქტი სრულდება არა საქონლის მიწოდებით არამედ კონტრაქტის ლიკვიდაციით.

ფიუჩერსული დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები;

- გარიგებების ფიქტიური ხასიათი, რომელიც სრულდება ფასებში სხვაობის გადახდით, და გარიგებების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი – რეალური საქონლის მიწოდებით;
- კონტრაქტის ყველა პირობების (გარდა ფასებისა) უნიფიცირება მიწოდების ვადებთან და ადგილთან, მიწოდებისთვის ნებადართული საქონლის რაოდენობასთან მიმართებით;
- გარიგებების გაუპიროვნებობა, ვინაიდან ისინი იდება არა კონკრეტულ მყიდველსა და გამყიდველს შორის;
- არაპირდაპირი კავშირი რეალური საქონლის ბაზართან – ჰეჯირების მეშვეობით და არა საქონლის მიწოდებით; ჰეჯირება – ფასისმიერი რისკებისგან დაზღვევის ფორმაა, ჩვეულებრივ ხორციელდება ფიუჩერსული კონტრაქტის ყიდვის ან გაყიდვის შედეგად.

5. საქმიანობის სფეროს მიხედვით:

- საერთაშორისო, მომსახურებას უწევენ მსოფლიო სასაქონლო ბაზრებს;
- ეროვნული, მომსახურებას უწევენ ეროვნულ სასაქონლო ბაზრებს.

საერთაშორისო საბირჟო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრები განლაგებულია აშშ-ში, იაპონიაში, ინგლისში. ყველაზე მსხვილი ბირჟებია ნიუ-იორკის ბამბის ბირჟა, ნიუ-იორკის ყავის ბირჟა, ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟა, ტოკიოს სავაჭრო ბირჟა.

ბირჟებზე საბითუმო ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს საბირჟო ან არასაბირჟო საქონლით. საბირჟო საქონელს მიაკუთვნებენ მასაობრივი წარმოების საქონელს, რომლებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- თვისობრივი ერთგვაროვნობა;
- თვისობრივი დახასიათებების შესადარისობა დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;
- საქონლის პარტიების ურთიერთშემცვლელობა, რაც იძლევა ვაჭრობის საშუალებას ხარისხის აღწერით ან ნიმუშებით, საქონლის წინასწარი დათვალიერების გარეშე.

1950 წლამდე საბირჟო საქონლად ითვლებოდა მხოლოდ არა სწრაფფუჭადი საქონელი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებმა შესაძლებელი გახადა საბირჟო ბრუნვაში სწრაფფუჭადი პროდუქციის ცალკეული სახეობების ჩართვა.

აღსანიშნავია, რომ გარდა ხილვადი საქონლისა საქონლად ითვლება არახილვადი ფასეულობები (უფლებები, პროცენტები), ამასთან დაკავშირებით თანამედროვე ბირჟებზე ხორციელდება ვაჭრობა არახილვადი ფასეულობებით (ფასების ინდექსებით, საბანკო პროცენტებით და ა.შ.).

ტრადიციულად საბირჟო საქონელს მიეკუთვნება: სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მინერალური ნედლეული, მარცვლეული, შაქარი, კაუჩუკი, ფერადი ლითონები, ნავთობპროდუქტები. იდეალში საბირჟო საქონელი არის ის საქონელი, რომელმაც გაიარა მხოლოდ პირველადი გადამუშავება. სტანდარიზაცია კმნის საბირჟო საქონლის მთავარ ნიშანს.

საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ფორმაა აუქციონი. აუქციონი წარმოადგენს საქონლის გაყიდვას სპეციალურად გამოყოფილ ადგიზე. ამ დროს საქონლის გაყიდვა ხორციელდება მყიდველთა თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე.

აუქციონზე იყიდება ვიწრო სპეციალიზაციის საქონელი: ბეწვეული, თამბაქო, ჩაი, ჯიშოანი პირუტყვი, ხელოვნების ნაწარმოებები ს(ო)ბი (ინგლისი).

აუქციონზე საქონელი ფორმდება ლოტებში. საქონელი ხვდება იმ მყიდველს, რომელიც ლოტში გადაიხდის ყველაზე მაღალ ფასს.

არესებობს აუქციონის ჩატარების მრავალი ხერხი. ერთ-ერთი მათგანია **ჰოლანდიური სქემა**: ვაჭრობა იწყება მაღალი ფასით, რომელიც შემდეგ კლებულობს მანამდე, სანამ ვინმე არ გამოთქვამს საქონლის ყიდვის სურვილს ბოლო ფასით.

მსოფლიო სასაქონლო ბარუების რეგულირებას ახორციელებენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

ბაზრის კონიუნქტურის სტაბილიზაციის ერთ-ერთი ელემენტია საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმებები, რომლებიც წარმოადგენენ მარავალმხრივ სამთარობოთაშორისო ხელშეკრულებებს, მიმართულს მსოფლიო ბაზრებზე ფასების სტაბილიზაციაზე, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობის დადგენით.

საერთაშორისო კონიუნქტურული სტატისტიკა

კონიუნქტურული სტატისტიკა წარმოადგენს მიმდინარე სტატისტიკას, რომლის ამოცანაა ეკონომიკურ რყევებზე თვალისდევნა. კონიუნქტურული სტატისტიკის როლი იმდენად დიდია, რამდენადაც ნაკლებია სახელმწიფოს ჩარევის როლი ეკონომიკის რეგულირებაში. მას ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, და უწინარესად აშშ-ში.

კონიუნქტურული სტატისტიკა ითვლის ასობით მაჩვენებელს. ჩვენ შევჩერდებით ძირითად მათგანზე.

ეკონომიკური ციკლის ინდიკატორების მთავარი ამოცანა მდგომარეობს მოსალოდნელ ადმავლობაზე ან დაცემაზე დროული გაფრთხილების მცდელობაში, ბოლო შემთხვევაში ასეთი მაჩვენებლები ასრულებენ განგაშის სიგნალის როლს.

გამაფრთხილებელი ეკონომიკური სიგნალების სისტემის შემუშავების ადრინდელი მცდელობებიდან ყველაზე ცნობილია ეგრეთ წოდებული ჰარვარდის ბარომეტრის აგების მცდელობა (1917–1933წწ.). მართალია ამ ბარომეტრის მეშვეობით არ იქნა შესაძლებელი იმ დიდი დეპრესიის წინასწარგანჭვრეტა,

რომელიც 1929–1933წწ. დაატყდა აშშ ეკონომიკას, თუმცა კვლევები ამ დარგში გაგრძელდა. 1966 წლიდან აშშ ოფიციალური სტატისტიკა ყოველთვიურად აქვეყნებს მონაცემებს ეკონომიკური ციკლის ინდიკატორების ცვლილებებზე.

აშშ-ში ეკონომიკური ციკლის ინდიკატორები იყოფა სამ ჯგუფად: წინსწრები, თანხვევითი და დაგვიანებული.

წინსწრები ინდიკატორები თამაშობენ მთავარ როლს, რამდენადაც ასრულებენ გამაფრთხილებელი სიგნალების როლს. მაჩვენებელთა შერჩევა წინსწრები ინდიკატორების ჯგუფში ხორციელდება, ემპირიული გზით, მაჩვენებელთა დინამიკასა და ეკონომიკური ციკლის რყევებს შორის ურთიერთკავშირების ანალიზის საფუძველზე. ყველაზე საიმედო წინსწრები ინდიკატორების საფუძველზე ხდება *წინსწრებ მაჩვენებელთა საერთო ინდექსის აგება*. მაჩვენებელთა ნაკრები, რომლის საფუძველზე აიგება ეს ინდექსი დროთა განმავლობაში განახლებას ექვემდებარება.

1991 წელს წინსწრები მაჩვენებელთა საერთო ინდექსის კომპონენტებად გამოიყენებოდა ეკონომიკური ციკლის 11 მაჩვენებელი: დამამუშავებელი მრეწველობის მუშაკის მიერ კვირის განმავლობაში ნამუშევარი საათების საშუალო რაოდენობა; უმუშევრობაზე სადაზღვევო შემწეობის გაცემაზე განცხადებების საშუალოკვირეული რაოდენობა; ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული ახალი საცხოვრისის მშენებლობაზე მიღებული ლიცენზიის რიცხვი; აქციის კურსის საერთო ინდექსი (ინდექსი „Standard and fure“); სამომხმარებლო მოლოდინის ინდექსი; წარმოების, ვაჭრობის და ფულადი მიმოქცევის მდგომარეობის მახასიათებელი რიგი სხვა ინდიკატორები. მაგალითად, თუ ეს ინდექსი მცირდება სამი თვე ზედიზედ თვლიან, რომ განგაშის სიგნალი იყო და ახლო მომავალში შეიძლება დაიწყოს დაცემა. დაწყებული 1965 წლიდან ყოველ დაცემას წინუსწრებდა წინსწრებ მაჩვენებელთა საერთო ინდექსის დაწევა. მიუხედავად ამისა პროგნოზის სიზუსტე ამ ინდექსის საფუძველზე არ იყო 100%-ანი. 1965–1987წწ განმავლობაში ორჯერ ჰქონდა ადგილი ინდექსის დაწევას და მას დაცემა არ მოყოლია. მთლიანობაში იკვეთება პროგნოზირების მრავლი მეთოდისთვის დამახასიათებელი სიტუაცია, – ისინი მუშაობენ მანამ, სანამ ფინანსურ სისტემას არ ემართება რამე არაჩვეულებრივი, იგულისხმება სხვა მაჩვენებლებთან შეკავშირების გარეშე ცალკეული

მაჩვენებლების ინტენსიური წინსწრები განვითარება. მაგალითად, წინსწრები მაჩვენებლების საერთო ინდექსით მიცემულ ერთ-ერთ ცრუ სიგნალს ადგილი ჰქონდა ვეტნამის ომის პერიოდში, რამდენადაც იყო მასთან დაკავშირებული აშშ-ს სამხედრო ხარჯებიც.

განვითარებულ ქვეყნებში სამრეწველო წარმოების მოცულობების დინამიკის მაჩვენებლები გაიანგარიშება, როგორც ეკონომიკის ცალკეული დარგების სამრეწველო წარმოების მახასიათებელი ინდექსებისგან საშუალო შეწონილები. უმეტეს შემთხვევაში შეწონვა ხდება **ლასპეირესის ინდექსით**.

აშშ-ში ფასიანი ქაღალდების დინამიკის მახასიათებელი ცნობილი ინდექსებია დოუ-ჯონსის ინდექსი, აქციის კურსის საერთო ინდექსი (ინდექს „Standard and fure“) და ნიუ-იუიორკის საფონდო ბირჟის საერთო ინდექსი.

ბირჟის მუშაობის საათებში მაჩვენებელთა რყევებზე ახალი ინფორმაციის მიწოდება ხდება ყოველ ხუთ წუთში. სტატისტიკურ გამოცემებში ჩვეულებრივ ქვეყნდება ყოველთვიური საშუალოები.

დოუ-ჯონსის ინდექსის ყველაზე ცნობილი ვარიანტი გაიანგარიშება 30 მსხვილი სამრეწველო ფირმის აქციების კურსის მიხედვით (მაგდონალდსი, ფილიფ მორისი, ბოინგი, ჯენერალ მოტორსი და სხვა.). თავდაპირველად ინდექსი წარმოადგენდა აქციების კურსების მარტივ საშუალო არითმეტიკურლს, თუმცა შემდგომ გაიანგარიშების მეთოდოლოგიაში შეტანილი იქნა ინდექსზე მოქმედი, აქციის დანაწევრების პროცესის ამსახველი, ცვლილებები. ძირითადი ყურადღება ექცევა მაჩვენებლის დინამიკას. დოუ-ჯონსის ინდექსის აბსოლუტური მაჩვენებლები კი (მაგალითად, საშუალოდ 1990 წლის იანვარის განმავლობაში 2679,24 და 2587,60 1991 წლის იანვარის განმავლობაში) ასახავენ ბოლო ასწლეულის განმავლობაში აქციების კურსების გასაშულოებულ ზრდას. აშშ-ის სტატისტიკაში დოუ-ჯონსის ინდექსი უწინარესად განიხილება, როგორც ეკონომიკური კონიუნქტურის მოკლევადიანი რყევების ანალიზის ინსტრუმენტი.

თუ დოუ-ჯონსის ინდექსი იზრდება, იზრდება აქციის შეფარდებითი ფასი, მაშინ კაპიტალის მენაბრეები ვარაუდობენ აქციების მიხედვით დიდი დივიდენდების მიღებას, და ეს მეტყველებს საქმიანი აქტივობის ზრდაზე. დოუ-ჯონსის

ინდექსის ვარდნა ახასიათებს ქვეყანაში საქმიანი აქტივობის შემცირებას. ამ მაჩვენებლის სიდიდე განისაზღვრება ბირჟაზე აქციების ფასების პროცენტული შეფარდებით მათ ნომინალურ ფასთან (გამოშვებისას საწყის ფასთან) მისი სიდიდე დამოკიდებულია არ მხოლოდ საქმიანი აქტივობაზე, არამედ აქვს ზრდის საერთო ტენდენცია ინფლაციის, აშშ-ის დოლარის მყიდველობითი უნარის დაცემის გამო. რამდენადაც საუკუნის დასაწყისში ეს ზრდა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ამჟამად დოუ-ჯონსის ინდექსი შეადგენს 2000%-ზე მეტს (როდესაც გამოშვებული 100 დოლარის თანხის აქცია ეხლა ღირს 2000 თანამედროვე დოლარი).

აქციის კურსის საერთო ინდექსი (ინდექსი „Standard an fure“) განაზოგადებს 500 კორპორაციის აქციების კურსებზე მონაცემებს. ამის გამო ის კარგად ააპროქსიმირებს ნიუ-იუიორკის საფონდო ბირჟის აქციების კურსს. ის მოიცავს მრეწველობის სხვადასხვა დარგების წარმომადგენელი (ტრანსპორტი –20%, მომსახურების სფერო –40%, ფინანსური სფერო –40%) არა მხოლოდ მსხვილი, არამედ მცირე კორპორაციების აქციებს.

ნიუ-იუიორკის საფონდო ბირჟის საერთო ინდექსი მოიცავს მასში დარეგისტრირებულ ყველა ფირმას და ამიტომ ითვლება ამ ბირჟის ყველაზე სრულ მახასიათებლად.

ლექცია 7. საგადასახდელო ბალანსი

სალექციო საკითხები

1. საგადასახდელო ბალანსის საფუძვლები
2. საგადასახდელო ბალანსში გამოყენებული ფასები
3. ოპერაციების რეგისტრაციის დრო
4. აღრიცხვის სავალუტო ერთეული
5. საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის კლასიფიკაციები
6. მიმდინარე ოპერაციების ანგარიში
7. საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შეფასება

საგადასახდელო ბალანსის საფუძვლები

საგადასახდელო ბალანსი მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. სბ-ს მონაცემები ასახავენ მიმდინარე პერიოდში საგარეო ვაჭრობის განვითარებას, რომელიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსზე, წარმოების დონეზე, დასაქმებასა და მოხმარებაზე. მისი საშუალებით შეიძლება თვალი გადავდევნოთ, თუ რა ფორმითა და რა მოცულობით უნდა განხორციელდეს ინვესტირება ქვეყანაში, აგრეთვე მის საზღვრებს გარეთ, დროულად ხდება თუ არა საგარეო ვალის დაფარვა, ჰქონდა თუ არა ადგილი ვალის გადავადებასა და რესტრუქტურისაციას. სბ-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანალიზური მანკენებელია ოქროსა და სავალუტო რეზერვების ცვლილება, რომელიც ცენტრალური ბანკისათვის ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის რეგულირების საშუალებაა.

სბ აქტიურად გამოიყენება სავალუტო კურსის, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისათვის, სავალუტო და საგარეო ვაჭრობის რეგულირებისათვის. იგი აგრეთვე გვევლინება ეას-ის საინფორმაციო წყაროდ.

პირველად ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი „საგადასახდელო ბალანსი“ გამოიყენა ჯ. სტიუარტმა 1767 წელს ნაშრომში „გამოკვლევა პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების შესახებ“. თავდაპირველად სბ-ს უკავშირებდნენ მხოლოდ საგარეო ვაჭრობის სადღოსა და მასთან დაკავშირებულ ოქროს მოძრაობას.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში ფართოვდებოდა საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების სპექტრი, XX საუკუნემდე არ არსებობდა ერთიანი შეხედულება იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც უნდა ასახულიყო სბ-ში. კაპიტალის საერთაშორისო ბაზრის გაფართოებასთან ერთად დადგა საკითხი საგადასახდლო ბალანსის სახელმწიფო რეგულირების შესახებ და განჩნდა საერთაშორისო ოპერაციების სისტემატური აღრიცხვის მეთოდების შემუშავების აუცილებლობა. სბ-ის პირველი ოფიციალური გამოქვეყნება მოხდა 1923 წელს აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს მიერ. ამ ბალანსში ყველა ოპერაცია სამ ჯგუფად იყო დაყოფილი: მიმდინარე, კაპიტალური და ოპერაციები ოქროთი და ვერცხლით.

სბ-ის მეთოდოლოგიის შედგენაში უდიდესი წვლილი შეიტანა ერთა ლიგამ. 1943 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა ლერიმ შეადგინა აშშ-ის რეტროსპექტული სბ 1919-1939 წლებისათვის და ეს სამუშაო საფუძველად დაედო აშშ-ს სბ-ის შედგენას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1947 წელს გაერომ გამოაქვეყნა ერთა ლიგის მიერ შემუშავებული სბ-ის სქემა. სბ-ის მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარება უკავშირდება სსფ-ის მიერ გაწეულ მუშაობას, რომელიც აქვეყნებს სახელმძღვანელოებსა და რეკომენდაციებს.

საგადასახდლო ბალანსი არის სტატისტიკური სისტემა, რომელშიც აისახება ყველა ოპერაცია მოცემული ქვეყნის ეკონომიკასა და დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებს შორის დროის გარკვეულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი).

განმარტებაში იგულისხმება, რომ აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება ინსტიტუციურ ერთეულებს შორის, როგორცაა: საწარმოები, ფინანსური ინსტიტუტები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, ფიზიკური პირები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სბ პრინციპულად განსხვავდება ბუღალტრული აღრიცხვის ბალანსისაგან, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული ეკონომიკური ერთეულის აქტივებისა (კაპიტალის გამოყენების სახეები) და პასივების (ფინანსური რესურსები) ჩამონათვალს განსაზღვრული თარიღისათვის. რაც შეეხება სტატისტიკურ სისტემას, რომელშიც აისახება რეზიდენტების ყველა ფინანსური

აქტივი (ან მოთხოვნა) და რეზიდენტების ვალდებულებები არარეზიდენტების მიმართ გარკვეული თარიღისათვის, მას ეწოდება **საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ)**.

სბ-ის მონაცემთა გამოქვეყნება ხორციელდება დინამიკაში, რისთვისაც გამოიყენება შემდეგი ცხრილი:

	I პერიოდი	...	N პერიოდი
მუხლი 1, სალდო			
(კრედიტი, +)			
(დებეტი, -)			
...			
მუხლი N, სალდო			
(კრედიტი, +)			
(დებეტი, -)			

თუ სბ-ის მონაცემები ქვეყნდება რაიმე ერთი პერიოდისათვის, შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ შემდეგი გამოსახულება, რომელიც კლასიკურად ითვლება, თუმცა მიმდინარე ეტაპზე იშვიათად გამოიყენება:

	კრედიტი	დებეტი	სალდო
მუხლი 1			
...			
მუხლი N			

სბ აგებულია ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგ პრინციპზე: თითოეული ოპერაცია აისახება ორჯერ – ერთი ანგარიშის კრედიტში და მეორე ანგარიშის დებეტში. ამ წესს მარტივი ეკონომიკური ინტერპრეტაცია აქვს: ეკონომიკურ ოპერაციათა უმრავლესობა ეკონომიკური ფასეულობების გაცვლის საფუძველზე ხორციელდება.

მაგალითად, ქართული საწარმო ღვინის ექსპორტირებისას სამაგიეროდ იღებს უცხოურ ვალუტას. თუ ექსპორტმა შეადგინა 100 000 დოლარი, მაშინ ეს ოპერაცია საქართველოს სბ-ში შემდეგნაირად აისახება:

ათასი დოლ.

საქონელი	100
უცხოური ვალუტა	-100
საერთო სალდო	0

თუ ეკონომიკური ფასეულობების (საქონელი, მომსახურება, ფინანსური აქტივები) გაცვლა შემხვედრი ნაკადის გარეშე ხდება, სბ-ში შემოდის განსაკუთრებული მუხლი – „ტრანსფერტები“.

დავუშვათ, საქართველომ დანარჩენი ქვეყნებიდან მიიღო 10 მლნ. დოლარის ღირებულების საქონელი ჰუმანიტარული დახმარების სახით. საქართველოს სბ-ში აუცილებელია გაკეთდეს შემდეგი გატარებები:

მლნ. დოლ.

საქონელი	-10
ტრანსფერტები	10
საერთო სალდო	0

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ კრედიტის ყველა გატარებების ჯამი დებეტის გატარებების ტოლი უნდა იყოს, ხოლო საერთო სალდო – ნულის ტოლი. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში თითქმის არასოდეს არ ხერხდება ბალანსის მიღწევა იმ მიზეზის გამო, რომ მონაცემების მიღება ერთი და იმავე ოპერაციის სხვადასხვა ასპექტის შესახებ სხვადასხვა წყაროდან ხდება.

მაგალითად, საქონლის ექსპორტის შესახებ მონაცემების მიღება ხდება საბაჟო სამსახურებიდან, ხოლო საწარმოს ანგარიშზე უცხოური ვალუტის მოძრაობის შესახებ ინფორმაცია მიიღება საბანკო სტატისტიკიდან.

განსხვავებებს საკრედიტო და სადებეტო გატარებებს შორის ეწოდება **წმინდა შეცდომები და გამოტოვებები**. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეა, ეს არ ნიშნავს, რომ შეცდომებისა და გამოტოვებების აბსოლუტური მნიშვნელობა მცირეა, რადგან ურთიერთსაწინააღმდეგო ნიშნით გადახრები ერთმანეთს აბათილებენ.

დავუშვათ, საქონლის ექსპორტი ასახული იყო „საქონლის“ ანგარიშის კრედიტში. ეს გვაძლევს საშუალებას ნებისმიერი ოპერაცია ავსახოთ შესაბამისი ანგარიშის კრედიტში ან დებეტში (ცხრილი 8.1):

ცხრილი 8.1

ოპერაციების ასახვის წესი სბ-ში კრედიტსა და დებეტში:

ოპერაციები	კრედიტი,+	დებეტი,-
A. საქონელი და მომსახურება		
საქონლის ექსპორტი და მომსახურების ექსპორტი (მომსახურების გაწევა რეზიდენტებისათვის)	+	
საქონლის იმპორტი და მომსახურების იმპორტი (მომსახურების გაწევა არარეზიდენტებისათვის)		-
B. შემოსავლები (შრომის ანაზღაურება და ინვესტიციური შემოსავლები)		
შემოსულობები არარეზიდენტებისაგან	+	
გადახდები არარეზიდენტებისათვის		-
C. ტრანსფერტები (მიმდინარე და კაპიტალური)		
მიღება	+	
გადაცემა		-
D. არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შესყიდვა / გაყიდვა		
აქტივების გაყიდვა	+	
აქტივების შესყიდვა		-
F. ოპერაციები ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით		

ვალდებულებების ზრდა არარეზიდენტების მიმართ	+	
მოთხოვნების შემცირება არარეზიდენტების მიმართ	+	
მოთხოვნების ზრდა არარეზიდენტების მიმართ		-
ვალდებულებების შემცირება არარეზიდენტების მიმართ		-

საგადასახდლო ბალანსში გამოყენებული ფასები

სბ-ში ოპერაციები აისახება საბაზრო ფასებში. სბ-ის სახელმძღვანელოს თანახმად: საბაზრო ფასი არის ღირებულება, რომელსაც უხდიან მყიდველები გამყიდველებს რაიმეს შესაძენად იმ პირობით, რომ ამ გარიგებაში ორივე მხარე დამოუკიდებელია და მას საფუძვლად უდევს მხოლოდ კომერციული მოსაზრებები. ეს ნიშნავს, რომ სბ-ში ოპერაციების შეფასება ხდება საკონტრაქტო, ანუ სახელშეკრულებო ფასებით ეკონომიკური ფასეულობების გაცვლის მომენტში და არა მსოფლიო ფასებით, საშუალო ან რაიმე ჰიპოთეტური ფასებით.

მაგალითად, დაუშვათ ბორჯომის საქსპორტო ფასი უკრაინაში 2 დოლარია, ხოლო ევროპის დანარჩენ ქვეყნებში – 3 დოლარი. არანაირი საფუძველი არ გვაქვს, რომ უკრაინაში ექსპორტი განსხვავებული ფასით ავსახოთ იმის გამო, რომ სხვაგან უფრო ძვირად გაგვაქვს, რადგან ამ შემთხვევაში მხარეები არიან დამოუკიდებელნი, ხოლო ოპერაცია ხორციელდება კომერციული მოსაზრებით. თუმცა არსებობს ოპერაციები, რომელთა მიმართ ზემოაღნიშნული წესის რეალიზაცია შეუძლებელია, მაგალითად:

1. ბარტერი, ანუ ისეთი ოპერაციები საქონლით, აქტივებითა და მომსახურებით, რომლებიც არ არის გაშუალებული ფულით. ბარტერის შესაფასებლად გამოიყენება ანალოგიური საქონლისა და მომსახურების ფასები. ამასთან, ბარტერით ექსპორტირებული საქონლის, მომსახურებისა და აქტივების ფასები იმპორტირებული ბარტერის ღირებულების ტოლი უნდა იყოს.

2. ის ოპერაციები, რომლებსაც რომელიმე მხარე არ ასრულებს ნებაყოფლობით (გადასახადის ან ჯარიმის გადახდა). ასეთი ოპერაციების შეფასება სიძნელეს არ წარმოადგენს.

3. ოპერაციები მხარეებს შორის, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი (მაგალითად, სათავო კომპანიასა და მის საზღვარგარეთულ ფილიალს შორის). იმ შემთხვევებში, როდესაც შემოსავლების გადარიცხვა აშკარა ფორმით ამ მხარეებს შორის შეზღუდულია კანონმდებლობით ან შეფერხებულია გადასახადების გამო, ის შეიძლება განხორციელდეს საქონლის, მომსახურებისა და აქტივების გაცვლის არაპირდაპირი გზით, ხელოვნურად გაზრდილი ან შემცირებული ფასებით. ამ შემთხვევაში, ოპერაცია უნდა ავსახოთ ფასებში, რომლებსაც გამოვიყენებთ მხარეების დამოუკიდებლობის დროს. დამაბალანსებელი გატარება გაკეთდება „შემოსავლების“, ან „პირდაპირი ინვესტიციების“ მუხლებში.

დავუშვათ, N ქვეყანაში შეზღუდულია ფილიალ-საწარმოთა შემოსავლების გადარიცხვა მათი საზღვარგარეთელი მფლობელისათვის. ერთ-ერთი ასეთი საწარმო, რომელიც აწარმოებს კომპიუტერებს, 1000 ცალი კომპიუტერისაგან შემდგარ პარტიას (1 ცალის ფასი 10 დოლარი) მიჰყიდის სათავო კომპანიას (ბაზარზე ასეთი კომპიუტერის ფასი 1000 დოლარია). ცხადია, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს N ქვეყნიდან შემოსავლების არაპირდაპირ გადაქაჩვას:

ათასი დოლ.

საქონელი	1000
შემოსავალი ინვესტიციებიდან	-990
დეპოზიტები მოკითხვამდე არარეზიდენტ-ბანკებში	-10
საერთო სალდო	0

4. ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება არა მხოლოდ კომერციული მოსაზრებით, ან სრულიად არაკომერციული მოსაზრებებით (ეკონომიკური დახმარება, საჩუქრები და ა.შ.). ასეთი ოპერაციების შეფასება ბარტერის შეფასების მსგავსია. იმ შემთხვევაში, თუ დონორისა და მიმღების ფასები ერთმანეთს არ ემთხვევა, უნდა გამოვიყენოთ დონორის ფასები. ეს ოპერაცია, თუ იგი ხორციელდება მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე,

„ტრანსფერტებში” უნდა ავსახოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ჩავთვალოთ, რომ ეკვივალენტური გაცვლა ხორციელდება.

ოპერაციების რეგისტრაციის დრო

სბ-ში ოპერაციების რეგისტრაციის დროს გამოიყენება **ღარიცხვის მეთოდი** (იგივე მეთოდი გამოიყენება ეას-შიც): ოპერაცია აისახება იმ მომენტში, როდესაც ხდება ეკონომიკური ფასეულობების გაცვლა, გარდაქმნა, შექმნა ან გაქრობა. აღნიშნული მომენტი განსხვავდება ფაქტობრივი გადახდის (ანაზღაურების) მომენტისაგან. ამ მეთოდის შესაბამისად:

- სასაქონლო ოპერაციები აისახება მათზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტში (გამონაკლისს შეადგენს ფინანსური ლიზინგით არენდით გაცემული საქონელი, გადასამუშავებელი საქონელი, საქონლის მიწოდება ფილიალი-საწარმოს მიერ საზღვარგარეთ განთავსებული სათავო კომპანიისათვის და საქონლის მოძრაობა, დაკავშირებული სავაჭრო შუამავლობასთან).
- მომსახურება აისახება მისი გაწევის მომენტში.
- დივიდენდები აისახება მათი გამოცხადების მომენტში.
- პროცენტების ღარიცხვა უწყვეტად მიმდინარეობს.
- შრომის ანაზღაურება აისახება იმ მომენტში, როდესაც დამქირავებელს დაქირავებულის წინაშე ვალდებულება წარმოეშობა.
- აუცილებელი გადასახადების სახით ტრანსფერტების (გადასახადები, ჯარიმები, სადაზღვევო ანაზღაურება და ა.შ.) ასახვა ხდება გადახდის ვალდებულების დადგომის მომენტში.
- დანარჩენი ტრანსფერტების ასახვა ხდება საქონლის, მომსახურებისა და აქტივების ოპერაციების დაბალანსებისას.
- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ასახვა ხდება საკუთრების უფლების გადასვლის მომენტში (როგორც წესი, ეს ის მომენტია, როდესაც ბუღალტრულ დოკუმენტებში აისახება მოთხოვნისა და ვალდებულების წარმოშობა).

ღარიცხვის ალტერნატიული მეთოდია **საკასო**, როდესაც ოპერაცია ანგარიშებში აისახება გადახდის მომენტში.

დავუშვათ, ქართული კომპანია ახდენს 5 მლნ. დოლარის საქონლის იმპორტს და ეძლევა გადახდის გადავადების საშუალება. სბ-ში ეს ოპერაცია აისახება შემდეგი სახით:

მლნ. დოლ.

საქონელი	-5
სავაჭრო კრედიტი	5
საერთო სალდო	0

როდესაც გადახდა განხორციელდება, მისი ასახვა ხდება შემდეგი სახით:

მლნ. დოლ.

სავაჭრო კრედიტი	-5
დეპოზიტები არარეზიდენტ-ბანკებში	5
საერთო სალდო	0

დარიცხვის მეთოდთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოშობა არ არის ეკონომიკური ოპერაცია, სბ-ში იგი პირობითად ასეთად ითვლება. ამასთან, ვადაგადაუცილებელი დავალიანების მუხლში აისახება ვალის შემცირება, ხოლო ვადაგადაცილებული დავალიანების მუხლში – ზრდა. ეს საშუალებას გვაძლევს სბ-ს საშუალებით თვალყური ვადევნოთ საგარეო ვალის მომსახურების პროცესს.

დავუშვათ, საქართველოს რეზიდენტს დაუფიქსირდა 100 მლნ-იანი კრედიტის ძირითადი დაფარვისა და პროცენტების დაფარვის ვადაგადაცილება (10 მლნ. დოლ). ეს ოპერაცია შემდეგი სახით აისახება:

მლნ. დოლ.

საინვესტიციო შემოსავალი	-10
მოზიდული სესხი	-100

არარეზიდენტებისაგან	
ვადაგადაცილებული დავალიანება, ვალდებულება	110
საერთო სალდო	0

შესაბამისად, ვადაგადაცილებასთან დაკავშირებული ყველა შემდგომი ოპერაცია, როგორცაა დაფარვა ან რესტრუქტურისაცია, უნდა აისახოს ვადაგადაცილების აღრიცხვასთან დაკავშირებულ მუხლებში.

დავუშვათ, ზემოაღნიშნული ვადაგადაცილებული სესხის (110 მლნ. დოლ.) დასაფარად უცხოური ბანკის ანგარიშიდან გადმოირიცხა 60 მლნ. დოლ. დარჩენილი დასაფარი თანხის რესტრუქტურისაცია მოხდა გრძელვადიან სესხად. სბ-ში აისახება შემდეგი გატარებები:

მლნ. დოლ.

მოზიდული სესხი არარეზიდენტებისაგან	50
ვადაგადაცილებული დავალიანება, ვალდებულება	-110
დეპოზიტები მოკითხვამდე არარეზიდენტ-ბანკებში	60
საერთო სალდო	0

აღრიცხვის სავალუტო ერთეული

რამდენადაც საერთაშორისო ოპერაციები შეიძლება ავსახოთ სხვადასხვა სახის ვალუტაში, იბადება კითხვა, რომელი მათგანი უნდა ავირჩიოთ საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის შესადგენად? რადგან ეს სისტემები ეას-ის ასაგებად უნდა იქნეს გამოყენებული, ისინი უნდა ავსახოთ ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, თუ ეროვნული ვალუტა უცხოურთან მიმართებაში სწრაფად უფასურდება, მიზანშეწონილია მისი შედგენა აშშ

დოლარებში ან ევროში. საბაზრო ფასებისა და რეგისტრაციის დროის პრინციპებიდან გამომდინარე, სბ-ში ოპერაციები უნდა აისახოს საბაზრო გაცვლითი კურსებით ოპერაციების განხორციელების თარიღისათვის, ხოლო სსკ-ში – მისი შედგენის მომენტისათვის არსებული საბაზრო გაცვლითი კურსების მიხედვით. ამასთან, უნდა გამოვიყენოთ ყიდვისა და გაყიდვის კურსების საშუალო მაჩვენებელი. სხვაობა გაცვლის საშუალო კურსსა და აღნიშნულ კურსებს შორის შეადგენს მომსახურების ანაზღაურებას.

მაგალითად, საანგარიშო პერიოდში არარეზიდენტი-ბანკი საქართველოს რომელიმე ბანკისათვის ახორციელებს 100 მლნ. გერმანული მარკის კონვერტაციას დოლარებში. გერმანული მარკის გაყიდვის კურსია 0,65 დოლარი, ხოლო ყიდვის კურსი – 0,64. თუ საშუალო კურსი შეადგენს 0,645-ს, მაშინ სბ-ში ეს შემდგენიარად აისახება:

მლნ. დოლ.

ფინანსური მომსახურება	-0,5
დეპოზიტები მოკითხვამდე არარეზიდენტ-ბანკებში	0,5
საერთო სალდო	0

მოცემულ მაგალითში სადებეტო ჩანაწერი (64 მლნ. დოლარის ყიდვა მარკებზე) და საკრედიტო ჩანაწერი (მარკების გაყიდვა 64 მლნ. დოლარად) კონვერსიის ოპერაციის ასახვისათვის გაკეთდება მუხლში „დეპოზიტები მოკითხვამდე არარეზიდენტ-ბანკებში“ და მოხდება მათი სალდირება.

საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის კლასიფიკაციები

ეკონომიკურ ანალიზში სბ-ის გამოყენებისათვის აუცილებელია გარკვეული წესით მისი მონაცემების დაჯგუფება. ერთი მხრივ, განსხვავებული ოპერაციები უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან, ხოლო მსგავსი ოპერაციები გავამსხვილოთ და აგრეგირებული სახე მივცეთ.

ისევე როგორც მას-ში, სბ-შიც ოპერაციები იყოფა მიმდინარე და კაპიტალურად. მიმდინარეს მიეკუთვნება სასაქონლო, მომსახურებისა და შემოსავლების ოპერაციები (მიმდინარე ტრანსფერტები განიხილება როგორც შემოსავლების

გადანაწილება). კაპიტალური ოპერაციები დაკავშირებულია საინვესტიციო საქმიანობასთან და წარმოადგენს ოპერაციებს აქტივებითა და ვალდებულებებით. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ისეთი ნაკადები, რომელთა ცვლილება გავლენას ახდენს ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელზე.

მიმდინარე ოპერაციების სალდოს აბსოლუტური სიდიდე საპირისპირო ნიშნით – კაპიტალური ოპერაციების სალდოს ტოლია. სანამ დეტალურად შევუდგებოდეთ თითოეული აღნიშნული ანგარიშის დახასიათებას, მოვიყვანოთ სბ-ის სტანდარტული კომპონენტების კლასიფიკაცია:

1. მიმდინარე ოპერაციების ანგარიში
 - A. საქონელი და მომსახურება
 1. საქონელი
 2. მომსახურება
 - B. შემოსავლები
 1. შრომის ანაზღაურება
 2. შემოსავლები ინვესტიციებიდან
 - C. მიმდინარე ტრანსფერტები
2. ოპერაციების ანგარიში კაპიტალითა და ფინანსური ინსტრუმენტებით
 - A. კაპიტალის ანგარიში
 1. კაპიტალური ტრანსფერტები
 2. არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შესყიდვა/გაყიდვა
 - B. ფინანსური ანგარიში
 1. პირდაპირი ინვესტიციები
 - 1.1. საზღვარგარეთ
 - 1.2. მოცემული ქვეყნის ეკონომიკაში
 2. პორტფელის ინვესტიციები
 - 2.1. აქტივები
 - 2.2. ვალდებულებები
 3. ფინანსური წარმოებულები
 - 3.1. აქტივები
 - 3.2. ვალდებულებები
 4. სხვა ინვესტიციები
 - 4.1. აქტივები
 - 4.2. ვალდებულებები

5. სარეზერვო აქტივები

მიმდინარე ოპერაციების ანგარიში

საქონელი. ტრადიციული საქონლის ექსპორტისა და იმპორტის გარდა, ამ მუხლში აისახება გემების მიერ საქონლის შექმნა პორტებში და აგრეთვე ის საქონელი, რომლის ექსპორტი (იმპორტი) ხდება მათი გადამუშავებისა და შემდგომი რეიმპორტის (რეექსპორტის) მიზნით. საქონლის მოძრაობა აისახება არარეზიდენტებისაგან რეზიდენტებზე (ან პირიქით) საკუთრების უფლების გადასვლის მომენტში, თუნდაც საქონელს არ ჰქონდეს საზღვარი გადაკვეთილი. თუ პირიქით, საქონელმა გადაკვეთა საზღვარი საკუთრების უფლების შეუცვლელად (მაგალითად. ტრანზიტული ტვირთები, საქონლის მიწოდება სხვა ქვეყნების საელჩოებისათვის და ა.შ.), მაშინ ეს ოპერაციები არ უნდა აისახოს სბ-ში. თუმცა ამ წესს გამონაკლისებიც ახასიათებს:

პირველი გამონაკლისი დაკავშირებულია ფინანსურ ლიზინგთან, რაც ძირითადი კაპიტალის გრძელვადიან არენდას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ფინანსურ ლიზინგს ახორციელებენ ფინანსური კომპანიები, ან ფინანსური შუამავლები. სბ-ის მეთოდოლოგიის მიხედვით, ფინანსური ლიზინგის განხორციელების დროს ფაქტობრივად ხდება საკუთრების უფლების გადასვლა იჯარით აღებულ საქონელზე, თუმცა არა იურიდიულად, ე.ი ფინანსური ლიზინგი წარმოგვიდგება როგორც კრედიტი – სასაქონლო ფორმით. ფინანსური ლიზინგით არენდით აღებული საქონელი სბ-ში აისახება როგორც საქონლის ექსპორტი (იმპორტი). დამაბალანსებელი ჩანაწერი კეთდება ფინანსურ ანგარიშში და ასახავს რეზიდენტების ფინანსური მოთხოვნის წარმოშობას არარეზიდენტებისადმი (არარეზიდენტებისა რეზიდენტების მიმართ). არაფინანსური ლიზინგი წარმოადგენს მოკლევადიან არენდას და განიხილება როგორც მომსახურების გაწევა.

მეორე გამონაკლისი – ეს არის საქონლის მიწოდება სათავო კომპანიასა და საზღვარგარეთულ ფილიალებს შორის. ფორმალურად, ამ შემთხვევაში მიწოდებულ საქონელზე არ ხდება საკუთრების უფლების გადასვლა, თუმცა საქონლის აღნიშნული გადაადგილება მაინც აისახება სბ-ში, რადგან ფილიალი ითვლება დამოუკიდებელ ერთეულად. ყველა დანარჩენი ოპერაციაც სათავო

კომპანიასა და ფილიალს შორის ასახვას პოულობს სბ-ში როგორც ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

მესამე გამონაკლისი უკავშირდება იმ საქონელს, რომელიც საზღვარგარეთ გადის გადასამუშავებლად შემდგომი რეექსპორტისათვის. მოცემულ შემთხვევაში ფორმალურად არ ხდება საკუთრების უფლების გადასვლა, მიუხედავად ამისა, ეს საქონელი, რომელიც ბრუნდება ქვეყანაში რემონტის ან გადამამუშავების შემდეგ, უნდა ავსახოთ მუხლში „საქონელი“. თუ საქონელი ქვეყანაში ბრუნდება მომდევნო წელს, მაშინ გატარება მუხლში „საქონელი“ უნდა დაბალანსდეს მუხლით „სავაჭრო კრედიტები“.

მეოთხე გამონაკლისი დაკავშირებულია სავაჭრო შუამავლობასთან. საერთაშორისო ვაჭრობაში ზოგიერთი სავაჭრო ფირმა ყიდულობს საქონელს ერთ ქვეყანაში მეორეში გადაყიდვისათვის და, ამასთანავე, ეს საქონელი არ კვეთს იმ ქვეყნის საზღვარს, რომლის რეზიდენტიცაა მოცემული ფირმა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ამ შემთხვევაში საქონელზე საკუთრების უფლების გადასვლა ხდება რეზიდენტებიდან არარეზიდენტებზე, ეკონომიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ჩავთვალოთ, რომ ეს სავაჭრო ფირმები სავაჭრო მომსახურებას უწევენ არარეზიდენტებს და არ ახდენენ საქონლის იმპორტს ქვეყანაში შემდგომი რეექსპორტისათვის. ამიტომ სბ-ში ასეთი ოპერაციებისათვის უნდა მოხდეს გატარება არა მუხლით „საქონელი“, არამედ მუხლში “მომსახურება”, სავაჭრო დარიცხვის სიდიდით.

დავუშვათ რომ, ფირმა A ქვეყანაში ყიდულობს 100 დოლარად საქონელს პირველ საანგარიშო პერიოდში და ყიდის მას B ქვეყანაში 105 დოლარად მომდევნო პერიოდში. ამ შემთხვევაში მაინც მოგვიწევს გატარება მუხლში “საქონელი”, ხოლო იმისათვის, რომ მითითებული პრინციპებით მოხდეს სბ-ს შედგენა წლის ორი საანგარიშო პერიოდისათვის, ეს შემდგენაირად უნდა გაკეთდეს:

აშშ დოლარებში

	I პერიოდი	II პერიოდი	I და II პერიოდები
საქონელი	-100	100	0

სავაჭრო მომსახურება	0	5	5
უცხოური ვალუტა	100	-105	-5
საერთო სადღო	0	0	0

საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შეფასება

საქონლის მოძრაობის შეფასება საერთაშორისო ვაჭრობაში გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი დაკავშირებულია იმასთან, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქონელი სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვით, გაითვალისწინება თუ არა ტრანსპორტირების, დაზღვევის, დატვირთვის, შენახვის ხარჯები, რასაც ანაზღაურებს იმპორტიორი ან შესაძლებელია – ექსპორტიორი, საქონლის შექმნის შემდეგ მყიდველთან მიტანამდე.

ცხადია, რომ აუცილებელია რაიმე პირობითი წესის შემოღება, რათა არ დამახინჯდეს სავაჭრო ბალანსის დინამიკა სხვადასხვა შეფასების საფუძველზე. სბ-ში საქონლის ექსპორტი და იმპორტი „Fob” ფასებში აისახება. ეს არის საქონლის ღირებულება მწარმოებლის ფასებში და მოიცავს ყველა დაკავშირებული მომსახურების ღირებულებას ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის მომენტისათვის შემდგომ ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯების ჩათვლით, ანუ „Fob” ფასი – ეს არის ფასი, რომელიც იმპორტიორმა უნდა გადაიხადოს, თუ იგი ახორციელებს საქონლის გადატანას მას შემდეგ, რაც ის დაიტვირთება სატრანსპორტო საშუალებაზე ექსპორტიორი ქვეყნის საზღვარზე, ყველა საექსპორტო გადასახადის გადახდისა და შეღავათის მიღების შემდეგ.

თუ საქონლის ტრანსპორტირებას ან დაზღვევას საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ექსპორტიორი ახდენს, ითვლება, რომ იგი მოქმედებს როგორც იმპორტიორის აგენტი და ასეთი გადახდები სბ-ში აისახება მუხლში „მომსახურება”.

თუ ტრანსპორტირებას და ა.შ. ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ახორციელებს იმპორტიორი ან სხვა არარეზიდენტი, ითვლება, რომ ის მოქმედებს როგორც ექსპორტიორის აგენტი და მომსახურების ღირებულება საქონლის ფასში გაითვალისწინება. „Sif“ ფასი – ეს ის ფასია, რომელსაც იხდის იმპორტიორი საქონლისათვის საიმპორტო ბაჟისა და სხვა გადასახადების გადახდამდე, თუ ის განახორციელებს საქონლის მიწოდებას თავისი ქვეყნის საზღვრიდან. აქედან გამომდინარე, „Sif“ და „Fob“ ფასებს შორის სხვაობა წარმოადგენს დაზღვევისა და ტრანსპორტირების ღირებულებას და შესაძლებელია სხვა მომსახურების ანაზღაურებასაც მას შემდეგ, რაც საქონელი გადაკვეთს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვარს იმპორტიორის საზღვრამდე. როგორც წესი, საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტი ფასდება „Fob“ ფასებში, ხოლო იმპორტი – „Sif“ ფასებში. ამრიგად, აუცილებელია საბაჟო სტატისტიკის მონაცემების კორექტირება სბ-ში გამოყენების თვალსაზრისით.

მოვიყვანოთ მაგალითი, თუ როგორ ხდება საქონლის მოძრაობის ასახვა სბ-ში „Fob“ ფასებში. დაუშვათ, რომ 2007 წლის 29 დეკემბერს ქართულმა X საწარმომ გერმანიაში შეიძინა 10 000 დოლარის ღირებულების საქონელი (ანგარიშსწორება განხორციელდა დაუყოვნებლივ). გარდა ამისა, აღნიშნული საწარმო ქართულ სატრანსპორტო კომპანიას (Y) უხდის 1000 დოლარს საქონლის გადატანისათვის საქართველოში სატვირთო ავტოტრანსპორტით. ტრანსპორტირება განხორციელდა 30 დეკემბერს, თუმცა ტრანსპორტი საქართველოს საზღვარს გადაკვეთს მხოლოდ 2008 წლის 2 იანვარს და X საწარმო საქონელს იღებს ადგილზე 4 იანვარს. დაუშვათ, რომ ტრანსპორტირების ხარჯებმა 30-დან 1 იანვრამდე შეადგინა 400 დოლარი, 1-დან 2 იანვრამდე – 350 დოლარი, ხოლო 2-დან 4 იანვრამდე – 250 დოლარი (სულ 1000 დოლარი). ეს ოპერაციები შემდეგნაირად აისახება სბ-ში:

	2007 წელი	2008 წელი	2007-08 წლები
საქონელი (იმპორტი)	-10400	-350	-10 750
მომსახურება (სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტი)	400	350	750

უცხოური ვალუტა	10 000	0	10 000
საერთო სალდო	0	0	0

ამ მაგალითში 2007 წელს იმპორტირებული საქონლის ღირებულებამ „Fob” ფასებში შეადგინა 10 400 დოლარი, რაც აისახა მუხლში „საქონელი”. თუმცა სინამდვილეში ტრანსპორტირებას ახორციელებდა იმპორტიორი, ის მოქმედებდა როგორც ექსპორტიორის აგენტი, ე.ი. ითვლება, რომ ექსპორტიორმა აანაზღაურა იმპორტიორის ხარჯები 400 დოლარის ოდენობით და შემდეგ მიჰყიდა მას საქონელი 10 400 დოლარად, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში ექსპორტიორს არაფერი არ გადაუხდია იმპორტიორისათვის, ხოლო იმპორტიორმა ექსპორტიორს გადაუხადა მხოლოდ 10 000. დანარჩენი გატარებები 2008 წლისათვის და ორივე წლისათვის ერთად მოცემულია ზემოთ თანმიმდევრობით.

მომსახურება. სბ-ში „მომსახურების” მუხლი ძალიან დეტალიზებულია, რაც საერთაშორისო ვაჭრობაში მომსახურების ზრდად როლზე მეტყველებს. მოვიყვანოთ კლასიფიკაციის აგრეგირებული მუხლები:

1. ტრანსპორტი
 - 1.1. საზღვაო
 - 1.2. საჰაერო
 - 1.3. სხვა
2. მგზავრობა
3. კავშირგაბმულობა
4. სამშენებლო მომსახურება
5. დაზღვევა
6. ფინანსური მომსახურება
7. კომპიუტერული საინფორმაციო მომსახურება
8. გადასახადები პატენტებსა და ლიცენზიებზე
9. სხვა ბიზნეს-მომსახურება
10. პერსონალური, კულტურული მომსახურება, გართობა და დასვენება
11. მომსახურება სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის

„მგზავრობის” მუხლის კრედიტში აისახება მომსახურებათა ღირებულება, რომელსაც რეზიდენტები უწევენ არარეზიდენტ ფიზიკურ პირებს, აგრეთვე საქონლის ღირებულება, რომელსაც არარეზიდენტები იძენენ რეზიდენტებისაგან. გამონაკლისია საერთაშორისო გადაყვანები, რაც შესაბამის მუხლში აისახება. დებეტში აისახება მომსახურებათა ღირებულება, რომელსაც არარეზიდენტები უწევენ რეზიდენტ პირებს და საქონლის ღირებულება, რასაც რეზიდენტები იძენენ არარეზიდენტებისაგან.

მუხლში „ფინანსური მომსახურება” ასახულია საკომისიოების ანაზღაურება, რასაც ფინანსური ინსტიტუციური ერთეულები იღებენ თავიანთი მომსახურების სანაცვლოდ (ანგარიშის გახსნა, ფასიანი ქაღალდების განთავსება, საბროკერო მომსახურება და ა.შ.).

„გადასახადები პატენტებსა და ლიცენზიებზე” (არა საავტორო უფლების ან ლიცენზიის ყიდვა და გაყიდვა) ეას-ის მიხედვით განიხილება როგორც მომსახურების ანაზღაურება, ამიტომ სბ-შიც ის აისახება მომსახურებაში.

თუ საქონლის არენდით აღება ხანმოკლე პერიოდით ხდება, მესაკუთრის შუცველობის გამო ეს არ აისახება სბ-ში. საარენდო გადასახადები არაფინანსური ლიზინგის დროს აისახება როგორც ეას-ში, ისე სბ-ში – როგორც მომსახურება, მუხლში „სხვა ბიზნეს-მომსახურება”.

შემოსავლები. ამ მუხლში აისახება შემოსავლები, რომელსაც იღებენ რეზიდენტები არარეზიდენტებისაგან (ან პირიქით) წარმოების ფაქტორებით (შრომა, კაპიტალი, მიწა) სარგებლობისათვის. მუხლში „შრომის ანაზღაურება” ასახულია მომუშავეთა (სეზონური მუშების, საზღვრის მუშების) ანაზღაურება სხვა ქვეყნის რეზიდენტების მიერ. ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით. „საინვესტიციო შემოსავლების” მუხლში აისახება შემოსავლები საზღვარგარეთული ფინანსური აქტივების ფლობიდან, რომელსაც არარეზიდენტები უხდიან რეზიდენტებს (ან პირიქით). ეს შეიძლება იყოს პროცენტები, დივიდენდები და შემოსავლების სხვა ფორმები.

მიმდინარე ტრანსფერტები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრანსფერტი ეს არის ოპერაცია, როდესაც ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს აწვდის საქონელს,

მომსახურებას ან აქტივს და სამაგიეროდ არ იღებს მისგან ეკვივალენტურ საქონელს, მომსახურებასა და აქტივს. მიმდინარე ტრანსფერტი ზრდის მიმდების განკარგვად შემოსავალს და ამცირებს დონორის განკარგვად შემოსავალსა და მოხმარების პოტენციურ შესაძლებლობებს.

დათქმის მიხედვით, ყველა სხვა ტრანსფერტი კაპიტალურია. თუ დონორი და მიმღები ერთმანეთის მიმართ არარეზიდენტები არიან, კაპიტალური ტრანსფერტი გავლენას ახდენს მათი ქვეყნების ეროვნულ სიმდიდრეზე. კაპიტალური ტრანსფერტებია: საკუთრების უფლების გადასვლა აქტივებზე, ვალის პატიება. ფულის უსუსყიდლოდ გადაცემა განიხილება კაპიტალურ ტრანსფერტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს თანხა გამიზნულია ძირითადი აქტივების შესაძენად. „მიმდინარე ტრანსფერტების” მუხლს აქვს შემდეგი დეტალიზაცია:

1. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (ქვეყანა, რომლისთვისაც დგება სბ).
 2. სხვა სექტორები (ქვეყანა, რომლისთვისაც დგება სბ).
- მომუშავე პირთა გადარიცხვები.
სხვა მიმდინარე ტრანსფერტები.

კაპიტალის ანგარიში. კაპიტალური ტრანსფერტები აისახება კაპიტალის ანგარიშში, რომელშიც მოცემულია აგრეთვე არაფინანსური აქტივების შექენა/რეალიზაცია. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშები შეადგენენ დაგროვების ანგარიშებს.

ფინანსური ანგარიში, ამ ანგარიშში აისახება ოპერაციები რეზიდენტების აქტივებითა და ვალდებულებებით არარეზიდენტების მიმართ საანგარიშო პერიოდში. ტრადიციულად, სბ-ში აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, ხდება ფუნქციური ნიშნის მიხედვით. გამოიყოფა ხუთი ფუნქციური ჯგუფი:

- პირდაპირი ინვესტიციები.
- პორტფელის ინვესტიციები.
- ფინანსური წარმოებულები.
- სარეზერვო აქტივები.
- სხვა ინვესტიცია.

მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის განსხვავება საკმაოდ პირობითია, ეკონომიკური ანალიზისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული ჯგუფების აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობა სხვადასხვა მიზეზით აიხსნება. განვიხილოთ უფრო დაწვრილებით აღნიშნული კატეგორიები.

პირდაპირი ინვესტიციები. პირდაპირი ინვესტირება ხორციელდება საწარმოს მართვის პროცესზე ზემოქმედების მიზნით საწარმოს საკუთარ კაპიტალში მონაწილეობის გზით. პირდაპირი ინვესტიცია საერთაშორისო ინვესტიციის კატეგორიაა. ის გულისხმობს ამა თუ იმ ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულის (პირდაპირი ინვესტორი) გრძელვადიან ინტერესს სხვა ეკონომიკის რეზიდენტ ერთეულში (პირდაპირი ინვესტორის საწარმო). საწარმოს პირდაპირი ინვესტორი არის ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების ან ხმის უფლების 10 პროცენტს ან მეტს (კორპორაციის შემთხვევაში), ან ეკვივივალენტურ ძალაუფლებას (არარკორპორირებული საწარმოს შემთხვევაში).

დაეუშვათ, საანგარიშო პერიოდის ბოლოს ერთობლივი საწარმოს მოგებამ 100 მლნ. დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოელი ინვესტორი ფლობს აქციათა 30%-ს. საქართველოს საგადასახდლო ბალანსს შემდეგი სახე ექნება:

მლნ. დოლ.

მიმდინარე ოპერაციების ანგარიში	-30
შემოსავალი ინვესტიციიდან	-30
შემოსავლები პირდაპირი ინვესტიციებიდან რეინვესტირებული შემოსავლები	-30
ფინანსური ანგარიში	30
პირდაპირი ინვესტიციები	30
საქართველოს ეკონომიკაში	30
შემოსავლების რეინვესტირება	30
საერთო სალდო	0

პორტფელის ინვესტიცია. პორტფელის ინვესტიცია არის სავალლო ფასიანი ქაღალდები, აქციები და ფულადი ბაზრის სხვა ინსტრუმენტები, რომელთა

შექმნა ხდება ძირითადად შემოსავლის მიღების მიზნით მათი ლიკვიდურობის შენარჩუნების ხარჯზე.

პორტფელის ინვესტიციები იმის მიხედვით კლასიფიცირდება, ფინანსური ინსტრუმენტი აქტივია თუ ვალდებულება. შემდეგ მათი დაყოფა ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახის მიხედვით:

- აქციები (ინვესტორი ფლობს აქციების 10%-ზე ნაკლებს) და სხვა მონაწილეობა კაპიტალში.
- სავალო ფასიანი ქაღალდები.
- ობლიგაციები და სხვა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები.
- ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები.

ამის შემდეგ აქტივები კლასიფიცირდება კრედიტორის სექტორის მიხედვით, ხოლო ვალდებულებები – ეროვნული ეკონომიკის დებიტორის სექტორის მიხედვით. არჩევენ შემდეგ ოთხ სექტორს:

- ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები (ფსრო).
- სახელმწიფო მმართველობის ორგანოები.
- ბანკები
- სხვა სექტორები:
 - არაფინანსური საწარმოები.
 - შინამეურნეობები.
 - სხვა ფინანსური დაწესებულებები.
 - შინამეურნეობების მომსახურე არასახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციები.

ფინანსური წარმოებულები. ეს არის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მიბმულია კონკრეტულ ფინანსურ აქტივზე, ინდიკატორზე, ან რაიმე სახის აქტივზე. მათი მეშვეობით ხდება ფინანსური რისკებით ვაჭრობა ფინანსური ბაზრებზე. ფინანსური წარმოებულები მოიცავს ტრანზაქციებს სვოპებით, ოფციონებით, სადეპოზიტო გარანტიებითა და სხვ. და აღირიცხება წმინდა სახით. სხვა ფინანსური ინსტრუმენტებისაგან განსხვავებით, ფინანსური წარმოებულები არ მოითხოვენ კაპიტალის ავანსირებას (ოფციონების გარდა) და საინვესტიციო შემოსავლების დარიცხვას. ფინანსური წარმოებულების

განსაზღვრა პირველად გაჩნდა სსფ-ს გამოცემაში „The Statistical Measurement of Financial Derivatives. სბ-ში მათი გამოყოფა ცალკე ჯგუფში 2000 წელს მოხდა.

სარეზერვო აქტივები. სარეზერვო აქტივები მონეტარული ხელისუფლების განკარგულებაში არსებული ფინანსური აქტივებია და გამოიყენება ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის რეგულირებისათვის. კერძოდ, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირ სბ-ის დეფიციტის დასაფინანსებლად ან დეფიციტზე არაპირდაპირი ზეგავლენის მოსახდენად (სავალუტო ბირჟაზე ჩარევის გზით ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის დასარეგულირებლად).

სარეზერვო აქტივები სბ-ში შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

- მონეტარული ოქრო
- ნასესხობის სპეციალური უფლებები (ნსუ)
- სარეზერვო პოზიცია ფონდში (ქვეყნის მოთხოვნა სსფ-ის მიმართ უცხოურ ვალუტაში)
- უცხოური ვალუტა
- ნაღდი ფული და დეპოზიტები
- მოთხოვნები (ფსრო)-ს მიმართ
- მოთხოვნები ბანკების მიმართ
- ფასიანი ქაღალდები
- აქციები
- ობლიგაციები
- ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები
- ფინანსური წარმოებულები
- სხვა მოთხოვნები.

სარეზერვო აქტივების ერთ-ერთი შემადგენელია მონეტარული ოქრო – ოქრო, რომელიც (ფსრო)-ების საკუთრებაშია და გამოიყენება მათ მიერ როგორც სარეზერვო ფინანსური აქტივი. ყველა სხვა ოქრო (არამონეტარული) იმ ოქროს ჩათვლით, რომელიც ეკუთვნის ბანკებს, განიხილება როგორც ჩვეულებრივი საქონელი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ უკანასკნელ პერიოდში ოქრო კარგავს გადახდის საშუალების ფუნქციას.

სხვა ინვესტიცია. სხვა ინვესტიციის პირველადი დაყოფა ხდება აქტივებად (მოთხოვნები არარეზიდენტებისადმი) და ვალდებულებებად (არარეზიდენტების

მიმართ). აქტივები და ვალდებულებები, თავის მხრივ, კლასიფიცირდება სავაჭრო კრედიტებად, ნაღდ ფულად და დეპოზიტებად, სესხებად და სხვა აქტივებად/ვალდებულებებად.

სავაჭრო კრედიტები წარმოადგენს მოთხოვნებსა და ვალდებულებებს, რომელიც წარმოიქმნება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის უშუალო ურთიერთობისას – როდესაც თანხის გადახდის დრო არ ემთხვევა საკუთრების ცვლილების დროს. სავაჭრო კრედიტი არ გულისხმობს სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებას ან რაიმე დოკუმენტის შექმნას.

სხვადასხვა ვადაგადაცილებები აღირიცხება სხვა ვალდებულებების” მუხლში. კერძოდ, ეს მუხლი მოიცავს ვადაგადაცილებებს საგარეო ვალის მომსახურებაზე.

ლექცია 8საერთაშორისო საფინანსო დასაბანკო სტატისტიკა

სალექციო საკითხები

1. საერთაშორისო საფინანსო და სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების ინსტიტუციონალური სტრუქტურა;
2. საერთაშორისო საბანკო სტატისტიკა;
3. ფულადი სისტემები და ფულადი მიმოქცევის სტატისტიკა;
4. ინფლაციის დონის მახასიათებელი მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია.

საერთაშორისო საფინანსო და სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების ინსტიტუციონალური სტრუქტურა

საერთაშორისო საფინანსო და სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების ინსტიტუციონალური სტრუქტურა მოიცავს მრავალრიცხოვან საერთაშორისო ორგანიზაციას. *ერთნი მათგანი*, გაჩნიათ რა დიდი უფლებები და რესურსები, ახორციელებენ საერთაშორისო საფინანსო და სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირებას, *სხვები* წარმოადგენენ საფინანსო და სავალუტო-საკრედიტო პოლიტიკაში რეკომენდაციებისა და კონსესუსის შემუშავების ფორუმს სამთავრობოთაშორისო განხილვისათვის. *მესამენი* უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოპოვებას, სტატისტიკურ და სამეცნიერო-კლავით გამოცემლობას აქტუალური საფინანსო და სავალუტო-საკრედიტო პრობლემებისა და მთლიანად ეკონომიკის მიხედვით.

საერთაშორისო საფინანსო და სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციებს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები. ამ ორგანიზაციებს აერთიანებს საერთო მიზანი – რთული და წინააღმდეგობრივი მსოფლიო მეურნეობის ერთიანობისა და სტაბილიზაციის უზრუნველყოფა და თანამშრომლობის განვითარება.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები ძირითადად წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გამონაკლისს წარმოადგენს *ანგარიშსწორების საერთაშორისო ბანკი (1930წ)*.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წარმოშობა განპირობებულია შემდეგი მიზეზით:

1. სამეურნეო ცხოვრების გლობალიზაციის გაძლიერება, ისეთი ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ტრანსნაციონალური ბანკების შექმნა, რომლებიც სცილდება ეროვნულ საზღვრებს.
2. მსოფლიო სამეურნეო კავშირების სახემწიფოთაშორისი რეგულირების განვითარება, მ.შ.საფინანსო და სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების.
3. მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობის პრობლემების, სავალუტო სისტემის, ვალუტის, კრედიტების, ფასიანი ქაღალდების, ოქროს ბაზრების ჩათვლით ერთობლივი გადაწყვეტის აუცილებლობა.

მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციებს უწინარესად მიეკუთვნება გაეროს ყველა სპეციალიზებული ინსტიტუტი – *საერთაშორისო სავალუტო ფონდი სსშ (Internatianai Monetary Fund – IMF)*, *მსოფლიო ბანკის ჯგუფი* და, *აგრეთვე გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე, შემდგომ გარდაქმნილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია*.

ანგარიშსწორების საერთაშორისო ბანკი (1930წ.) – უხუცესი საკრედიტო-ფინანსური ინსტიტუტი, რომლის საქმიანობა მიმართულია სავალუტო ურთიერთობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე. დამფუძნებლები – ბელგია, გერმანია, იტალია, საფრანგეთი და იაპონია. ამჟამად მისი წევრია 34 სახელმწიფო. ადგილმდებარეობა ბაზელი (შვეიცარია). შეიქმნა, როგორც საერთაშორისო ბანკი იმ ცენტრალური ბანკების მიერ, რომლებიც არიან ერთდროულად მისი დაფუძნებლები და კლიენტები. კომერციულ და სხვა ბანკებთან, აგრეთვე კერძო პირებთან ოპერაციების განხორციელება ანგარიშსწორების საერთაშორისო ბანკს შეუძლია მხოლოდ იმ ქვეყნის ცენტრალური ბანკის თანხმობით, რომლის რეზიდენტები არიან პოტენციური კლიენტები. ბანკის წესდების თანახმად მისი ოპერაციები უნდა შეესატყვისებოდეს ამ ოპერაციებში მონაწილე ქვეყნების სავალუტო პოლიტიკას. *ამ ბანკის ძირითადი მიზანებია* ცენტრალურ ბანკებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა, და აგრეთვე ნდობით აღჭურვილი პირის ან აგენტის ფუნქციის შერულება მათი წევრების მიერ საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებისას.

მართვის ორგანოებია აქციონერების საერთო კრება, დირექტორთა საბჭო, ბანკის პრეზიდენტი და ადმინისტრაცია. აქციონერების საერთო კრება მოიწვევა ყოველწლიურად და შედგება წევრ ქვეყნების ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებისგან. აქციონერების ხმები ნაწილდება თითოეული ქვეყნის ცენტრალური ბანკისთვის გამოყოფილი ხელმოწერილი აქციის რაოდენობის პროპორციულად.

ბანკის დირექტორთა საბჭო ტარდება არაუმეტეს 10 ჯერ წელიწადში. დირექტორთა საბჭო ნიშნავს ბანკის პრეზიდენტს, რომელიც აკონტროლებს ადმინისტრაციის საქმიანობას.

ბანკის რესურსები ფორმირდება აქციონერული კაპიტალისა და მოზიდული სახსრების ხარჯზე. ბანკის აქციონერული კაპიტალი ეკუთვნის წევრ ქვეყნების ცენტრალურ ბანკს (80%-ზე მეტი) და კერძო აქციონერებს. ბანკის აქციები აძლევს ყველა აქციონერს დივიდენდების მიღების თანაბარ უფლებას, მაგრამ კერძო აქციონერებს არა აქვთ ხმის უფლება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეიქმნა 1944 წელს ბრეტონ-უუდსის კონფერენციაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის არის გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება და მონაწილეობს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მუშაობაში, მოქმედებს დამოუკიდებლად და აქვს საკუთარი წესდება, მართვის სტრუქტურა და ფინანსები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა:

1. ხელსუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას ფულად-საკრედიტო სფეროში;
2. ხელსუწყობს ვალუტის კურსის სტაბილურობას და არეგულირებს ნორმებსა და წესებს სავალუტო სფეროში;
3. ხელსუწყობს მრავალმხრივი ანგარიშწორების შექმნას და სავალუტო შეზღუდვების აღმოფხვრას;
4. ეხმარება თავის წევრებს საგადასახდლო ბალანსის დისპროპორციის აღმოფხვრაში, ფინანსური სახსრების დროებით გაცემის ხარჯზე.

სსფ გააჩნია საერთაშორისო ფინანსური რეზერვების შექმნისა და თავისი წევრებისათვის გაცემის უფლებამოსილება „სესხების სპეციალური უფლებების“ ფორმით. ფონდის ფინანსური რესურსები ძირითადად ფორმირდება მისი წევრ-ქვეყნების ხელმოწერის (კვოტების) ხარჯზე. კვოტები ფორმირდება ფორმულით, გამოდინარე წევრ-ქვეყნების ეკონომიკის შეფარდებითი ზომებიდან.

სსფ ძირითადი ფინანსური როლი მდგომარეობს საგადასახდელო ბალანსთან მიმართებით სიძნელეების მქონე წევრ-ქვეყნებისთვის მოკლევადიანი კრედიტების გაცემაში. თავის მხრივ წევრები, რომლებიც იღებენ საშუალებებს ფონდიდან თანხმებიან განახორციელონ პოლიტიკური რეფორმები ასეთი სიძნელეების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით. კრედიტების ზომა იზღუდება კვოტების პროპორციულად. სსფ სხვა კრედიტები უფრო გრძელვადიანია, შეღავათიანი კრედიტების ჩათვლით, დაბალი შემოსვლების მქონე წევრ-ქვეყნებისთვის სუბსიდიის საფუძველზე, რომელიც ფინანსდება წარსულში სსფ ოქროს გაყიდვისა და წევრ-ქვეყნების შენატანების ხარჯზე.

ხელმძღვანელი *ორგანოა* *მმართველთა საბჭო,*
რომელშიც წარდგენილია ყველა წევრი ქვეყანა, *იკრიბება ყოველწლიურად.*
ყოველდღიურ მუშაობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭო 24 წევრის შემადგენლობით. საფინანსო-სავალუტო კომიტეტი, რომლის 24 წევრი შედის მმართველთა საბჭოში კონსულტირებას უწევს საბჭოს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებში. სსფ პროფესიონალი თანამშრომლები ძირითადად არიან ეკონომისტები.

სსფ გამოცემა Word Economic Outlook (მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობა)
და Global Financial Stability Report მოხსენება
გლობალურ ფინანსურ სტაბილურობაზე გამოდის წელიწადში ორჯერ,
დანარჩენს ხვდას ხვა გამოკვლევებთან.

მსოფლიო ბანკი, სსფ-თან ერთად არის მსხვილი საფინანსო ორგანიზაცია, ასევე შექმნილი ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის შედეგების მიხედვით, რომელიც ჩატარდა აშშ 1944 წელს.

მსოფლიო ბანკი ხელსუწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას, სიღარიბის შემცირებას ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, მათ შორის

იმისთვის, რომ დახმარება აღმოუჩინოს ქვეყნებს განსაზღვრული სექტორების რეფორმირებაში ან განსაზღვრული პროექტების განხორციელებაში – სკოლების, ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, დაავადებებთან ბრძოლა, გარემოს დაცვა. მბ-ის ხელშეწყობა ატარებს გეძელვადიან ხასიათს და ფინანსდება როგორც წევრ-ქვეყნების შენატანების, ასევე ობლიგაციების გამოშვების მეშვეობით. მბ-ის თანამშრომელთა კვალიფიკაცია მოიცავს დისციპლინების უფრო ფართო წრეს ვინემ მსფ თანამშრომლების კვალიფიკაცია.

სსფ და მბ თანამშრომლობენ სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში სიღარიბის შემცირების, უღარიბესი ქვეყნების ვალის ტვირთის შერბილების, და აგრეთვე ქვეყნის ფინანსური სექტორის შეფასებისსაქმეში. ორივე ორგანიზაცია ატარებს ერთობლივ თათბირს წელიწადში ორჯერ.

მსოფლიო ბანკი – საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია, შექმნილი განვითარებადი ქვეყნებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ორგანიზების მიზნით. მან თავის განვითარების პროცესში განიცადა სხვადასხვა სტრუქტურული ცვლილებები, ამიტომ ტერმინ მბ-ში სხვადასხვა ეტაპზე მოაზრებოდა სხვადასხვა ორგანიზაცია.

თავიდან მბ ასოცირდებოდა *განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკთან*, რომელიც აღუჩენდა დასავლეთ ევროპასა და იაპონიას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფინანსურ დახმარებას აღდგენისათვის. მოგვიანებით 1960 წ. შეიქმნა *განვითარების საერთაშორისო ასოციაცია*, რომელმაც იტვირთა ამ ბანკის პოლიტიკასთან დაკავშირებული ფუნქციების ნაწილი.

ამჟამად მბ-ში ფაქტობრივად მოიაზრება ორი ორგანიზაცია:

- განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი;
- განვითარების საერთაშორისო ასოციაცია.

სხვადასხვა დროს მათ მიუერთდა მბ ამოცანების გადასაწყვეტად შექმნილი კიდევ სამი ორგანიზაცია:

- საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია;

- ინვესტიციების გარანტირების მრავალმხრივი სააგენტო;
- საინვესტიციო დავების რეგულირების საერთაშორისო ცენტრი.

ხუთივე ორგანიზაცია შედის მსოფლიო ბანკის ორგანიზაციის ჯგუფში და იწოდებიან **მსოფლიო ბანკის ჯგუფად**.

მბ გააჩნია თავისი წარმომადგენლობა მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში, სადაც მუშაობს 10000-მდე კაცი. შტაბ-ბინა ვოშინგტონი.

მწვერობისპირობაასფ-შიწვერობა, ე.ი.განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის ყოველი წევრი ჯერ უნდ გახდეს სსფ-ს წევრი. მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც არიან განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის წევრები, შეიძლება იყვნენ მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი სხვა ორგანიზაციების წევრი.

მბ შემადგენლობაში შემავალი ორი ურთიერთდაკავშირებული დაწესებულება – **განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია** სესხემს გასცემენ დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, ნულოვანი პროცენტით ან გრანტების სახით იმ ქვეყნებს, რომლებსაც არაქვს კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე დაშვება ან აქვთ დაშვების არახელსაყრელი პირობები. განსხვავებით სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან მბ არ ისწრაფვის მოგების მიღებისაკენ.განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი მოქმედებს საბაზრო საფუძველზე, იყენებს თავის მაღალ საკრედიტო რეიტინგს, რომელიც აძლევს მას საშუალებას მიიღოს სახსრები დაბალი პროცენტით, იმისთვის რომ გასცეს თავის კლიენტებს განვითარებადი ყვექნების რიცხვიდან ასევე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. საოპერაციო ხარჯებს, დაკავშირებულს ამ საქმიანობასთან, ბანკი ფარავს დამოუკიდებლად, დაფინანსების გარე წყაროების გამოყენებლად.

წელიწადში ერთხელ მსოფლიო ბანკის ჯგუფი შეიმუშავებს ჩარჩო დოკუმენტს: „ მსოფლიო ბანკის ჯგუფის საქმიანობის სტრატეგიას”, რომელიც გამოიყენება როგორც ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველი. სტრატეგია ეხმარება ბანკის პროგრამის შეკავშირებას, როგორც სესხების გაცემის ასევე ანალიტიკური და საკონსულტაციო მომსახურების მიხედვით მსესხებელი ქვეყნის განვითარების კონკრეტულ მიზნებთან. სტრატეგიაში შედის პროგრამები და პროექტები,

რომლებსაც შეუძლიათ მაქსიმალური გავლენა იქონიოს სიღარიბის პრობლემების გადაწყვეტაში და ხელიშეუწყოს დინამიურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

თავიდან განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთშორისო ბანკი მოწოდებული იყო კაპიტალისტური ქვეყნების აკუმულირებული საბიუჯეტო საშუალებებისა და მოზიდული ინვესტიორების კაპიტალის მეშვეობით კერძო ინვესტიციების სტიმულირება მოეხდინა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკა დაზარალდა მეორე მსოფლიო ომის დროს. 50-ან წლებში, როდესაც დასავლეთ ევროპის ეკონომიკა სტაბილიზირდა, მისი საქმიანობა უფრო მეტად ორიენტირდა აზიის, აფრიკის და ლათინური მერიკის ქვეყნებზე. სსფ-გან განსხვავებით განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთშორისო ბანკი არ გამოიყენებს დაკრედიტების სტანდარტულ პირობებს. მისისაკრედიტო განაკვეთები, ვადები და მოცულობა განისაზღვრება დასაკრედიტებელი პროექტის თავისებურებებით. ბანკის ყველა სესხი უნდა იყოს გარანტირებული წევრ-ქვეყნების მთარობების მიერ. სესხები გამოიყოფა პროცენტული განაკვეთით, რომელიც იცვლება ყოველ 6 თვეში. სესხები გაიცემა, როგორც წესი 15-20 წლით, ძირითადი თანხის მიხედვით გადასახადის 3-5 წლის გადავადებით.

განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთშორისო ბანკის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო და დირექტორიატი როგორც აღმასრულებელი ორგანო. ბანკის პრეზიდენტი, როგორც წესი აშშ უმაღლესი საქმიანი წრეების წარმომადგენელია. საბჭოს სესიები ტარდება წელიწადში ერთხელ სსფ-თან ერთობლივად. ბანკის წევრები შეიძლება იქნენ მხოლოდ სსფ წევრები, ხმები ასევე განისაზღვრება ქვეყნის კვლით განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთშორისო ბანკის კაპიტალში (180 მილიარდ დოლარზე მეტი). მიუხედავად იმისა რომ წევრი არის 186 ქვეყანა, ლიდერობს შვიდეული: აშშ, იაპონი, დიდბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, კანადა და იტალია.

ბანკის რესურსების წყარო გარდა აქციონერული კაპიტალისა არის საობლიგაციო სესხების განთავსება ძირითადად ამერიკულ ბაზარზე, და საშუალებები მიღებული ობლიგაციების გაყიდვიდან.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (შეიქმნა 1960 წ.) კრედიტს გასცემს მხოლოდ წევრ-ქვეყნებს 35-40 წლის ვადით. დაფარვა იწყება შეღავათიანი 10 წლიანი პერიოდის შემდეგ. კრედიტები გაიცემა დასაკრედიტებელი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში. სახსრების მიღების უფლება აქვთ უღარიბეს და ნაკლებად კრედიტუნარინ წევრ-ქვეყნებს ძალიან დაბალი შემოსავლით – კრედიტების უმეტესობა გაიცემა ქვეყნებზე, რომელთა მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენს 800 დოლარს. ბანკის იღებს მხოლოდ საკომისიოს 3/4% ოდენობით ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად. ამ კრედიტების მიზანია ექსპორტის სტიმულირება განვითარებული ქვეყნებიდან ღარიბ ქვეყნებში. განვითარების საერთაშორისო ასოციაციაზე მოდის მბ საკრედიტო ოპერაციების მთლიანი მოცულობის 40%.

განვითარების საერთაშორისო ასოციაციის რესურსები ფორმირდება განვითარების ადარეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის მოგებისგან გადარიცხვების, სამრეწველი განვითარებული ქვეყნების შენატანებისა (საშუალებების შევსება, როგორც წესი ხდება ყოველ სამ წელს), აგრეთვე დაბრუნებული კრედიტებისგან.

განვითარების ადარეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის ადა განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მეშვეობით მბ გასცემს ძირითადად ორის სახის კრედიტს:

საინვესტიციო კრედიტებს და კრედიტებს განვითარების მიზნებისთვის.

საინვესტიციო კრედიტები გაიცემა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტების ჩარჩოებში სხვადასხვა სექტორებში საქონლის, სამუშაოების და მოსახურების წარმოების დასაფინანსებლად.

კრედიტები განვითარების მიზნებისთვის (აღრე ეწოდებოდა კრედიტები სტრუქტურული ცვლილებებისათვის) გაიცემა ფინანსური რესურსების გამოყოფის გზით პოლიტიკური და ინსტიტუციონალური რეფორმების მხარდასაჭერად.

პროექტები, რომლებიც კრედიტდება განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ხარჯზე, უნდა შეესაბამებოდეს იგვევ სტანდარტებს, რაც განვითარების ადარეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (შექმნილია 1956წ.) ეს ორგანიზაცია შექმნილია წევრ-ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით საწარმოო სფეროში მეწარმობის გნვითარების სტიმულირებისგზით. მის საქმიანობაში ძირითადი ყურადღება ექცევა დასაკრედიტებელ ქვეყანაში კერძო მეწარმეობის მხარდაჭერას და უცხოური კერძო ინვესტიციებს მოზიდვის სტიმულირებას. კრედიტები გაეცემა მაღალ რენტაბელურ საწარმოებს 15 წლამდე ვადით (საშუალოდ 5-დან 7 წლამდე). კრედიტი ფარავს პროექტის ღირებულების მხოლოდ 25%.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის კრედიტების თავისებურებას ამთავრობოვს რანტიების მოთხენილების არასებობა შიდა, განსხვავებით განვითარებისადარეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციისაგან., რამდენადაც კერძო კაპიტალის წრაფვის თავი აარიდოს სახელმწიფო კონტროლს. გარდა ამისა საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია 1961 წლიდან ააჩნია უფლება საშუალებების უშუალო ინვესტირებისას საწარმო საუქციო უნერულ კაპიტალში აქციების შემდგომ მიყიდვით კერძო ინვესტორებისათვის. ამ შემთხვევაში ვლინდება მსოფლიო ბანკის ჯგუფისათვის მახასიათებელი თანამშრომლობის ტენდენცია და არაკონკურენცია კერძო ინვესტორებთან.

ინვესტიციების გარანტირების მრვალ მხრივის ააგენტო (შექმნილია 1988წ.) ახორციელებს პირდაპირი ინვესტიციების და ზღვევას არაკომერციული რისკებისგან (ვადით 15-დან 20 წლამდე), კონსულტაციებს უწევს სამთავრობო ორგანოებს უცხოური ინვესტიციების საკითხებში. გარდა ამისა ახდენს საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და განვითარებად ქვეყნებში და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ინვესტირების ხელშეწყობის პირობების შექმნის რეკლამის მიწოდებას. ინვესტიციების გარანტირების მრვალ მხრივის ააგენტოს წევრები არიან მხოლოდ განვითარებისადარეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის წევრები. ფინანსირების წყარო ამისი კაპიტლი ფორმირებულია წევრ-ქვეყნების შენატანებისაგან.

საინვესტიციო და ვების რეგულირების საერთაშორისო ცენტრი. შეიქმნა 1966 წ. და ამის შემდეგ ასრულებს უცხოური ინვესტორებისად ასესხისამდე ქვეყნებს შორის

დავების რეგულირებაში საერთაშორისო არბიტრის ფუნქციებს. ამისათვის ის განახორციელებს შეთანხმებებს ან საარბიტრაჟო გარჩევებს მხარეებს შორის. ამჟამად საინვესტიციო დავების რეგულირების საერთაშორისო ცენტრისთვის სადავო საკითხებით მიმართვაზედებულება არის საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებისა და ხელშეკრულებების სტნდარტული პუნქტი.

პარიზის კლუბი(1956წ.) – წამყვანი კრედიტორ-ქვეყნების სამთარობოთაშორისო ინსტიტუტი აერთიანებს 20 ქვეყანას. განიხილება ქვეყნების სახელმწიფო ვალის მიხედვით გადასადების გადავადების, დარეგულირების პრობლემები. ცალმხრივი მორატორიუმის ასაცილებლად (გადასახდების გაადვადების) კრედიტორები აწარმოებენ მოლაპარაკებებს მოვალეებთან „პირისპის“ საგარეო ვალის გადახედვის პირობებზე. მისი საქმიანობის დაწყება მიეკუთვნება 1956წ., როდესაც არგენტინის კრედიტორები იქნა მიწვეული პარიზში მოვალეებთან მოლაპარაკებაზე. პარიზის კლუბის პერიოდული სხდომები 70-ან წლებში შეიცვალა 80-90-ანი წლებში აქტიური მუშობით განვითარებადი ქვეყნებისა და შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ვალის დაფარვასთან დაკავშირებული პრობლემების გამწვავების გამო. პარიზის კლუბის სხდომებზე ესწრებიან დამკვირვებლები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, განვითარებისა და რეკონსტრუქციის სერთასორისო ბანკიდან და ჩვეულებრივ, განიხილება საგარეო ვალის იმ ნაწილის საკითხი, რომელიც უნდა იყოს დაფარული მიმდინარე წელს.

თუ რომელიმე მოვალე სახელმწიფო განიცდის სირთულეებს (კერძოდ გადასახდების ბალანსის ბალანსირებში) იწყებს გაჯნსადების პროგრამას საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეგიდით. პარიზის კლუბი მოცემული ქვეყნის მთავრობასთან ერთად შეიმუშავებს მისი სახელმწიფო საგარეო ვალის რესტრუქტურისაციის შესახებ შეთანხმებას.

ლონდონის კლუბი – 60-ზე მეტიკერძო კომერციული ბანკების საერთაშორისო გაერთიანება, ფორმირებულია 70-ან წლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, რომლებიც წარმოიშვა იმის გამო რომ რიგი ქვეყანა (უწინარესად განვითარებადები) ვერ უზრუნველყოფენ საგარე ვალის რეგულარულ მომსახურებას. განიხილავს მოვალე ქვეყნების კერძო საგარეო დავალიანების დარეგულირების პრობლემებს. შედეგად ჩნდება საგადასახდლო ბალანსის

პასიური საღდოს შემცირების შესაძლებლობა საქონლისა და კაპიტალის იმპორტის მოცულობის შემცირების გარეშე-ლონდონის კლუბი, განსხვავებით პარიზისის კლუბისა არეგულირებს კერძო კომერციული ბანკების წინშე არსებულდავალიანებების საკითხებს, რომლის კრედიტები არ იმყოფება სახელმწიფო გარანტიების ან დაზღვევის ქვეშ. სავალო პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი მეთოდებია: დავალიანების რესტრუქტურისაცია, დაფარვის გადავადება განახლებადი კრედიტების გაცემა.

განვითარების რეგიონალური ბანკები შექმნილია 20-ესაუკუნის 60-ან წლებში აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში კოლონიალური სისტემის დაშლის შემდეგ. მათი შექმნის მიზეზებია განვითარებადი ქვეყნების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით მათი როლის ცვლილება და ნაციონალური და რეგიონალური პრობლემების კოლექტიური გადაწყვეტის აუცილებლობა. განვითარების რეგიონალური ბანკების რიცხვში შედიან განვითარების აზიური ბანკი, განვითარების ამერიკული ბანკი, განვითარების აფრიკული ბანკი, განვითარების ისლამური ბანკი, განვითარების ყარაიბის ბანკი, განვითარების აღმოსავლეთ აფრიკული ბანკი, განვითარების ცენტრალური აფრიკის ბანკი და სხვა. წევრები არიან, როგორც რეგიონის სახელმწიფოები, ასევე არარეგიონული სახელმწიფოები, მ.შ. განვითარებულები. განვითარებული ქვეყნები შეადგენენ დაახლოებით 1/3. მათ ეკითვნით საწესდებო კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც აძლევს მათ შესაძლებლობას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ ბანკის საქმიანობაზე.

რეგიონალური ბანკების მიზნებია რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების, თანამშრობლობისა და საოციალური პროგრესის ხელშეწყობა, დავალიანებისა და სიღატაკის შემცირება, ქალების მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, ბუნების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა.

რეგიონალური ბანკების რესურსები შედგება საწესდებო კაპიტალის, კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე სესხების გზით მოზიდული საშუალებების, და აგრეთვე სპეციალური ფონდებისაგან, რომლებიც შექმნილია ძირითადად ბანკის წევრ ქვეყნების შენატანების ხარჯზე ტექნიკური დახმარების გაწევისა და შეღავათიანი დაკრედიტებისათვის.

ბანკის ოპერაციები მიმართულია ეკონომიკური განვითარების ყველა მიმართულების მხარდაჭეაზე, მაგრამ პრიორიტეტულია სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსება (ენერჯეტიკის, ტრანსპორტის, კომუნიკაციების და ა.შ.), აგრეთვე სოფლის მეურნეობის. ბანკის რესურსების საკმაოდ დიდი ნაწილი მიმართულია მრეწველობის დაკრედიტებზე. განვითარების რეგიონალურბანკებში დადგენილია რესურსების ფორმირების, ნასესხი საშუალებების სოციალურ სფეროებში მიმართვისერთინი პრინციპი, საკრედიტო პოლიტიკა ტარდება მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნიმუშით. ამასთან ერთად არსებობს განსხვავება განვითარების რეგიონალურიბანკების საქმიანობაში. ისინი განისაზღვრება სამი კონტინენტის – ლათინური ამერიკა, აზია, აფრიკა – ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონით, მათი ისტორიული ტრადიციების თავისებურებებით.

გაეროს სპეციალიზებული დაწესებულების – ეკონომიკური საბჭოს მიერ შექმნილია 4 რეგიონალური კომისია – ევროპის, აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკისათვის. ბოლო ორმა ხელი შეუწყო აზიის განვითარების ბანკისა და განვითარების ამერიკათაშორისი ბანკის ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციებს ავსებენ სპეციალური ფონდები.

ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია შექმნილი 1948 წ. მარშალის გეგმის განხორციელების მიზნით, შემდგომ (1950-1958წწ) გადაორიენტირდა ევროპული საგადასახდლო კავშირის შექმნაზე, ხოლო 1961წ ის შენაცვლებული იქნა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციით (Organisation of Economic Cooperation and Development).

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი დაფუძნეს 1940 წელს 40 ქვეყანამ, აგრეთვე ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ (ამჟამად ევროკავშირი) და ევროპის საინვესტიციო ბანკმა. ამ საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტის აქციონერები შეიძლება იყვნენ საერთაშორისო საგადასახდლო ფონდის წევრი, როგორც ევროპული ასევე არაევროპული ქვეყნები. ამჟამად მასში შედის 60 ქვეყანა. შტაბ-ბინა ლონდონი,

მრავალ ვეყანაში აქვს წარმომადგენლობა, რომელიც კოორდინცის უწევს ადგილზე.

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მიზნებია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის საბაზრო ეკონომიკის შექმნაში ხელშეწყობა და მრავალპარტიული დემოკრატიის, პლურალიზმის და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მომხრე ქვეყნებში კერძო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა. ამ მიზნების რეალიზებისათვის ბანკი მხარსუჭერს მონაწილე ქვეყნებში სტრუქტურული და დარგობრივი ეკონომიკური რეფორმების გატარებას, მ.შ. დემონოპოლიზაციის, დეცენტრალიზაციის და პრივატიზაციის განხორციელებისას; ხელს უწყობს ეროვნული კაპიტლის მობილიზებას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას; ახორციელებს ინვესტიციებს წარმოებაში კონკურენტული გარემოს შესაქმნელად, შრომის მწარმოებლურობის ასამაღლებლად და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ასტიმულირებს კაპიტალის ბაზრის განვითარებას და სხვ.

მართვის ორგანოებია მმართველთა საბჭო, დირექტორების საბჭო და ბანკის პრეზიდენტი. ბანკის ხელმძღვანელი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელშიც შედის თითო ქვეყნიდან ერთი მმართველი და მისი ერთი მოადგილე. მმართველთა საბჭო იკრიბება წელიწადში ერთხელ ბანკის ფუნქციონირებისათვის სტარატეგიული მნიშვნელობის მქონე საკითხების გადასაწყვეტად.

მთავარი აღმასრულებელი ორგანოა დირექტორების საბჭო, მოიცავს 23 წევრს, რობლების გადარჩევა ხდება ყოველ სამ წელს. ის ახორციელებს ბანკის მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას, აგრეთვე ასრულებს მმართველთა საბჭოს მიერ მაზე დელეგირებულ უფლებამოსილებას. დირექტორთა საბჭოს ყოველ წევრს გაჩნია ხმათა რაოდენობა ტოლი ბანკის აქციონერულ კაპიტალში მოწერილი აქციების რაოდენობის.

ბანკის პრეზიდენტი ირჩევა მმართველთა საბჭოს მიერ 4 წლის ვადით, ის თავმჯდომარეობს დირექტორთა საბჭოზე და მართავს ბანკის მიმდინარე საქმიანობას.

ვეროპისგანვითარებისადარეკონსტრუქციისბანკის რესურსები ფორმირდება საწესდებო კაპიტალის, ნასესხი (მოზიდული) საშუალებების და სესხების დაფარვის ან გარნტიების მიხედვით მიღებული საშუალებების ხარჯზე. გარდა ამისა სოციალურად მნიშვნელოვანი დააბალ რენტაბელური დარგების ინვესტირებისა და ტექნიკური დახმარების გაწვევისათვის ბანკი ქმნის **სპეციალურ ფონდებს**, რომლის რესურსები ფორმირდება დონორების ნებაყოფლობითი შენატანების ხარჯზე.

ბანკისაქციონერულიკაპიტლი შეადგენს 20 მლიარდ ევროს. მათი უდიდესი წილი ეკუთვნის განვითარებულ ქვეყნებს. ცენტრალურივეროპისადააღმოსავლეთვეროპისკვოტა 13%. ბანკი ვალდებულია თავის რესურსების არანაკლებ 60% გამოიყენოს კერძო სექტორის დაკრედიტებისთვის – კერძო ფირმების, პრივატიზებული სახელმწიფო საწარმოების, აგრეთვე ერთობლივი საწარმოების. დაკრედიტების პრიორიტეტული მიმართულებებია პრივატიზაცია და სტრუქტურული რეფორმები, ფინანსური სისტემა, ენერგეტიკა (ატომური რეაქტივების ჩათვლით), ტელეკომუნაციები, ტრანსპორტი, ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, ბუნებრივი რესურსები და ტურიზმი.

კრედიტის მისაღებად კომერციულმა საწარმოებმა ან მათი სახელით მოქმედების უფლებით ადჰურვილმა შეამავლებმა უნდა მიმართონ უშუალოდ ბანკს. რეკომენდებულია ბანკისთვის მიმართვა პროექტზე მუშაობის საწყის ეტაპზე, იმისათვის რომ მიიღონ საჭირო რეკომენდაციები. პოტენციურმა მსესხებლებმა უნდა წარადგინონ დაწვრილებითი ცნობები თავის აქციონერებზე, საქმიანობაზე და პროექტზე. ამ დროს აუცილებლად ხდება ბანკის ეკოლოგიური პოლიტიკის პრიორიტეტების რეალიზების უზრუნველყოფა. ბანკის კრედიტის ვადები შეადგენს 5-10 წელს, კრედიტის მინიმალური თანხა – 5 მლნ. ევრო. ბანკს შეუძლია უფრო ნაკლები კრედიტი გასცეს, თუ ქვეყნისათვის პროექტი მნიშვნელოვანია. დაკრედიტებაწარმოებს ნებისმიერ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, პრატიკაში ძირითდად – დოლარებში და ევროში. პროექტის ფინანსირება შეადგენს მისი ღირებულების 35%. კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა ხდება თანბარი ნაწილებით ყოველ ნახევარწელს.

ბანკი ფუნქციონირებს კომერციულ საფუძველზე და თავის კრედიტებს გასცემს საბაზრო განაკვეთებით. კომერციული საწარმოების დაკრედიტებისას ბანკი როგორც წესი არ ითხოვს საშუალების დაბრუნების სამთავრობო გარანტიებს, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ იყენებს კრედიტის პროექტის აქტივებით საგირავანო უზუნველყოფას (მაგალითად ძირითად ფონდებზე, მოძრავ ქონებაზე და ა.შ.). განაკვეთი კრედიტების მიხედვით შეიძლება იყოს მცურავი და ფიქსირებული, აგრეთვე გამოიყენება ხეჯირების სხვადასხვა ინსტრუმენტების შეხამება.

პროექტების თანადაფინანსება ხორციელდება ერთობლივი დაფინანსების, პრაქტიკული ფინანსირების, სინდიცირებული კრედიტის და სინდიცირებული მონაწილეობისფორმით.

ევროპის საინვესტიციო ბანკი (ლუქსენბურგი) კრედიტებს გასცემს 7-დან 12 წლამდე ვადით, ხოლო განვითარებად ქვეყნებს 40 წლამდე. მიზანია ევროკავშირის ქვეყნების ჩამორჩენილი რეგიონების განვითარება, საწარმოების რეკონსტრუქცია, ერთობლივი სამეურნეო ობიექტების შექმნა, პრიორიტეტული დარგების გზითრება.

ევროპის განვითარების ფონდი(1958წ.) ატარებს ევროკავშირის კოლექტიურ პოლიტიკას განვითარებადი ქვეყნების მიმართ, ახდენს ამ ქვეყნების განვითარების ოფიციალური დახმარების ორმხრივი პროგრამებისკოორდინაციას.

სოფლის მეურნეობის ორიენტაციისა და გარანტირების ევროპული ფონდი (1969წ.) ხელს უწყობს საერთო აგრარული ბაზრის შექმნას და განვითარებას („მწვანე ევროპა“).

რეგიონალური განვითარების ევროპული ფონდი(1975წ.) გასცემს კრედიტებს ევროკავშირის ერთობლივი ბიუჯეტის საშუალებების ხარჯზე წევრ ქვეყნებში რეგიონალური დისპროპორციების გამოთანაბრების მიზნით, რამდენადაც იქ 25 ულატაკესი რაიონია, რომლის ცხოვრების დონე 2,5 ჯერ დაბალია ვინემ 25 ყველაზე აყვავებულში.

ევროპის სავალუტო ინსტიტუტი (ფრანქფურტი მაიამზე, 1994 წ.) მან შეცვალა 1973 წელს შექმნილი სავალუტო თანამშრომლობის ევროპული ფონდი – ზენაციონალური ორგანო, 12 ცენტრალური ბანკის მმართველების შემადგენლობით, ასორციელებს ამ ბანკების ფულადი და საკრედიტო პოლიტიკის კოორდინაციას, ხელს უწყობს ევროპული ცენტრალური ბანკების სისტემის შექმნას და ერთინ ვალუტაზე გადასვლას. მაზე გადავიდა ეკიუ-ს ემისიის ფუნქცია და წევრ ქვეყნების ბლანსის დეფიციტის დასაფარად კრედიტების გაცემა. 1998წ. ივლისიდან ევროპის სავალუტო ინსტიტუტი ჩანაცვლდა ევროპის ცენტრალური ბანკით, რომელიც უშვებს ევროს. 1999წ. მოქმედებს ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემა, რომელიც მოიცავს ევროპის ცენტრალურ ბანკს და ევროზე გადასულ ევროკავშირის ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს.

დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის რეგიონალური სავალუტო-საკრედიტო და ფინანსური ორგანიზაციები წარმოადგენენ მისი ინსტიტუციონალური სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს.

საერთაშორისო საბანკო სტატისტიკა

საფინანსო-საკრედიტო სისტემაში ბანკებითა და მათგან საკუთრებულ როლს. ბანკი – ესაა საფინანსო დაწესებულება, რომლის ფუნქციებია:

- ფულადი საშუალებებისა და დაგროვების აკუმულაცია;
- კრედიტების გაცემა;
- ფულის, ფასიანი ქაღალდების ემისია;
- სახელმწიფოებს, საწარმოებსა და ცალკეულ პირებს შორის ანგარიშსწორებებში და გადახდებში შუამავლობა.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ბანკების კლასიფიკაცია შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. ეროვნული კუთვნილების მიხედვით:
 - ტრანსნაციონალური ბანკები, მათ მრავალ ქვეყანაში გააჩნიათ ფილიალები, მაგრამ ინარჩუნებენ თავის ნაციონალურ კუთვნილებას;

- მრავალნაციონალური ბანკები, რომელთა დამფუძნებლებია რიგი ქვეყნის მსხვილი ბანკები (მსოფლიო ბანკი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი).

2. საკუთრების ფორმების მიხედვით:

- სახელმწიფო;
- არასახელმწიფო.

მოცემული ნიშნით კლასიფიკაციის საფუძველია საწესდებო კაპიტალის კუთვნილება და მისი ფორმირების ხერხები.

3. საბანკო საქმიანობის მიმართულებების მიხედვით:

- ცენტრალური (სარეზერვო ბანკები), ყოველთვის სახელმწიფო ბანკია, იმ შემთხვევაშიც კი თუ არ ფლობს, ან ნაწილობრივად ფლობს მათ კაპიტალს;
- ემისიური – ბანკები, რომლებიც სახელმწიფოს დავალებით განსაზღვრავენ ფასიანი ქაღალდების ემისიის მოცულობას, პირობებს და ვადებს, თავისი ხარჯებით მათი შექმნითა და გაყიდვით ორგანიზებას უკეთებენ მათ განთავსებას და მეორად მიმოქცევას;
- იპოთეკური – ბანკები, რომლებიც სპეციალიზდებიან გრძელვადიანი კრედიტების გაცემაზე უძრავი ქონების გირავნობით;
- კომერციული – აქციონერული ბანკები, რომელთა ძირითადი ფუნქციაა იურიდიული და ფიზიკური პირების თავისუფალი ფულადი საშუალებების მოზიდვა და მათი განთავსება;
- ინოვაციური – კომერციული ბანკების ნაირსახეობაა, მათი ძირითადი ოპერაციებია – ვენჩურული კაპიტალის, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების დაკრედიტება. ამ ბანკის რესურსები ხელს უწყობს გამოგონებებისა და სიახლეების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს მაღალეფექტური სახეობების პროდუქციის წარმოებას, გამოშვებული ტექნიკის კონკურენტუნარიანობისა და ტექნიკური დონის ზრდას;
- საშემნახველო – ძირითადი ფუნქციაა ფიზიკური პირების თავისუფალი ფულადი საშუალებების მოზიდვა. ისინი იღებენ მოსახლეობის ანაბრებს მიმდინარე და სხვა ანგარიშებზე, გამოყოფენ სამომხმარებლო კრედიტს, უშვებენ საკრედიტო ბარათებს.

4. შესასრულებელი ოპერაციების მიხედვით:

- უნივერსალური. ისინი ასრულებენ ოპერაციების მრავალ სახეობას და მომსახურებას უწევენ კლიენტების ფართო წრეს;
- სპეციალიზებული. მათი საქმიანობა ძირითადად ორიენტირებულია თავისი კლიენტების უმეტესობისათვის მომსახურების ერთი-ორი სახეობის გაწევაზე. სპეციალიზებული ბანკების სხვა ტიპად შეიძლება იყოს ბანკი, რომელიც ემსახურება კლიენტების მხოლოდ განსაზღვრულ კატეგორიას (საბირჟო, კოოპერატიული) ან განსაზღვრულ დარგებს (დარგობრივი სპეციალიზაცია).

გარდა ამისა სპეციალიზებული ბანკების დაყოფა ხორციელდება ტერიტორიული სპეციალიზაციის ნიშნით:

- რეგიონალური;
- რაგიონთაშორისი;
- საერთაშორისო.

საბანკო ოპერაციები იყოფა პასიურზე და აქტიურზე.

პასიური ოპერაციები – ესაა ბანკების მიერ, საკრედიტო და სხვა აქტიური ოპერაციების გასატარებლად რესურსების ფორმირების მიზნით, თავისუფალი საშუალებების მოზიდვა.

აქტიური ოპერაციები – ესაა არსებული რესურსების განთავსება გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტების გაცემის, ფასიან ქაღალდებში დაბანდების და ა.შ. მეშვეობით.

საერთაშორისო საბანკო სისტემაში შედის ისეთი ბანკები, როგორცაა:

- საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი, შექმნილია 1970 წ. ქვეყნების შეთანხმების საფუძველზე, ქვეყნების გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკრედიტების მიზნით.
- ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკი;
- განვითარებისა და ვაჭრობის შავი ზღის ბანკი;
- განვითარების აზიური ბანკი – აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ყვეყნებისათვის;
- საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი.

ბანკების, მათ საქმიანობაში როგორც შიდა ბაზარზე, ასევე საგარეო ეკონომიკურ კავშირებში, დახმარების გასაწევად 1991 წელს დაფუძნდა კომერციული ბანკების საერთაშორისო ასოციაცია. დამფუძნებლები არიან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ამ ასოციაციის ძირითადი მიზნებია:

- ქვეყნებისთვის ხელშეწყობა თანამედროვე საბანკო სტრუქტურებისა და ბანკთაშორისი თანამშრომლობის განვითარებაში;
- ურთიეთ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების მხარდაჭერა და გაფართოვება დამფუძნებელ ქვეყნებს და აგრეთვე მათ და დასავლეთის ქვეყნებს შორის

ფულადი სისტემები და ფულადი მიმოქცევის სტატისტიკა

ფინანსური სტატისტიკის ერთ-ერთი გლობალური მიმართულებაა ქვეყნის ფულადი სისტემის მდგომარეობის შესწავლა. ფულადი მიმოქცევა – ეროვნული შემოსავლის და საზოგადოებრივი პროდუქტის გაცვლისა და განაწილების აუცილებელი პირობაა. ფულადი მიმოქცევა წარმოადგენს ფულის მოძრაობას და ასრულებს მიმოქცევის საშუალების, გადახდის, ფულადი რეზერვებისა და დანაზოგების ფორმირების ფუნქციას.

ოპერაციების ერთობლიობა, რომლის დროსაც ამა თუ იმ ფორმით ხორციელდება ფულადი საშუალებების მოძრაობა (გადაცემა) წარმოადგენს ფულად ბრუნვას.

ფულადი ბრუნვის დახასიათებისას განასხვავებენ ნაღდ ფულად ბრუნვას, რომელიც ხორციელდება ნაღდი ფულით, და უნაღდო ბრუნვა, რომელიც ხორციელდება უნაღდო ანგარიშების მეშვეობით, ფულადი საშუალებების ფლობელების მიერ საკრედიტო დაწესებულებებში გახსნილი ანგარიშების მიხედვით შესაბამისი ოპერაციების განხორციელების გზით.

ფულადი მიმოქცევა მოიცავს, როგორც საქონლისა და მომსახურების მოძრაობას, ასევე სასესხო და ფიქტიური კაპიტალის (ფასიანი ქაღალდების) მოძრაობას.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საგადასხდელო ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ფინანსურ ოპერაციებზე, ე.ი. სხვადასხვა სახეობის ფასიანი ქაღალდების გარიგებებზე, სასესხო ოპერაციებზე, საგადასახდო გადახდებზე და სხვა ფინანსურ გარიგებებზე. ამ დროს გადახდების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება უნაღდო ფორმით.

ფულადი მიმოქცევის სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია:

- ფულადი მიმოქცევის ასახვა და ფულის გაუფასურებაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება;
- ბანკების საღაროებში და მათგან ნაღდი ფულის მოძრაობის არსების გამოვლენა;
- ფულად მიმოქცევაში სეზონური რყევების განსაზღვრა;
- ემისიის მოთხოვნილების და მიმოქცევიდან ფულის ამოღების აუცილებლობის განსაზღვრა;
- მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსის ანალიზი.

ფულადი მიმოქცევის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა მოიცავს:

- ფულად ბრუნვას;
- ნაღდ ფულს საბანკო სისტემის გარეთ;
- უნაღდო საშუალებებს;
- ფულის მიმოქცევის სიჩქარეს;
- ბრუნვის ხანგრძლივობას;
- ფულადი მასის კუბიურულ აგებულობას;
- ინდექს-დეფლატორს;
- ღარის მსყიდველობით უნარს;
- ანგარიშებზე სახელმწიფოს ოქროს მარაგებით, დეპოზიტებით ოპერაციების ამსახველ მაჩვენებლებს;
- საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ვალუტასთან ოპერაციების ამსახველ მაჩვენებლებს.

მოცემული მაჩვენებელთა სისტემა ეფუძნება ფულის ისეთ ფუნქციებთან დაკავშირებულ კატეგორიებს, როგორცაა ღირებულების საზომი, მიმოქცევის საშუალება, გადახდის, დაგროვებისა და დანაზოგის საშუალება.

ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვანი რაოდენობრივი მაჩვენებელია ფულადი მასა, რომელიც წარმოადგენს სამეურნეო ბრუნვის მომსახურე და სახელმწიფოს, კერძო პირებისა და დაწესებულებების კუთვნილი მსყიდველობითი და საგადასახდელო საშუალებების ერთობლივ მოცულობას.

განსაზღვრული თარიღისათვის და განსაზღვრულ პერიოდში ფულადი მიმოქცევის რაოდენობრივი ცვლილებების ანალიზისათვის და აგრეთვე ფულადი მასის მოცულობის და ზრდის ტემპების რეგულირების ღონისძიებების შესამუშავებლად გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებელი – **ფულადი აგრეგატები**. მთლიანი ფულადი მასა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ფულადი აგრეგატების ერთობლიობა, რომელშიც ყოველი მომღვეწო აგრეგატი მოიცავს წინა აგრეგატს.

თითოეულ ქვეყანაში არსებობს, ლიკვიდურობის დონის მიხედვით, დეტალიზაციის ხარისხით განსხვავებული, ფულადი აგრეგატების საკუთარი სისტემა. ფულად მასაში განასხვავებენ:

- აქტიურ ფულს (მოსახურებას უწევს ნაღდ და უნაღდო ბრუნვას);
- პასიურ ფულს (დაგროვება, რეზერვები, ნაშტი ანგარიშებზე), რომელთა პოტენციური გამოყენება შესაძლებელია ანგარიშსწორებისათვის.

საერთაშორისო პრაქტიკაში მთლიანი ფულადი მასა ლიკვიდურობის დონის მიხედვით იყოფა ფულად აგრეგატებზე.

MO– ესაა ნაღდი ფული მიმოქცევაში. ნაღდი ფულადი მასა შედგება მოსახლეობის ხელთ არსებული ნაღდი ფულისაგან, იურიდიული პირების საღაროებში ფულადი ნაშტისა და საბანკო დაწესებულებების საბრუნავ საღაროებში არსებული ნაღდი ფულისაგან.

მოსახლეობაში ნაღდი ფულის არსებობა იმის შედეგია, რომ ფულის მიღება და დახარჯვა დროში ერთმანეთს არ ემთხვევა. მოსახლეობის ნაღდი ფულის რაოდენობა დამოკიდებულია ფულადი შემოსავლების მოცულობაზე, მათი მიღების სიხშირეზე, საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფადობაზე და ა.შ.

ნაღდი ფულის არსებობას ადგილი აქვს ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საღაროებში, მათ მიერ საკასო ოპერაციების ნორმალური წარმოებისათვის.

ფულადი აგრეგატი M1= M0 + დეპოზიტი მოთხოვნამდე (ანგარიშები მოთხოვნამდე და საშუალებების ნაშტს დაწესებულებების, ოპანიზაციებისა და საწარმოების ანგარიშზე).

ფულადი აგრეგატი M1 ასრულებს ფულადი მასის სიდიდის დომინირებული მაჩვენებლის როლს. სახელდობრ, აგრეგატი M1 ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის, ეროვნული შემოსავალის განაწილებისა და გადანაწილების, დაგროვებისა და მოხმარების რეალიზაციის ოპერაციების მომსახურებას. ამ მაჩვენებლის სტატისტიკური აღრიცხვა უზრუნველყოფილია იმით, რომ ფულის მნიშვნელოვანი მასა გადის დეპოზიტური დაწესებულებების ანგარიშებით.

აგრეგატი M1 მოიცავს ფულადი ბრუნვის ყველა იმ საშუალებებს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს კონვერსიის, წინასწარი გაყიდვების გარეშე ან რომელიმე სხვა ფინანსური ოპერაციის გაანგარისებებში და ხასიათდება დიდი ლიკვიდურობით. ფულადი მასის დანარჩენი მაჩვენებლები შეიძლება გამოყენებული იქნეს, გადასახადების სახით, მხოლოდ რიგი შუალედური ოპერაციების შემდეგ.

ფულადი აგრეგატი M2= M1 + უვადო დეპოზიტები. უვადო დეპოზიტები – ესაა შემნახველ და კომერციულ ბანკებში იურიდიული და ფიზიკური პირების ვადიან ანგარიშებზე (3 წლამდე) ნარჩენი საშუალებები. თავისი შედგენილობით M2 რამდენიმე ჯერ აღემატება აგრეგატ M1.

ფულადი აგრეგატი M3= M2 + იურიდიული და ფიზიკური პირების სხვა დეპოზიტები (სადაზღვევო პოლისები, ფიზიკური პირების ანაბრები 3 წელზე მეტი ვადით, ბანკების რეზერვები და ა.შ.).

ფულადი აგრეგატი M4 = M3+ საშუალებები ფასიან ქაღალდებში (აქციები, ობლიგაციები, ვექსილი, და ა.შ.)

ფულადი აგრეგატი M5 = M4 + იურიდიული და ფიზიკური პირების საშუალებები უცხოურ ვალუტაში.

ფულადი აგრეგატები აგებულია მათი ლიკვიდობის კლებადობის წესით. აგრეგატებს შორის აუცილებელია წონასწორობა, სხვანაირად დაირღვევა ფულადი მიმოქცევა.

საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებენ 4-დან 7-მდე ფულად აგრეგატს. სხვადასხვა ქვეყანაში ფულადი მასა ნაწილდება აგრეგატების სხვადასხვა რიცხვებად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკაში უპირატესობას ანიჭებენ აგრეგატს, რომელიც აერთიანებს ნაღდ და დეპოზიტურ ფულს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ყველა ქვეყნისათვის გაიანგარიშებს საერთო აგრეგატ **M1**, რომელიც მოიცავს ნაღდ ფულს და ჩეკური ანაბრების ყველა სახეობას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით გაიანგარიშება:

- ვიწრო ფული (აგრეგატი **M1** საშუალებები);
- კვაზი-ფული (უვადო და საშემნახველო საბანკო ანგარიშები და ბაზარზე ფორმირებადი ყველაზე ლიკვიდური ფინანსური ოპერაციები);
- ფართო ფული = ვიწრო ფული + კვაზი-ფული.

ზემოთ ჩამოთვლილი ფულადი აგრეგატები – ესაა სამომენტო მაჩვენებლები, გაანგარიშებული პერიოდის დასაწყისისათვის (ბოლოსათვის). მთელი რიგი გათვლებისათვის საჭიროა აგრეგატების საშუალო ზომაზე მონაცემები პერიოდის განმავლობაში. ამისათვის გამოიყენებენ მარტივი საშუალო არითმეტიკულის ფორმულას:

$$\bar{M}_i = M_i(\text{პერიოდის დასაწყისისათვის}) + M_i(\text{პერიოდის ბოლოსათვის})/2.$$

საერთაშორისო პრაქტიკაში გაიანგარიშება შესაბამისი ფულადი აგრეგატის წილი მთლიან შიდა პროდუქტში. ეს მაჩვენებელი იწოდება მონეტარიზაციის (მონეტიზაციის) კოეფიციენტად და ახასიათებს რეალიზებული მშპ-ს იმ ნაწილს, რომელის უზრუნველყოფა ხდება შესაბამისი აგრეგატი:

$$\text{მონეტიზაციის კოეფიციენტი} = M_i / \text{მშპ}.$$

მაგალითად, თუ აგრეგატი **M1** შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან შეადგენს 20%, მაშინ ამბობენ, რომ მშპ-ს 20% რეალიზაციის უზრუნველყოფა ხდება ამ აგრეგატით.

მონეტიზაციის კოეფიციენტი არის ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რამდენადაც მისი დონის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო შედარებებით. განვითარებულ ქვეყნებში მონეტიზაციის კოეფიციენტი (გაანგარიშებული აგრეგატი **M2** საფუძველზე) შეადგენს 60-დან 80%- მდე.

მიმოქცევაში ფულის რაოდენობა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- მშპ-ის სიდიდეზე;
- ფულადი მასის მიმოქცევის სიჩქარეზე.

ფულადი მასის მიმოქცევის სიჩქარე ხასიათდება ორი მაჩვენებლით:

- ფულადი მასის ბრუნვის რაოდენობით (ბ.რ.);
- ერთი ბრუნვის ხანგრძლივობით (ხ.ბრ.).

ფულადი მასის ბრუნვის რაოდენობა განისაზღვრება მთლიანი შიდა პროდუქტის ზომის შეფარდებით ფულადი მასის საშუალო ზომასთან (\bar{M}):

$$\text{რ.ბრ.} = \text{მშპ} / \bar{M} .$$

ბრუნვადობის კოეფიციენტი უჩვენებს საშუალოდ თუ რამდენი ბრუნვა განახორციელა ფულადმა მასამ წლის განმავლობაში, სხვა სიტყვებით – წლის განმავლობაში რამდენჯერ იქნა გამოყენებული ვალუტა საქონლისა და მომსახურების შესასყიდად. ბრუნვის რიცხვის ზრდისას მატულობს ფულადი მასის მიმოქცევის სიჩქარე. ეს არის ფულადი მასის სიჩქარის მახასიათებელი პიდაპირი მაჩვენებელი.

ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა გაიანგარიშება დღეებში (D) პერიოდში საბანკო დღეების რიცხვის შეფარდებით ბრუნვის რაოდენობასთან:

$$\text{ხ.ბრ.} = D / \text{რ.ბრ.}$$

საერთაშორისო სტანდარტებით წელიწადში საბანკო დღეების რაოდენობა ტოლია 360 დღის, კვარტალში – 180 დღის, თვეში – 30 დღის. ეს მაჩვენებელი ახასიათებს რამდენ დღეში განხორციელდა ფულადი მასის ერთი ბრუნვა. თუ დღეების რაოდენობა მცირდება ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი და იგივე მოცულობის მთლიანი შიდა პროდუქტის მომსახურებისათვის საჭიროა ნაკლები დღეები. ეს ბრუნვის სიჩქარის უკუ მაჩვენებელია.

ფულადი მასის მიმოქცევის სიჩქარის ცვლილება იწვევს მისი ბრუნვიდან ამოღებას (მიმოქცევაში გაშვების), რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta M = (ხ.პ.რ.1 - ხ.პ.რ.0) * მშპ/D,$$

სადაც მშპ/D – საანგარიშო პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის ერთდღიური რეალიზაციის ზომია.

ამ მაჩვენებლების გაანგარიშება განვიხილოთ ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე.

ორი პერიოდის ფულადი მასა და მთლიანი შიდა პროდუქტი

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
მშპ, ფ.ე.	740	754
ულადი მასა, ფ.ე.	280	320

გავიანგარიშოთ ბრუნვადობის კოეფიციენტი:

1. საბაზისო პერიოდში: $K_{ბრ0} = 740/280=2,6$ ჯერ;
2. საანგარიშო პერიოდში: $K_{ბრ1} = 754/320=2,4$ ჯერ;

ეს ნიშნავს იმას, რომ ფულადი მასა საბაზისო პერიოდში დაბრუნდა 2,6 ჯერ, საანგარიშო პერიოდში კი 2,4 ჯერ (ე.ი. მიმოქცევის სიჩქარე შენეულა).

გავიანგარიშოთ ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა

1. საბაზისო პერიოდში: $ხ.პ.რ.0 = 360/2,6=138,5$ დღე;
2. საანგარიშო პერიოდში: $ხ.პ.რ.1 = 360/2,4=150$ დღე;

ვინაიდან ფულადი მასის მიმოქცევის სიჩქარე შენედა, 754 ფ.ე. ზომის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა დამტებით ფულის თანხის ჩართვა, რომელიც ტოლია:

$$\Delta M = (150 - 138,5) * 754 / 360 = 24,1 \text{ ფ.ე.}$$

ბრუნვადობის კოეფიციენტი და ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა ურთიერთკავშირებულია ერთმანეთთან. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ მოცემული მაჩვენებლებიდან ცნობილია ერთი, მაშინ შეიძლება მეორეს პოვნა. ასე, თუ ცნობილია ბრუნვათა რიცხვი, მაშინ ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა (ხ.პრ) შეიძლება ვიპოვოთ შემდეგნაირად:

$$\text{ხ.პრ.} = D / K_{\text{პრ}} = 360 / 2,6 = 138,5 \text{ დღე.}$$

თუ ცნობილია ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა, მაშინ ბრუნვათა რიცხვი მოიძებნება ფორმულით:

$$\text{რ.პრ.} = D / \text{ხ.პრ} = 360 / 138,5 = 2,6 \text{ ჯერ.}$$

საანგარიშო პერიოდში ფულადი მასის ბრუნვათა რაოდენობის ცვლილება საბაზისოთან შედარებით განპირობებულია ორი ფაქტორის გავლენით: მთლიანი შიდა პროდუქტის და მიმოქცევაში ფულადი მასის ზომის ცვლილებებით.

პირველი ფაქტორის გავლენა განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta \text{რ.პრ.}(\text{მშპ}) = \text{მშპ}_1 - \text{მშპ}_0 / M_1 = 754 - 740 / 320 = 0,04 \text{ ჯერ.}$$

მეორე ფაქტორის გავლენა განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta \text{რ.პრ.}(\text{M}) = \text{მშპ}_0 / M_1 - \text{მშპ}_0 / M_0 = 740 / 320 - 740 / 280 = -0,33 \text{ ჯერ,}$$

სადაც M_1 და M_0 – ფულადი მასა შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

ამ დროს უნდა იყოს დაცული შემდეგი ტოლობა:

$$\Delta \text{რ.პრ.} = \Delta \text{რ.პრ.}(\text{მშპ}) + \Delta \text{რ.პრ.}(\text{M}), 2,4 - 2,6 = 0,04 + (-0,33).$$

განსხვავება განპირობებულია დამრგვალებებით.

მაშასადამე, ფულადი მასის 40 ფ.ე. გადიდება გამოიწვია მისი ბრუნვის სიჩქარის 0,33 ბრუნვით შემცირება, ხოლო მშპ-ის გადიდება 0,04 ბრუნვით გაზარდა მიმოქცევის სიჩქარე.

ფულადი მასის მიმოქცევის სიჩქარის შესწავლისას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ნაღდი ფულის მიმოქცევის სიჩქარის ანალიზი, ე.ი. აგრეგატი MO. ფულადი მასიდან ამ აგრეგატის გამოყოფით, მივიღებთ ფულადი მასის მიმოქცევის სიჩქარის მოდელს: $მშპ/M = მშპ/MO * MO/M$.

ამ მოდელის ჩაწერა შეიძლება გამარტივებული სახით: $რ.პრ = a * b$, სადა MO/M არის ნაღდი ფულის წილი საერთო ფულადი მასის მიმოქცევაში.

ეს მოდელი იძლევა ნაღდი ფულის ბრუნვის სიჩქარის (a) და საერთო ფულად მასაში მათი წილის (b) ცვლილებებით განპირობებული ფულის მიმოქცევის სიჩქარის აბსოლუტური მატების განსაზღვრის საშუალებას.

საერთო ფულადი მასის მიმოქცევის სიჩქარის აბსოლუტური ცვლილება განისაზღვრება შემდეგნაირად: $\Delta რ.პრ. = რ.პრ1 - რ.პრ0$.

მიმოქცევის სიჩქარის ცვლილება (a) ფაქტორის ხარჯზე: $\Delta რ.პრ(a) = (a1 - a0) * b1$

მიმოქცევის სიჩქარის ცვლილება (b) ფაქტორის ხარჯზე: $\Delta რ.პრ(b) = (b1 - b0) * a1$

ფულადი საშუალებების ყიდვა-გაყიდვისას ყველაზე ხშირად გამოყენებადი საპროცენტო განაკვეთების სახეობების სისტემატიზირება შესაძლებელია შემდეგი ნიშნებით:

1. სასესხო კაპიტალის ბაზრის სექტორისადმი მიკუთვნებულობაზე დამოკიდებულებით განსხვავებენ: სააღრიცხვო განაკვეთს (რეფინანსირების განაკვეთი, ოფიციალური საპროცენტო განაკვეთები); საკრედიტო რესურსების მიწოდების ბანკთაშორის განაკვეთებს; საბაზისო განაკვეთებს; ფიზიკური პირების, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების განაკვეთს; დეპოზიტურ განაკვეთს;

2. პროცენტების დარიცხვის ბაზაზე დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ: მარტივ საპროცენტო განაკვეთებს; რთულ საპროცენტო განაკვეთებს.
3. გაცემული ფულადი საშუალებების გამოყენებაზე შემოსავლის გადახდის ან პროცენტების დარიცხვის მომენტზე დამოკიდებულებით განასხვავებენ: ანტისიპატივურ საპროცენტო განაკვეთებს; დეკურსულ საპროცენტო განაკვეთებს.
4. პროცენტის დარიცხვისას გარიგების ფუნქციონირების დღეების რიცხვის გამოყენებაზე დამოკიდებულებით განასხვავებენ: ჩვეულებრივ საპროცენტო განაკვეთებს; წერტილოვან საპროცენტო განაკვეთებს.
5. ინფლაციური პროცესების გავლენაზე დამოკიდებულებით განასხვავებენ: ნომინალურ საპროცენტო განაკვეთებს; რეალურ საპროცენტო განაკვეთებს.

ინფლაციის დონის მახასიათებელი მაჩვენებლები და მათი განგარიშების მეთოდოლოგია

ინფლაცია არის რთული ცნება, რომელიც მოიცავს:

- მოთხოვნის ინფლაციას (წარმოების ვარდნისას იზრდება მოთხოვნა საქონელზე. სახეზეა მათი დეფიციტი და ფასების შემდგომი ზრდა);
- დანახარჯების ინფლაციას – ფასების ზრდა საწარმოო რესურსებზე და ნედლეულზე;
- ადაპტიურ ინფლაციურ მოლოდინს (ფასების სავარაუდო ზრდისას არ ხდება ფულადი სახსრების დაგროვება, არამედ ინტენსიურად იხარჯება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე).

მიმდინარეობის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ღია და ფარულ ინფლაციას. ღია ინფლაცია განსხვავდება ფასების ხანგრძლივი ზრდით. ფარული ინფლაციისათვის დამახასიათებელია: საქონლის დეფიციტი, გადადებული მოთხოვნა, მუდმივი ფასები. ღია ინფლაცია გაიზომება სამომხმარებლო ფასების ინდექსით, ხოლო ფარული – ინფლაციის ინდექსით.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ინფლაციის დონე. *ინფლაციის დონის დასახასიათებლად გაიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლები:*

- ფულის მსყიდველობითი უნარის ინდექსი;
- სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ცხოვრების ღირებულების ინდექსი);
- მთლიანი შიდა პროდუქტის ფასების ინდექსი (დეფლატორი);

ფულის მსყიდველობითი უნარის ინდექსი უჩვენებს თუ რამდენჯერ უფასურდება ფულადი ერთეული და გაიანგარიშება ფორმულით:

$$I_{\text{ფულის მსყიდ. უნარის}} = 1/I_{\text{სამომხმარებლო ფასების.}}$$

ურთიერთკავშირი ფულის მიმოქცევის სიჩქარის, მშპ-ისა და ფულადი მასის მოცულობას შორის იძლევა მათი დინამიკის დეტალური შესწავლის საშუალებას, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახის დამოკიდებულებით:

$$I_p = I_M * I_v : I_{\text{მშპ}},$$

სადაც I_p არის მშპ-ის ინდექს-დეფლატორი;

I_M – ფულადი მასის ინდექსი;

I_v – ფულადი მასის ბრუნვალობის ინდექსი;

$I_{\text{მშპ}}$ – მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსი.

მთლიანი შიდა პროდუქტის ინდექს-დეფლატორი გაიანგარიშება ფორმულით:

$$I_p = \frac{\sum P_1 q_1}{\sum P_0 q_1}, \text{ (პაშეს ფორმულა)}$$

სადაც $\sum P_1 q_1$ – მშპ-ის მოცულობა მიმდინარე ფასებში;

$\sum P_0 q_1$ – მიმდინარე პერიოდის მშპ-ის მოცულობა, განსაზღვრული საბაზისო პერიოდის მიხედვით (მუდმივ ფასებში).

სამომხმარებლო ფასების ინდექსი უჩვენებს, საბაზისო მოხმარების დონის

უცვლელობის პირობებში, თუ რამდენად შეიცვალა მიმდინარე პერიოდში მოსახლეობის ხარჯები მომსახურებისა და კეთილდღეობის ფიქსირებული ნაკრების შექმნაზე საბაზისოთან შედარებით. ის გაიანგარიშება ფორმულით:

$$I_{\text{სამომხმარებლო ფასების}} = \frac{\sum i P_0 q_0}{\sum P_0 q_0} \text{ (ლასკერესის ფორმულა).}$$

სადაც i_p არის დივიდუალური ინდექსი თითოეული საქონელ-წარმომადგენლის მიხედვით;

$q_0 P_0$ – თითოეული საქონელ-წარმომადგენლის ღირებულება.

ფულადი მასის კუპიურული შემადგენლობის მდგომარეობისა და დინამიკის დასახასიათებლად და ცვლილებების გამოსავლენად საჭიროა ინფორმაცია საშუალო კუპიურის სიდიდეზე, რომლის გაანგარიშება შეიძლება შეწონილი საშუალო არითმეტიკულის ფორმულით:

$$m = \frac{\sum mf}{\sum f},$$

სადაც m არის კუპიურის ღირსება;

f – კუპიურების რაოდენობა.

საპროცენტო განაკვეთის ზომა, ნებისმიერი სახეობის კრედიტის ან ფიქსირებული შემოსავლის ინსტრუმენტის მიხედვით, დამოკიდებულია მთელ რიგი ფაქტორზე, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია *გაანგარიშებითი ფულადი ერთეული, გადასახდელის ვადა და მსესხებლის მიერ საკრედიტო შეთანხმების პირობების არ შესრულების რისკი, ან დეფოლტის რისკი.*

გაანგარიშებითი ფულადი ერთეული წარმოადგენს ფულად ერთეულს, რომელშიც ხორციელდება გადახდები. როგორც წესი, გადახდის ერთეული არის ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტა. ზოგჯერ ერთეულის სახით გამოდის რომელიმე საქონელი, მაგალითად ოქრო, ვერცხლი ან საქონლისა და მომსახურების სტანდარტული „კალათა“.

გადასახდელის ვადა ფიქსირებული შემოსავლით ინსტრუმენტების მიხედვით – ესაა დრო, რომლის განმავლობაში საჭიროა მთლიანი ნასესხი თანხის გადახდა. საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიანი ინსტრუმენტებით შეიძლება იყოს გრძელვადიანი ინსტრუმენტების მიხედვით განაკვეთზე მაღალი, დაბალი ან მისი ტოლი.

მსესხებლის მიერ საკრედიტო შეთანხმების პირობების არ შესრულების რისკი წარმოადგენს ალბათობას იმისა, რომ ფიქსირებული შემოსავლით ინსტრუმენტების მიხედვით ვალის ძირითადი თანხა ან პროცენტის რომელიმე ნაწილი არ იქნება გადახდილი მსესხებლის მიერ.

ლექცია 9. საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკა

სალექციო საკითხები

1. საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები და თავისებურებები
2. საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა
3. საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის ინფორმაციის წყაროები და ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდიკა
4. მოსახლეობის აღწერების განვითარების ძირითადი ეტაპები და მათი დახასიათება
5. დემოგრაფიული პროგნოზები

საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები და თავისებურებები

საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკა სტატისტიკური მეცნიერების დამოუკიდებელი დარგია. პირველი ნაშრომები დემოგრაფიაში ჯერ კიდევ მე-18ს. გაჩნდა, ხოლო 1853წ. შემუშავებულ და მიღებულ იქნა პირველი საერთაშორისო რეკომენდაციები ხალხთმოსახლეობის სტატისტიკაში.

დემოგრაფიული სტატისტიკის შესწავლის ობიექტია განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა ერთობლიობა, ე.ი მოსახლეობა.

საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკაში, ტერიტორიის მოცვის მიხედვით, გამოყოფენ:

1. მთლიანად დედამიწის მოსახლეობას;
2. დედამიწის ცალკეული რეგიონების მოსახლეობას;
3. სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებების მოსახლეობას.

საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის საგანს წარმოადგენს საერთა – შორისო დონეზე მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობის, მოძრაობის და აღწრმოების ცვლილების რაოდენობრივი კანონზომიერებები.

რამდენადაც მატერიული კეთილდღეობისა და მომსახურების მთავარი მწარმოებლები და მომხმარებლები არიან ადამიანები, ამდენად დემოგრაფიული პროცესების და მთლიანად მოსახლეობის აღწარმოების ტენდენციები პირდაპირ აისახება იმ ურთიერთობებზე, რომელიც ყალიბდება ცალკეულ სახელმწიფოებს შორის, განსაკუთრებით ისეთ სიბრტყეში, როგორცაა შრომითი მიგრაციის, წარმოების სამუშაო ძალით უზრუნველყოფის, ეროვნული სამომხმარებლო ბაზრების პარამეტრების ტრანსფორმაციის და სხვა.

საერთაშორისო დემოგრაფიულ სტატისტიკას, ხალხთმოსახლეობის მდგომარეობისა და განვითარების დონის გამოკვლევის შესატყვისად, გააჩნია რიგი თავისებურებები.

პირველი, დემოგრაფიული პროცესებისა და მოვლენების ანალიზმა უნდა მოიცვას სამი ურთერთდაკავშირებული ასპექტი: **გლობალური, რეგიონალური და სახელმწიფოთაშორისი.**

გლობალური ასპექტი გულისხმობს დემოგრაფიული პროცესების გამოკვლევას და იმ პრობლემების გააზრებას, რომლებიც ეხება ჩვენი პლანეტის ყველა მცხოვრებს მათი სახელმწიფოებრივ მიკუთვნებაზე (მოქალაქეობა) და საცხოვრებელ ადგილზე დამოუკიდებლად. უწინარესდ ეს ეხება მთლიანად დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის, მისი აღწარმოების პარამეტრების საკითხებს, და აგრეთვე ადამიანური პოპულაციის რაოდენობრივ თანაფარდობას სურსათის, ენერჯის, რესურსების და სასარგებლო წიაღისეულის მარაგებთან და

ა.შ. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ დედამიწის სივრცებრივი საზღვრები და რესურსები ატარებენ შეზღუდულ ხასიათს.

რეგიონალური ასპექტიდირითად უკავშირდება დედამიწის ტერიტორიაზე მოსახლეობის განთავსების ანალიზს, კონტინენტაშორისი მიგრაციული ნაკადების განხილვას და დედამიწის სხედსხვა რეგიონში მოსახლეობის აღწარმოებისა და მოძრაობის თავისებურებების გამორკვევას.

სახელმწიფოთა შორის ასპექტში მოიაზრება როგორც ცალკეული სახელმწიფოების, აგრეთვე სხვადასხვა კრიტერიუმით შექმნილი მათი ჯგუფების მოსახლეობის რიცხოვნობის, განთავსების, შემადგენლობის, ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის პარამეტრების შედარებითი სტატისტიკური დახასიათება. ამის აქტუალობა განპირობებული იმით, რომ დემოგრაფიული სიტუაციის სპეციფიკა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, ეკ-ს, ნატო-ს და სხვა პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში სერიოზულად განაპირობებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე განსხვავებულ დარგებში.

საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის **მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება** მდგომარეობს იმაში რომ ის უმეტესად ორიენტირებულია არა მხოლოდ და არა იმდენად ცალკეული ქვეყნების და მათი რეგიონალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა გაერთიანების დემოგრაფიული ინდიკატორების შეფასებზე, რამდენად საერთაშორისო შედარებებზე, რომლებიც იძლევა მსოფლიო ეკონომიკაში მათი როლისა და ადგილის გარკვევის შესაძლებლობას.

საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის **მესამე თავისებურება** უკავშირდება მისი ინფორმაციული ბაზის რიგ შეზღუდვებს, გამოწვევებს იმით რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა არ ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს მიმართულს სტატისტიკური აღრიცხვის, მათ შორის მოსახლეობის დარგში სტანდარტისზციასა და უნიფიცირებაზე. რის გამოც მოსახლეობის აღწერებისა და მიმდინარე აღრიცხვის ორგანიზებისადმი მიდგომები, აგრეთვე შერჩევითი გამოკვლევების ხერხები სხვადასხვა ქვეყანაში სრულად არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს გარემოება

მნიშვნელოვნად აისახება დემოგრაფიული ინფორმაციის შესადარისობაზე (აღწერების ჩატარების პერიოდულობის, ვადების, თარიღების არ დამთხვევის შედეგად; ბუნებრივი და მიგრციული მოძრაობის განმარტების განსხვავებულობა და ა.შ.). შიდა ვითარების თავისებურებების გამო რიგ ქვეყანაში მოსახლეობის სტატისტიკა არასრული ან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხასიათისაა, რაც ართულებს, ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელს ხდის დემოგრაფიული სიტუციის სტატისტიკური დახასიათებების მიღებას და საერთაშორისო შედარებების განხორციელებას.

საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის მეოთხე თავისებურებამდგომარეობს იმაში რომმონაცემთა პუბლიკაციას ახასიათებს დაგვიანების ხანგრძლივი ლაგი. მსოფლიოს ყვეენებში დემოგრაფიულ სიტუაციზე ინფორმაცია სპეციალისტებისა და ფართო საზოგდოებისთვის მისაწვდომია ნახევარი - ერთი წლის დაგვიანებით, საერთაშორისო სტატისტიკურ პუბლიკაციებს კი ახასიათებს დაგვიანების ბევრად დიდი პერიოდი. ეს დაკშირებულია დემოგრაფიული მონცემების მოპოვების და ასევე მის შესადარის ფორმაში მოყვანის პრობლემებთან. ხშირად საერთაშორისო სტატისტიკა იძულებულია გამოიყენოს არ ემპირიული მონცემები, არამედ ექსპერტული შეფასებები და საპროგნოზო გაანგარიშებები, რამდენადაც მხოლოდ ამ ხერხითაა შესაძლებელი მოსახლეობზე აქტუალური მონაცემების მიღება ძნელად მისაწვდომ რაიონებში და საომარი მოქმედებითა და ეპიდემიით მოცულ სახელმწიფოებში.

საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები ემყარება საერთაშორისო სოციალური სტატისტიკის მეთოდოლოგიას და მკაცრად დაცულ მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც ახასიათებს სოციალურ ურთიერთობათა ცვლილების დინამიკას, დონეს, სტრუქტურას და მათი კავშირების კანონზომიერებებს დროსა და სივრცეში.

საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა

საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა მოიცავს ოთხ განყოფილებას:

1. მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობის და განთავსების მაჩვენებლები:

- განსაზღვრულ ტერიტორიზე მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფის მოსახლეობის რიცხოვნობა და ხვედრითი წონა;
- მოსახლეობის ფაქტიური სიმჭიდროვე;
- მოსახლეობის განაწილება ქვეყნის რეგიონებსა და დასახლების ტიპებს შორის;
- მოსახლეობის შემადგენლობა სქესის, ასაკის, ქორწინების, ოჯახური მდგომარეობის, ეროვნების, ენის, აღსარებლობის მიხედვით და სხვ.

ამ განყოფილების დახასიათებები ასახავს მოსახლეობის ფაქტიურად მიღწეულ მდგომარეობას.

2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები:

- შობადობის, მოკვდავობის, ქორწინების და განქორწინების რიცხოვნობა;
- მოსახლეობის შობადობის, მოკვდავობის, ქორწინების და განქორწინების საერთო კოეფიციენტები;
- მოსახლეობის შობადობის, მოკვდავობის, ქორწინების და განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები;
- მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი;
- შობდობის სპეცილური კოეფიციენტი;
- შობადობის ჯამური კოეფიციენტი;
- ჩვილ ბავშვთა მოკვდავობის კოეფიციენტი;
- სიცოცხლიანობის ინდექსი და სხვ.

3. მოსახლეობის მიგრაციული მოძრაობის მაჩვენებლები:

- შემოსულთა და გასულთა რიცხოვნობა;
- მიგრაციის სალდო;
- მოსახლეობის შემოსვლისა და გასვლის საერთო კოეფიციენტები;
- მოსახლეობის მიგრაციული მატების კოეფიციენტი;
- მიგრაციის ეფექტურობა და სხვ.

მეორე და მესამე განყოფილების მაჩვენებლები ახდენენ, მიგრაციული და ბუნებრივი მოძრაობის ხარჯზე, საზოგადოებრივი განვითარების ფქტორების მხასიათებელი პარამეტრების აკუმულირებას.

4. საზოგადოების დემოგრაფიული განვითარების შედეგებისა და აღწარმოების მაჩვენებლები:

- მოსახლეობის აღწარმოების ნეტო და ბრუტო კოეფიციენტები;

- მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა;
- მოსახლეობის საერთო აბსოლუტური მატება (კლება);
- მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის (მატების) ტემპი;
- მოსახლეობის ეკონომიკური და დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტები და სხვ.

მეოთხე გნყოფილების მაჩვენებლები ორიენტირებულია თაობის ჩანაცვლების და მოსახლეობის რიცხოვნობის და შემადგენლობის ცვლილების განმაპირობებელი დემოგრაფიული პროცესების ურთიერთქმედების შედეგებთან განზოგადებულ შეფასებაზე.

საერთაშორისო დემოგრაფიული სტატისტიკის ინფორმაციის წყაროები და ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია

მოსახლეობაზე ინფორმაციის მიღების სამი წყარო არსებობს:

- აღწერა;
- მიმდინარე აღრიცხვა;
- მოსახლეობის შერჩევითი გამოკვლევა
- დემოგრაფიული პროგნოზები.

მოსახლეობის აღწერა არის მოსახლეობის რიცხოვნობასა და შემადგენლობაზე მონაცემთა შეგროვების, განზოგადების და ანალიზის მეცნიერულად ორგანიზებული პროცესი. აღწერა უდავოდ იძლევა ყველაზე სრულ დემოგრაფიულ სურათს, რამდენადაც ახასიათებს, დროის განსაზღვრული მომენტის მდგომარეობით, ქვეყნის ყოველ მცხოვრებს. ამ პერიოდამდე გარდაცვლილები ან ამ პერიოდის შემდეგ დაბადებულები არ აღირიცხება. შეიძლება ითქვას, რომ აღწერა იძლევა მოსახლეობის მომენტურ სურათს.

მონაცემი, რომელიც სურთ მიიღონ არწერის შედეგად შეაქვთ ეგრეთ წოდებულ *აღწერის პროგრამაში*. ქვეყნების უმეტესობაში აღწერის პროგრამის კითხვების დაგზავნა ხდება ფოსტით ანკეტების სახით. ზოგჯერ მოითხოვენ მასში არა მარტო დაბადების თარიღის, სქესის, ასაკის, ქორწინების, ბავშვების რაოდენობის, არამედ დასაქმების სახეობის, დასაქმებაში მდგომარეობის (მესაკუთრე ან დაქირავებული მუშაკი), შემოსავლის წყაროს მითითებას. გარდა

ამისა, აღწერის პროგრამა მოიცავს კითხვებს მოსახლეობის წერა-კითხვის ცოდნის, პროფესიული კვალიფიკაციის, სწავლების წლების რიცხვზე.

აღწერების ჩატარების პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია კითხვები მოქალაქეობაზე, ომში მონაწილეობაზე, ფსიქიურ და ფიზიკურ ნაკლოვანებებზე და აგრეთვე აღმსარებლობაზე, მშობლიურ და სასაუბრო ენაზე და სხვ.

ჩამოთვლილ საკითხებს ემატება კიდევ ერთი სავალდებულო – *აღწერის კრიტიკული მომენტისათვის მცხოვრების ადგილსამყოფელი* (არწერის ზუსტი თარიღისათვის). ამდაგვარად ხდება მოსახლეობის აღრიცხვა, მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, და აგრეთვე სახლის გარეთ ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით. *ამ მონაცემების საფუძველზე იგება შიდა და გარე მიგრაციის რუქები.* თუ აღწერის პროგრამაში არის შეტანილი კითხვა სამუშაოს ან სწავლების ადგილის დაშორებაზე, მაშინ დებულობენ მონაცემებს ეგრეთ წოდებულ *ქანქარისებრივ მიგრაციაზე*. ზოგჯერ, უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის დასამუშავებლად, პროგრამაში შეაქვთ ქორწინებაში ყოფნის წელთა რიცხვი, ქორწინების რიცხვი, განქორწინების მიზეზები. გვხვდება ცხოვრების პირობების გამოკვლევებიც: ოთახების რაოდენობა, რომელიც უკავია ოჯახს, გათბობის წყარო და ა.შ.

როგორც ჩანს აღწერის პროგრამის მოტანილი კითხვები ძირითადად ეხება საზოგადოების საერთო დემოგრაფიულ პარამეტრებს. პრაქტიკაში ეს გამოკვლევა იძლევა უფრო ღრმა მსჯელობის საშუალებას. ამ დროს უნდა ავლნიშნოთ რომ, როდესაც აღწერა იძლევა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის სპეციფიკურ ინფორმაციას, გამოდიან კონკრეტული ეროვნული სიტუაციიდან. მაგალითად, თუ აშშ მნიშვნელოვანია გარე მიგრაციის საკითხები, მაშინ აღწერაში აუცილებელია კითხვა წინა საცხოვრებელ ადგილზე. ინდოეთში ერთ-ერთი მთავარი საკითხია ეთნიკური მიკუთვნების საკითხი, აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნისთვის კი – აღმსარებლობის საკითხი.

სწორედ დემოგრაფიულ ინფორმაციაზე მოთხოვნილებამ საწყისი ჩაუყარა სააღწერო სტატისტიკას, რომლის წარმოება დაიწყო ჯერ კიდევ მე-3 ს. ჩ.წ.ა. აზიის სახელმწიფოებში.

მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა წარმოებს აღწერებს შორის პერიოდში. ისგამოიყენება მოსახლეობის ბოლო აღწერის მონაცემების ყოველწლიური კორექტირებისათვის.

კორექტირების არსი მდგომარეობს იმასში, რომ ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებთა რიცხვს ემატება დაბადებულთა და ჩამოსულთა რიცხვი და აკლდება გარდაცვლილთა და გასულ მცხოვრებთა რიცხვი. აღწერის მონაცემების კორექტირება ტარდება ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ამ დროს ერთი წლით ადრე დგინდება მოსახლეობის რიცხოვნობის სავარაუდო ცვლილების ვარიანტი. მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასებას ახდენენ ორი კატეგორიის მიხედვით: მუდმივ და სახეზე მყოფის. მათ შორის სხვაობა პირობითად მიიღება უცვლელ დონეზე. მიმდინარე წლის დეკემბერში მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასებისას გამოიყენება 10 თვის განმავლობაში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შედეგი (დაბადებულთა რიცხვს გამოკლებული გარდაცვლილთა რიცხვი), რომლის გადატანა ხდება მომავალ წელზე, და მიმდინარე წლის 9 თვის მიგრაციის შედეგები, რომელიც ასევე ექსტრაპოლირდება შემდეგ წელზე. მოსახლეობის რიცხოვნობის საბოლოო შეფასებისას, როგორც წესი, მარტში, გამოიყენება ექსპერტული კორექტირების მონაცემები, რომელიც იძლევა დემოგრაფიული მოვლენების აღრიცხვისას დაშვებული შეცდომების აღმოფხვრის საშუალებას.

ამდაგვარად, მოსახლეობის საყოველთაო აღწერებს შორის შუალედებში მოსახლეობის რიცხოვნობა განისაზრვრება გაანგარიშებითი გზით ბოლო აღწერის მონაცემებისა და მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მონაცემების საფუძველზე საბალასო სქემით:

წლის დასაწყისისათვის მოსახლეობის რიცხოვნობა + წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვი + წლის განმავლობაში შემოსულთა რიცხვი – წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რიცხვი – წლის განმავლობაში გასულთა რიცხვი = წლის ბოლოსთვის მოსახლეობის რიცხვს.

აშკარაა, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერასა და მის მიმდინარე აღრიცხვას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი.

მოსახლეობაზე და დემოგრაფიულ პროცესებზე დამატებითი, მაგრამ მნიშვნელოვანი წყაროა **მოსახლეობის შერჩევითი გამოკვლევა**. ამდგარი გამოკვლევების პროგრამები ატარებენ უფრო დეტალურ ხასიათს ვიდრე მოსახლეობის აღწერის პროგრამები. გამოკვლევები, დაფუძნებული შერჩევით მეთოდზე ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკურ პრაქტიკაში.

მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს მოსახლეობის რიცხოვნობის ცალკეულ დახასიათებებთან შეკავშირებით გაანგარიშების ინსტრუმენტი – **მოსახლეობის რეგისტრი**. ესაა რეგულარულად აქტივიზირებადი ქვეყნის მაცხოვრებლების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით დადგენილი პერსონალური დახასიათებების ნაკრებს და გამოიყენება სახელმწიფო მართვის მიზნებისათვის. აღრიცხვის ამ სახეობის თავისებურება მდგომარეობს, ყოველი მცხოვრებისთვის არაგანმეორებადი საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების გზით, ინდივიდუალური მონაცემების შენახვასა და რეგულარულ განახლებში. ევროპის იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც აწარმოებენ მოსახლეობის რეგისტრს, ადასტურებს, რომ მოსახლეობის ეროვნულ (ცენტრალურ) რეგისტრში მონაცემები აქტუალიზდება მოსახლეობაზე მონაცემების შემცველ სპეციალიზირებულ რეგისტრებთან ურთიერთქმედებით, მაგალითად უძრავი ქონების რეგისტრთან, სოციალური დაზღვევის რეგისტრთან, გადასახადის გადამხდელთა რეგისტრთან და სხვ.

დემოგრაფიული მონაცემების მიღების მესამე წყაროა მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშებები (დემოგრაფიული პროგნოზები), რომლებიც კეთდება, როგორც აღწერების, ასევე მიმდინარე სტატისტიკური აღივანების მონაცემების საფუძველზე.

მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გასანგარიშებლად გამოიყენება ასაკის მიხედვით გადაადგილების (ასაკგადანაცვლების) მეთოდი. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თავის ასაკობრივ ჯგუფში აღწერით დარეგისტრირებული ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობა (SX, t) ერთი წლის შემდეგ გადადის შემდეგ ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ არა მთლიანად, არამედ გარდაცვლილთა გამოკლებით, რომელიც გაიანგარიშება მოკვდავობის ცხრილის მიხედვით ასაკმიღწევის კოეფიციენტის საფუძველზე (PX). თუ (SX, t)

გადავამრავლებთ (PX), მაშინ მივიღებთ ერთი წლის შემდეგ მომდევნო ასაკობრივ ჯგუფში მცხოვრებთა რიცხვს (SX+1, t+1). მომდევნო წლებისათვის მოსახლეობის რიცხოვნობის განსასაზღვრელად ეს ოპერაცია მეორდება, ამ დროს ხდება კიდევ მიგრაციის სალდოსა (შემუსულებსა და გასულებს შორის სხვაობა) და დაბადებულთა მოსალოდნელი რიცხოვნობის გათვალისწინება.

დაბადებულთა მოსალოდნელი რიცხოვნობა მიიღება, როგორც ფერტილური ასაკის (15 – 49 წელი) ქალების რიცხოვნობისა და, შობადობის ცხრილის მიხედვით თითოეული ასაკის შესატყვისი, შობადობის კოეფიციენტის ნამრავლი.

მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშების ფორმულას გააჩნია შემდეგი სახე:

$$(SX+1, t+1) = (SX, t) * P(X, t) + W(X, t),$$

სადაც W(X, t) არის მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის სალდო.

ასაკგადანაცვლების მეთოდი და ექსტრაპოლაცია დასაშვებია მოკლევადიანი (5 წლამდე პერიოდის მომცველი) პროგნოზების გაანგარიშებისას. თუ პერსპექტიული გაანგარიშება წარმოებს უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის, ე.ი. როგორც გრძელვადიანი პროგნოზი, მაშინ, როგორც წესი, გამოიყენება სცენარების მეთოდი.

სცენარის მეთოდის დროს აუცილებელია საპროგნოზო შეფასებების სამი ვარიანტის შედგენა, რომლებიც ითვალისწინებენ დემოგრაფიულ პროცესებთან დაკავშირებულ და მათ განვითარებაზე მოქმედი ორი ფაქტორის შესატყვის ცვლილებებს. ზუსტად ასეთ მეთოდიკას იყენებენ გაეროს სტატისტიკური ორგანიზაციები მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზების შედგენისას. ისინი გაიანგარიშებენ სამსცენარიულ პროგნოზს: ოპტიმისტურს, პესიმისტურს და საშუალოს. დღესდღეობით გაეროს დემოგრაფიული პროგნოზები ითვლება ყველაზე საიმედოდ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მოსახლეობაში.

შობადობის კოეფიციენტი განისზღვრება წლის მანძილზე დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით გარდაცვალებულთა რიცხვზე და 1000-ზე გამრავლებით, ანუ გამოსახება პრომილებში (‰).

მოკვდაობის კოეფიციენტი განისაზღვრება წლის მანძილზე გარდაცვალებულთა რიცხვის გაყოფით მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობაზე (წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის რიცხოვნობის სხვაობა გაყოფილი ორზე) და 1000-ზე გადამრავლებით.

ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტი განისაზღვრება წლის მანძილზე ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური მატების (სხვაობა დაბადებულთა რიცხვსა და გარდაცვალებულთა რიცხვს შორის) გაყოფით მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობაზე და 1000-ზე გადამრავლებით.

ქორწინების კოეფიციენტი განისაზღვრება წლის მანძილზე დაქორწინებულთა რიცხვის გაყოფით მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობაზე და 1000-ზე გადამრავლებით.

განქორწინების კოეფიციენტი განისაზღვრება წლის მანძილზე განქორწინებულთა რიცხვის გაყოფით მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობაზე და 1000-ზე გადამრავლებით.

აღნიშნული შეფარდებითი მაჩვენებლები აგებულია მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან მიმართებით, ამიტომ მათ უწოდებენ **საერთო კოეფიციენტებს**.

თუ კი მსგავს გაანგარიშებებს ვაწარმოებთ მოსახლეობის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით მივიღებთ ბუნებრივი მოძრაობის **სპეციალურ (კერძო) კოეფიციენტებს**.

შობადობის სპეციალური კოეფიციენტი განისაზღვრება წლის მანძილზე დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით 15-49 წლამდე ასაკის საშუალოწლიურ რიცხვთან და 1000-ზე გადამრავლებით.

ბავშვთა მოკვდაობის სპეციალური კოეფიციენტი განისაზღვრება მოცემულ წელს 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვის შეფარდებით დაბადებულთა რიცხვთან და 1000-ზე გადამრავლებით. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია,

რომ 1 წლამდე გარდაცვლილებიდან ნაწილი ეკუთვნის მიმდინარე, ნაწილი – გასულ წელს დაბადებულებს. ამიტომ ბავშვთა მოკვდაობის სპეციალური კოეფიციენტი დებულობს შემდეგ სახეს:

$$K_M = \frac{m_1}{\frac{2}{3}N_1 + \frac{1}{3}N_0} 1000,$$

სადაც K_M არის ბავშვთა მოკვდაობის სპეციალური კოეფიციენტი;

m_1 – 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი;

N_1 – მოცემულ წელს დაბადებულთა რიცხვი;

N_0 – გასულ წელს დაბადებულთა რიცხვი.

შობადობისა და მოკვდაობის თანაფარდობის დასახასიათებლად მოსახლეობის სტატისტიკაში ხშირად გაიანგარიშება სიცოცხლიანობის კოეფიციენტი, რომელიც მიიღება დაბადებულთა რიცხვის გარდაცვლილთა რიცხვთან შეფარდებით და გამოისახება პროცენტებში.

მოკვდაობის დეტალური შესწავლა ხორციელდება ცხრილის მეშვეობით. მისი ძირითადი მაჩვენებლებია: ასაკმიღწეულთა რიცხვი და ასაკმიღწევის ალბათობა; გარდაცვლილთა რიცხვი და მოკვდაობის ალბათობა; X ასაკის მოსახლეობის რიცხვი; ნაცხოვრებ კაც წელთა რიცხვი; მომავალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

ასაკმიღწეულთა რიცხვი გვიჩვენებს 10000 მცხოვრებიდან რამდენი იცოცხლებს თითოეულ შემდგომ 1 წლამდე, 2 წლამდე, 20 წლამდე ... 60 წლამდე და ა.შ.

ასაკმიღწევის ალბათობა სიცოცხლის მომდევნო ასაკის შესრულებამდე ალბათობაა, ე.ი. X ასაკიდან $X+1$ ასაკამდე. ის გაიანგარიშება ფორმულით:

$$P_x = \frac{l_{x+1}}{l_x},$$

სადაც P_x არის მომდევნო ასაკამდე სიცოცხლის ალბათობა;

l_{x+1} – $X+1$ ასაკამდე მცხოვრებთა რიცხვი;

l_x – X ასაკამდე მცხოვრებთა რიცხვი.

გარდაცვლილთა რიცხვი გვიჩვენებს რამდენი გარდაიცვლება X ასაკიდან $X+1$ ასაკამდე.

მოკვდაობის ალბათობა მომდევნო ასაკის შესრულებამდე მოკვდაობის ალბათობაა.

X ასაკის მოსახლეობის რიცხვი გაიანგარიშება მოცემულ და შემდგომ წელს მიღწეულთა საშუალო მაჩვენებლით.

ნაცხოვრებ კაც წელთა რიცხვი (T_x) გაიანგარიშება ასაკს მიღწეულთა ნაცხოვრებ წელთა საერთო რიცხვით **X** ასაკიდან საზღვრითი ასაკის ჩათვლით ($T_x = \sum l_x$).

მომავალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ახასიათებს განსაზღვრულ ასაკს მიღწეულთა ან დაბადებულთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას. ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება ახალდაბადებულთათვის და შემდგომ ასაკამდე მიღწეულთათვის ცალ-ცალკე.

მომავალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (l_x^0) დგინდება მოცემულ ასაკამდე მიღწეულთა მიერ ამ ასაკიდან საზღვრით ასაკამდე სიცოცხლის კაც/წელთა რიცხვის (T_x) გაყოფით ამ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვზე (l_x):

$$l_x^0 = \frac{T_x}{l_x}.$$

დაქორწინებულთა და განქორწინებულთა აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები. აბსოლუტური მაჩვენებელია დაქორწინებულთა და განქორწინებულთარიცხვი წლის მანძილზე. თუ მათ ცალცალკე შევაფარდებთ მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან და გადავამრავლებთ 1000-ზე, მივიღებთ დაქორწინების ან განქორწინების საერთო კოეფიციენტს.

მიგრაციისაბსოლუტური (ჩამოსულთა და წაუღთა რიცხვი) და შეფარდებითი მაჩვენებლები. ეს უკანასკნელი შეიძლება გავიანგარიშოთ აბსოლუტური მახასიათებლების შეფარდებით მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა საშუალო წლიურ რიცხოვნობასთან და 1000-ზე გადამრავლებით. თითოეული მათგანი შეიძლება გავიანგარიშოთ მიგრაციის მიზეზების, სქესის, ასაკის, ეროვნების და სხვ. ნიშნების მიხედვით.

მოსახლეობის ზემოთმოტანილი მაჩვენებლები ახასიათებს მიმდინარე და წარსულ პერიოდში მოსახლეობის ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობას.

მოსახლეობის აღწერების განვითარების ძირითადი ეტაპები და მათიდახასიათება

აღწერის თანამედროვე ისტორიაში გამოიყოფა სამი ეტაპი.

პირველ ეტაპი – მე-18ს. ბოლო – მე-19ს. პირველი ნახევარი. ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი აღწერის ორგანიზაციას, მისი პროგრამების განსაზღვრას. მაშინ აშშ და ინგლისში აღწერები ტარდებოდა ყოველ 10 წელიწადში ერთხელ, რეგულარულად 5 წლის შუალედით – საფრანგეთსა და შვედეთში, ავსტრიაში 3 – 4 წლის პერიოდულობით. აღწერები იყო არარეგულარული ნორვეგიაში, ისლანდიაში, დანიაში. ამ ეტაპზე აღწერები, როგორც წესი, არ მოიცავდა მთლიან მოსახლეობას. მაგალითად, აშშ-ში 1790 წლის აღწერა აღრიცხავდა მხოლოდ ოჯახების მეთაურებს, თეთრი ქალებისა და ზანგების რიცხოვნობას. საფრანგეთის 1801 წლის აღწერა სვამდა მხოლოდ ორ კითხვას: სქესს და ქორწინების მდგომარეობას. ინგლისის 1801 წლის აღწერის პროგრამა ეხებოდა მხოლოდ მეურნეობის მეთაურის ვაჭრობისადმი, მიწათმოქმედებისადმი ან მრეწველობისადმი მიკუთვნების საკითხს.

აღწერების მსოფლიო განვითარების მეორე ეტაპი გრძელდებოდა მე-19ს. მეორე ნახევრიდან – მე-20ს. პირველ ნახევრამდე. ამ პერიოდში აღწერები უკვე ტარდებოდა ევროპის ყველა ქვეყანაში, ამერიკის კონტინენტზე, და აგრეთვე აზიასა და აფრიკაში. აღწერების პროგრამების შემუშავებაში დიდი დამსახურება აქვს ბელგიელ მეცნიერს ა. კეთლეს. მან შეიმუშავა აღწერების ერთდღიან ვადაში ჩატარების საფუძველები ბელგიაში 1848 წელს და პირველად გაითვალისწინა სახეზე მყოფი მოსახლეობა. ფაქტიურად ამ პერიოდიდან იწყება საზღვარგარეთული აღწერების ისეთი თანამედროვე პრინციპების ჩამოყალიბება, როგორიცაა ერთდღიურობა, თვითგამოთვლა (ანკეტების შევსების გზით), წერაკითხვის ცოდნის, მიგრაციის, შობადობის, მოკვდავობის და ა.შ. აუცილებელი შესწავლა. გარდა სახეზე მყოფი მოსახლეობისა ცალკე კატეგორიად გამოიყოფა მუდმივი მოსახლეობა.

აღწერების ჩატარებისა და მისი შედეგების დამუშავების მეცნიერული დასაბუთება მოცემული იქნა ბრიუსელში 1853 წელს ჩატარებულ საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესის პირველ სესიაზე და შემდგომ პეტრბურგში 1872 წელს ჩატარებულ სესიაზე. დაზუსტებული იქნა აღსარიცხავი მოსახლეობის ძირითადი კატეგორიები, აღრიცხვის პროგრამისადმი მოთხოვნილებები, აღრიცხვის პერიოდულობა.

მოსახლეობის აღრიცხვის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების შესაძვე ეტაპი დაიწყო მე-20ს. შუა ხანებში, როდესაც აღწერების ჩატარება განხორციელდა არაბულ ქვეყნებშიც. ამ ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის აღრიცხვის ისეთ ასპექტებს, როგორცაა დასაქმება, მიგრაცია. აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში, ფილიპინებში, ინდოეთში აღრიცხება მხოლოდ მუდმივი მოსახლეობა. იმ დროს როდესაც დიდბრიტანეთში, ბრუნეაში, ტანზანიაში, თურქეთში აღრიცხება სახეზე მყოფი მოსახლეობა. ისეთ ყვეყნებში, როგორცაა საქართველო, ბულგარეთი, უნგრეთი, იტალია, რუსეთი აღრიცხება ორივე კატეგორია: სახეზე მყოფი (ფაქტობრივი) და მუდმივი მოსახლეობა.

ცხადია, რომ აღწერის სხვადასხვა პროგრამით სხვადასხვა მონაცემების მოპოვება ართულებს მათი შედეგების საერთაშორისო შესადარისობას. ამასთან დაკავშირებით ბამრო ატარებს მსოფლიოში მოსახლეობის აღწერითი აღრიცხვის ერთიანი პრინციპების რეკომენდაციებისა და კოორდინირების დიდ სამუშაოებს. მოსახლეობის რიცხოვნობის აღწერისადმი უნიფიცირებული მიდგომის თვალსაზრისით ბამროს რეკომენდაცია ითვალისწინებს აღწერის ჩატარების 10 წლიან პერიოდულობას და მას ითვალისწინებს ქვეყნების უმეტესობა.

აღწერისას განახსვავებენ მოსახლეობის ორ კატეგორიას: მუდმივი მოსახლეობა და სახეზე მყოფი მოსახლეობა.

მუდმივ მოსახლეობას მიაეკუთვნებენ მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, მიუხედავად იმისა თუ სად იმყოფებიან ისინი აღწერის მომენტში. *სახეზე მყოფ მოსახლეობას* მიეკუთვნება მოცემულ ადგილას აღწერის მომენტში ყველა ფაქტიურად მყოფი მოსახლეობა. აღწერისას მოსახლეობის ასეთ კატეგორიებად დაყოფას აქვს ეკონომიკური არსი. მაგალითად, საცხოვებლებში, სკოლებში, საავადმყოფოებში მოთხოვნილების განსასაზღვრელად საჭიროა

მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინება, ხოლო საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაღაზიებში მოთხოვნილების გასაანგარიშებლად საჭიროა მონაცემები სახეზე მყოფ მოსახლეობაზეც.

დემოგრაფიული პროგნოზები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **დემოგრაფიული პროგნოზები**: მოსახლეობის მომავალი პერიოდის აბსოლუტური რიცხოვნობა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა. პირველი იძლევა მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობის პროგნოზს, ხოლო მეორე მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის პროგნოზს.

მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის პროგნოზი კეთდება **ექსტრაპოლაციის** მეთოდით, ხოლო **სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის პროგნოზი** – **ასაკგადანაცვლების** მეთოდით.

ექსტრაპოლაცია გულისხმობს წარსულ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობის ცვალებადობის ტენდენციების გავრცელებას მომავალზე. აქ შესაძლებელია ისეთი მანქვებლების გამოყენება, როგორცაა მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდა, აბსოლუტური მატება და ა.შ.

მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობა **საშუალოაბსოლუტური მატების** გამოყენებით გაიანგარიშება:

$$S_t = S_0 + \bar{\Delta}(t - 1)$$

ხოლო საშუალო **ზრდის ტემპების** გამოყენებით:

$$S_t = S_0 k^{t-1}$$

სადაც S_t არის მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობა;

S_0 – საწყისი რიცხოვნობა პერსპექტიული პერიოდის დასაწყისისათვის;

$\bar{\Delta}$ – მოსახლეობის საშუალო წლიური აბსოლუტური მატება წარსულ პერიოდში;

K – საშუალოწლიური ზრდის ტემპი;

t – პერსპექტიული პერიოდის ხანგრძლივობა წლებში.

ასაკგადანაცვლებისმეთოდი გულისხმობს თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის, მოკვდაობის კოეფიციენტების საფუძველზე, მომდევნო ასაკის მქონე მოსახლეობის რიცხვის დადგენას.

მაგალითი. დაუშვათ 2009 წლის ბოლოსათვის საჭიროა რომელიმე რეგიონში დადგინდეს რამდენი იქნება 16 წლის ასაკის (ე.ი. შრომისუნარიანი) მოსახლეობის რიცხოვნობა 2012 წლის 1 იანვრისათვის. აშკარაა, რომ ისინი 2009 წლის ბოლოსათვის იქნებიან 14 წლისანი. მაშასადამე, საჭიროა ჯერ დავადგინოთ 14 წლის მოსახლეობის რიცხოვნობა 2009 წლის ბოლოსათვის. დაუშვათ ამ რიცხოვნობამ შეადგინა 10,0 მლნ კაცი. ცნობილია აგრეთვე, რომ მოკვდაობის კოეფიციენტები 14 და 15 წლის ასაკის მოსახლეობისათვის შეადგენს შესაბამისად 1,4 და 1,6-ს (პრომილებში), აქედან 15 წლის ასაკის მოსახლეობა 2010 წლის ბოლოსათვის იქნება:

$$10,0 \text{ მლნ} - \frac{10,0 * 1,4}{1000} = 9986,0 \text{ ათ კაცი.}$$

2011 წლის ბოლოსათვის ანუ 2012 წლის 1 იანვრისათვის იქნება:

$$9986,0 \text{ ათ} - \frac{9986,0 * 1,6}{1000} = 9970,0 \text{ ათ კაცი.}$$

აღნიშნული გაანგარიშებების გამარტივება შესაძლებელია ასაკმიღწეულთა კოეფიციენტების გამოყენებით, რომლებიც მიიღება ერთისა და მოკვდაობის კოეფიციენტების სხვაობით.

ჩვენს მაგალითში 14 წლის მოსახლეობისათვის ასაკმიღწეულთა კოეფიციენტი იქნება: $1 - 0,0014 = 0,9984$, აქედან 15 წლის მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობა 2010 წლის ბოლოს შეადგენდა $10,0 \text{ მლნ კაცი} * 0,9985 = 9,986 \text{ მლნ კაცი}$. ხოლო 2011 წლის ბოლოს 16 წლის ასაკის მოსახლეობისარვის $9,986 \text{ მლნ კაცი} * 0,9984 = 9,979 \text{ მლნ კაცი}$.

ლექცია 10 შრომის საერთაშორისო სტატისტიკა

სალექციო საკითხები

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები
2. შრომის ბაზრის ცნება და მაჩვენებელთა სისტემა
3. დასაქმების, უმუშევრობისა და მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებელთა სისტემა
4. სამუშაო დროის სტატისტიკა
5. შრომის მწარმოებლურობის სტატისტიკა
6. შრომის ანაზღაურების სტატისტიკა
7. სამუშაო ძალის ღირებულების სტატისტიკა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საერთაშორისო მაშტაბით შრომითი ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლის პრობლემები თავმოყრილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში, ის შეიქმნა 1919წელს, ხოლო 1946 წლიდან მოქმედებს გაეროს ეგიდით. შსო გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებაა. შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში, მსხვილი ქვეყნების დედაქალაქებში შსო გააჩნია წარმომადგენლობა. სამუშაო ენები – ფრანგული და ინგლისური. აღმასრულებელი ორგანოა ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს შრომის საერთაშორისო ბიუროს (შსბ)სამდივნოს მუშაობას, ის მუდმივად მოქმედი სამუშაო ორგანოა. შსბ ჩარჩოებში შექმნილია სტატისტიკის ბიურო და შრომის სტატისტიკოსების საერთაშორისო კონფერენცია. შსბ აღნიშნულ გვედანაყოში მოქმედებს ხუთი განყოფილება:

- სამუშაო ძალის, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა და უმუშევრობის;
- შრომის მწარმოებლურობის, ხელფასისა და სამუშაო დროის;
- სამომხმარებლო ფასების ინდექსების;
- საოჯახო ბიუჯეტების;
- ორგანიზაციული საკითხებისა და პუბლიკაციების.

შსო საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: შრომის სტატისტიკის ორგანიზაციისა დამაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა,

აგრეთვე შრომითი რესურსების, ხელფასის, სამუშაო დროის და შრომის მწარმოებლურობის პრობლემებზე ინფორმაციის მოპოვება.

შსო რეკომენდაციების თანახმად მისი ყველა წევრი-ქვეყანა ვალდებულია რეგულარულად მოიპოვოს და გამოაქვეყნოს ინფორმაცია შრომის შემდეგი განყოფილებების მიხედვით:

- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, დასაქმება და უმუშევრობა;
- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სტრუქტურა და განაწილება;
- სამუშაო დროის საშუალო ხანგრძლივობა და საშუალო ხელფასი;
- ხელფასის სტრუქტურა და განაწილება;
- სამუშაო ძალის ღირებულება;
- სამომხმარებლო ფასების ინდექსი;
- შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები;
- საწარმოო ტრავმატიზმი და პროფესიული დაავადებები;
- გაფიცვები, ლოკაუტები და შრომით კონფლიქტებთან დაკავშირებული სხვა აქციები.

შრომის საერთაშორისო სტატისტიკის განვითარებას ხელუწყობს შრომის ტატისტიკის საერთაშორისო კონფერენციები. კონფერენციების შედეგები მნიშვნელოვანი შემუშავების ნაწილში გამოქვეყნებული იქნა შრომის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციების სახელწოდებით.

ამჟამად შსო ძირითადი ამოცანებია:

- სამუშაო დროის რეგლამენტაცია;
- შრომის გარანტირებული ანაზღაურების დადგენა;
- მშრომელთა დაცვა პროფესიული დაავადებებისგან და წარმოებაზე უბედური შემთხვევებისგან;
- ბავშვების, მოზარდებისა და ქალების შრომის დაცვა;
- სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების რეგულირება;
- პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ორგანიზება.

შსო განახორციელა დიდი სამუშაოები შრომის სტატისტიკის მაჩვენებელთა უნიფიცირების, მათი გაანგარიშების მეთოდის გავრცელების, ყვეყნების ფართო წრეებში შესაბამისი დოკუმენტაციის გავრცელების, შრომის სტატისტიკის მაჩვენებელთა საერთაშორისო დონეზე შესადარისობის უზრუნველყოფის კუთხით.

შრომის ბაზრის ცნება და მაჩვენებელთა სისტემა

შრომის ბაზარში იგულისხმება სამუშაო ძალის განაწილებისა და გამოყენების მაკორდინირებელი და მარეგულირებელი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ღონისძიებების და ინსტიტუტების სისტემა.

შრომის ბაზრის სტატისტიკა იქმნება შრომის სტატისტიკის ჩარჩოებში და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის საქმიანობისა და ურთიერთობის იმ ასპექტებს, რომლის საფუძველზე იგება საბაზრო კონიუნქტურის ანალიზი და პროგნოზირება. თუმცა სტატისტიკა სწავლობს არა მხოლოდ სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას, არამედ შრომის პირობების, შრომის ანაზღაურების, კადრების პროფესიული მომზადების საკითხებს და რიგ სხვა პრობლემას, რომელიც აუცილებელია შრომის ბაზრის პოლიტიკის განსასაზღვრელად.

ამოსავალ პოზიციაზე დამოკიდებულთა ამ დარგში განახსვავებენ პოლიტიკის ორ სახეობას: საერთო ეკონომიკური პოლიტიკა და აქტიური პოლიტიკა.

საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანა მდგომარეობს დასაქმების მაღალი დონის მისაღწევად ხელსაყრელი ამოსავალი პირობების შექმნაში. ის არ ერევა შრომის ბაზრის პროცესებში, მაგრამ მისი მეშვეობით უმჯობესდება მოთხოვნის პირობები შრომის ბაზრზე. ასეთი ფორმით, საერთო ეკონომიკური პოლიტიკა ზემოქმედებს სამუშაო ძალის მოთხოვნაზე.

აქტიური პოლიტიკა შრომის ბაზრის დარგში უშუალოდ მოქმედებს შრომის ძალის მიწოდებაზე. მისი ზემოქმედების ინსტრუმენტებია: სამუშაოს მიწოდების, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ღონისძიებები; კონსულტაციები პროფესიის შერჩევასთან დაკავშირებით; შუამავლობა პროფესიული განათლების

ადგილებისა და სამუშაო ადგილების გამოყოფაზე; უმუშევრობაზე შემწეობის გაცემა და ა.შ.

როგორც საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა, ასევე ეფექტიური პოლიტიკა შრომის ბაზარზე ვლინდება, უწინარესად, სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების დაბალასებულობაში, ხოლო მიღებული ღონისძიებების არასაკმარისობა იწვევს დაძაბულობას შრომის ბაზარზე.

წარმოებაში ფაქტობრივ მონაწილეობაზე, მიღებულ შემოსავლებზე, შესასრულებელი სამუშაოების ადგილსა და ხანგრძლივობაზე დამოკიდებულებით განასხვავებენ სამუშაო ძალის შემდეგ კატეგორიებს:

- მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკსი;
- შრომისუნარიანი მოსახლეობა;
- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა;
- შრომითი რესურსები;
- ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შრომისუნარიანი ასაკი დადგენილია 15–64 წლის საზღვრებში. მიუხედავად ამისა თითოეული ქვეყანა ადგენს შრომისუნარიანი ასაკის თავის საზღვრებს და ისინი არსებითად განსხვავდებიან.

ამ დროს იკვეთება ურთიერთკავშირი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესა და ამ ქვეყნებში დადგენილი შრომისუნარიანი ასაკის საზღვრებს შორის. რამდენად მაღალია ქვეყნის განვითარების დონე, მით უფრო მაღალია შრომისუნარიანი ასაკის ქვედა ზღვარი, ხოლო ზედა ზღვარი – დაბალი. ზედა ზღვარი განსხვავებულია ქალებსა და მამაკაცებს შორის.

შრომისუნარიანი ასაკი დგინდება საკანონმდებლო აქტით, ქვეყნის თავისებურებების, ტრადიციებისა და ჩვევების გათვალისწინებით.

შრომისუნარიანი მოსახლეობა – მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში, მათ შემადგენლობაში არც ერთ ყვეყანაში არ შეყავთ შრომისუნარიანი ასაკის არ მომუშავე ინვალიდები.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა – მატერიალური დოვლათის წარმოებაში ან მომსახურების გაწევაში მონაწილეობისპოტენციური უნარის მქონე პირთა ერთობლიობა.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გაანგარიშების მეთოდოლოგია განსხვავებულია ქვეყნებს შორის. ეს განსხვავება დაკავშირებულია ამ მაჩვენებელში სამხედრო მოსამსახურეების ჩართვა ან არ ჩართვასთან.

ზოგჯერ ხდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ცნების შრომითი რესურსებით შენაცვლება. თუმცა მხედველობაშია მისაღები, რომ შრომითი რესურსები განსხვავდებიან ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობისაგან.

კატეგორია „საერთო შრომითი რესურსები“ გამოიყენება ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ქვეყნის შრომითი და სამხედრო პოტენციალის დასახასიათებლად.

ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა – როგორც ოჯახის, ასევე საზოგადოებისკმაყოფიერება მყოფთა ყველა კატეგორია. მათ მიეკუთვნებიან:

- მოსწავლეები, სტუდენტები, რომლებიც არ არიან დასაქმებული არანაირი საქმიანობით, გარდა სწავლისა;
- პირები, რომლებიც დასაქმებული არიან საოჯახო მეურნეობის გაძღვლით, ბავშვების, ავადმყოფების, ნათესავების მოვლით;
- პირები, რომლებმაც შეწყვიტეს სამუშაოს ძებნა, ამოწურეს სამუშაოს პოვნის შესაძლებლობა, მაგრამ მათ შეუძლიათ და მზად არიან იმუშაონ;
- პირები, რომლებსაც არა აქვთ მუშაობის აუცილებლობა, ამ დროს შემოსავლის წყაროს არააქვს მნიშვნელობა;

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით ეკონომიკურად არა აქტიური მოსახლეობა მოიცავს კიდევ ორ კატეგორიას:

- პირები, რომლებიც იღებენ პენსიას, მაგრამ არ არიან დასაქმებული;
- ინვალიდები, რომლებიც იღებენ პენსიას, მაგრამ არ არიან დასაქმებული.

ანალიტიკური მიზნებისათვის რეკომენდებულია ეკონომიკურად არა აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობიდან შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობს გამოყოფა.

გარდა ზემოთ მოყვანილი აბსულუტური მაჩვენებლებისა განისაზღვრება რიგი შეფარდებითი მაჩვენებელი:

1. შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი ($d_{შრუ.ას.}$) ეს მაჩვენებელი ახასიათებს შრომისუნარიანი მოსახლეობის წილს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში:

$$d_{შრუ.ას.} = S_{შრუ.ას.} / S_{საერთ.რიცხ.}$$

მთლიანად პლანეტის მიხედვით ეს მაჩვენებელი შეადგენს 60–65%-ს.

2. შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი ($d_{შრუ.}$):

$$d_{შრუ.} = S_{შრუ.} / S_{საერთ.რიცხ.}$$

ეს ორი მაჩვენებელი დაკავშირებულია ერთმანეთთან შემდეგი საინდექსო მოდელით:

$$S_{შრუ.} / S_{საერთ.რიცხ.} = S_{შრუ.ას.} / S_{საერთ.რიცხ.} * S_{შრუ.} / S_{შრუ.ას.}$$

სადაც $S_{შრუ.} / S_{შრუ.ას.}$ – შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობაში.

საერთაშორისო სტატისტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს მაჩვენებელთა გაანგარიშებას შრომითი რესურსების ფორმირების თვალსაზრისით. ამდგომარეობაში მაჩვენებლების გასაანგარიშებლად მთლიანი მოსახლეობა იყოფა სამ ჯგუფად:

- შრომისუნარიან ასაკზე ახალგაზრდა მოსახლეობა;
- მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში;
- შრომისუნარიან ასაკზე უფროსი მოსახლეობა.

მოსახლეობის აღნიშნული ჯგუფებისათვის გაეროს სტატისტიკის კომისის მიერ რეკომენდებულია შემდეგი ასაკობრივი ზღვარი:

- შრომისუნარიან ასაკზე ახალგაზრდა მოსახლეობა – 4-დან 14 წლამდე;
- მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში – 15-დან 64 წლამდე;
- შრომისუნარიან ასაკზე უფროსი მოსახლეობა – 64 წლის ზემოთ.

აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფების საფუძველზე გაიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლები:

1. შრომითი რესურსების ჩანაცვლების კოეფიციენტი. ის წარმოადგენს შრომისუნარიან ასაკზე ახალგაზრდა მოსახლეობის როცხოვნობის შეფარდებას შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან:

$$K_{შრ.რ.შ.} = S_{შრ.ას.ახ.} / S_{შრ.ას.}$$

2. საპენსიო დატვირთვის კოეფიციენტი. ის გაიანგარიშება შრომისუნარიან ასაკზე უფროსი მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდებით შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან:

$$K_{საპ.დატ.} = S_{საპ.ას.უფ.} / S_{შრ.ას.}$$

3. საერთო დატვირთვის კოეფიციენტი . ის წარმოადგენს შრომისუნარიან ასაკზე აუმცროსი და უფროსი მოსახლეობის როცხოვნობის ჯამის შეფარდებას შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან:

$$K_{საერ.დატ.} = S_{შრ.ას.ახ.} / + S_{საპ.ას.უფ.} / S_{შრ.ას.}$$

ან

$$K_{საერ.დატ.} = K_{შრ.რ.შ.} + K_{საპ.დატ.}$$

შრომითი რესურსების შენაცვლების, საპენსიო და საერთო დატვირთვის კოეფიციენტები გაიანგარიშება პრომილებში და, ახასიათებენ თუ, რამდენი შრომისუნარიან ასაკზე ახალგაზრდა ან უფროსი პირი (ან ერთიც და მეორეც) მოდის შრომისუნარიანი მოსახლეობის 1000კაცზე.

ეს მაჩვენებლები გამოიყენება სოციალური უზრუნველყოფისა და შრომითი რესურსების რაციუნალურად გამოყენების ღონისძიებათა შესამუშავებლად.

ბოლო წლებში გრძელდება პლანეტის მოსახლეობის დაბერების პროცესი. შრომისუნარიან ასაკზე უფროსი მოსახლეობის როცხოვნობის ზრდა აღემატება შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი მოსახლეობის როცხოვნობის ზრდას.

ცალკეულ ქვეყნებში შრომისუნარიან ასაკზე უფროსი მოსახლეობის როცხოვობის ზრდისას მცირდება შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი მოსახლეობის როცხოვნობა (იაპონია, უნგრეთი, ბულგარეთი, დიდიბრიტანეთი, საფრანგეთი, კანადა, შვედეთი). შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი მოსახლეობის როცხოვნობის შემცირება ძირითადად გამოწვეულია უმეტეს ყვეყანაში შობადობის შემცირების ტენდენციით.

მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელთა სისტემა.

ცოცხალი შრომის გამოყენების ეფექტი შეისწავლება შრომითიპოტენციალის გამოყენების მაჩვენებელთა მეშვეობით, მათ მიეკუთვნება აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები.

ეკონომიკური აქტიურობის კოეფიციენტი გაიანგარიშება ორ ვარიანტში:

ეკონომიკური აქტიურობის კოეფიციენტი = ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა/შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა.

ეკონომიკური აქტიურობის კოეფიციენტი = ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა/ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

პირველი მაჩვენებელი ახასიათებს არა მთლიანი მოსახლეობის აქტიურობას, არამედ, მხოლოდ მისი განსაზღვრული ნაწილისას, ე.ი. შრომისუნარიანი ასაკისმოსახლეობის.

ეკონომიკური აქტიურობის კოეფიციენტს ახასიათებს მნიშვნელოვანი რხევადობა ქვეყნების მიხედვით. ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია განვითარებულ ქვეყნებში, რაც აიხსნება ქალების მაღალი აქტიურობით.

მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი შეიძლება გაანგარიშდეს:

- მთლიან მოსახლეობასთანმიმართებით;
- შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობასთანმიმართებით.

მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი = დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობა/ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი ახასიათებს საზოგადოებრივ წარმოებაში მოსახლეობის ჩართულობის დონეს. ეს ძალიან ზოგადი მაჩვენებელია, ვინაიდან მისი მრიცხველი მოიცავს მთლიან მოსახლეობას, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ა.შ. მიხედვით დიფერენცირების გაუთვალისწინებლად.

მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი = დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობა/ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა.

დასაქმების ამ ორ კოეფიციენტს შორის იკვეთება შემდეგი კავშირი:

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი = მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი * მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა/ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა.

ეს ნიშნავს, რომ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი აბსოლუტური სიდიდის მიხედვით მეტია მთლიანი მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტისა იმდენჯერ, რამდენჯერაც მთლიანი მოსახლეობის რიცხოვნობა მეტია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობაზე.

მთელ მსოფლიოში მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებასთან დაკავშირებით შეიმჩნევა დასაქმების დონის შემცირებისა და მუშაობის სურვილის მქონე, დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვის შემცირების ტენდენცია, ე.ი. იზრდება უმუშევართა რიცხოვნობა.

უმუშევრობა არის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომლის დროსაც სამუშაო ძალის ნაწილი (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის) არ არის დასაქმებული საქონლისა და მომსახურების წარმოებაში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით უმუშევრებს მიეკუთვნებიან:

- პირები, რომლებსაც არა აქვთ სამუშაო;
- პირები, რომლებიც ეძებენ სამუშაოს;
- პირები, რომლებიც მზად არიან დაუყოვნებლივ დაიწყონ მუშაობა (ორი კვირის განმავლობაში);

განასხვავებენ უმუშევრობის შემდეგ სახეობებს:

- *ფრიქციული უმუშევრობა*, დაკავშირებულია ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლასთან (ნებაყოფლობით, ან გათავისუფლების გამო) ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან;
- *სტრუქტურული უმუშევრობა*ესაა სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების შეუსაბამობა პროფესიის მიხედვით. ის ჩნდება წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც სამუშაო ადგილების ახალი სტრუქტურა არ შეესაბამება სამუშაო ძალის ჩამოყალიბებულ პროფესიონალურ-კვალიფიციურ სტრუქტურას;
- *ციკლური უმუშევრობა* – ცვლილებები უმუშევართა რიცხვში დაკავშირებული საქმიანი კონიუნქტურის ციკლთან. ის აღწევს პიკს ეკონომიკაში კრიზისული სიტუაციისას. (1933 წლის კრიზისის დროს აშშ-ში ციკლურმა უმუშევრობამ მოიცვა დასაქმებული მოსახლეობის 25%)
- *სეზონური უმუშევრობა*დამახასიათებელია დარგებისათვის, სადაც შრომა ატარებს სეზონურ ხასიათს (სოფლის მეურნეობა, ნადირობა, თევზჭერა და სხვა);
- *კლასიკური უმუშევრობა* (სამუშაო ადგილების ნაწილის გამოთავისუფლება ხელფასის მომატების მიზნით);
- *ტექნოლოგიური უმუშევრობა*არის დასაქმების შემცირება წარმოებაზე, მისი ავტომატიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად.

ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გარდაუვალია. ცხადია, რომ ყოველთვის იქნებიან მუშაკები, რომლებიც ფიქრობენ უფრო კვალიფიცირებულ და მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე. სტრუქტურული უმუშევრობა, ასევე გარდაუვალია, თუ არის პროგრესი, ვინაიდან დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების დანერგვასთან, რომელიც იწვევს მოთხოვნას განსაზღვრული კვალიფიკაციის სპეციალისტებზე და ტრადიციული დარგების მუშაკების შრომითი მოწყობის პრობლემებს.

ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა ახასიათებს მის ბუნებრივ დონეს. თუ ბუნებრივი დონე 4% ტოლია, მაშინ ლაპარაკია სრულ დასაქმებაზე (ე.ი. დასაქმებულია სამუშაო ძალის 96%).

არსებითი განსხვავება ფრიქციულ და სტრუქტურულ უმუშევრობას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ფრიქციულ უმუშევრებს გააჩნიათ უნარი, რომელიც შეუძლიათ მათ გაყიდონ დაუყოვნებლივ, ხოლო სტრუქტურულ უმუშევრებს არ შეუძლიათ მიიღონ სამუშაოგადამზადების გარეშე. სტრუქტურული უმუშევრობა, განსხვავებით ხასიათით მოკლევადიანი ფრიქციული უმუშევრობისგან უფრო გრძელვადიანია და ამიტომ ითვლება უფრო სერიოზულ პრობლემად.

განასხვავებენ სრულ და ნაწილობრივ უმუშევრობას. სრულ უმუშევრობას მიაკუთვნებენ შრომისუნარიან პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სამუშაო დადგენილი დროის პერიოდის ზემოთ. ნაწილობრივ უმუშევრებს მიაკუთვნებენ პირებს, რომლებიც იძულებული არიან იმუშაონ არასრული სამუშაო კვირის განმავლობაში. თუმცა მოცემული ცნებების მიმართ მკვეთრი საერთაშორისო რეკომენდაცია არ არსებობს, ქვეყნების უმეტესობაში სტატისტიკურ აღრიცხვას ექვემდებარება მხოლოდ სრული უმუშევრობა.

დროის პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგ სამუშაოს არმქონე პირი შეიძლება ჩაითვალოს უმუშევრად ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობაში განისაზღვრება განსხვავებულად, თუმცა ყველაზე გავრცელებულად ითვლება კალენდარული თვე.

უმუშევრობის ხანგრძლივობა – პერიოდი, რომლის განმავლობაში ადამიანი ითვლება უმუშევრად. შრომის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების განმსაზღვრელ სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და პოლიტიკურ პირობებზე დამოკიდებულებით უმუშევრობამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა. ანალიტიკური მიზნებისათვის განასხვავებენ *გრძელვადიან და მოკლევადიან უმუშევრობას.*

გაეროს რეკომენდაციების თანახმად უმუშევრობაერთ წელზე მეტი ვადით ითვლება გრძელვადიანად, რაც დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის ციკლურობასთან.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად მოკლევადიან უმუშევრობას გააჩნია ორი დახასიათება: 3 თვემდე და 3 თვიდან 1 წლამდე.

უმუშევართა საერთო რეალური რიცხოვნობა განსხვავდება ოფიციალურად დარეგისტრირებული უმუშევრობისგან. ქვეყანაში ოფიციალურად მიჩნეული უმუშევრობა ნაკლებია მისი რეალური სიდიდისა „ფარული უმუშევრობის“ სიდიდით.

საერთაშორისო შედარებებისას გამოიყენება უმუშევართა არა აბსოლუტური რაოდენობა, არამედ შეფარდებითი მაჩვენებელი – უმუშევრობის დონე (კოეფიციენტი). ის შეიძლება განისაზღვროს ორ ვარიანტში:

- მთლიან მოსახლეობასთან მიმართებით;
- ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან მიმართებით.

K_{ფშ}= უმუშევართა აბსოლუტური რიცხვი/მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

K_{ეა}= უმუშევართა აბსოლუტური რიცხვი/ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა.

ამ ორ მაჩვენებლებს შორის არსებობს შემდეგი კავშირი:

უმუშევართა აბსოლუტური რიცხვი/მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა=უმუშევართა აბსოლუტური რიცხვი/ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა *აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა/მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

ეს ნიშნავს, რომ უმუშევრობის კოეფიციენტი გაანგარიშებული მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობასთან მიმართებით ორი ფაქტორის ნამრავლის ტოლია:

- ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან მიმართებით გაანგარიშებულ უმუშევრობის კოეფიციენტის;
- მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილის.

აღნიშნული კავშირი იძლევა, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან მიმართებით გაანგარიშებული, უმუშევრობის კოეფიციენტის დინამიკაში ცვლილების განსაზღვრის საშუალებას აღნიშნული ფაქტორების ხარჯზე.

გაიანგარიშოთ ეს კავშირი ქვემოთ მოტანილი ცხრილის მონაცემების მაგალითზე:

მაჩვენებლები	პირობითი აღნიშვნები	საბაზოსო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
1.უმუშევართა აბსოლუტური რიცხვი ათ.კაც.	სუმუშ.	196	263
2.ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა ათ.კაც.	სეკ.აქ.	1527	2513
3.მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა ათ.კაც	სსაერთო	5020	5010
გაანგარიშებითი მაჩვენებლები:			
4.უმუშევრობის კოეფიციენტი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან მიმართებით (1:3), %-ში	კუმუშ.	3,09	5,2
5.უმუშევრობის კოეფიციენტი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან მიმართებით (1:2), %-ში	a	7,8	10,5
6.ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში (2:3)	b	0,502	0,502

საანგარიშო პერიოდში საბაზოსოსთან შედარებით უმუშევრობის კოეფიციენტის საერთო მატება მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან მიმართებით:

$$\Delta K_{\text{უმუშ.}} = \Delta K_1_{\text{უმუშ.}} - \Delta K_0_{\text{უმუშ.}} = 5,2 - 3,9 = 1,3\%$$

მათ შორის ცვლილებების ხარუხე:

უმუშევრობის კოეფიციენტის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან მიმართებით:

$$\Delta K_1_{\text{უმუშ.}} = (a_1 - a_0) * b_1 = 10,5 - 7,8 * 0,502 = 1,36\%$$

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში:

$$\Delta K_0_{\text{უმუშ.}} = (b_1 - b_0) * a_0 = 0,502 - 0,503 * 7,8 = -0,01\%$$

გაანგარიშებების შემოწმება:

$$\Delta K_{\text{უმუშ.}} = \Delta K_1_{\text{უმუშ.}} + \Delta K_0_{\text{უმუშ.}}$$

$$1,3 = 1,36 + (-0,01).$$

უმნიშვნელო განსხვავებას ადგილი აქვს დამრგვალების ხარუხე.

უმუშევრობა მთლიანად საზოგადოებისათვის ვლინდება დანაკარგთა ორი სახით:

- ფინანსური დანაკარგების (უმუშევრობაზე შემწების გაცემით, დანახარჯები უმუშევართა გადამზადებაზე, უმუშევრობის მატერიალური დახმარება);
- დანაკარგები ეროვნული შემოსავლების ნაწილის, ვინაიდან უმუშევრები არაფერს არ აწარმოებენ (უმუშევრობისგან ზარალი).

უმუშევრობისგანზარალი განისაზღვრება, როგორც უმუშევართა რიცხოვნობისა და შრომის საშუალო მწარმოებლურობის ნამრავლი:

$$\text{უმუშევრობისგან ზარალი} = ND/T_{\text{დას.}} * T_{\text{უმუშ.}}$$

სადაც $ND/T_{\text{დას.}}$ – ერთი დასაქმებულის შრომის საშუალო მწარმოებლურობაა;

$T_{\text{უმუშ.}}$ – უმუშევართა რიცხოვნობა.

ურთიერთკავშირი მშპ დანაკარგებსა და უმუშევრობას შორის განისაზღვრება ოუკენის კანონით: უმუშევრობის ბუნებრივი დონის 1%-ით მატება იწვევს მშპ მოცულობის 2,5%-ით შემცირებას.

სამუშაო დროის სტატისტიკა.

თანახმად საერთაშორისო რეკომენდაციებისა შრომის სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლებია:

- ნორმალური სამუშაო დრო;
- ფაქტიურად ნამუშევარი დრო;
- ანაზღაურებული დრო.

სამუშაო დრო – საკანონმდებლო წესით დადგენილი, კოლექტიურ ხელშეკრულებებში და საარბიტრაჟო გადაწყვეილებებში დაფიქსირებული დრო საათებში. ეს არის სამუშაო საათების რაოდენობა დღის, კვირის, ან სხვა კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, რომლის ზემოთ ანაზღაურება ხორციელდება ზეგანაკვეთებით.

ქვეყნების უმეტესობაში ამოსავალი მაჩვენებელიაკვირაში ნამუშევარი საათების რაოდენობა. ეს მაჩვენებელი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება. საერთაშორისო მასშტაბით სამუშაო კვირის ეტალონად მიჩნეულია 37,5 საათი. სამუშაო კვირის ყველაზე მაღალი ხანგრძლივობაა ნიდერლანდებში (48 საათი), ყველაზე დაბალი – ესპანეთში (37, საათი).

ფაქტიურად ნამუშევარი დრო – ესა ყველა ნამუშევარი დრო, მ.შ. სამუშაო დროის ნორმალური პეიოდის ზემოთ. აქ შედის:

- უშუალოდ მუშაობის დრო;
- დრო დახარჯული სამუშაო ადგილზე საწარმოო პროცესის მოსამზადებლად;
- მოკლე შესვენებები სამუშაო ადგილზე დასავენებლად.

ის არ მოიცავს ანაზღაურებულ, მაგრამ არა ნამუშევარ დროს (შვებულების, ავადმყოფობის ფურცლის (ბულეტენი) ანაზღაურებას, ოფიციალურ დღესასწაულებს, ტრანსპორტზე დახარჯულ დროს, სადილზე შესვენებას).

ანაზღაურებული დრო. ამ ცნების გაგება სხვადასხვა ქვეყანაში არსებითად განსხვავდება. მისი ინფორმაციის წყაროა საგადასახდლო უწყისები.

სამუშაო დროის სტატისტიკაში გაიანგარიშება მისი გამოყენების შემდეგი მაჩვენებლები:

სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობა = კვირაში ნამუშევარი საათების რაოდენობა/კვირის განმავლობაში მომუშავეთა საშუალო რაოდენობა.

სამუშაო კვირის გამოყენების ხანგრძლივობის კოეფიციენტი = სამუშაო კვირის საშუალო ფაქტიური ხანგრძლივობა/ სამუშაო კვირის დადგენილი ხანგრძლივობა.

სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა = სამუშაო კვირის განმავლობაში ნამუშევარი კაც-საათი/სამუშაო კვირის განმავლობაში ნამუშევარი კაც-დღე.

სამუშაო დღის გამოყენების ხანგრძლივობის კოეფიციენტი = სამუშაო დღის საშუალო ფაქტიური ხანგრძლივობა/სამუშაო დღის დადგენილი ხანგრძლივობა.

შრომის მწარმოებლურობის სტატისტიკა

საერთაშორისო ოფიციალურ სტატისტიკაში შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი არ გაიანგარიშება. საერთაშორისო დოკუმენტებში შრომის მწარმოებლურობის განსაზღვრაზე მისი განმარტების მკაფო ნიშნები, გაანგარიშების მზა მეთოდოლოგია არ არსებობს. ამ პრობლემებთან მიმართებით საერთაშორისო რეკომენდაციები მოიცავს დასკვნებს შრომის მწარმოებლურობის სტატისტიკის განვითარების აუცილებლობაზე.

ამ სფეროში განსაზღვრული სამუშაო ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩოებში. ეს სამუშაო დაკავშირებულია შრომის მწარმოებლურობის საერთაშორისო ინდექსების გაანგარიშებასთან.

საერთაშორისო სტატისტიკაში რეკომენდებულია შრომის მწარმოებლურობის შემდეგი მაჩვენებლების გაანგარიშება:

1. მთლიანი შრომის მწარმოებლურობა = მთლიანი გამომშვება/ცოცხალი შრომის დანახარჯები.
2. წმინდა შრომის მწარმოებლურობა = წმინდა დამატებული ღირებულება/ცოცხალი შრომის დანახარჯები.

წმინდა შრომის მწარმოებლურობის გაანგარიშებისას მნიშვნელოვანი მოიცავს მხოლოდ ცოცხალი შრომის დანახარჯებს, ხოლო წარმოების სხვა ფაქტორების დანახარჯები, წმინდა დამატებული ღირებულების განსაზღვრელოდ, აკლდება მთლიან გამომშვებას მრიცხველში.

შრომის ინტეგრალური მწარმოებლურობა = მთლიანი გამომშვება ან წმინდა დამატებული ღირებულება/ცოცხალი შრომის დანახარჯები.

პრაქტიკაში შრომის ინტეგრალური მწარმოებლურობა გაიანგარიშება ძალიან იშვიათად, ვინაიდან რთულია წარსული შრომის დანახარჯების შრომით ერთეულებში გადაანგარიშება.

ცოცხალი შრომის დანახარჯებს მიეკუთვნება:

- მუშებისა და მოსამსახურების შრომა, მეწარმეებისა და ოჯახის დამხმარე წევრების ჩათვლით;
- მუშებისა და მოსამსახურების შრომა, მეწარმეებისა და ოჯახის დამხმარე წევრების გამოკლებით;
- ნამუშევარი კაც-საათები.

წარსული შრომის დანახარჯები – ეს შრომის ერთეულებშიგამოსახული წარმოების სხვა ფაქტორებია (გარდა მუშების).

სტატისტიკური ორგანოების პრაქტიკაში ეას-ის დანერგვა აფართოებს შრომის მწარმოებლურობის შეწავლის შესაძლებლობებს.

ეას-ის მონაცემები იძლევა, დარგის და მთლიანად ეკონომიკის დონეზე, შრომის მწარმოებლურობის შესწავლის და აგრეთვე საერთაშორისო შედარებების განხორციელების საშუალებას.

შრომის მწარმოებლურობის პირველი ორი მაჩვენებლის ძირითადი ნაკლია ის რომ, ეს მაჩვენებლები მნიშვნელში ითვალისწინებენ, წარმოების დანარჩენი ფაქტორების იგნორირებით, მხოლოდ ცოცხალი შრომის დანახარჯებს. მიუხედავად ამისა ისინი მრავალ ქვეყანაში გამოიყენება სამუშაო ძალის ეფექტიანობის დასახასიათებლად. მათი ფართო გამოყენება აიხსნება საიმედო სტატისტიკური მონაცემების არსებობითა და გაანგარიშების სიმარტივით.

შრომის მწარმოებლურობის დარგის მრავალი სპეციალისტი ემხრობა მოსაზრებას, რომ შრომის მწარმოებლურობის დონის გაანგარიშება უნდა ხდებოდეს როგორც ცოცხალი, ასევე წარსული შრომის გათვალისწინებით. ამის მოტივირება ხდება იმით, რომ ტექნიკური პროგრესის პირობებში შრომის მწარმოებლურობის არსებითი ფაქტორია წარსული შრომის დანახარჯები, ე.ი. წარმოების პროცესში გამოყენებული კაპიტალი. ამისათვის მათ მიერ შემოთავაზებულია შრომის მწარმოებლურობის მრავალფაქტორული ან გლობალური მაჩვენებლები.

აშშ-ის შრომის სტატისტიკურმა ბიურომ 1983 წლიდან დაიწყო კაპიტალის მწარმოებლურობის და შრომის მწარმოებლურობის მრავალფაქტორული ინდექსების პუბლიკაცია.

შრომის მწარმოებლურობის მრავალფაქტორული ინდექსი განისაზღვრება, როგორც ცოცხალი შრომის და კაპიტალის მწარმოებლურობის შეწონილი საშუალო.

შრომის მწარმოებლურობის საერთო ფაქტორული ინდექსი განისაზღვრება ფორმულით:

$$I_w = I_{\text{მშპ}} / I_{\text{შ.დანხ.}} \Delta_{\text{კ.დანხ}} + I_{\text{კ.}} \Delta_{\text{კ.}}$$

სადაც $I_{\text{მშპ}}$ არის მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკის ინდექსი;

$I_{\text{შ.დანხ.}}$ – ცოცხალი შრომის დანახარჯების ინდექსი;

$\Delta_{\text{კ.დანხ}}$ – შრომის ანაზღაურების წილი;

$I_{\text{კ.}}$ – კაპიტალის ანაზღაურების წილი;

$\Delta_{\text{კ.}}$ – მოგების წილი მშპ-ში.

შრომის ანაზღაურების სტატისტიკა

შრომის ანაზღაურების სტატისტიკის შემუშავებისას დასაწყისშივე შრომის ანაზღაურების საკითხები მოქცეული იქნა ყურადღების ცენტრში, ამიტომ სტატისტიკის ეს ნაწილი უფრო შემუშავებული და უნიფიცირებულია.

საერთაშორისო სტატისტიკაში გამოსაყენებელი შრომის ანაზღაურების ძირითადი მაჩვენებლებია:

- ხელფასი;
- სატარიფო განაკვეთი.

ხელფასი – ფულადი ან ნატურალური ფორმით რეგულარულად, დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ მიღებული შესრულებული სამუშაოს ან ნამუშევარი დროის საზღაური. *ხელფასი საერთაშორისო სტატისტიკაში განიხილება, როგორც:*

- წარმოების დანახარჯების ელემენტი;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელი;
- ეროვნული შემოსავლის ელემენტი.

ხელფასი მოიცავს შვებულებებისა და ოფიციალური დღესასწაულების ანაზღაურებას. მასში არ შედის შემდეგი ელემენტები:

- მეწარმეების შენატანები საპენსიო ფონდში;
- მეწარმეების შენატანები სოციალური დაზღვევის ფონდში;
- მუშაკების მიერ მიღებული შეღავათები;
- ჯარიმები და სადღესასწაულო შემწეობები.

საერთაშორისო სტატისტიკაში ხელფასი დაირიცხება ერთ ნამუშევარ საათზე ან ერთ კვირაზე, და არა ერთ მუშაკზე. ეს აიხსნება იმით რომ მსოფლიოს უმეტეს ყვექნებში მომუშავეთა მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია არასრული სამუშაო დროით.

საშუალო საათობრივი ხელფასი = ნამუშევარ დროზე გადახდების საერთო სიდიდე/გადახდილი კაც-საათების საერთო რაოდენობა.

საშუალო კვირეული ხელფასი = საერთო კვირეული გადახდები/მომუშავეთა საერთოსიობრივი რიცხოვნობა.

საერთაშორისო სტატისტიკაში საშუალოკვირეული ხელფასი განიხილება, როგორც სამუშაო ძალის ღირებულება. მის საფუძველზე იგება სამუშაო ძალის ღირებულების ინდექსები.

საერთაშორისო შედარებებისათვის უადრესად მნიშვნელოვანია ხელფასის დინამიკის შესწავლა. ამ დროს გაიანგარიშება ინდექსები:

- ნომინალური ხელფასის (I_{ნ.ბ.});
- რეალური ხელფასის (I_{რ.ბ.}).

$$I_{\text{ნ.ბ.}} = \text{ნ.ბ.}_1 / \text{ნ.ბ.}_0$$

$$I_{\text{რ.ბ.}} = I_{\text{ნ.ბ.}} / I_{\text{ს.ფ.}}$$

ნომინალური ხალფასი– მისი ფულადი გამოსახულებაა შესაბამისი წლის ფასებში.

რეალური ხელფასი წარმოადგენს იმ საქონლისა და მოსახურების რაოდენობას, რომლის შექმნაც შესაძლებელია მოცემული ხელფასით.

ხელფასის კატეგორია განიხილება ორ ასპექტში. დაქირავებული მუშაკისთვის ეს მისი შემოსავლების ნაწილია, დამქირავებლისთვის – წარმოების დანახარჯების ნაწილი. მაგრამ დამქირავებლის ან მთლიანად საზოგადოების დანახარჯები დაქირავებულ შრომაზე, გარდა ხელფასისა, მოიცავს სოციალური დაცვის, საცხოვრებლით უზრუნველყოფის, სამუშაო ძალაზე გადასახადების, სოციალურ-საყოფაცხოვრებო ხარჯებს.

ხალფასის ფორმირების საფუძველია *სატარიფო კანაკვეთი*. ის აფიქსირებს განსაზღვრული პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშაკთა შრომის ანაზღაურებას.

სატარიფო კანაკვეთი არის განსაზღვრული პროფესიისა და კვალიფიკაციის განსაზღვრული დონის მუშაკთა შრომის ანაზღაურებადროის განსაზღვრულ პერიოდში (ჩვეულებრივ საათი).

ყველა ყვექანაში სატარიფო კანაკვეთი ნაწილდება სატარიფო ბადეებში, სხვადასხვა ნიშნებზე დამოკიდებულებით, თანრიგებად.

თუმცა არსებოს სატარიფო ზომაზე მოქმედი სხვა კატეგორიები:

- ტერიტორიული ნიშნები, ე.ი. ქვეყნის ტერიტორიების მიხედვით განსხვავება სატარიფო განაკვეთის დონეში (ქვეყანა იყოფა სხვადასხვა დონის სატარიფო განაკვეთის ტერიტორიულ ზონებად);
- მომუშავეს სქესი (ბევრ ყვეყანაში სატარიფო განაკვეთი მომუშავე ქალებისათვის უფრო დაბალია ვიდრე მამაკაცებისათვის);
- საწარმოს ზომა (მსხვილ საწარმოში სატარიფო განაკვეთი უფრო მაღალია ვიდრე მცირეზე).

ამჟამად, საერთაშორისო სტატისტიკაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა ცალკეული ქვეყნის შიგნით ერთიანი სატარიფო სისტემის ფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის შესადარისობას.

სამუშაო ძალის ღირებულების ცნება

კატეგორია „სამუშაო ძალის ღირებულება“ დამახასიათებელია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის.

სამუშაო ძალის ღირებულება (დანახარჯები სამუშაო ძალაზე) შეიძლება შესწავლილი იქნეს ორი მიმართულებით:

- დამქირავებლის დანახარჯები;
- დანახარჯები მთლიანი ეკონომიკის დონეზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტების თანახმად **დამქირავებლის დანახარჯები** წარმოადგენს მისი დანახარჯების ჯამობრივ თანხას დაკავშირებულს სამუშაო ძალის გამოყენებასა და შენახვასთან.

დანახარჯები მთლიანი ეკონომიკის დონეზე მოიცავს დამქირავებლის დანახარჯებსაც და სახელმწიფოს დანახარჯებსაც.

საერთაშორისო შედარებისას უპირატესობა ენიჭება დანახარჯებს მთლიანი ეკონომიკის დონეზე.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სამუშაო ძალის შენახვის ხარჯების შესწავლის საფუძველია სპეციალური ერთდროული გამოკვლევები, რომლებიც ტარდება ორ წელიწადში ერთხელ.

სამუშაო ძალის გამოკვლევებისას მოპოვებული ინფორმაცია არის პარტნიორებს შორის მოლაპარაკების საფუძველი სატარიფო შეთანხმებებზე დაქირავებული მუშაკების შემოსავლებისა და სამუშაო ძალაზე გაწეული ხარჯების ღირებულების შედარებითი ანალიზის უზრუნველსაყოფად.

გამოკვლევების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე თითოეულ დამქირავებელს შეუძლია საკუთარი საწარმოს სამუშაო ძალის ღირებულება შეადაროს ქვეყნის შიგნით შესაბამისი დარგის ან სხვა დარგების მოცემული მაჩვენებლის საშუალო სიდიდეს.

შრომის სტატისტიკა სამუშაო ძალის ღირებულების შესწავლისას წყვეტს შემდეგ ამოცანებს:

- სამუშაო ძალაზე საშუალო დანახარჯების განსაზღვრა დროის ერთეულზე გაანგარიშებით;
- სამუშაო ძალის ღირებულების დონის, სტრუქტურისა და დინამიკის განსაზღვრა ტერიტორიების და ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით;
- შრომის ანაზღაურების მაჩვენებელთა სტატისტიკური შესწავლა (განსაკუთრებით (ხელფასის);
- უშუალოდ დასაქმებისაგან მიღებული შემოსავლების წილის სტატისტიკური შეფასება;
- მოსახლეობის მიერ მიღებული სოციალური ტრანსფერების სტატისტიკური დახასიათება;
- სამუშაო ძალის განათლების დონის ამაღლებაზე და კვლიფიკაციის შექენაზე გაწეული ხარჯების ზომისა და დინამიკის შესწავლა.

თემა 11 ცხოვრების დონის საერთაშორისო სტატისტიკა

სალექციო საკითხები

1. მოსახლეობის ცხოვრების დონის ცნება და მაჩვენებელთა სისტემა
2. მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯებისა სტატისტიკა
3. მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შესწავლა
4. სიღარიბის სტატისტიკური შესწავლა
5. მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარების მაჩვენებლები
6. ჰუმანური განვითარების ინდექსი
7. მოსახლეობის თავისუფალი დროის სტატისტიკა

მოსახლეობის ცხოვრების დონის ცნება და მაჩვენებელთა სისტემა

მოსახლეობის ცხოვრების დონის ყოველმხრივი გამოკვლევა წარმოებს 1950 წლიდან. დაწყებული 1970 წლიდან ამ კვლევებმა მიიღო მუდმივი და მრავალმხრივი ხასიათი. საერთაშორისო სტატისტიკაში არსებობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ცნების სხვადასხვა განმარტება. განასხვავებენ მოსახლეობის ცხოვრების დონის ცნებას ფართო და ვიწრო გაგებით:

- ვიწრო გაგებით – ესაა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობით პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ფართო გაგებით – ესაა მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების მთელი კომპლექსი. ამ კონტექსტში მას უწოდებენ **ცხოვრების ხარისხს**.

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ოთხ დონეს გამოყოფენ:

1. *სიღატაკე* – ესაა ბიოლოგიური კრიტერიუმების მიხედვით მატერიალური კეთილდღეობებისა და მომსახურების მინიმალური ნაკრები, რომელთა, მოხმარება აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად.
2. *სიღარიბე* – ესაა მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარება მუშაობის უნარის შენარჩუნების დონეზე (სამუშაო ძალის აღწარმოების ქვედა ზღვარი). საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება სიღარიბის ორი განსაზღვრა: აბსოლუტური და შეფარდებითი. პირველ შემთხვევაში სიღარიბეში იგულისხმება შინამეურნეობების ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ისინი ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ

თავს ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ზომიერად აქტიური შრომითი ცხოვრებისათვის აბსოლუტურად აუცილებელი კეთილდღეობით. მეორე შემთხვევაში სიღარიბეში იგულისხმება შინამეურნეობების დაბალი შემოსავლები, რომელიც მნიშვნელოვნად დაბალია რომელიმე მიცემულ სანდარტზე.

3. *მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური დონე* – ესაა მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარება მეცნიერულად დასაბუთებული რაციონალური ნორმების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღდგენას.
4. *შეძლებული* – კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარება იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას.

ცნება „ცხოვრების დონეს“ გააჩნია რთული სტრუქტურა, ვინაიდან ის ახასიათებს ადამიანთა სიცოცხლისუნარიანობის სფეროს, სადაც გადაიკვეთება ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური ურთიერთობები.

ცხოვრების დონე – ადამიანთა არა მხოლოდ ფიზიოლოგიური, სულიერი და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეა, არამედ ის აგრეთვე მოხმარებული კეთილდღეობის რაოდენობაცაა და ხარისხიც.

საერთაშორისო სტატისტიკაში ჩნდება ახალი ფაქტორები და პირობები, რაც კიდევ უფრო ართულებს მოსახლეობის ცხოვრების დონის შედარებას და შეპირისპირებას. ამ პირობებს მიეკუთვნებიან:

- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და მისი პოტენციალი;
- ფინანსური სისტემის მდგომარეობა;
- ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფილობა;
- ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის დონე;
- გეოგრაფიული ფაქტორები;
- ეროვნული ტრადიციები და თავისებურებები.

ზემოაღნიშნულს, უნდა დაემატოს, ის რომ ცხოვრების დონე შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კეთილდღეობისა და მომსახურების განსაზღვრული მინიმუმი.

1. ფიზიოლოგიური მინიმუმი, რომლის დროსაც საშუალებების 80%-ზე მეტი მოდის კვების პროდუქტებზე. რაც შეეხება სამრეწველო საქონელს, ეს ის საქონელია რომლის გარეშე შეუძლებელია ყოფნა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი). მომსახურებაზე დანახარჯები უმნიშვნელოა. ფიზიოლოგიური მინიმუმი აძლევს ადამიანს მხოლოდ არსებობის საშუალებას, შრომისუნარიანობის აღდგენის გარეშე.
2. საარსებო მინიმუმი უზრუნველყოფს ადამიანის არა მხოლოდ არსებობას, არამედ მისი შრომისუნარიანობის აღდგენას.
3. სოციალური დონე. მოხმარების ეს დონე ეფუძნება რაციონალურ ბიუჯეტს – ეგრეთ წოდებულ ნაკლებად უზრუნველყოფილობის დონეს.

ცხოვრების დონე შეიძლება გაიზომოს, როგორც მოლიან მოსახლეობასთან მიმართებით ასევე მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთან მიმართებით. მოსახლეობის ცხოვრების დონე განიხილება, როგორც საზოგადოებრივი წარმოების სოციალური ეფექტიანობის მაჩვენებელი.

ვინაიდან არ არსებობს მოსახლეობის ცხოვრების დონის კატეგორიის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა, დისკუსიური რჩება, მისი ადეკვატური სტატისტიკური დახასიათებისათვის აუცილებელი მაჩვენებელთა ჩამონათვალის საკითხი.

მოსახლეობის ცხოვრების დონის დასახასიათებლად, ამ დარგის სპეციალისტების მიერ, შემოთავაზებულია:

- ცალკეული კერძო მაჩვენებლები;
- ერთი განზოგადებული მაჩვენებელი;
- მაჩვენებელთა სისტემა.

კერძო მაჩვენებლები ახასიათებენ მოსახლეობის ცხოვრების დონის ცალკეულ მხარეებს, რაც არარის საკმარისი ამ კატეგორიის კომპლექსური დახასიათებისათვის. განზოგადებული მახასიათებლის სახით იყო შემოთავაზებული: რეალური ხელფასის ინდექსი, საარსებო მინიმუმის ინდექსი, ცხოვრების ღირებულების ინდექსი. ყოველი ეს მაჩვენებელი ფასეულია, მაგრამ არ იძლევა ცხოვრების ყოველმხრივ დახასიათებას.

ამჟამად მოსახლეობის ცხოვრების დონის დასახასიათებლად გაეროს სტატისტიკური კომისიის რეკომენდაციით გამოიყოფა მანვენებელთა შემდეგი ჯგუფები:

- მოსახლეობის დემოგრაფიული დახასიათებები (შობადობა, მოკვდაობა, დაავადება, სიცოცხლის ხანგრძლივობა);
- მოსახლეობის შემოსავლების მანვენებლები (რეალური და ნომინალური);
- ხარჯებისა და დანაზოგის მანვენებლები;
- მოსახლეობის მიერ მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარების მანვენებლები;
- მოსახლეობის საცხოვრებლითა და ხანგრძლივი მოხმარების საქონლით უზრუნველყოფის მანვენებლები;
- დასაქმებისა და უმუშევრობის მანვენებლები;
- მოსახლეობის შრომის პირობების მანვენებლები;
- თავისუფალი დროის მანვენებლები;
- განათლების, ჯანდაცვის, კულტირის, ფიზიკულტურისა და სპორტის, ტურიზმისა და დასვენების მანვენებლები.

ცხოვრების დონის კატეგორიის სირთულე და მრავალწახნაგობა განაპირობებს მისი კომპლექსური დახასიათების აუცილებლობას მანვენებელთა სისტემის საფუძველზე. იმის გამო რომ ცხოვრების დონის ყველა ელემენტი ობიექტურად ურთიერთდაკავშირებულია, ურთიერთდაკავშირებული უნდა იყოს მანვენებელთა სისტემაც.

მოსახლეობის ცხოვრების დონის მანვენებელთა სისტემაში შემავალი ყველა მანვენებელი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. ცხოვრების დონის რაოდენობის მახასიათებელი რაოდენობრივი

მანვენებლები:

- მოსახლეობის შემოსავლების მანვენებლები;
- მატერიალური კეთილდღეობის მოხმარების და ხარჯების მანვენებლები;
- დანაზოგების;
- საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და ქონების დაგროვების მანვენებლები.

2. ხარისხობრივი მანვენებლები:

- დემოგრაფიული სტატისტიკის მაჩვენებლები (დედა და ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტები, ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა);
- ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაცვის მაჩვენებლები;
- მოხმარებული კვების პროდუქტების სტრუქტურისა და ხარისხის მაჩვენებლები;
- წერა-კითხვის გავრცელებულობის, განათლებისა და კულტურის მაჩვენებლები;
- საცხოვრებლის კოფორტულობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის ცხოვრების დონის დასახასიათებლად გამოიყენება შემდეგი წყაროები:

- მოსახლეობის აღწერები;
- საცხოვრებლის აღწერები;
- სპეციალური შერჩევითი გამოკვლევები;
- მიმდინარე აღწერები.

მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ყველაზე სრული ინფორმაციის მომცველია მოსახლეობის აღწერები. მათი უპირატესობა მდგომარეობს:

- უნივერსალურობა ამოსავალი ერთობლიობის მოცვის თვალსაზრისით;
- მიღებული ინფორმაციის ფართო სპექტრი;
- შედეგების დეტალური დოკუმენტირება.

ნაკლოვანება კი ის არის, რომ აღწერები ტარდება 10 წელიწადში ერთხელ.

მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკა

მოსახლეობის შემოსავლები – ესაა რესურსები, რომლებიც გამოიყენება:

- პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;
- გადასახადებისა და სხვა ვალდებულებებისათვის და ნებაყოფლობითი გადახდებისათვის;
- დანაზოგებზე.

ჰიკსის კონცეფციის თანახმად შემოსავლებს მიეკუთვნება ის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ მოხმარებაზე, მოსახლეობის სიმდიდრის

შემცირების გარეშე. ეს კონცეფციაა ჩადებული მას-ში, რომელშიც შემოსავლებს არ მიეკუთვნება არსებული აქტივების გაყიდვა.

მოსახლეობის შემოსავლები შეადგენს მისი მატერიალური კეთილდღეობის საფუძველს. მოსახლეობის შემოსავლების ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმასში, რომ ისინი ერთდროულად დასახვეწე ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს დამოვლენებს.

მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია:

- შემოსავლების ზომისა და სტრუქტურის დახასიათება;
- ფულადი შემოსავლების დიფერენციაციის ანალიზი;
- ფულადი შემოსავლების დინამიკის შესწავლა;
- მოხმარებასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე შემოსავლების გავლენის შეწავლა.

საერთაშორისო პრაქტიკაში გათვალისწინებულია მოსახლეობის შემოსავლების შემდეგი მაჩვენებელთა სისტემა:

- პირველადი შემოსავლები;
- მიმდინარე ტრანსფერები ფულად ფორმაში;
- სოციალური ტრანსფერები ნატურალურ ფორმაში;
- განკარგვადი შემოსავლები;
- კორექტირებული განკარგვადი შემოსავლები.

პირველადი შემოსავლები – ესაა შინამეურნეობების მიერ საწარმოო საქმიანობაში მონაწილეობისა და აქტივების ფლობით მიღებული შემოსავლები. საწარმოო საქმიანობაში მონაწილეობისგან მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნებიან შრომის ანაზღაურება და შერეული შემოსავლები.

შერეული შემოსავლები – ესაა შემოსავლების ნაირსახეობა, რომელშიც გაერთიანებულია შრომის ანაზღაურება და მოგება. შერეულ შემოსავლებს მიეკუთვნება შემოსავლები პირადი დამხმარე მეურნეობიდან, კერძო სამეწარმეო საქმიანობიდან, თავისუფალი პროფესიის პირთა შემოსავლები, საავტორო ჰონორარები და ა.შ.

საკუთრებიდან შემოსავლებს დებულობენ არაადღენითი მატერიალური აქტივების მფლობელები (მიწის, მიწისქვეშა რესურსების) და ფინანსური აქტივების მფლობელები. განასხვავებენ საკუთრებიდან შემოსავლების სამ ფორმას: რენტა, პროცენტები და დივიდენდები.

მიმდინარე ტრანსფერები მოსახლეობას შეუძლია მიიღოს და გადასცეს ფულადი ფორმით. *გადაცემულ მიმდინარე ტრანსფერებს* მიეკუთვნება შემოსავლების მიღებასთან, ქონების ფლობასთან, ჯარიმებთან და ა.შ. დაკავშირებით სახელმწიფოსთვის გადახდილი გადასახადები. *მიღებულ ტრანსფერებს* მიეკუთვნება პენსიები, დახმარებები, სტიპენდიები, მოგებები ლატარიით, საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრების ფულადი გზავნილები და ა.შ.

მოსახლეობის შემოსავლებში ჩაირთვება მიმდინარე ტრანსფერების საღლო, ე.ი. სხვაობა მიღებულ და გაცემულ მიმდინარე ტრანსფერებს შორის:

$$\Delta \text{მტ} = \text{მტმიღ.} - \text{მტბაც}$$

ფულადი სახის მიმდინარე ტრანსფერებისგან განსხვავებით *სოციალურ ტრანსფერებს* მოსახლეობა დებულობს (მაგრამ არ გასცემს) სახელმწიფო დაწესებულებისაგან და არაკომერციული ორგანიზაციებისაგან ნატურალურ ფორმაში. მათ მიეკუთვნებიან: წამლების, ინვალიდების ეტლების, კვების პროდუქტების, ტანსაცმლის სახით მატერიალური დახმარების გაწევა უფასოდ ან შეღავათიანი ფასით.

განკარგვადი შემოსავალი – ესაა შემოსავლები რომლის გამოყენება შეუძლიათ შინამეურნეობებს საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარების ფინანსირების ან დაზოგვისათვის.

განკარგვად შემოსავალს მასი განსაზღვრავს, როგორც მაქსიმალურ თანხას, რომლის დახარჯვა შეუძლიათ შინამეურნეობებს საანგარიშო პერიოდში საბოლოო მოხმარებაზე, დაგროვებული ფინანსური და არაფინანსური აქტივების ჩართვის და ვალდებულებების გაზრდის გარეშე.

კორექტირებელი განკარგავდი შემოსავალი – ესაა განკარგვად შემოსავალს პლიუს შინამეუნეობის მიერ სახელმწიფო დაწესებულებებისაგან და არაკომერციული ორგანიზაციებისაგან ნატურალური ფომით მიღებული სოციალური ტრანსფერები:

$$კბშ = ბშ + სტ$$

კატეგორია „კორექტირებელი განკარგვადი შემოსავალი“ მნიშვნელოვანია მოსახლეობის განვითარების დონის უფრო კომპლექსური დახასიათებისათვის, რამდენადაც იძლევა მოსახლეობის კეთილდღეობის იმ კომპონენტების გათვალისწინების საშუალებას, რომლებიც დაკავშირებულია საქონლისა და მოსახურების უფასოდ მიღებასთან.

შემოსავლების ჩამოთვლილი სახეობები გაიანგარიშება მიმდინარე და მუდმივ ფასებში. შემოსავლები მიმდინარე ფასებში იწოდება *ნომინალურ* შემოსავლებად, მუდმივ ფასებში კი – *რეალურ* შემოსავლებად.

შემოსავლების გადაანგარიშება მიმდინარე ფასებიდან რეალურ ფასებში ხორციელდება სამომხმარებლო ფასების ინდექსის საფუძველზე (Iსამ.ფას.):

$$პშრეალ. = პშნომ/Iსამ.ფას,$$

სადაც პშრეალ. არის პირველადი შემოსავლები მუდმივ ფასებში;

პშნომ. – პირველადი შემოსავლები მიმდინარე ფასებში.

ანალოგიურად გადაიანგარიშება განკარგვადი და კორექტირებელი განკარგვადი შემოსავალი მიმდინარე ფასებიდან მუდმივ ფასებში.

შინამეუნეობების კორექტირებელი განკარგვადი შემოსავალი გამოყენების სტადიაზე იყოფა ორ ნაწილად:

- ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება;
- დანაზოგები.

შინამეუნეობების ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება შედგება სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯებისა და

შინამეურნეობების მიერ სახელმწიფო დაწესებულებების და არაკომერციული ორგანიზაციების სექტორიდან მიღებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებისგან.

საერთაშორისო კლასიფიკაციის თანახმად სამომხმარებლო საქონლის დამომსახურების შესყიდვა ზეგაწეული ხარჯებისა წილდება შემდეგ მუხლებად:

- სურსათი, სასმელები, თამბაქო;
- ტანსაცმელი, ფეხსაცმელი;
- საცხოვრისის და კომუნალური მომსახურების გადახდები;
- ავეჯისა და საცხოვრისის შენახვა;
- ჯანდაცვა;
- ტრანსპორტი და კავშირგაბულობა;
- კულტურა, დასვენება, სპორტი, ტურიზმი;
- განათლების მომსახურებები;
- სასტუმროები და რესტორნები;
- სხვა საქონელი და მომსახურება.

მოტანილი კლასიფიკაციის შესაბამისად მოსახლეობის ხარჯების შესწავლისას გაიანგარიშება:

- სტრუქტურის მაჩვენებლები, ე.ი. ყოველი მუხლის წილი ხარჯების მთლიან მოცულობაში;
- დინამიკის მაჩვენებლები;
- სტრუქტურული განსხვავებების აბსოლუტური და შეფარდებითი კოეფიციენტები.

შინამეურნეობების ხარჯების დროში სტრუქტურის ცვლილებების შესაფასებლად შემოთავაზებულია სტრუქტურული ძვრების აბსოლუტური კოეფიციენტი:

$$\text{სტრუქტურული ძვრების აბსოლუტური კოეფიციენტი} = \frac{\sum |d_1 - d_0|}{n},$$

სადაც d_1 და d_0 არის კონკრეტული სახეობის ხარჯების წილი (%) შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში;

n – ხარჯების ჯგუფის რიცხვი.

თუ ეს კოეფიციენტი 3%-ზე მეტია, მაშინ ხარჯების სტრუქტურა საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით არსებითად შეიცვალა.

ბულგარელი სტატისტიკოსის გ.გატევეის მიერ შემოთავაზებულია სტრუქტურული ძვრების ინტეგრალური კოეფიციენტი (K_{ინტ.}):

$$K_{\text{ინტ.}} = \sqrt{\frac{\sum (d_1 - d_0)^2}{\sum d_0^2 + d_1^2}}$$

ეს მაჩვენებელი იქნება ნულის ტოლი, თუ შესადარისი სტრუქტურები არ შეიცვალა. თუ შესადარისი სტრუქტურები მთლიანად შეიცვალა, ის 1-ის ტოლი იქნება.

სტრუქტურული ძვრების ინტეგრალური კოეფიციენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ პერიოდში, მაგრამ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში ხარჯების სტრუქტურაში განსხვავებების დასახასიათებლად:

$$K_{\text{ინტ.}} = \sqrt{\frac{\sum (d_i - d_j)^2}{\sum (d_i^2 + d_j^2)}}$$

სადაც d_i და d_j არის საანგარიშო პერიოდში შინამეურნეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კონკრეტული სახეობის ხარჯების წილი.

მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხის კრიტერიუმია საოჯახო ბიუჯეტში სასურსათო საქონელზე დახარჯული საშუალებების წილი.

ენგელის კანონის შესაბამისად რაც უფრო მაღალია ეს წილი, მით უფრო დაბალია კეთილდღეობის დონე. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში კვებაზე იხარჯება ყველა სახეობის შემოსავლების 20%-მდე. თუ კვებაზე იხარჯება ყველა სახეობის შემოსავლების 60-70%, მაშინ ქვეყანა ითვლება ღარიბად, და ამ შემთხვევაში, მოსახლეობის დიდი ნაწილი, გამომდინარე მოხმარების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებიდან, არის ნაკლებად უზრუნველყოფილი.

გარდა ამისა ენგელის კანონი ახასიათებს სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების ხარჯების დამოკიდებულებას შემოსავლების ცვლილებაზე. რეალური განკარგვადი შემოსავლების ზრდისას მეორადი კეთილდღეობის მოხმარება იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე პირველი მოთხოვნილების საგნებისა.

ხარჯების დინამიკის შეწავლისას გაიანგარიშება ხარჯების ყოველი მუხლის აბსულუტური მატება, ზრდის და მატების ტემპები.

რაც შეეხება სტრუქტურული ძვრების აბსოლუტურ და შეფარდებით კოეფიციენტებს, ისინი შეიძლება გაანგარიშდეს დინამიკაში და სივრცეში. ამ კოეფიციენტების გაანგარიშება განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის სოციალური ჯგუფების ხარჯების სტრუქტურაში განსხვავებებისა და სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ხარჯების სტრუქტურაში განსხვავებების დასახასიათებლად.

თუ კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი (კბშ) აღემატება ფაქტობრივ საბოლოო მოხმარება (ზსმ), მაშინ ადგილი აქვს მთლიან დაზოგვას (მდ):

$$\text{მდ} = \text{კბშ} - \text{ზსმ}.$$

მსოფლიო პრაქტიკაში, შემოსავლების იმ ნაწილის დასახასიათებლად, რომელიც ხარჯების ანაზღაურების შემდეგ რჩება მოსახლეობას, გაიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლები:

1. დაზოგვისკენ მიდრეკილება = დაზოგვის აბსულუტური მატება/ფულადი შემოსავლების აბსოლუტური მატება

ეს მაჩვენებელი გამოიყენება დაზოგვისა და შემოსავლების კავშირის შესასწავლად. თუ ეს თანაფარდობა მერყობს 25-33% ფარგლებში, მაშინ მდგომარეობა ითვლება ნორმალურად. ამ საზღვრების გადამეტება ადასტურებს, რომ დაზოგვა არის იძულებითი და გამოწვეულია საჭირო საქონლის და მომსახურების ნაკლებობით. დაზოგვის ეს ნაწილი იწოდება *მოთხოვნის ინფლაცია*.

დაზოგვისკენ მიდრეკილების მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორების შეწავლა არის საერთაშორისო სტატისტიკის მნიშვნელოვანი ამოცანა და წარმოადგენს, მოსახლეობის თავისუფალი რესურსების, ინვესტირების და შემოსავლების გადანაწილების მიზნით, მოზიდვის საკითხებით დაკავებულ, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების პრაქტიკულ ინტერესს.

2. დანაზოგის ნორმა = დანაზოგის ჯამი/მთლიანი განკარგავდი შემოსავალი.
მოსახლეობის დანაზოგი შეიძლება გამოისახოს ნატურალურ და ღირებულებით ფორმაში.

დანაზოგების ღირებულებითი ფორმა წარმოადგენს მოსახლეობის ხელზე ფულის მატებას და ფასიან ქაღალდებში დაბანდების მატებას.

მოსახლეობის დანაზოგი ნატურალური ფორმით – ესაა მოსახლეობის კუთვნილი მატერიალური აქტივების (კერძო საკუთრებაში მიწის, საცხოვრისის, სამეურნეო ნაგებობების, ტრანსპორტის, მატერიალური მარაგების) ღირებულების მატებას.

მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შეწავლა

შემოსავლების დონესა და მათ მიმდებთა რიცხვს შორის არსებობს უკუდამოკიდებულება. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ დამოკიდებულებამ მიიღო პარეტოს კონონის სახელწოდება, ხოლო მოსახლეობის შემოსავლებში უთანაბრობის რაოდენობრივმა საზომმა – პარეტოს კოეფიციენტის სახელწოდება.

იტალიელმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა *ჯ. პარეტომ* განაზოგადა ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლებზე მონაცემები და მივიდა დასკვნამდე, რომ შემოსავლების დონესა და მათ მიმდებთა რიცხვს შორის არსებობს უკუდამოკიდებულება.

ამერიკელმა სტატისტიკოსმა *მ. ლონრენცმა* განავითარა *პარეტოს* კანონი. მის მიერ გამოყვანილი დამოკიდებულება მან აჩვენა კრაფიკზე და გამოსახა

შეფარდებითი სიდიდეებით. გრაფიკმა მიიღო ლორენცის მრუდის სახელწოდება, ან კონცენტრაციის მრუდის.

იტალიელმა ეკონომისტმა კ. ჯინიმ შემოგვთავაზა შემოსავლების განაწილების რაოდენობრივი დახასიათება ლორენცის მრუდით შექმნილი სეგმენტის ფართისა და კვადრატის დიაგონალის ამ კვადრატის ფართის ნახევართან შეფარდების სახით.

ლორენცის მეთოდი განსხვავდება პარეტოს მეთოდიდან იმით, რომ შემოსავლების (სიმდიდრის) მოცულობა, და აგრეთვე მიღებული შემოსავლების ან სიმდიდრის მფლობელების რაოდენობა გამოსახება შეფარდებითი რიცხვებით.

მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის შესწავლა წარმოადგენს საერთაშორისო სტატისტიკის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას. შემოსავლების დიფერენციაცია იწვევს მოსახლეობის საქონლისა და მომსახურების მოხმარებაში განსხვავებებს, ე.ი. მის ცხოვრების დონეში.

მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დასახასიათებლად გაიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლები:

- მოდალური შემოსავალი;
- მედიანური შემოსავალი;
- ლორენცის კოეფიციენტი;
- ჯინის კოეფიციენტი;
- სტრუქტურული შეუღლების კოეფიციენტი;
- შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური (10) კოეფიციენტი;
- ფონდების კოეფიციენტი;
- შემოსავლების დეფიციტი.

მოდალური შემოსავალი (მოდა) ესაა შემოსავლის დონე, რომელიც მოსახლეობაში ყველაზე ხშირად გვხვდება:

$$M_0 = x_{M_0} + i \frac{f_2 - f_1}{(f_2 - f_1) + (f_2 - f_3)},$$

სადაც x_{M_o} არის მოდალური იტერვალის ქვედა ზღვარი;

i – მოდალური იტერვალის სიდიდე;

f_2 – მოდალური იტერვალის სიხშირე;

f_1 – მოდალურის წინა იტერვალის სიხშირე;

f_3 – მოდალურის მომდევნო იტერვალის სიხშირე;

მედიანური შემოსავალი (მედიანა) – ესაა განაწილების რანჟირებული მწკრივის შუაში მეოთხე შემოსავლის მახვევებელი:

$$M_{Me} = x_{Me} + i \frac{\frac{\sum f}{2} - S_{m-1}}{f_{Me}},$$

სადაც x_{Me} არის მედიანური იტერვალის ქვედა ზღვარი;

i – მედიანური იტერვალის სიდიდე;

S_{m-1} – მედიანურ იტერვალამდე დაგროვილი სიხშირეთა ჯამი;

f_{Me} – მედიანური იტერვალის სიხშირე.

მედიანური და მოდალური შემოსავლები არის საშუალოსუფალი შემოსავლის, მისი საშუალო მნიშვნელობიდან გადახრის მნიშვნელოვანი მახასიათებელი. თუ შემოსავლების მედიანური და მოდალური სიდიდეები დაბალია საშუალო დონეზე, ეს ნიშნავს, იმას რომ შინამეუნეობების ერთობლიობის უმეტეს ნაწილს ან გამოკვლეულ პირთა უმეტესობას აქვს შემოსავლების საშუალო მნიშვნელობაზე დამალი შემოსავლები.

სოციალური უთანაბრობის ლორენცის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{ლორენცის კოეფიციენტი} = \frac{\sum |x - y|}{2},$$

სადაც x არის შემოსავლების განსაზღვრული დონის მოსახლეობის წილია მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში;

y – ყოველი ჯგუფის მოსახლეობის შემოსავლების წილი შემოსავლების მთლიან მოცულობაში.

ლორენცის კოეფიციენტი უჩვენებს მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების განაწილების თანაბრობის დონეს, ან შემოსავლების კონცენტრაციის დონეს და იცვლება 0-დან – 1-მდე. სრული თანაბრობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ნულის ტოლია, ე.ი. საუბარია შემოსავლების *ეკალიტარულ განაწილებაზე* (ყველა მონაწილე განაწილებაში დერბულობს თანაბარ წილს). სრული უთანაბრობის შემთხვევაში *ლორენცის* კოეფიციენტი ერთის ტოლია, ე.ი. საუბარია შემოსავლების *ანტიეკალიტარულ განაწილებაზე*. (განაწილების ერთი მონაწილე დერბულობს ყველა შემოსავალს).

ჯინის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{ჯინის კოეფიციენტი} = 1 - 2(\sum x * y_{კუმ}) + \sum xy$$

ჯინის კოეფიციენტი იცვლება 0-დან – 1-მდე. რამდენად უფრო უახლოვდება მისი მნიშვნელობა 1-ს, მით უფრო მაღალია უთანაბრობის დონე შემოსავლების განაწილებაში (ე.ი. მით უფრო დიდი დონითაა კონცენტრირებული შემოსავლები მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ხელში)

სტრუქტურული შეუღლების კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{სტრუქტურული შეუღლების კოეფიციენტი} = \sqrt{\frac{\sum (x - y)^2}{\sum (x + y)^2}}$$

სადაც x არის შემოსავლების განსაზღვრული დონის მოსახლეობის წილია მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში;

y – ყოველი ჯგუფის მოსახლეობის შემოსავლების წილი შემოსავლების მთლიან მოცულობაში.

შემოსავლების დეცილური კოეფიციენტი – ესაა ყველაზე მდიდარი 10% მოსახლეობის შემოსავლების ჯამის შეფარდება ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი 10% მოსახლეობის შემოსავლების ჯამთან:

$$K_D = \frac{D_9}{D_1},$$

სადაც D_9 და D_1 – შესაბამისად მეცხრე და პირველი დეცილია.

შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი უჩვენებს თუ რამდენჯერ აღემატება ყველაზე მდიდარი 10% მოსახლეობის მინიმალური შემოსავლები ნაკლებად უზრუნველყოფილი 10% მოსახლეობის მაქსიმალურ შემოსავლებს.

ფონდების კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{ფონდების კოეფიციენტი} = \frac{\bar{D}_{10}}{\bar{D}_1},$$

სადაც \bar{D}_1 და \bar{D}_{10} არის შესაბამისად მინიმალური შემოსავლის მქონე 10% მოსახლეობის თვეში საშუალოსუფალი შემოსავალი, და მისი ყველაზე მდიდარი ნაწილის 10%-სა.

ფონდების კოეფიციენტი შეიძლება განისაზღვროს ასევე ფორმულით:

$$\text{ფონდების კოეფიციენტი} = \frac{D_{10}}{D_1},$$

სადაც D_1 და D_{10} არის საშუალოსუფალი შემოსავალი თვეში შესაბამისად მინიმალური შემოსავლის მქონე 10% მოსახლეობის და 10% ყველაზე მდიდარი მოსახლეობისა.

შემოსავლების დეფიციტი განისაზღვრება მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლების ფაქტიური შემოსავლები საარსებო მინიმუმზე დაბალია:

$$\text{შემოსავლების დეფიციტი} = \sum \bar{D}_m * S - S \bar{D}_F * S,$$

სადაც \bar{D}_m და \bar{D}_F არის შესაბამისად მინიმალური და ფაქტიური საშუალოსუფალი შემოსავალი;

S – საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლების მქონე.

სიღარიბის სტატისტიკური შესწავლა

მოსახლეობის სიღარიბის შესწავლა არის საერთაშორისო სტატისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

მოსახლეობის სიღარიბის შესწავლისას აუცილებელია ისეთი ცნების განმარტება, როგორცაა სიღარიბის ზღვარი და ღარიბი მოსახლეობისადმი მიკუთვნების კრიტერიუმების შემუშავება.

სიღარიბის ზღვარს საერთაშორისო სტატისტიკაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჰქონდა მკაფიო განსაზღვრა და სხვადასხვა ქვეყანაში ის განისაზღვრებოდა სხვადასხვანაირად. თუმცა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა 1972 წელს ასეთ ზღვრად დაადგინა მოსახლეობის უღარიბესი 40% ნაწილის შემოსავლები, სხვა ქვეყნებში – საშუალოსუფალი შემოსავლების 50%, ხოლო კანადაში – შემოსავლების 62%. აშშ-ში სიღარიბის ზღვარი განისაზღვრებოდა კვების მინიმალური რაციონის სამჯერადი ღირებულებით.

ამჟამად მსოფლიო ბანკის კრიტერიუმებით უკიდურესი სიღარიბის ზღვარად ევროპისა და ცენტრალური აზიის გარდამავალი ქვეყნებისათვის ითვლება დღეში ერთი კაცის ხარჯები ერთი დოლარის დონეზე.

ბამროს ევროპული რეგიონალური კომისიის კრიტერიუმებით ევროპის განვითარებული ქვეყნებისათვის სიღარიბის შეფარდებითი ზღვარი არის ყვეენის მიხედვით საშუალო შემოსავლების 2/3 ტოლი სიდიდე.

ევროკავშირის სტატისტიკური კომისიის კრიტერიუმებით ევროკავშირის ქვეყნებში სიღარიბის ზღვარი არის ქვეყნის მოსახლეობის მედიანური შემოსავლის 50%.

სიღარიბის ზღვარი წარმოადგენს ობიექტურად განსაზღვრულ სიდიდეს, გაანგარიშებულს გამომდინარე მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარების მინიმალური ეროვნული ნორმებიდან.

ღარიბებს მიეკუთვნებიან პირები:

- რომელთა სუფალი შემოსავლების დონე საარსებო მინიმუმზე დაბალია;
- რომელთა მოხმარებული კვების პროდუქტების კალორიულობა მეცნიერულად დასაბუთებულ მინიმალურ ფიზიოლოგიურ ნორმაზე დაბალია;

- რომელთა შემოსავლები მოსახლეობის დანარჩენი ჯგუფების შემოსავლების დონეზე დაბალია (მაგალითად, მთლიანი ერთობლიობის საშუალო მედვიანური ან საშუალო შემოსავლის ნახევარზე დაბალია);
- რომელთა შემოსავლებში კვებაზე ხარჯები აღემატება მოცემულ სიდიდეს.

შსო მეთოდოლოგიით, საკუთრივ ღარიბებს მიეკუთვნებიან პირები, რომელთა ერთობლივი შემოსავლები საარსებო მინიმუმზე 2 ჯერ დაბალია.

სიღარიბის სოციალურ-ეკონომიკური პორტრეტი მოიცავს სიღარიბის, როგორც საზოგადოების განსაზღვრული ნაწილის აღმწერ, დახასიათებათა სისტემას. ამ სისტემას მიეკუთვნება:

- დემოგრაფიული მაჩვენებლები (შინამეურნეობის საშუალო ზომა, შობადობა, სიკვდილიანობა, ავადობა);
- ეკონომიკური მაჩვენებლები (შინამეურნეობების ქონება, შემოსავლების წყაროები და მათი გამოყენება)
- სოციალური მაჩვენებლები (შინამეურნეობების ბიუჯეტის დეფიციტი, საცხოვრებელი პირობები, სოციალური ტრანსფერები, კვების პროდუქტების კალორიულობა და დონე).

სიღარიბის მდგომარეობის უფრო სიღრმისეული შესწავლისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებელთა სისტემა:

1. საარსებო მინიმუმზე დაბალი განკარგვადი შემოსავლების მქონე მოსახლეობის რიცხოვნობა;
2. საარსებო მინიმუმი;
3. სიღარიბის კოეფიციენტი;
4. ღარიბი მოსახლეობის საშუალო სულადი შემოსავალი;
5. ღარიბი ოჯახების შემოსავლების დეფიციტი;
6. დაბალი შემოსავლის შუალედი;
7. სიღარიბის სიღრმის ინდექსი;
8. სიღარიბის სიმწვავის ინდექსი.

საარსებო მინიმუმზე დაბალი განკარგვადი შემოსავლების მქონე მოსახლეობის რიცხოვნობა განისაზღვრება, მოსახლეობის საშუალო სულადი შემოსავლების დონის მიხედვით, მოსახლეობის განაწილების მწკრივების საფუძველზე, იმ

პირთა დაჯამებით რომელთა საშუალო სულადი შემოსავლები საარსებო მინიმუმზე დაბალია

საარსებო მინიმუმი –

ესააადამიანის სიცოცხლიუნარიანობის უზრუნველყოფისადამისიჯანმრთელობისშე ნარჩუნებისათვის საუცილებელი მატერიალური კეთილდღეობისადადამოსახურების მინი მალური ნაკრები.

ეკონომიკური ანალიზისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ღარიბთა საერთო რაოდენობის გამოვლენა, არამედ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ღარიბთა წილის და მათი მატერიალური მდგომარეობის დეფიციტურობის დონის დადგენა.

სიღარიბის დონე (კოეფიციენტი) = მოსახლეობის რიცხოვნობა, რომელთა განკარგვადი შემოსავლისაარსებო მინიმუმზე დაბალია (ღარიბი მოსახლეობის რიცხოვნობა) / მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან.

ეს მაჩვენებელი ახასიათებს სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილს.

ღარიბი მოსახლეობის საშუალო სულადი შემოსავალი = ღარიბი მოსახლეობის ფაქტიური განკარგვადი შემოსავალის ჯამი / ღარიბი მოსახლეობის რიცხოვნობა
სიღარიბის სიდრმისინდექსი (*I* სსიდ.) განისაზღვრება ფორმულით:

$$I \text{ სსიდ.} = \frac{1}{N} \sum_{i=1}^n \left(\frac{SM_i - SH_i}{SM_i} \right),$$

სადაც *N* არის გამოსაკვლევი შინამეურნეობების საერთო რიცხოვნობა;

n – საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობების რიცხვი;

SM_i – *i*-რი შინამეურნეობის საარსებო მინიმუმის საშუალო სულადი

სიდიდე, გაანგარიშებული მისი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით;

D_i – საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობების საშუალო სულადი შემოსავალი.

სიღარიბის სიღრმის ინდექსი ახასიათებს გამოსაკვლევ შინამეურნეობების შემოსავლის დეფიციტს, მათი შემოსავლის ერთ მეურნეობის საარსებო მინიმუმიდან მარტივი საშუალო გადახრის სახით.

სიღარიბის სიმწვავის ინდექსი (I სსიმწ.) განისაზღვრება ფორმულით:

$$I \text{ სსიმწ.} = \frac{1}{N} \sum_{i=1}^n \left(\frac{SM_i - SH_i}{SM_i} \right)^2$$

სიღარიბის სიმწვავის ინდექსი ახასიათებს ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლების საშუალო კვადრატულ გადახრას საარსებო მინიმუმის სიდიდიდან და გამოისახება შემოსავლების დეფიციტის კვადრატული ჯამობრივივი სიდიდით.

ღარიბი ოჯახების შემოსავლების დეფიციტი – ესაა იმ ფულადი საშუალებების მოცულობა, რომელიც აუცილებელია ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების გასაზრდელად სიღარიბის ზღვრულამდე.

შემოსავლების დეფიციტის გაანგარიშება ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ოჯახზე, რამდენადაც ყოველი ოჯახისთვის არსებობს სიღარიბის კონკრეტული ზღვარი. ეს ზღვარი დამოკიდებულია ოჯახის შემადგენლობაზე, მისი წევრების სქესობრივ-ასაკობრივ დახასიათებებზე. შემოსავლების დეფიციტი გაიანგარიშება როგორც ღარიბი ოჯახების ყველა ჯგუფისთვის, ასევე ერთი ოჯახისათვის ან ერთ სულ მოსახლეზე.

ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების დეფიციტი ახასიათებს მისი მატერიალური არასაკმარისობის დონეს.

დაბალი შემოსავლის შუალედი წარმოადგენს შემოსავლის დეფიციტის შეფარდებას საარსებო მინიმუმთან:

დაბალი შემოსავლის შუალედი = შემოსავლის დეფიციტი/საარსებო მინიმუმი (სიღარიბის ზღვარი).

თანამედროვე ეტაპზე სიღარიბის ძირითადი მიზეზებია:

- დაქირავებული მუშაკების ცალკეული კატეგორიების შრომის ანაზღაურების დაბალი დონე;
- კმაყოფაზე მყოფთა დიდი რაოდენობა;
- უმუშევრობა;
- პენსიებისა და შემწვობების დაბალი დონე.

ბაერონს განვითარების პროგრამის სპეციალისტების მიერ შემოთავაზებულია სიღარიბის ინდექსი, რომლის გაანგარიშებისას გაითვალისწინება სამი მაჩვენებელი. ეს მაჩვენებლები განსაზღვრავენ მოსახლეობის შესაძლებლობას ჰქონდეს ღირსეული ცხოვრება. მათ მიეკუთვნებიან:

1. იმ მოსახლეობის წილი, რომელთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა შეადგენს 40 წელზე ნაკლებს;
2. წერა-კითხვის უცოდინართა წილი ზრდასრული მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში;
3. არსებობის მატერიალური პირობები.

ბოლო მაჩვენებელი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებისთვის მიუწოდებელია სამედიცინო მომსახურება;
- მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებისთვის მიუწოდებელია დასაღვევი წყალი;
- ხუთ წლამდე ბავშვების წილი, რომლებიც განიცდიან საკვების უკმარისობას.

სიღარიბის საერთო ინდექსი წარმოადგენს რეგიონის ან ქვეყნის მოსახლეობის წილს, რომელშიც ადგილი აქვს ჩამოთვლილ ფაქტორებს.

ბამროს განვითარების პროგრამის მონაცემებით 1994 წლის განმავლობაში ადამიანთა სიღარიბის ყველაზე მაღალი ინდექსი მოიდიოდა პაკისტანზე (46,8%).

ადამიანის უფლებების პოტენციალის განვითარების ინდექსის და ადამიანთა სიღარიბის ინდექსის მონაცემთა შედარებისას შეიძლება დასკვნის გაკეთება იმაზე, რომ მათ შორის არსებობს უკუკავშირი.

მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარების მაჩვენებლები

მოსახლების მიერ მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარების დონის და ზრდის ტემპების მაჩვენებლები მიეკუთვნება მოსახლეობის კეთილდღეობისა და კულტურული ზრდის მახასიათებელ მაჩვენებლებს. მოთხოვნილებებს წარმოშობს საზოგადოების წევრების ცხოვრების ობიექტური პირობები. ისინი ასახავენ მოხმარების აუცილებელ დონეს საზოგადოების საწარმოო ძალების საკმარის დონეზე განვითარებისას. წარმოება და მოხმარება ურთიერთდაკავშირებულია. დაგროვების გადიდება ქმნის წარმოების გაფართოების, და მათთან დაკავშირებით, მოხმარების დონის და მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხის ზრდის ბაზას. მოხმარების ზრდა კი თავის მხრივ ქმნის წარმოების გაფართოების, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების წინაპირობას.

მოსახლეობის მოხმარება მოიცავს:

- მატერიალური კეთილდღეობის მოხმარებას;
- მომსახურების მოხმარებას.

მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარების სტატისტიკა მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

- საქონლისა და მომსახურების მოხმარების საერთო მაცულობა;
- კონკრეტული სახეობის საქონლისა და მომსახურების მოხმარების საერთო მაცულობა;
- საქონლისა და მომსახურების მოხმარების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე;

- მატერიალურ კეთილდღეობასა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების კოეფიციენტი;
- ელასტიკურობის კოეფიციენტი.

საქონლისადამომსახურების მოხმარების საერთო მაცულობა, როგორც საქონლისადამომსახურების საბოლოო მოხმარების ღირებულებით და ხასიათება, მიეკუთვნება ცხოვრების დონის მნიშვნელოვან მაჩვენებელთა რიცხვს.

მნიშვნელობის დონის მიხედვით მატერიალურ კეთილდღეობასა და მომსახურებაზე მოსახლეობის ყველა ხარჯი კლასიფიცირდება სამ ჯგუფად:

- პირველადი მოთხოვნების საგნები;
- ნაკლები მოთხოვნების საგნები;
- ფუფუნების საგნები.

მატერიალური კეთილდღეობა, გამოყენების ვადების მიხედვით, იყოფა შემდეგ კატეგორიებზე:

- ერთჯერადი გამოყენების (კვების პროდუქტები);
- არახანგრძლივი გამოყენების (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი);
- ხანგრძლივი გამოყენების (სამ წელზე მეტი: ავეჯი, სამეურნეო დანიშნულების საგნები, სატრანსპორტო სასუალებები).

კონკრეტული სახეობის მატერიალური კეთილდღეობის (q) მოხმარების საერთო მაცულობა გაიზომება გაზომვის ნატურალურ ერთეულებში და წარმოადგენს მთლიანი მოსახლეობის მიერ ამა თუ იმ საქონლის მოხმარების მოცულობას.

მოხმარების მაცულობა ერთ სულ მოსახლეზე (ინდივიდუალური მოხმარების დონე) განისაზღვრება კონკრეტული სახეობის მატერიალური კეთილდღეობის (q) მოხმარების საერთო მუცულობის გაყოფით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაზე

$$(\bar{S}): D_F = \frac{q}{\bar{S}},$$

სადაც D_F არის ერთ სულ მოსახლეზე კონკრეტული სახეობის მატერიალური კეთილდღეობის მოხმარების ფაქტიური დონე.

ეს მაჩვენებელი განისაზრვრება მთლიანი მოსახლეობის, ცალკეული სოციალური ჯგუფების, ასაკის, სქესის და ა.შ. მიხედვით.

საერთაშორისო სტატისტიკაში თეორიულად და პრაქტიკულად უფრო შემუშავებულია მოსახლეობის მიერ, ნატურალურ გამოსახულებაში, კვების პროდუქტების მოხმარების ინდივიდუალური დონის შეფასება. ამ დროს გამოიყოფა შემდეგი კვების პროდუქტები:

- პურპროდუქტები;
- ბოსტნეული და ბახჩეული;
- ხირცი და ხორცის პროდუქტები, ხორცზე გადაანგარიშებით;
- კარტოფილი;
- ხილი და კენკრი;
- რძე და რძის პროდუქტები, რძეზე გადაანგარიშებით;
- შაქარი;
- კვერცხი;
- თევზი და თევზის პროდუქტები, თევზზე გადაანგარიშებით;
- მცენარეული ზეთი.

კვების პროდუქტების მოხმარება განიხილება როგორც რაოდენობის ასევე ხარისხის თვალსაზრისით. ამ მიზნით საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში გამოითვლება მოხმარებული საკვების კალორიულობის მაჩვენებელი, და აგრეთვე ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების შემცველობა.

კვების პროდუქტების დაბალი ხარისხი აუარესებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას, იწვევს სერიოზულ დაავადებებს.

მოსახლეობის მიერ კვების პროდუქტების მოხმარების მაჩვენებლები ძნელად ექვენდებარება საერთაშორისო მასშტაბით შედარებას. ეს აიხსნება იმით, რომ მოხმარების სტრუქტურასა და დონეზე გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყანაში შექმნილი კლიმატური პირობები, ეროვნული და კულტურული ტრადიციები, მოსახლეობის სტრუქტურა სქესის, ასაკის, დასაქმების სახეობის მიხედვით.

მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის გამოსავლენად საჭიროა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების კოეფიციენტის (K_D) განსაზღვრა:

$$K_D = \frac{D_F}{D_N},$$

სადაც D_F არის ერთ სულ მოსახლეზე ცალკეული მატერიალური კეთილდღეობის მოხმარების ფაქტიური დონე;

D_N – მეცნიერულად დასაბუთებული დონე.

თუმცა ცალკეული კონკრეტული მატერიალური კეთილდღეობის მიხედვით დაკმაყოფილების დონის მაჩვენებლები არ იძლევა მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების განზოგადებულ დახასიათებებს. ამისათვის გაიანგარიშებენ ყველა მოხმარებული საქონლის მიხედვით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის ინდექსს:

$$I = \frac{\sum pD_F}{\sum pD_N},$$

სადაც $\sum pD_F$ არის ერთ სულ მოსახლეზე ყველა საქონლის ფაქტიური მოხმარების ღირებულება;

$\sum pD_N$ – ერთ სულ მოსახლეზე ამ საქონელთა ნორმატიული ნაკრების ღირებულება.

მოსახლეობის მიერ მატერიალური კეთილდღეობის მოხმარების დამოკიდებულება შემოსავლებზე გაიზომება ა. მარშალის ელასტიკურობის ემპირიული კოეფიციენტის მეშვეობით:

$$K_{ელ.} = \frac{\Delta y}{\Delta x},$$

სადაც Δy არის საშუალოსულოდ მოხმარების მატების ტემპი %-ში;

Δx – საშუალოსულოდ შემოსავლის მატების ტემპი %-ში.

ელასტიკურობის კოეფიციენტი ახასიათებს, მოხმარების მატების რამდენი პროცენტი მოდის შემოსავლების მატების 1%-ზე.

მაგალითი. ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშოთ ელასტიკურობის კოეფიციენტი და გავაკეთოთ დასკვნა.

მოსახლეობის საშუალოსულოდი შემოსავლები და ხარჯები

ერთ სულ მოსახლეზე	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
საშუალოსულოდი შემოსავლი (ფ.ე.)	340	370
საშუალოსულოდი ხარჯები კვების პროდუქტებზე (ფ.ე.)	290	300

$$\text{მოცემულ შემთხვევაში } K_{\text{ელ}} = \frac{\frac{300}{290} * 100 - 100}{\frac{370}{340} * 100 - 100} = \frac{3,4}{8,8} = 0,39.$$

ეს ნიშნავს, რომ შემოსავლების 1%-ით ზრდისას კვების პროდუქტებზე ხარჯები გაიზარდა 0,39%-ით.

ელასტიკურობის კოეფიციენტი შეიძლება იყოს 1-ზე ნაკლები, 1-ის ტოლი და 1-ზე მეტი. ის შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მთლიანად ყველა მოხმარებული კეთილდღეობის, ცალკე სასურსათო და არასასურსათო საქონლის მიხედვით, ასევე სასურსათო საქონლის ცალკეული სახეობების მიხედვით (პური, შაქარი და ა.შ.).

ელასტიკურობის კოეფიციენტი შემოსავლისგან სხვადასხვა საქონლისა და მომსახურებისათვის განსხვავებულია. თუ ელასტიკურობის კოეფიციენტი 1-ის ტოლია, მაშინ მოხმარება იცვლება შემოსავლების პროპორციულად. თუ ის 1-ზე ნაკლებია, მაშინ მოხმარება იზრდება უფრო ნელა ვიდრე შემოსავალი და ეს ნიშნავს იმას, რომ მოცემული სახეობის მოხმარებაზე ხარჯების წილი მცირდება. თუ ის 1-ზე მეტია, მაშინ მოხმარების ზრდის ტემპი შემოსავლების ზრდის ტემპზე მაღალია, ე.ი. მოცემული სახეობის მოხმარებაზე ხარჯების წილი იზრდება.

შემოსავლისგან ელასტიკურობის კოეფიციენტი კვებაზე 1-ზე ნაკლებია, სამრეწველო საქონელზე კი 1-ზე მეტი.

ცხადია, რამდენად მეტია შემოსავლისგან მოხმარების ელასტიკურობის კოეფიციენტი, მით ნაკლებია მოცემული სახეობის მატერიალური კეთილდღეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე.

მოსახლეობის ხანგრძლივი მოხმარების საქონლით უზრუნველყოფის დასახასიათებლად საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში გაიანგარიშება უზრუნველყოფილობის მაჩვენებელი (100 ოჯახზე ან მოსახლეობის 1000 კაცზე):

$M_{\text{ურ}} = \text{მოსახლეობაში არსებული ხანგრძლივი მოხმარების საქონელი/ოჯახის რიცხვი} * 100;$

$M_{\text{ურ}} = \text{მოსახლეობაში არსებული ხანგრძლივი მოხმარების საქონელი/მოსახლეობის რიცხოვნობა} * 1000.$

უზრუნველყოფილობა 100 ოჯახზე განისაზღვრება ისეთი ხანგრძლივი მოხმარების საქონლის მიხედვით, რომელიც ესაჭიროება ოჯახს მთლიანად (მაცივარი, ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და ა.შ.).

გარდა მატერიალური კეთილდღეობისა მოსახლეობა სარგებლობს სხვადასხვა სახეობის მომსახურებას. მომსახურების მოხმარება განსხვავდება მატერიალური კეთილდღეობის მოხმარებისგან, იმით რომ მომსახურების წარმოება დროში არ ემთხვევა მის მოხმარებას.

განასხვავებენ ფასიან (საბაზრო) და უფასო (არასაბაზრო) მომსახურებას. ეას-ში საბაზრო მომსახურების არასაბაზროსგან განსასხვავებლად გამოიყენება გამოშვების მეთოდი (საბაზრო ფასების მიხედვით). თუ მომსახურებისგან ამონაგები ფარავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯების 50%-ზე მეტს, მაშინ ეს მომსახურება ითვლება საბაზროდ, თუ 50%-ზე ნაკლებს – არასაბაზროდ.

ყველა სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$K = \frac{(\sum qP + \sum MP) : \bar{S}}{\sum q_N P + \sum M_N P}$$

სადაც $\sum q$ არის მატერიალური კეთილდღეობის მოხმარების ფაქტიური მოცულობა; $\sum M$ – მომსახურების მოხმარების ფაქტიური მოცულობა; p – საქონლის ან მომსახურების ფასი; q_N – საქონლის მოხმარების ნორმა; M_N – მომსახურების მოხმარების ნორმა; \bar{S} – მოსახლეობის რიცხოვნობა; $q_N p$ – ერთ სულ მოსახლეზე საქონლის მოხმარების ნორმა ღირებულებით გამოსახულებაში; $M_N p$ – ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების მოხმარების ნორმა ღირებულებით გამოსახულებაში.

ადამინის ჰუმანური განვითარების ინდექსი

სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია განხილება მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთიანი განზოგადებული (ინტეგრალური) მაჩვენებლის შემუშავების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის საკითხი. ამდგარი მაჩვენებლის შემუშავება საერთაშორისო სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. მისი შემუშავების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს.

რამდენადაც განზოგადებული მაჩვენებელი შედგება კერძო მაჩვენებლებისგან, ის უნდა უზრუნველყოფდეს ყველა კერძო მაჩვენებლის მეთოდოლოგიურ ერთიანობას და გამოსაკვლევი მაჩვენებლის დინამიკისა და დონის ერთმნიშვნელოვან შეფასებას.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამდგარი განზოგადებული მაჩვენებლის გაანგარიშების შესაძლებლობები მრავალი ათეული წლის განმავლობაში განიხილებოდა ბაპრო-ში. ბაპროს ექსპერტთა აზრით სტატისტიკამ ჯერ კიდევ ვერ იპოვა კერძო მაჩვენებლების გაერთიანებისა და ყოველსომცველი მაჩვენებლის მიღების რაციონალური ხერხი. მიუხედავად ამისა ასეთი მაჩვენებლის შემოთავაზების მცდელობა იყო ყოველთვის და დღემდე გრძელდება.

ბამროს სოციალური სტატისტიკის სამუშაო ჯგუფის მიერ განზოგადებული მაჩვენებლების სახით შემოთავაზებული იყო ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეობაზე, კვებაზე ხარჯების წილი შინამეურნეობების საერთო ხარჯებში, სიკვდილიანობის კოეფიციენტი განსაზღვრული, როგორც 50-თი და მეტი წლის ასაკში გარდაცვლილთა რიცხვის შეფარდება გარდაცვლილთა საერთო რიცხოვნობასთან, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. თუმცა ამ მაჩვენებლების გამოყენების პრაქტიკამ დაადგინა, რომ არც ერთი მათგანი არ შეიძლება გამოდიოდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის მახასიათებელი განზოგადებული მაჩვენებლის სახით. ისინი უფრო წარმოადგენენ მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და განსაზღვრული მხარეების მახასიათებელ კერძო მაჩვენებლებს.

ბოლო პერიოდში ქვეყანათაშორისი შედარებისათვის მოსახლეობის ცხოვრების დონის განზოგადებული მაჩვენებელად გამოიყენება ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი.

ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი – ესაა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის კომპლექსური შედარებითი დახასიათება. დაწყებული 1990 წლიდან ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ – ბამროს განვითარების პროგრამით, მის მიერ, ადამიანის მდგრადი განვითარებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პირობების შეფასებისათვის, შემუშავებული მეთოდოლოგიით.

ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი არის შედგენილი ინდექსი, რომელიც მოიცავს ცხოვრების დონის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების ამსახველ სამ მაჩვენებელს:

1. დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა.
2. განათლების მიღწეული დონე.
3. მშპ-ს რეალური მოცულობა ერთ სულ მოსახლეობაზე გაანგარიშებით (მყიდველობითი უნარის პარიტეტის საფუძველზე დოლარებში).

ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი განისაზღვრება მარტივი საშუალო არითმეტიკულით აღნიშნული სამი მაჩვენებლის ინდექსისგან:

$$\text{აკბ0} = \frac{I_1 + I_2 + I_3}{3}.$$

თავის მხრივ თითოეული აღნიშნული ინდექსი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_i = \frac{X_{F.} - X_{\min}}{X_{\max} - X_{\min}}.$$

მაგალითი. გვაქვს შემდეგი მონაცემები ქვეყნის მიხედვით:

დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, წელი	70
მოწიფული მოსახლეობის წიგნიერების დონე, %	93
დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა ერთობლივი წილი, %	69
რეალური მშპ-ს ერთ სულ მოსახლეობაზე (მშპ საფუძველზე დოლარებში)	3150

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსის (I_1) გაანგარიშებისას მინიმალური მნიშვნელობა ტოლია 26 წლის, მაქსიმალური – 85 წლის.

$$I_i = \frac{X_{F.} - X_{\min}}{X_{\max} - X_{\min}} = \frac{70 - 25}{85 - 25} = 0,75.$$

განათლების მიღწეული დონის ინდექსი არის კომბინირებული მაჩვენებელი, რომელიც განისაზრვრება მოწიფული მოსახლეობის წიგნიერების ინდექსისა და დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა ერთობლივი წილის ინდექსის საფუძველზე.

განათლების მიღწეული დონის ინდექსი (I_2) გაიანგარიშება როგორც შეწონილი საშუალო არითმეტიკული ორო სუბინდექსისგან: მოწიფული მოსახლეობის წიგნიერების ინდექსის წონით 2/3 და დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა ერთობლივი წილის ინდექსის წონით 1/3.

$$I_2 = 2/3 I_{\text{წიგ.}} + 1/3 I_{\text{წილი}},$$

მოწიფული მოსახლეობის წიგნიერების ინდექსის ($I_{\text{წიგ.}}$) გაანგარიშებისას 15 და მეტი წლის ასაკში $X_{\min} = 0$, $X_{\max} = 100\%$.

$$I_{\text{წიგ.}} = \frac{X_{F.} - X_{\min}}{X_{\max} - X_{\min}} = \frac{93 - 0}{100 - 0} = 0,93.$$

მოსწავლეთა წილის ინდექსი განისაზღვრისას 6-დან 24 წლამდე ასაკის პირებისათვის: $X_{\min} = 0$, $X_{\max} = 100\%$.

$$I_{\text{წილი}} = \frac{X_{F.} - X_{\min}}{X_{\max} - X_{\min}} = \frac{69 - 0}{100 - 0} = 0,69.$$

მაშინ განათლების მიღწეული დონის ინდექსი (I_2) იქნება ტოლი:

$$I_2 = 2/3 * 0,93 + 1/3 * 0,69 = 0,85.$$

ერთ სულ მოსახლეობაზე რეალური მშპ-ს ინდექსის (I_3) გაანგარიშებისას ამ მაჩვენებლის მინიმალური მნიშვნელობა მიიღება 100 დოლარის ტოლად, ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა ტოლია კეთილდღეობის მაღალი გონივრული დონისათვის მიღწეული ზღვრული მნიშვნელობისა. ასეთად მთელი მსოფლიოსათვის ითვლება მშპ საშუალოსუფლადი მოცულობა (5500):

$$I_3 = \frac{X_{F.} - X_{\min}}{X_{\max} - X_{\min}} = \frac{3150 - 100}{5500 - 100} = 0,897.$$

ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი იქნება ტოლი:

$$\text{აპბო} = \frac{0,75 + 0,85 + 0,897}{3} = 0,832.$$

რამდენად ახლოსაა აპბო მნიშვნელობა 1-თან, მით უფრო მაღალია მოცემულ ქვეყანაში ადამიანის პოტენციალის განვითარების დონე. სხვაობა 1-სა და აპბო ფაქტიურ მნიშვნელობას შორის უჩვენებს თუ რამდენია ქვეყანაში კიდევ გასაკეთებელი ზემოაღნიშნული დონის მისაღწევად.

მაშასადამე ბამროს პროგრამის თანახმად ნებისმიერი საზოგადოების მიზანი – ესაა ამ სამი მაჩვენებლიდან თითოეულის მაქსიმალური მნიშვნელობის მიღწევა:

დაბადებისას სიცოცხლის ხანგრძლივობის 85 წლამდე გაზრდა, განათლების მისაწვდომობა ქვეყნის მთლიანი მოსახლეობისთვის, ერთ სულ მოსახლეობაზე მშპ-ს მაღალი (გონივრულ საზრვრებში) დონის უზრუნველყოფა.

აპბი გამოიყენება, ადამიანის განვითარების დონის მიხედვით, ქვეყნების დაჯგუფების კრიტერიუმად. ქვეყნებში სადაც აპბი ტოლი ან მეტია 0,8, ითვლება ადამიანის პოტენციალის განვითარების მაღალი დონის ქვეყნებად, ქვეყნები აპბი 0,5–0,799 – საშუალო დონის ქვეყნებად და ქვეყნები აპბი – 0,5 ითვლებიან ქვეყნებად ადამიანის განვითარების დაბალი დონით.

აღსანიშნავია, რომ აპბი გაანგარიშების მეთოდოლოგია მუდმივად იხვეწება. დისკუსიური რჩება მისი აგრეგირებისას გათვალისწინებული მაჩვენებელთა შერჩევის საკითხი, და აგრეთვე განათლების მიღწეული დონის გაანგარიშებისას გამოყენებული წონები.

რაც შეეხება აპბი გაანგარიშებისათვის შერჩეულ მაჩვენებლებს, ბაპროს განვითარების პროგრამის სპეციალისტების აზრით, ისინი წარმოადგენენ მოსახლეობის ცხოვრების დონისა და პირობების ყველაზე მნიშვნელოვან დახასიათებას. დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, თავის მხრივ, ასევე არის აგრეგირებული მაჩვენებელი, რომელიც ამჩნევს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს, სოციალურ პოლიტიკას რომელიც ტარდება ქვეყანაში, გარემოს, სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

აპბი გაანგარიშების სიმარტივის, უნივერსალობის, სტატისტიკური მისაწვდომობის მიუხედავად, ის არ შეიძლება გაანგარიშდეს დამოუკიდებლად, მშპ დოლარულ ეკვივალენტში გადათვლის სირთულის გამო. ამ მიზნებისთვის გამოიყენება ვალუტის მყიდველობითი უნარის პარიტეტები, რომლებიც განისაზღვრება ხუთ წელიწადში ერთხელ საერთაშორისო შედარებების პროგრამების ჩატარების საფუძველზე.

გარდა ამისა, როგორც სპეციალისტები თვლიან, აპბი ახასიათებს შემდეგი ნაკლოვანებები:

- მისი გაანგარიშებისათვის, ცალკეული ქვეყნების მიხედვით, ფაქტიური მონაცემების არ არსებობა;

- შემადგენლების არასაკმარისი ნაკრები (მხოლოდ სამი მაჩვენებელი);
- არასაკმარისი არგუმენტირება საბაზო სიდიდებისათვის მიღებული ზღვრების სასარგებლოდ (მაგალითად, ცხოვრების ხანგრძლივობის ქვედა ზღვარი – 25 წელი, ზედა – 85 წელი).

აპბი ასახავს არა მხოლოდ კეთილდღეობის სიდიდეს, არამედ განსაზღვრული ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს. მსოფლიოში უფრო მეტი ყურადღება ექცევა ადამიანის პოტენციალის განვითარებას ან ეგრეთ წოდებული ინტელექტუალური პოტენციალის. უკანასკნელი ხდება კაცობრიობის მდგრადი განვითარების მთავარ ფაქტორად.

გაეროს განვითარების პროგრამის სპეციალისტების მიერ განხორციელებული აპბი მნიშვნელობის გაანგარიშებები, უჩვენებენ, რომ ქვეყნების უმეტესობაში მისი მნიშვნელობა განუხრელად იზრდება. აპბი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნა ნორვეგიაში (0,963) ხოლო ყველაზე დაბალი – სიერა-ლეონეში (0,275 2001წ.)

მოსახლეობის თავისუფალი დროის სტატისტიკა

სამუშაო დროის შემცირება და შესაბამისად თავისუფალი დროის გაზრდა არის ცხოვრების დონის ზრდის ფაქტორების ერთ-ერთი მაჩვენებელი. თავისუფალი დროის მაჩვენებელი შედის სტატისტიკური კომისიის მიერ 1978 წელს შემუშავებულ მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემაში.

თავისუფალი დრო გამოიყენება კულტურული დონის ამაღლებაზე, ბავშვების აღზრდაზე, ადამიანის ფიზიკური ძალებისა და ჯანმრთელობის განვითარებაზე.

დროის სტატისტიკური შესწავლის ძირითადი მეთოდოლოგიური საკითხია საკითხი მის სტრუქტურაზე:

- ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დრო (ძილი, კვება, თავის მოვლა);
- სამუშაო დრო (დრო დაკავშირებული სამუშაოსთან, მისი მომზადებისა და გზაზე დახარჯული დროის ჩათვლით);
- თავისუფალი დრო.

საშუალო ევროპელისთვის ძილი შეადგენს დღეღამის დროის 33,5%, სამუშაო – 30,6%.

თავისუფალი დრო – სოციალური კატეგორია, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს პიროვნების განვითარებასთან, და ამ გაგებით ის საზოგადოების სიმდიდრეა. დისკუსიური არის თავისუფალი დროის ნორმის საკითხი.

თავისუფალი დრო კლასიფიცირდება შემდეგ ჯგუფებად:

- თეატრების, კონოს, კონცერტების, სპორტიული და სხვა სანახაობრივ ღონისძიებებზე დასწრება;
- ტელეგადაცემების ყურება, რადიოს მოსმენა;
- სეირნობა და სპორტი;
- შეხვედრები, ვიზიტები, თამაშები და ა.შ.;
- დასვენების სხვა სახეობები;
- სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობა, მიტინგები, კრებები, რელიგიური საქმიანობა.

თავისუფალი დროის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი დროის დაყოფას ორ ნაწილად:

- სასარგებლოდ გამოყენებული დრო და მისი წილი;
- არა სასარგებლოდ გამოყენებული დრო და მისი წილი.

ამ დროს, სასარგებლოდ გამოყენებულ დროში შეიძლება გამოიყოს აქტიურად და პასიურად გატარებული თავისუფალი დრო, რომელიც სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

არა სასარგებლოდ გამოყენებული დრო, – ესაა დრო, დახარჯული სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დასწრებაზე, სპირტიანი სასმელების დალევაზე და ნარკოტიკების მოხმარებაზე, ალკოჰოლურ და ნარკოტიკულ სიმთვრალეში ყოფნის დრო. ამ დროის გამოყოფა და შედეგების ანალიზი აქტუალურია პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის.

ქვეყნების მიხედვით თავისუფალი დროის მოცულობა მკვეთრად განსხვავდება. ის ნაკლებია ქვეყნებში, სადა მოსახლეობა გამოირჩევა შრომისმოყვარეობით. მიჩიგანის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული საერთაშორისო კვლევების შედეგებით ნაკლები თავისუფალი დრო აქვთ იაპონელებს: 14 საათამდე მამაკაცებს და 11 საათამდე ქალებს. თავისუფალი დროის ყველაზე მაღალი მაჩვენებელიაქვთ დანიელებს: მამაკაცების თავისუფალი დრო კვირაში შეადგენს 54 საათს, ქალების – 53 საათს.

თავისუფალი დროის სტატისტიკის მაჩვენებლები შეიძლება გამოსხული იქნეს აბსოლუტურ მონაცემებში (საათებში) და შეფარდებით მონაცემებში (თავისუფალი დროის თითოეული ელემენტის წილი თავისუფალი დროის საერთო სიდიდეში).

თავისუფალი დროის სტატისტიკის ერთ-ერთი ამოცანაა დროის სტრუქტურის შეწავლა:

- მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების;
- მოსახლეობის ასაკობრივსქესობრივი კატეგორიების;
- ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლების;
- სხვადასხვა ტერიტორიების მაცხოვრებლების.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, კაცებისა და ქალების, სხვადასხვა ტერიტორიის თავისუფალი დროის სტრუქტურაში განსხვავებების დასახასიათებლად გამოიყენება სტრუქტურული განსხვავებების საშუალო წრფივი და საშუალო კვადრატული კოეფიციენტები.

სტრუქტურული განსხვავებების საშუალო წრფივი კოეფიციენტი = $\frac{\sum |d_i - d_j|}{n}$.

სტრუქტურული განსხვავებების საშუალო კვადრატული კოეფიციენტი =

$$= \sqrt{\frac{\sum (d_i - d_j)^2}{n}}$$

სადაც d_i და d_j – დროის დანახარჯების წილი კონკრეტულ სახეობაზე შესაბამისად i -ურ (მაგალითად, მამაკაცებში) და j -ურ (ქალებში) ჯგუფებში.

მაგალითი. ცხრილში მოტანილია მონაცემები თავისუფალი დროის დანახარჯებზე.

თავისუფალი დროის დანახარჯების სტრუქტურა

თავისუფალი დროის ელემენტები	თავისუფალი დროის დანახარჯების სტრუქტურა %		$ d_i - d_j $	$(d_i - d_j)^2$
	კაცები	ქალები		
თეატრების, კონოს დასწრება	2,0	3,4	1,4	1,96
ტელეგადაცემების ყურება	59,6	52,7	6,9	47,61
გაზეთების კითხვა	12,0	8,7	3,3	10,89
შეხვედრები, ვიზიტები	12,3	19,3	7,0	49,00
სეირნობა და სპორტი	5,6	5,3	0,3	0,09
სვა დანახარჯები	8,5	10,6	2,1	4,41
სულ	100,0	100,0	21,0	113,96

სტრუქტურული განსხვავებების საშუალო წრფივი და საშუალო კვადრატული კოეფიციენტები იქნება ტოლი:

$$\text{საშუალო წრფივი კოეფიციენტი} = \frac{21}{6} = 3,5\%;$$

$$\text{საშუალო კვადრატული კოეფიციენტი} = \sqrt{\frac{113,96}{6}} = 4,4\%$$

აბსოლუტური სტრუქტურული განსხვავებების წრფივმა კოეფიციენტმა უჩვენა, რომ თავისუფალი დროის გამოყენების სტრუქტურა კაცებსა და ქალებს შორის განსხვავებულია 3,5% -ით.

კვადრატული კოეფიციენტმა დაადასტურა ეს განსხვავება, მაგრამ 4,4%-ით.

ლექცია 12 სტატისტიკური მეთოდები საერთაშორისო მოდელირებასა და პროგნოზირებაში

სალექციო საკითხები

1. მოდელირებისა და პროგნოზირების არსი ეტაპები და ძირითადი პრინციპები
2. სტატისტიკური მეთოდების კლასიფიკაცია
3. სტატისტიკური პროგნოზის კლასიფიკაცია
4. მოდელირებისა და პროგნოზირების საერთაშორისო ორგანიზაციები

მოდელირებისა და პროგნოზირების არსი, ეტაპები და ძირითადი პრინციპები

სტატისტიკური მოდელირება და პროგნოზირება წარმოადგენს სტატისტიკური მეცნიერების დარგს. ის, სტატისტიკური ცნებების, კატეგორიების და მეთოდების გამოყენების საფუძველზე, შეისწავლის მასობრივი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების და მოვლენების განვითარების ძირითად კანონზომიერებებსა და ტენდენციებს წარსულში, აწმყოში და წინასწარ განსაზღვრავს მათი მომავალი განვითარების ძირითად მიმართულებებს.

სტატისტიკური მეცნიერების ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს მიეკუთვნება ნიშანი, ვარიაცია, მაჩვენებელი, სტატისტიკური ერთობლიობა, სტატისტიკური კანონზომიერება, დიდ რიცხვთა კანონი, სტატისტიკური კავშირი.

მოდელირებასა და პროგნოზირებაში გამოიყენება სტატისტიკის შემდეგი მეთოდები: სტატისტიკური დაკვირვება, სტატისტიკური დაჯგუფება, საშუალო სიდიდეების მეთოდი, საინდექსო მეთოდი, კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეთოდები და ა.შ.

მოდელირება და პროგნოზირება ემპირიული და მეცნიერული კვლევის კოპლექსურ პროცესია, რომელიც შედგება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ეტაპებისაგან:

1. *მოდელირებისა და პროგნოზირების მიზნის, ამოცანების, ობიექტის ზუსტი განსაზღვრა და დასაბუთება.* ამ ეტაპზე განისაზღვრება კვლევის მიზანი, ძირითადი ამოცანები და მათი გადაწყვეტის გზები, საპროგნოზო ობიექტის ზუსტი განსაზღვრა და გამოყოფა, ასევე მისი წარსული განვითარების ზოგადი დახასიათება და სხვა ობიექტებთან ურთიერთკავშირის დადგენა;

2. *საჭირო ინფორმაციული ბაზის შექმნა.* ეს ეტაპი ითვალისწინებს კვლევის ობიექტის და მასზე მოქმედი ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მიღებას, დაჯგუფებას და სისტემატიზაციას;

3. *პროგნოზირების მეთოდის შერჩევა.* მოცემულ ეტაპზე ხდება იმ მეთოდებისა და ხეხების შერჩევა, რომელთა მეშვეობით უნდა განისაზღვროს შესასწავლი ობიექტის მომავალი განვითარების ძირითადი მიმართულებები და მაჩვენებლები. პროგნოზის მეთოდის შერჩევა უმეტესად დამოკიდებულია არსებულ ინფორმაციაზე;

4. *საპროგნოზო მოდელის აგება და პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშება.* ამ ეტაპზე შესასწავლი ობიექტის პროგნოზი ღებულობს ჩამოყალიბებულ სახეს იმ მრავალრიცხოვანი მაჩვენებლების გამოთვლით, რომლის მიხედვით განისაზღვრება საპროგნოზო ობიექტის მომავალი ცვლილების კონკრეტული მდგომარეობა. ზოგიერთ შემთხვევაში მოდელის აგება შეიძლება არ იყოს აუცილებელი, ეს დაკავშირებულია წინა ეტაპზე შერჩეული მეთოდის სახეობასთან;

5. *მიღებული პროგნოზების შეფასება.* ამ დამამთავრებელ ეტაპზე ხდება იმ პირობების დადგენა, რომლისთვისაც სამარალიანი და სწორია პროგნოზული მაჩვენებლები და განისაზღვრება პროგნოზების განხორციელების ალბათობა.

პროგნოზირების ყველა ეტაპი ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველი მომდევნო ეტაპის განხორციელება უშუალოდ დაკავშირებულია წინა ეტაპზე მიღებულ შედეგებთან. რომელიმე სამუშაოს შეუსრულებლობა იწვევს მთლიანად პროგნოზირების მოცემული მიზნისა და ამოცანის განუხორციელებლობას.

მოდელირებისა და პროგნოზირების ძირითადი პრინციპებია:

- *სისტემურობა.* სოციალირ-ეკონომიკური პროცესების და მოვლენების სისტემურ ასახვას უნდა ახასიათებდეს ისეთი თვისებები, როგორცაა მთლიანობა, სტრუქტურა, იერარქიულობა, ფუნქციონალურობა, მიზანმიმართულება და მართვადობა;
- *დაკვირვებადობა.* დაკვირვებად მონაცემებს უნდა ახასიათებდეს ისეთი ასპექტები, როგორცაა რაოდენობრივი, კაზუალური, გნოსეოლოგიური, კომუნიკაციური, სემანტიკური და თეორიულ-შემეცნებითი;
- *ალტერნატიულობა.* ეს პრინციპი აერთიანებს ემპირიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებს (პროგნოზის ალტერნატიული ვარიანტების რაოდენობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ობიექტის განვითარების ხასიათზე, არამედ პროგნოზირების გამოყენებულ სახეობაზე);
- *კომპლექსურობა.* ის გულისხმობს საპროგნოზო ობიექტის ასახვას, ცალკეული ელემენტების ურთიერთკავშირების, მათი ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედების და ასევე მათი გარე პირობებთან ურთიერთობის მომცველი, განსაზღვრული სისტემისა და ქვესისტემების სახით. ეს პრინციპი შესასწავლი პროცესების კომპლექსურ ასახვასთან ერთად ითვალისწინებს კონკრეტული პროგნოზების კომპლექსის შემუშავებას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ცალკეულ დამოუკიდებელ პროგნოზებს. ასეთ შემთხვევაში აიგება რთული სისტემების მომცველი რთული პროგნოზული კომპლექსები.
- *მეცნიერული დასაბუთებულობა.* პრაქტიკულ გამოკვლევებში ამ პრინციპის რეალიზაცია გულისხმობს მიღებული პროგნოზის ხარისხის ეფექტიანობის, სანდოობისა და სიზუსტის განსაზღვრას, ე.ი. მის ვერიფიკაციას.

სტატისტიკური მოდელების კლასიფიკაცია

მოდელირებაში კვლევის პროცესების მიმართულებათა შესაბამისად მოდელები შეიძლება დაჯგუფდეს ეკონომიკურ-მათემატიკურ და ეკონომიკურ-სტატისტიკურ მოდელებად

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენება დაკავშირებულია უმთავრესად ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში მყოფი მოვლენების მოდელირებასთან.

ეკონომიკურ-სტატისტიკური მოდელები კი გამოიყენება ისეთი რაოდენობრივი კანონზომიერების ასახვისას, რომლებიც ვლინდება მოვლენათა და პროცესთა დიდ მასაში.

სტატისტიკური მოდელების არსი ძირითადად მდგომარეობს ისეთი მოდელების აგებაში, რომელთა საფუძველზე შეისწავლება კვლევის ობიექტის განვითარება და მასზე მოქმედი მრავალი ძირითადი და შემთხვევითი ფაქტორის გავლენის ხასიათი. კვლევის პროცესის ასეთი მიმართულება მოიცავს კორელაციურ ანალიზს, განაწილების კანონების შესწავლასა და სტატისტიკური ცდების მეთოდებს (მონტე კარლოს მეთოდი) და სხვ.)

მოდელი გამოიყენება აგრეთვე შესაწავლი ობიექტის შესახებ ისეთი მონაცემების მისაღებად, რომლებიც შეუძლებელია ან საკმაოდ ძნელია მივიღოთ უშუალო ორიგინალის შეწავლით. იმისათვის, რომ მოდელმა ეს ამოცანა შეასრულოს, იგი უნდა იყოს არა მხოლოდ ორიგინალ-ობიექტთან შესაბამისობაში მყოფი, არამედ მისგან განსხვავებულიც. ორიგინალისგან მოდელის განსხვავება – მოდელის აუცილებელი, ობიექტური ნიშანია.

სტატისტიკური მოდელები თავისი შემეცნებითი ფუნქციების მიხედვით შეიძლება დაიყოს შემდეგ მოდელებად:

- *სტრუქტურულ* (სტატისტიკური დაკვირვება, თანდამთხვევა, განაწილების მრუდები);
- *დინამიკურ* (ტრენდული, ციკლური გადახრები, ზრდის მრუდები, ერთფაქტორიანი, მრავალფაქტორიანი);
- *ურთიერთკავშირების* (რეგრესიის განტოლება, რეგრესიის განტოლებათა სისტემა, მრავალგანზომილებიანი კლასიფიკაცია).

ყველა არნიშნული მოდელი ფართოდ გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკურ მოდელირებასა და პროგნოზირების საერთაშორისო პრაქტიკაში.

სტატისტიკური პროგნოზის კლასიფიკაცია

სტატისტიკური პროგნოზი წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ კვლევის კონკრეტულ შედეგს, რომელშიც მოცემულია შესასწავლი ობიექტის მომავალი ცვლილებების დასაბუთებული შეფასება

სტატისტიკური პროგნოზები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

- იგი შემუშავებული უნდა იყოს საკმარისად დიდი მოცულობის უტყუარი, ერთგვაროვანი და შესადარი ინფორმაციის არსებობის პირობებში;
- იგი ასახული უნდა იყოს სტატისტიკური მაჩვენებლების საშუალებით;
- იგი მიღებული უნდა იყოს სტატისტიკური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით;
- მისი სიზუსტისა და ხარისხის შემოწმება შესაძლებელი უნდა იყოს სტატისტიკური კრიტერიუმებით;
- იგი უნდა იძლეოდეს კვლევის ობიექტის შესახებ ახალ ინფორმაციას, რაც გააფართოებს მისი შემეცნების საზღვრებს;
- მისი შემუშავების პროცესში შესაძლებელი უნდა იყოს გაანგარიშებათა ჩატარება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.

პროგნოზირების მიზნის მიხედვით პროგნოზები შეიძლება იყოს:

- *საძიებო.* პროგნოზი, რომელშიც მოცემულია შესასწავლი ობიექტის მომავალი ცვლილებების ძირითადი მიმართულებები;
- *ნორმატიული.* ასახავს კვლევის ობიექტის განვითარების დასახული მიზნის (სასურველი დონის) მიღწევის გზებს, პრობლემებსა და ვადებს. მას სხვანაირად *მიზნობრივ პროგნოზს* უწოდებენ.

პროგნოზირების ობიექტის მიხედვით პროგნოზები შეიძლება იყოს:

- ეკონომიკური;
- სოციალური;
- მეცნიერულ-ტექნიკური;
- პოლიტიკური;
- სამხედრო;
- ეკოლოგიური.

გარდა ამისა ხშირად მუშავდება, ე.წ. *შერეული სახის სტატისტიკური პროგნოზები*, რომლებშიც აისახება განსხვავებული ბუნების ობიექტები. ასეთი პროგნოზების მაგალითია დემო-ეკონომიკური პროგნოზები, სამხედრო-პოლიტიკური პროგნოზები, გეო-ეკონომიკური პროგნოზები, სოციალურ-დემოგრაფიული პროგნოზები და სხვა.

დროის მიხედვით პროგნოზები შეიძლება იყოს:

- ოპერატიული (რამდენიმე დღიდან ერთ თვემდე);
- მოკლევადიანი (რამდენიმე თვიდან 2 წლამდე);
- საშუალოვადიანი (3-დან 8 წლამდე);
- გრძელვადიანი (8-დან 20 წლამდე);
- ზევადიანი (20 წელზე ზევით).

ტერიტორიის მიხედვით პროგნოზები შეიძლება იყოს:

- სუბლოკალური. ასახავს კონკრეტული მოვლენის ან პროცესის მომავალი განვითარების მეცნიერულ შეფასება შეზღუდული მასშტაბის ფარგლებში (მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი ქვეყნის ცალკეული ქალაქების ან რაიონების მიხედვით);
- ლოკალური. ეს პროგნოზი შედარებით უფრო ფართოა, ვიდრე სუბლოკალური და გულისხმობს სხვადასხვა ობიექტის პროგნოზს მთლიანდ ქვეყნის მიხედვით;
- გლობალური პროგნოზები. მუშავდება ცალკეული ქვეყნების ან ქვეყნების ჯგუფების მიხედვით;
- სუპერგლობალური პროგნოზი. მოიცავს მთელ მსოფლიოს.

დარგების მიხედვით პროგნოზები შეიძლება იყოს:

- მიკროეკონომიკური;
- დარგობრივი;
- დარგთაშორისი;
- მაკროეკონომიკური.

პროგნოზირების მეთოდის მიხედვით პროგნოზები შეიძლება იყოს:

- ექსტრაპოლაცია;

- ექსპერტული შეფასება;
- სტატისტიკური მოდელირება;
- ნორმატიული;
- ანალოგია

პროგნოზის სიზუსტის მიხედვით:

- არაზუსტი (მიუღებელი);
- დამაკმაყოფილებელი;
- ზუსტი;
- ზეზუსტი.

საერთაშორისო პრაქტიკაში, სოციალური და ეკონომიკური მოვლენების მოდელირებასა და პროგნოზირებაში გამოყენებადი სტატისტიკური მეთოდების აუცილებლობა და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია ჩვენ განვიხილეთ წინა ლექციებზე, ამჯერად შევხერდეთ ექსპერტული შეფასებების მეთოდებზე.

ექსპერტული შეფასებების მეთოდი.

ადამიანის გონებას ჯერ კიდევ შესწევს უნარი მეტოქეობა გაუწიოს კომპიუტერს, და თუ არა აზროვნების სისწრაფეში, მრავალი ასოციაციური კავშირის ქონაში და ინტუიციური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაში. ეს იძლევა სპეციალისტების ცოდნის, გამოცდილებისა და ინტუიციის ვერისტიკული გამოყენებით, ინფორმაციის ექსპერტული გზით მიღების საშუალებას. ხოლო ექსპერტული გზით მიღებული შეფასებების სპეციალური მათემატიკური ხერხებით დამუშავება ზრდის მათ საიმედოობას და სიზუსტეს. ექსპერტული შეფასებები არა იმდენად და არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების ინსტრუმენტია, რამდენადაც ღრმა ანალიზისა და პროგნოზის იარაღი.

ექსპერტული კვლევის არსი მდგომარეობს შესასწავლ პრობლემაში კომპეტენტურ, დამოუკიდებელ, სპეციალისტთა ჯგუფების შერჩევასა და ფორმირებაში. ისინი გამოთქვამენ თავიანთ შეთანხმებულ შეხედულებებს და ეს განიხილება როგორც ექსპერტული შეფასება.

ექსპერტულ შეფასებად იწოდება რომელიმე მოვლენაზე და პროცესზე კომპეტენტური სპეციალისტების ჯგუფის მიერ გამოთქმული შეხედულებების საშუალო ან მოდალური დახასიათება, მათი შეხედულებების შეთანხმების ან დაახლოების უზრუნველყოფის პირობით.

ექსპერტული შეფასებები შეიძლება იყოს **რაოდენობრივი** (წარმოადგენდეს აბსოლუტურ, შეფარდებით ან საშუალო სიდიდეებს) და **ხარისხობრივი**. პირველ შემთხვევაში ექსპერტიზა ეფუძნება სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებას, ხოლო მეორეში – კვლევის საგნის ცოდნას და ხელოვნებასთან მიახლოებულ გამოცდილებასა და ინტუიციას დამყარებულ ევრისტიკულ პროცედურებს.

განვიხილოთ ისეთი ცნობილი ექსპერტული მეთოდები, როგორცაა **დელფის მეთოდი**, **გონებრივი შტურმის (იერიშის) მეთოდი** და **სინექტიკის მეთოდი**.

„დელფის მეთოდი“ – სახელწოდება მომდინარეობს ძველი ბერძნული ქალაქი დელფოსაგან, სადაც არსებობდა მისანთა, წინასწარმეტყველთა უძველესი ცენტრი. ეს მეთოდი შემუშავებულია აშშ-ის კვლევითი კორპორაცია „რენდ“-ის მიერ. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: დგება მეცნიერულად დასაბუთებული კითხვარები, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი ავსებს ანონიმურად. მიღებული შეფასება მუშავდება სტატისტიკურად. პასუხების საშუალო მნიშვნელობა ითვლება ექსპერტულ შეფასებად.

მიღებულ შეფასებათა საიმედოობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ექსპერტების სწორად შერჩევაზე, მათ კვალიფიკაციაზე, ერუდიციასა და შესასწავლი საკითხების შესახებ მათ ინფორმირებულობაზე. ექსპერტების მიერ საგნის ცოდნა და ანალიზური შესაძლებლობები მოწმდება **ტესტირების გზით**.

შეფასების სიზუსტე, აგრეთვე დამოკიდებულია კვლევის შედეგების სტატისტიკური დამუშავების დონეზე. იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შემუშავებს ამოცანათა კომპლექსს (მიზნების ხის პროექტი), რომელიც დაისმება ექსპერტების წინაშე, გამოიყენება ლოგიკური დასაბუთების მეთოდი, იგება ჰიპოთეზები კვლევის შედეგების შესახებ. ამის საფუძველზე მუშავდება ანკეტა/კითხვარი.

პირველ ეტაპზე ხდება ექსპერტთა წარმომადგენლობითი ჯგუფის ფორმირება. ექსპერტთა შემადგენლობაში შეყავთ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები დაწყებული ვიწრო სპეციალისტებიდან და დამთავრებული ენციკლოპედისტებით. მოთხოვნა ერთია: ექსპერტი უნდა იცნობდეს პრობლემას და გააჩნდეს მასზე საკუთარი შეხედულება. ექსპერტთა რაოდენობა უნდა იყოს ოპტიმალური. ჯგუფის გაცილებით დიდი რაოდენობა გააძნელებს მონაცემების დამუშავებას, გააძლიერებს აზრების გაფანტვას და გაადიდებს კვლევის ღირებულებას, ხოლო ექსპერტების ზედმეტად მცირე ჯგუფი ადიდებს ინდივიდუალურ შეფასებათა გავლენას და შემთხვევითი შეცდომების დაშვების ალბათობას. საჭიროა, გონივრული საკმარისობის პრინციპის გამოყენება, რომლის თანახმადაც ექსპერტების რაოდენობის ერთი ერთეულით გადიდება (N+1) პრაქტიკულად არ მოახდენს გავლენას ექსპერტთა კითხვებზე გაცემული პასუხების დისპერსიის მერყეობის დონეზე. კატეგორიულად აგრძალებულია ექსპერტთა შემადგენლობაში კვლევის შედეგებით პირადად დაინტერესებული პირების შეყვანა. ეს ეწინააღმდეგება ინფორმაციის საიმედოობისა და უტყუარობის მოთხოვნებს.

კიბერნეტიკა ამტკიცებს, რომ ექსპერტთა რიცხვი არ უნდა იყოს გამოსაკვლევი პრობლემის რიცხვზე ნაკლები. ითვლება რომ ექსპერტთა რიცხვი როგორც წესი შეიძლება ვარიირებდეს 15-დან 50-მდე.

უნდა იქნეს მიღებული ექსპერტთა კომპენტენტურობის შეფასება. შემუშავდება ტესტი და მასზე პასუხების საფუძველზე თითოეულ ექსპერტს მიენიჭება კომპენტენტურობის ქულა (b_i).

ექსპერტთა კომპენტენტურობის განზოგადებული დახასიათება გამოისახება საშუალო სიდიდით:

$$\bar{B} = \frac{\sum_{i=1}^n b_i}{n},$$

სადაც \bar{B} – არის ექსპერტთა ჯგუფის კომპენტენტურობის საშუალო ბალი (ქულა);

b_i – i -ური ექსპერტის კომპენტენტურობის ბალი;

n – ექსპერტთა რიცხვი ჯგუფში.

კომპენტენტურობა ფასდება შესასწავლი პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობის დონის ან მისი ცოდნის კრიტერიუმით. უნდა იქნეს შემუშავებული კომპენტენტურობის დონის შესატყვისი ბალური შეფასების სკალა.

ზოგჯერ შემოყავთ, ექსპერტის იმიჯის, სამეცნიერო და პრაქტიკის სამყაროში მის აღიარებლობის, დაკავებული თანამდებობას, სამეცნიერო წოდების ან სამეცნიერო ხარისხის და ა.შ. შეატყვისი, ექსპერტის „მნიშვნელოვნობის“ რანგი. ჩვეულებრივად, ცდილობენ რანგების ჯამი მიუახლოვონ 100-ს ან 1-ს, რაც ამარტივებს გაანგარიშებებს.

კომპენტენტურობის საშუალო დონის გასაანგარიშებელი ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$B = \frac{\sum_{i=1}^n b_i R_i}{\sum_{i=1}^n R_i},$$

სადაც R_i – ექსპერტის „მნიშვნელოვნობის“ რანგია.

დამოუკიდებელი დაკვირვებით მიღებული კომპენტენტურობის მაჩვენებელი, მიზანშეწონილია შეუდარდეს საკუთარ თავზე თვით ექსპერტების მიერ გაკეთებულ შეფასებებს. არსებობს მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ პირდაპირი კავშირის არსებობას საექსპერტო შეფასებებების სიზუსტესა და შეფასების დონეს ან ექსპერტთა კომპენტენტურობის თვითშეფასებას შორის.

ზოგჯერ, გამოკვლევის ორგანიზატორებს, კომპენტენტურობის ანალიზის შესაბამისად, ექსპერტების შეხედულებებიდან მიღებულ საშუალო შეფასების გაანგარიშებაში შემოყავთ თითოეული ექსპერტის „წონები“. ანუ საერთო შეფასება არის საშუალო შეწონილი არითმეტიკული.

ექსპერტთა ჯგუფის ფორმირების შემდეგ მათ ეძლევათ დავალება წინასწარ მომზადებული ანკეტების ფორმით. ამ დროს უნდა იყოს უზრუნველყოფილი გამოკითხვის ანონიმურობა, რომელიც გამორიცხავს ექსპერტებს შორის პირად კონტაქტს.

გამოკვლევის პირველ ეტაპზე ექსპერტებმა არ უნდა იცოდნენ ერთმანეთის პასუხები. ექსპერტების პასუხების მიხედვით იგება განაწილების მწკრივი და გამოიანგარიშება მისი ძირითადი დახასიათებები: საშუალო, მოდა, მედიანა და კვარტილი.

რაც უფრო მცირეა მერყეობა, მით მეტია პასუხების შეთანხმებულობა და, მაშასადამე, პასუხების საიმედოობა. ექსპერტების გამოკითხვა ანონიმურია, ცალკეულმა ექსპერტმა არ იცის, თუ მის გარდა კიდევ ვინ არის ჩართული ამ სამუშაოში. ასევე უცნობია დანარჩენი ანკეტების შინაარსი. დგინდება პასუხების რანჟირებული განაწილება ატრიბუტული და რაოდენობრივი ნიშნების მიხედვით. გამოითვლება პასუხების სტატისტიკური მახასიათებლები: საშუალო სიდიდეები, მერყეობის მაჩვენებლები, მედიანა, კვარტილი (პირველი და მესამე).

საშუალო სიდიდე გაიანგარიშება, როგორც ყველა შეფასების ჯამის შეფარდება ექსპერტების საერთო რიცხვთან:

$$x = \frac{\sum_{i=1}^n x_i}{n},$$

სადაც X_i – i -ური ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასებაა;

n – ექსპერტთა რიცხვი, რომლებმაც გააკეთეს შეფასება.

თუმცა იმ შემთხვევებში, როდისაც შემოყავთ კომპენტენტურობის რანგი (წონა), გამოიყენება საშუალო შეწონილი არითმეტიკულის ფორმულა:

$$x = \frac{\sum_{i=1}^n x_i R_i}{\sum_{i=1}^n R_i}.$$

მედიანა (Me) – ვარირებადი ნიშნის მნიშვნელობა (ექსპერტთა პასუხების), რომელიც მოდის რანჟირებული ერთობლიობის შუა მნიშვნელობაზე (მედიანა ყოფს განაწილების მწკრივს ორად):

$$Me = x_0 + k \frac{\sum f_m - S_{m-1}}{f_m},$$

სადაც x_0 არის მედიანური ინტერვალის ქვედა ზღვარი;

k – ინტერვალის სიდიდე;

f_m – მედიანური ინტერვალის სიხშირე;

S_{m-1} – მედიანურის წინა ინტერვალში დაგროვილი სიხშირეების ჯამი.

მედიანა განიხილება როგორც ექსპერტთა ჯგუფური აზრი (შეხედულება) ხოლო კვარტილშორისი დაშორება წარმოადგენს ექსპერტთა შეხედულებების შეთანხმებულობის მაჩვენებელს.

კვარტილი (პირველი და მესამე) – ვარიანტები, რომლებიც აშორებს მარცხენა და მარჯვენა მხრიდან ერთობლიობას 1/4-ს:

$$Q_1 = x_{Q_1 \min} + k \frac{\frac{1}{4} \sum m - S_{Q_1-1}}{m_{Q_1}};$$

$$Q_3 = x_{Q_3 \min} + k \frac{\frac{1}{4} \sum m - S_{Q_3-1}}{m_{Q_3}};$$

სადაც Q_1 და Q_3 არის შესაბამისად პირველი და მესამე კვარტილი;

$x_{Q_1 \min}$ – პირველი (ზედა) კვარტილის ინტერვალის მინიმალური ზღვარი,

რომელიც გაიანგარიშება დაგროვილი სიხშირეების მიხედვით;

$x_{Q_3 \min}$ – მესამე (ქვედა) კვარტილის ინტერვალის მინიმალური ზღვარი,

რომელიც გაიანგარიშება დაგროვილი სიხშირეების მიხედვით;

k – ინტერვალის სიდიდე;

$S_{1-1} \min$ – ქვედა კვარტილის მომცველი ინტერვალის წინა ინტერვალში დაგროვილი სიხშირე;

$S_{3-1} \min$ – იგივე ზედა კვარტილისათვის.

კვარტილების საზღვრებს გარეთ მოხვედრილი პასუხები, როგორც ექსტრემალური, არ მიიღება მხედველობაში. ხოლო კვარტილშორის მანძილში მოხვედრილი პასუხები ითვლება საკმარისად შეთანხმებულად. თუმცა ხდება მათი შეთანხმებულობის დონის შემოწმება. ამისათვის გაიანგარიშება პასუხების დისპერსია შემდეგი ფორმულით:

$$\sigma^2 = \overline{x^2} - (\overline{x})^2,$$

ე.ი. პასუხების მნიშვნელობის კვადრატების საშუალოს მინუს პასუხებიდან საშუალოს კვადრატი:

$$\sigma^2 = \frac{\sum x_i^2}{n} - \left(\frac{\sum x_i}{n} \right)^2.$$

რაც უფრო ახლოა ექსპერტების პასუხების დისპერსიის მერყეობის დონე ნულთან, მით უფრო მაღალია შეთანხმებული შეფასების რეპრეზენტატიულობა. ექსპერტების უპირატეს განსჯათა (შეხედულებათა) გამოვლენის შემდეგ, ტარდება მუშაობა მათი თვალსაზრისის დასაახლოებლად.

კვლევის მეორე ეტაპზე ყველა ექსპერტს, რომელთა შეფასებებიც კვარტილშორისი დაცილებების (მანძილის) საზღვრებშია, აცნობენ იმ ექსპერტთა შეხედულებების დასაბუთებული განსხვავებების მიზეზებს, რომელთა შეფასებებიც გამოვიდა კვარტილშორისი დაცილებების (მანძილის) საზღვრებიდან.

ჯგუფში დარჩენილ თითოეულ ექსპერტს ეძლევა უფლება შეცვალოს თავისი შეფასება. ამის შემდეგ მთელი პროცედურა მეორდება ახლიდან, საჭიროების შემთხვევაში რამდენჯერმე, სანამ შეფასებები არ დაუახლოვდება ერთმანეთს. დაახლოება უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ მათი საშუალო საიმედოდ (მისაღებად) არ იქნება მიჩნეული, შეხედულებებში არსებული განსხვავებები კი – მინიმუმადე დაყვანილი. მომდევნო ტურის წინ ანკეტაში შეიძლება, ცალკეული სპეციალისტის პასუხების გათვალისწინებით, შეტანილი იქნეს ზოგიერთი ცვლილება. პრაქტიკაში ხშირად ეს პროცედურა ტარდება გამარტივებულად და შეხედულებათა მცირე განსხვავების (გაფანტვის) შემთხვევაში კმაყოფილდებიან ანკეტირების ერთი ტურით.

ექსპერტის საიმედობის დონის მაჩვენებელი გამოითვლება ფორმულით:

$$R = \frac{n}{N}$$

სადაც n არის მოცემული ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასებების საერთო რიცხვი;

N – სწორ შეფასებათა საერთო რიცხვი.

აუცილებლობის შემთხვევაში პროცედურა მეორდება რამდენჯერმე, სანამ არ მიიღწევა პასუხების ისეთი დაახლოება, როდესაც დისპერსია შეესატყვისება მიმომალურ მნიშვნელობას. მხოლოდ ამის შემდეგ გაიანგარიშება საშუალო სიდიდე, რომელიც ითვლება ექსპერტულ შეფასებად.

„გონებრივი შტურმის (იერიშის)“ მეთოდი წარმოადგენს უფრო ოპერატიულ და საიმედო მეთოდს. ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ხორციელდება კვალიფიციური სპეციალისტების შერჩევა, შეფასებები და დასკვნები კეთდება სხდომის მიმდინარეობისას. ყველა დამსწრე იყოფა ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი კონცენტრაციას ანუ გენერაციას უკეთებს იდეებსა და შეფასებებს, ხოლო მეორე აანალიზებს მათ. ორივე ჯგუფს ჰყავს საერთო ხელმძღვანელი. განხილვისას დიდი ყურადღება ექცევა აზრთა თავისუფალი გაცვლის წახალისებას, ამასთან, იკრძალება წამოყენებულ იდეათა და დახასიათებათა აქტუალობის (ფასეულობის) მიმართ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმა.

ხელმძღვანელი უნდა იყოს მიუკერძოებელი და მას უნდა შეეძლოს დისკუსიის წარმართვა საჭირო მიმართულებით. რაც უფრო მეტია ვარიანტების რაოდენობა, მით უფრო მაღალია იმ ნამდვილად ღირებული იდეებისა და დახასიათებათა გამოვლენის ალბათობა, რომელზედაც დათანხმდება მონაწილეთა უმრავლესობა.

პრაქტიკაში ზოგჯერ გამოიყენება **სინექტიკის მეთოდი** (განსხვავებული და ერთმანეთთან აშკარად შეუსაბამო ელემენტების შეერთება). ამ დროს ხდება საქმიანობის (მოღვაწეობის) სხვადასხვა სფეროდან სპეციალისტების შეკრება. ცალკეული მონაწილე თათბირს აღიქვამს როგორც შეჯიბრებას და განსახილველად შეაქვს წინასწარ მომზადებული იდეა. მიიღება ის რეალური იდეა, რომელსაც მხარს დაუჭერს მონაწილეთა უმრავლესობა.

მოდელირებისა და პროგნოზირების საერთაშორისო ორგანიზაციები

ამჟამად მსოფლიოში ათზე მეტი მოდელირებისა და პროგნოზირების საერთაშორისო ორგანიზაცია ფუნქციონირებს.

საერთაშორისო ორგანიზაცია „ფუტურიბლი“, დაარსდა 1960 წელს

საფრანგეთში, შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში. გააჩნია მძლავრი საინფორმაციო ცენტრი ინფორმაციული ბანკი – 60 ათასამდე ბარათი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა – 5 ათასი ტომი). საკუთარი ძალებით ამუშავებს სხვადასხვა სახეობის პროგნოზებს, გამოდის შუამავლის როლში პროგნოზირების ორგანიზაციის საქმეში, ასრულებს საკონსულტაციო ფირმის ფუნქციებს, ახორციელებს სპეციალისტთა მომზადებას და გადამზადებს, ინფორმაციის გაცვლას პროგნოზირების სხვადასხვა კვლევით ცენტრებს შორის. ყოველთვიურად გამოდის ასოციაციის ჟურნალი „ფუტურბლი-2000“, და ყოველ ორ თვეში ერთხელ – ბიულეტენი „ფუტურინფორმასიონი“. ამ ორგანიზაციის წევრია 60-მდე ქვეყანა და მათგან 6000 მოქალაქე.

საერთაშორისო საზოგადოება „მომავლის მსოფლიო“. დაარსდა 1966 წელს ვოშინგტონში, მასში გაერთიანებულია სხვადასხვა ქვეყნის 250-მდე კოლექტიური და 65 ინდივიდუალური წევრი, აქვს თავისი განყოფილებები აშშ-ის ყველა შტატში და აგრეთვე მსოფლიოს 25-მდე ქვეყანაში. გააჩნია მსხვილი საინფორმაციო ცენტრი და მრავალი ფუნქციონალური სექცია, კერძოდ: ბიზნესის, განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის, მართვის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სერთაშორისო ურთიერთობათა, დემოგრაფიის, შრომის, სათბობ-ენერგეტიკული და სანედლეულო რესურსების, ცხოვრების წესის, კვების, პერსპექტიული პრობლემების. საზოგადოება საკუთარი ძალებით ამუშავებს სხვადასხვა სახეობის პროგნოზებს, ასრულებს შუამავლის როლს პროგნოზების დამუშავებაზე შეკვეთების მიღებაში, ახორციელებს კადრების მომზადებას და გადამზადებას, ასრულებს პროგნოზირების საკითხებზე საკონსულტაციო ფირმის ფუნქციებს, ახორციელებს პროგნოზული ინფორმაციის გაცვლას, ორ თვეში ერთხელ გამოსცემს ჟურნალს „ფუტურისტი“ და ბიულეტენს, გარდა ამისა, ყოველი სექცია ცალკე უშვებს ბიულეტენს.

საერთაშორისო საზოგადოება „2000 წლის კაცობრიობა“ დაარსდა 1966 წელს, მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ბრიუსელში, ყოველწლიურად გამოდის „მსოფლიო პრობლემებისა და კაცობრიობის პოტენციალის წელიწადლეული“.

მოდელირებისა და პროგნოზირების საერთაშორისო ორგანიზაცია „რომის

კლუბი” შეიქმნა 1966 წელს ცნობილი იტალიელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ა. პეჩის ინიციატივით. მისი წევრია 40-მდე ქვეყანა, საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა კაცობრიობის წინაშე მდგომი გლობალური პრობლემების კვლევა. 1972 წელს გამოიცა რომის კლუბის პირველი მოხსენება „ზრდის საზღვრები”, რომელიც მოამზადა მკვლევართა ჯგუფმა დ. მედოუზის ხელმძღვანელობით. ამ წიგნში განხილულმა საკითხებმა და დასკვნებმა სენსაცია გამოიწვია მთელს მსოფლიოში. მისი მთავარი დასკვნა იყო კაცობრიობის გლობალური კატასტროფის გარდაუვალობა XXI საუკუნის შუა ხანებში, კვლევის შედეგები მიღებული იქნა მრავალი სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე. საზოგადოება ყოველწლიურად ატარებს კონფერენციებს და სემინარებს.

საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის მომავლის კვლევის კომიტეტი, რომელიც შეიქმნა 1970 წელს, შტაბ-ბინა მდებარეობს რომში და მისი საქმიანობა ძირითადად მიმართულია სოციალური პრობლემების კვლევებზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების შედარების საერთაშორისო საზოგადოება შეიქმნა 1972 წელს, მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ვოშინგტონში. იგი ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს, სადაც განიხილება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა შედეგები და ხორციელდება მათი პერსპექტიული შეფასება.

მომავლის შესწავლის მსოფლიო ფედერაცია, რომელიც შეიქმნა 1970 წელს იტალიაში, შტაბ-ბინა მდებარეობს რომში. მისი წევრია 60-მდე ქვეყანა. იგი პერიოდულად აქვეყნებს სპეციალურ ბიულეტენებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ასლამაზიშვილი.საერთაშორისო სტატისტიკა: თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბ., 2009.
2. ტ.სართანია. საერთაშორისო სტატისტიკა, თბ., 1995
3. Башкатов Б. И., Суринов А.Е . Международная статистика, Учебник. М. : издательство Юрайт, 2010
4. Дашинская Н.П. Международная статистика, Минск «Издательский центр БГУ» 2007.
5. Елисеева И. И., Костеева Т. В., Хоменко Л. Н. Международная статистика, Минск., 1995
6. Сиденко А. В., Башкатов Б. И., Матвеев В. М. . Международная статистика, М. 1999
7. Иванова М. В., Октябрьский П. Я., Третьяков С. Л., Международная статистика, С.-Петербург. 1993.
8. ქ.მარშავა, მ.მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი/ თბ., თსუ გამომცემლობა, 2009.
9. ს.გელაშვილი. სტატისტიკური მოდელირებისა და პროგნოზირების საფუძვლები, თსუ, თბ., 2006.
10. ქ.მარშავა. მთლიანი შიგა პროდუქტი და მისი კომპონენტების საერთაშორისო შედარებები - მშპ ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულება. გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები. სამეცნიერო შრომათა კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ.488-492.ქ. თბილისი. 2012
11. Липпе П. Экономическая статистика. Издательство Густав Фишер Ферлаг. Штуттгарт, Йена 1995 г.
12. Елисеева И. И. Демография и статистиканаселения. М., 2006